

კაჟიად შამედანშვილი

განკეჩძოებუდი სიფყვები  
და გამოთქმები ქეჩთუდში  
და მათი სნავდების მეთოდისკა

## შისავალი

უკანასკნელ წლებში საშუალო სკოლის სასწავლო გეგმებში, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში რიგი ცვლილება შევიდა. ცვლილებები შეეხო, კერძოდ V-VII კლასების ქართული ენის პროგრამასაც, რაც გამოიხატა როგორც მასალის შემოკლებასა ან ზოგი მათგანის სრულიად ამოღებაში, ისე ზოგიერთი თემის გამარტივებასა და გადაჯგუფებაში. ეს გარემოება მოითხოვს სწავლებელს მეთოდის კიდევ უფრო სრულყოფილად დამუშავებას.

აღსანიშნავია, რომ საშუალო სკოლის ქართული ენის პროგრამული მასალიდან რიგი საკითხების სწავლების მეთოდიცა ჯერ კიდევ არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგნად. ასეთ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, რომელთა შესწავლა საინტერესოა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გრამატიკული ბუნების სწორად გაგებას, წინადადებაში მათი როლისა და ფუნქციის დადგენას მნიშვნელობა აქვს ქართული ენის სინტაქსის სასკოლო კურსის დამუშავებისათვის, სკოლაში ამ საგნის სწავლებისათვის, რამდენადაც მასთან დაკავშირებულია პუნქტუაციის, მართლწერის, სტილისტიკისა და ლექსიკის არა ერთი საკითხი.

სასკოლო მუშაობის პრაქტიკაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ამ თემის სწავლებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, რის გამოც მოსწავლეთა როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში საკმაო რაოდენობის შეცდომები გვხვდება.

საკითხის დამუშავებისას გაირკვა როგორც ის სიძნელები, რომლებიც ამ თემის სწავლებისას გვევლინება, ისე გამოვლინდა მოსწავლეთა მიერ დაშვებული ტიპობრივი შეცდომებიც, რომელთა გამომწვევ მიზეზებსა და გამოსწორების ხერხებს ვიძლევიტ ცალცალკე, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების თითოეულ სახესთან დაკავშირებით.

წინამდებარე შრომის მიზანია, დაეხმაროს მასწავლებელს განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების მალაზარისხვნად სწავლებაში.

ჩვენ მიერ მიწოდებული მასალა საკმაოზე მეტია იმისათვის, რომ მასწავლებელს მიეცეს ამორჩევის საშუალება. თემის შესწავლისათვის გამოყენებული გვაქვს შემდეგი გზები, მეთოდები და ხერხები: ინდუქცია და დედუქცია, თხრობა და საუბარი, გრამატიკული გარჩევა, შედარება-შეპირისპირება, შენაცვლება, წიგნზე მუშაობა.

საკითხის შესწავლამ, სასკოლო პრაქტიკაზე დაკვირვებამ მოითხოვა აჰეამდ მოქმედ პროგრამისა და სახელმძღვანელოში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეულ სახეთა სწავლების თანამიმდევრობის გადასინჯვა. სარწმუნო განდა ასეთი რიგის უპირატესობა: მიმართვა, მიგებითი ნაწილაკები, შორისდებული წინადადებაში, განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, ჩართული.

გამოირკვა ისიც, რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ზოგი სახის განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს იშვიათად იყენებს ზეპირსა და წერითს მეტყველებაში, ხოლო რასაც იყენებენ, მასში ხშირია პუნქტუაციური და სტილისტიკური შეცდომები. წერითი ნაშრომების ანალიზმა კი გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა პუნქტუაციურ-სტილისტიკურ შეცდომათა 30% სწორედ ამ თემაზე მოდის.

წინამდებარე შრომაში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების თითოეული სახის სწავლება წარმოდგენილია ცალ-ცალკე. ნაჩვენებია ის სიძნელები, რომლებიც წინ ეღობება მასწავლებელს სწავლებისას, შეძლებისდაგვარად დაძვნილია გზები და საშუალებები, რომელთა მეოხებითაც მასწავლებელს შეიძლება გაუადვილდეს დაბრკოლებათა გადალახვა.

შრომაზე მუშაობისას ჩვენ შევისწავლეთ ამ საკითხზე არსებული საენათმეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. გამოვიყენეთ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის რაიონის 40 სკოლის 47 მასწავლებლის გამოცდილება. გამოცდილებას გავეცანით გაკვეთილებზე დასწრებით, მასწავლებლებთან საუბრებით, საცდელი გაკვეთილების ჩატარებით, სასკოლო დოკუმენტაციის (ეურნალებში ჩანაწერები, მოსწავლეთა წერითი ნაშუშევრები. მასწავლებელთა ყოველდღიური გეგმები და ა. შ.) გაცნობით.

წინამდებარე შრომაში განზოგადებულია აგრეთვე ჩვენი პირადი გამოცდილება (ათი წლის პედაგოგიური მუშაობის შედეგი), მიღებული ახალციხის რაიონის ანის, კვინთისა და ვალეს, აგრეთვე ქ. ქუთაისის სკოლებში მასწავლებლად მუშაობის დროს.

## ტერმინისათვის

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“ პირველად ა. შანიძემ შემოიღო თავის სასკოლო გრამატიკაში. მასზე ადრე სხვა სახელწოდება გვხვდება, სახელდობრ: თ. უორდანიას ხმარობს გამოთქმას „მცირედ დამოკიდებულნი სიტყვანი და წინადადებანი“<sup>1</sup>, ი. სიხარულიძე, კ. გაგუა — „განცალკევებული წევრები წინადადებაში“<sup>2</sup>, ხოლო ლ. კვაჭაძე — „განკერძოებული წევრები წინადადებისა. წინადადებასთან გრამატიკულად შეუკავშირებელი სიტყვები და გამოთქმები“<sup>3</sup>. აქედნად საპირობა ორიოდღე სიტყვით ტერმინს შეეცხთ.

მართალია, ტერმინი „განკერძოებული“ პირველად იხმარა დ. ჩუბინაშვილმა მიმართვასთან დაკავშირებით,<sup>4</sup> მაგრამ, ვფიქრობთ, განკერძოებული წარმოადგენს რუსული Обособленные-ს თარგმანს. რუსულში, როგორც ცნობილია, იგი პირველად იხმარა და დაამკვიდრა ა. პეშკოვსკიმ თავისი წიგნის „Русский синтаксис в научном освещении“ პირველ გამოცემაში (1914 წ.).<sup>5</sup>

„განკერძოებულის“ მნიშვნელობით სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება აგრეთვე „განხლოებული“<sup>6</sup>.

გ. ახვლედიანის რუსული ენის გრამატიკაში (ქართული სკოლებისათვის) გამოყენებულია ტერმინები: „წინადადების განკერძოებული მეორეხარისხოვანი წევრები“ და „სიტყვები წინადადებაში, რომლებიც არ არიან მისი წევრები“<sup>7</sup>.

ცნობილია რომ ტერმინთა მრავალფეროვნება უარყოფითად მოქმედებს თვით გრამატიკული მოვლენის საფუძვლიანად გაგება-ათვისე-

<sup>1</sup> ქართული გრამატიკა /ეტიმოლოგია და სინტაქსი/, თბზული და გამოცემული თ. უორდანიასაგან, ტფილისი, 1889, გვ. 43.

<sup>2</sup> ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V—VI—VII კლასებისათვის, ტფილისი, 1937, გვ. 121; კ. გაგუა, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის საკითხები, თბილისი, 1941, გვ. 75.

<sup>3</sup> ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1956, გვ. 120.

<sup>4</sup> ქართული ლრამატიკა, ახლად შედგენილი და ეით ჩუბინოვისაგან, ხ. — პეტერბურლი, 1887, გვ. XX XVI.

<sup>5</sup> ამ საკითხზე იხ. Н. Н. Прокопovich, Методика улучшения обособленных определений; ИАН РСФСР, 10, 1947, стр. 103.

<sup>6</sup> ა. რ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 267.

<sup>7</sup> Г. Ахведиани, Грамматика русского языка для грузинских школ, Тбилиси, 1953, стр. 341—348.

ბაზე. ამიტომ სწავლების თვალსაზრისით ამ ტერმინთა უნიფიკაცია საჭიროცაა და აუცილებელიც<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსულსა და ქართულ ენებში განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სხვადასხვა ბუნებისაა, თანაც ქართულ ენაში განკერძოებული რუსულისათვის ყველა როლია განკერძოებული. ამდენად ეს სახელწოდება შეიძლება წარმოადგენდეს „ლინგვისტიკურად სადავო და მეთოდოლოგიურად საეჭვო ტერმინებს“<sup>2</sup>. მაგრამ ჩვენ გამოვდივართ სასკოლო ინტერესებიდან და ვტოვებთ გამოთქმას „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“, რადგან, ჯერ ერთი, ამით დიდი ხანია სარგებლობენ ჩვენი პრაქტიკოსი მასწავლებლები და, მეორეც, ახალი ტერმინის შემოღებამ შესაძლებელია ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიოს სკოლის მუშაკთა შორის.



---

<sup>1</sup> ასევე „განკერძოებული წევრები წინადადებისა. წინადადებასთან გრამატიკულად შეუკავშირებელი სიტყვები და გამოთქმები“ რუსულის ოდნავ შეცვლილთაგანია „Обособленные члены предложения. Слово, Грамматически не связанные с членами предложения“.

<sup>2</sup> С. И. Калягина, Изучение метонимий в школе (საკანდიდატო დისერტაციის აბტორეფერატი), Москва, 1956, стр. 3

## განკაცობადი სიყვავისა და გამომჯების სწავლების ისტორიისათვის ქართულ ენაში

მე-18 საუკუნეში საენათმეცნიერო და სასკოლო გრამატიკებს შორის საზღვარი არ არსებობდა. ასე, მაგალითად, ანტონის, გაიოზიასა და სხვ. გრამატიკები ერთდროულად წარმოადგენდნენ მეცნიერულ შრომებსაც და სასწავლო გრამატიკებსაც.

პირველი ქართული გრამატიკა უცხოელს, ფრანცისკო მარია მაჯოს, ეკუთვნის. ამ გრამატიკაში წარმოდგენილია ეტიმოლოგია, სინტაქსი და პროსოდია. როგორც წესი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სინტაქსში უნდა ყოფილიყო მოცემული, მაგრამ ასეთი რამ მაჯოს გრამატიკაში არ არის. მიუხედავად ამისა, განკერძოებულთა ზოგიერთი სახეობის შესახებ გაკვირით მაინც არის მითითება. ასე, მაგ., მიგებითი ნაწილაკები კო, ხო (ჰო) ზმნიზედებში აქვს შეტანილი; ზმნიზედადვე მიაჩნია მას ღია დადასტურებითი ნაწილაკი<sup>1</sup>.

გაკვირთაა ნათქვამი მიგებითი ნაწილაკების შესახებ ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში (1737 წ.).<sup>2</sup> ავტორი მიგებითს ნაწილაკებს ზმნიზედის („ზმართული“) განყოფილებაში იხილავს და არა მიგებითს ნაწილაკს უწოდებს „საუკუნთქმო“ სართულს, ხოლო ღიად გათანაბრებული აქვს ვითარების ზმნიზედებთან<sup>3</sup>.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ანტონ პირველის გრამატიკაში გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ანტონთან სინტაქსი საკმაოდ სისრულით არის წარმოდგენილი<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ფრანცისკო მარია მაჯო, ქართული ენის გრამატიკა, რომი, 1670, გვ. 98 — 99.

<sup>2</sup> დაწვრილებით ამ გრამატიკაზე ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, I ზურაბ შანშოვანი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X — B, 1940.

<sup>3</sup> მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისა გან 1737 წელს, გამოცემული ალ. ცაგარელის მიერ სანკტპეტერბურგს, 1881, გვ. 70.

<sup>4</sup> ქართული ღრამატიკა, შედგენილი ანტონ 1-ის მიერ, ტფილისი, 1885, გვ. 251.

სოლ. დოდაშვილმა, ერთმა პირველთაგანმა, შეამჩნია შორისდებულს, მიმართვის, განკერძოებული განსაზღვრებისა და ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების არსებობა ქართულ ენაში, თუმცა შესატყვისი გრამატიკული ტერმინები არ მოუცია<sup>1</sup>.

პლ. იოსელიანის გრამატიკაში მიგებითი ნაწილაკები განხილულია ზმნიზედებთან და ზმნიზედებად მიიჩნევს: „უკუთქმითი ანუ დამტკიცებითი, მაგ., არა, დიახ, ნუ, არასადმე და სხვ.“<sup>2</sup> პლ. იოსელიანს შეუშინებია, რომ შორისდებული შეიძლება მეტყველების სხვა ნაწილად იქცეს, ბრუნვის ნიშანი მიიღოს და იბრუნებოდეს.

დ. ჩუბინაშვილის მიერ 1855 წელს. გამოცემულ ქართულ გრამატიკაში<sup>3</sup> განკერძოებულთა შესახებ არაფერია ნათქვამი, სამაგიეროდ, იმავე ავტორის მიერ 1887 წელს ქართულად გამოქვეყნებულ გრამატიკაში ჩვენს საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთ ცნობას ვპოულობთ; სახელდობრ: საინტერესოა ის, რომ დ. ჩუბინაშვილი ზო ნაწილაკს თვლის მტკიცებითს შორისდებულად.

წოდებითი ბრუნვის შესახებ: სინტაქსის განყოფილებაში შემდეგია თქმული: „წოდებითი ბრუნვა იცნობების კითხვითა: ვინაო, რაო? ნუდამ პზის პაზრში განკერძობით“<sup>4</sup>.

ამ გვარად, დ. ჩუბინაშვილმა პირველად აღნიშნა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. რომ წოდებით ბრუნვაში დაყენებულ სახელი წინადადებაში განკერძობით დგას.

დ. ყიფიანის გრამატიკაში ბრუნვათა შორის არაა შეტანილი ე. წ. მიმართვის ფორმა, წოდებითი ბრუნვა, რადგან იგი „სახელობითს ჰგავს“<sup>5</sup>.

ასეთივე მდგომარეობაა გაიოზის გრამატიკაშიც<sup>6</sup>.

<sup>1</sup> შემოკლებული ქართული ლრამატიკა, გამოცემული სოლ. დოდაშვილის მიერ, ტფილისი, 1830, გვ. 66, 72, 73, 75.

<sup>2</sup> პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ლრამატიკისა, შედგენილი პლ. ბრუნველიანისა და იოსელიანისაგან, აღბეჭდილი მესამედ ქ. თფილისს, 1863, გვ. 68.

<sup>3</sup> Д. Чубинов, Краткая Грузинская грамматика, С. Петер., 1855. ამ გრამატიკამ იმდროინდელ პრესაში უარყოფითი შეფასება მიიღო (იხ. „ცნსკარი“ № 5, 1857, გვ. 39-45).

<sup>4</sup> ქართული ლრამატიკა, ახლად შედგენილი დავით ჩუბინოვისაგან, სანკტ-პეტერბურგი, 1887, გვ. XXXVI.

<sup>5</sup> ახალი ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შეილებისათვის დიმიტრი ყიფიანისა, სანკტ-პეტერბურგი, 1882, გვ. 23.

<sup>6</sup> გაიოზი, ლრამატიკა, მოზლოკი, 1796 — 1800, გვ. 131.

ქართულ ხელნაწერ გრამატიკებში არა თუ მთლიანი სახით არ არის განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, არამედ მისი ერთი რომელიმე სახის შესახებაც კი არა გვაქვს მოცემული ცნობები.



მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ენის პროგრამებს ჩვენამდე არ მოუღწევია. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლების გასათვალისწინებელ ერთადერთ წყაროს თვით გრამატიკის სახელმძღვანელოები წარმოადგენს.

იოანე ქართველიშვილისა<sup>1</sup> და გოდერძი ფირალოვის<sup>2</sup> გრამატიკებში ეს საკითხი სრულებით არაა წარმოდგენილი.

თავისებური ტერმინებითაა წარმოდგენილი განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეული სახე ბ. კვიციანიძის გრამატიკაში. ავტორი საყურსის ანუ მისახმარი სიტყვების სახელწოდებით აღნიშნავს შორისდებულებს, კავშირებსა და ნაწილაკებს<sup>3</sup>, ხოლო სიმეტრეს უწოდებს როგორც განკერძოებულ განსაზღვრებას, ისე დანართს<sup>4</sup>.

განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს დაწვრილებით ეხება არ. ქუთათელაძე. მან წარმოგვიდგინა: მიმართვა, ჩართული წინადადება, ჩართული სიტყვები, მიმატებითი სიტყვა, (დანართი — რ. შ.) და შემოკლებული განპარტებითი დამოკიდებული წინადადება (შემოკლებული განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება), რომლის ქვეშ განკერძოებული განსაზღვრება იგულისხმება, თუმცა ავტორი ამ ტერმინს არ ხმარობს და არც იმის შესახებ გვეუბნება რავეს, წარ-

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილების ფონდი S 2580, A 797, A 1172, S 1220, S 2585, S 1547 A 122, S 147, S 1170, H 2274, H 2249, H 719, H 114, H 239, H 271, H 273, H 351, A 1647, A1175 და სხვ.

<sup>2</sup> ქართული ხელნაწერი გრამატიკები ზოგადად განხილული აქვს ო. ურიდიანს ო. ურიდიან, ხელნაწერ გრამატიკათა დახასიათებისათვის: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, 5, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1951, გვ. 16—18.

<sup>3</sup> იოანე ქართველიშვილი, ქართული ლრამატიკა, თბილისი, 1815 წ., მეორედ გამოცემა მოსკოვს 1825 წელს.

<sup>4</sup> გოდერძი ფირალოვი, თუთ მასწავლებელი, რომელი იპყრობს თუთ—შორის ლრამატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონსა და ქართულსა ენასა ზედა: შეთხზული მშახუტრებელისა საქელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხო—მხარისათა, ნადვორნის სოვეტნიკის და კავალერის გოდერძი ფირალოვის: სანკტ-პეტერბურღს, წელსა ჩყკ /1820/, გვ. 20.

<sup>5</sup> ქართული სწორმეტყველება, სასინჯი სახელმძღვანელო, პირველი წიგნი, შედგენილი ბ. კვიციანიძის მიერ, თბილისი, 1888, გვ. 15 — 16.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 13.



ზოდგენს თუ არა განყრძობებული განსაზღვრება, დანართი, მიმართვა, ჩართული წინადადების წევრებს, ან რა ურთიერთობაშია ესენი წინადადების წევრებთან<sup>1</sup>. თავის გრამატიკაში ავტორი წინადადების წევრების შემდეგ იხილავს მიმართვას. სწავლების გასაადვილებლად მიმართვის მაგალითები ჯერ წინადადებაშია მოცემული (განსხვავებული შრიფტით), შემდეგ წარმოდგენილია მისი რაობა. მიმართვას ავტორი ასე განსაზღვრავს: „მიმართვითი სიტყვა არის წინადადებაში ისეთი სიტყვა, რომლისკენაც ჩვენი ყურადღება არის მოქცეული“<sup>2</sup>.

განყრძობულ სიტყვებსა და გამოთქმებში თ. ჟორდანიას შეაქვს სხვათა სიტყვაც, რაც არაა გამართლებული<sup>3</sup>. ავტორი მიმართვასთან დაკავშირებით სწორედ ვერ იძლევა სასვენი ნიშნების ხმარების წესებს. ის დანართს ამ ხ ს ნ ე ლ ს ი ტ ყ ვ ა ს უ წ ო დ ე ბ ს<sup>4</sup>.

ანდრია ბენაშვილის გრამატიკაში ჩართული სიტყვები და გამოთქმები უფრო გამოკვეთილადაა წარმოდგენილი, მაგრამ დაშვებულია ისეთივე შეცდომა, რაც თ. ჟორდანიას პქონდა — სხვათა სიტყვა განყრძობულ სიტყვებსა და გამოთქმებშია შეტანილი<sup>5</sup>.

ავტორი პირველად იხილავს ჩართულს, გვაცნობს მის რაობას და აღნიშნავს წინადადებაში ჩართულის ადგილს<sup>6</sup>, მაგრამ არ უჩვენებს, თუ რა როლს ასრულებს იგი წინადადებაში.

1905 წელს პირველად გამოვიდა სილოვან ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“. იეს სახელმძღვანელო XX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ პოპულარული და გავრცელებული იყო...

სწავლების მეთოდური მხარე სილ. ხუნდაძის გრამატიკას აახლოებს არ. ქუთათელაძის სახელმძღვანელო<sup>7</sup>თან (მხედველობაში გვაქვს მასალის ახსნა: მაგალითები წინადადებებშია მოყვანილი და დაბეჭდილია განსხვავებული შრიფტით, განსაზღვრება მოკლეა, მეთოდი ინლექციურია და სხვ.)<sup>7ა</sup>.

<sup>1</sup> პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძის აგ ა ნ, ტფილისი, 1888, გვ. 8, 9, 16, 25.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 8.

<sup>3</sup> ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიას აგ ა ნ, ტფილისი, 1889, გვ. 43 (ამ გრამატიკას იმდროინდელმა პრესამ უარყოფითი შეფასება მისცა. იხ. „ივერია“, 1893, № 53, 54).

<sup>4</sup> ი ქ ვ ე, გვ. 43.

<sup>5</sup> მოკლე ქართული გრამატიკა, შედგენილი და გამოცემული ქუთათისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის ანდრია ს ი მ. ბენაშვილის მიერ, ტფილისი, 1894, გვ. 37.

<sup>6</sup> ი ქ ვ ე, გვ. 37 — 38.

<sup>7</sup> მ. ჩინჩალაძე, ქართული ზმინზედის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955,

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ზოგიერთი სახის განსაზღვრაში სიახლეა შეტანილი. ეს ითქმის განსაკუთრებით მიმართვის შესახებ, რომელსაც ავტორი ასე განმარტავს: „წოდებითი ბრუნვაში დასმულ სიტყვას წინადადებაში წოდებითი სიტყვა ჰქვია, ან მიმართვა“<sup>1</sup>. ავტორი ჯერ მიმართვას იხილავს, შემდეგ ანბანს და ბოლოს იძლევა სასვენი ნიშნების ხმარების საკითხებს მიმართვასთან. მასალის ასეთნაირი დალაგება მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია, რადგან დარღვეულია სისტემატურობის პრინციპი.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ხუნდაძე განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ყველა სახეს მიყოლებით კი არ იძლევა, არამედ გრამატიკის სხვადასხვა ადგილზე და თანაც სხვადასხვა კლასის კურსში. ასე, მაგალითად, მიმართება (დანართი) მას გათვალისწინებული აქვს პირველი კლასის კურსში და იხილავს დამატება-განსაზღვრების შემდეგ. მაგრამ საილუსტრაციო მაგალითები ვერ არის სათანადოდ შერჩეული. თანაც შეინიშნება შეცდომებიც. ავტორის სიტყვით, „თუ მიმართება ერთი სიტყვისაგან შესდგება, სასვენი ნიშანი არსად არ უნდა“<sup>2</sup>. ეს არ არის სწორი, რადგან დანართი ყოველთვის გამოიყოფა სასვენი ნიშნებით წინადადების წევრებისაგან.

ჩართული შედარებით უკეთ არის წარმოდგენილი, მაგრამ ავტორი ჩართულ სიტყვებსაც და გამოთქმებსაც ჩართულ წინადადებაებს უწოდებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩართული წინადადება მას გაგებულ აქვს წინადადების ერთ-ერთ სახედ. ცალკე სათაურის ქვეშ („წინადადება გვარი ს ამებრ“) ჩამოთვლილია ოთხი სახის წინადადება: 1. პიროვანი წინადადება, 2. უპირო წინადადება, 3. ჩართული წინადადება და 4. შემოტანილი წინადადება. წინადადებათა ასეთი კლასიფიკაცია მიუღებელია, მით უმეტეს, რომ ჩამოთვლილი წინადადებანი სხვადასხვა სახისაა შინაარსისა თუ წევრთა შედგენილობის მიხედვით. ავტორი კი არც ერთს უწევს ანგარიშს და არც მეორეს.

სილ. ხუნდაძემ პირველად გამოყო ჩართული გამოთქმები. წინანდელ გრამატიკოსებთან ამას ვერ ვხვდებით.

მ. ჯანაშვილი თავის გრამატიკაში მხოლოდ მიმართვას იხილავს. მარტივი წინადადების სინტაქსში და მას წინადადებას წევრად თვლის. მიმართვა აქ გათანაბრებულია განსაზღვრებასთან, დამატებასა და

<sup>1</sup> ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1911, გვ. 29.

<sup>2</sup> ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი, მესამე შეესებულ გამოცემა, ქუთაისი, 1911, გვ. 29.

გარემოებასთან, რომელთაც ერთად აღებულს, ავტორი ამხსნელ სიტყვებს უწოდებს<sup>1</sup>.

იასონ ნიკოლაიშვილის გრამატიკა პირველად 1912 წელს გამოვიდა. ამ გრამატიკის სხვადასხვა გამოცემაში განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ მის გეზიტს ნაწილაკებს (დიახ, პო) ავტორი შორისდებულეებში ათავსებს და უწოდებს მას „დაჯტკიცებიტს“<sup>2</sup>.

ერთული წინადადების სინტაქსს ავტორი მიმართვით იწყებს. მისი განსაზღვრა მოკლე და გასაგებია: „წოდებით ბრუნვაში ნახმარსახელს წინადადებაში მიმართვა (მოწოდება) ჰქვია“<sup>3</sup>.

ავტორი მხოლოდ გაკვირვებით ეხება წინადადებაში მიმართვის ადგილს და ამასთან დაკავშირებით აყალიბებს სასვენი ნიშნების ხმარების წესებს. წინა გრამატიკოსებისაგან განსხვავებით, აქაა დამატებით ასეთი წესიც: „წინადადებაში თუ მიმართვაა და კითხვა არ გამოიხატება, ბოლოში გაკვირვების ნიშანი უნდა დავსვათ“<sup>4</sup>. ეს წესი სავსებით ზუსტი არ არის, რადგან ძალიან ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მიმართვა გვაქვს და წინადადებას ბოლოს წერტილს ვსვამთ, უფრო მეტიც, ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა მიმართვიან წინადადებაში კითხვითი სიტყვაა წარმოდგენილი და ბოლოში წერტილია დასმული. ჩვენ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

„რადა, ჩემო დიდებულო ხელმწიფე, მე თქვენთვის ცული სიტყვა არ მომიხსენებია“ (ი. ქავჭ., II, გვ. 352).

ჩართულ წინადადებას ი. ნიკოლაიშვილი იხილავს თავის გრამატიკის მესამე გამოცემაში (1917 წ.). ავტორი მას დამოკიდებულ წინადადებად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მისი გამოტოვებით აზრი არ ღაირღვევა, რადგან მას არავითარი გრამატიკული კავშირი არააქვს წინადადებასთან<sup>5</sup>.

აქ ი. ნიკოლაიშვილს ორი შეცდომა აქვს დაშვებული:

ა) არაა სწორი, რომ თითქოს ჩართული წინადადება დამოკიდებულ წინადადება იყოს;

<sup>1</sup> მ. ქანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 143.

<sup>2</sup> ქართული მოკლე გრამატიკა, შედგენილი ი. ნიკოლაიშვილის მიერ, შერთე შესწორებული გამოცემა, ქუთაისი, 1913, გვ. 49-50.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 50.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 51.

<sup>5</sup> ქართული მოკლე გრამატიკა, შედგენილი ი. ნიკოლაიშვილის მიერ, მესამე შესწორებული გამოცემა, ქუთაისი, 1917, გვ. 55-56; ამ გრამატიკის შესახებ იხ. ვ. თოფურია, ქართული ენის სახელმძღვანელოთა განხილვა: ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“, № 3, 1928, გვ. 54-61.

ბ) „ჩართული წინადადების ამოღებით აზრი არ დაირღვევაო“ — ამ შემთხვევაში ავტორი უგულვებელყოფს ჩართულის ფუნქციას წინადადებაში. თავისი გრამატიკის 1927 წლის გამოცემაში მან სინტაქსიდან სრულიად ამოიღო განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეული სახეები და იგი პუნქტუაციაში გადაიტანა. აქ განხილულია მიმართებითი სიტყვა, ჩართული სიტყვა და მიმატება (დანართი — რ. შ.). გრამატიკის წინა გამოცემაში ავტორი „ჩართულ სიტყვას“, როგორც ტერმინს, არ ხმარობდა, ხოლო მიმატება სრულებით არ ჰქონდა წარმოდგენილი<sup>1</sup>.

ჩართულთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს: „ჩართულ სიტყვას (ან სიტყვებს) თავშიც და ბოლოშიაც მძიმე უნდა დაუუსვათ (მე, რასაკვირველია, მოგეხმარებო, — ღედა, მაღლობა დმერთს, უკეთ არის)“<sup>2</sup>.

ი. ნიკოლაიშვილი „მიმატებას“ ხმარობს დანართისა და მსაზღვრელ-საზღვრულის აღსანიშნავად<sup>3</sup>. ერთი და იმევე ტერმინის გამოყენება ორი სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის აღსანიშნავად მეტოდოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია.

მ. კელენჯერიძის გრამატიკის ორივე გამოცემაში (1920, 1925 წწ.) წარმოდგენილია მხოლოდ ჩართული წინადადება. ავტორი ჯერ მაგალითებს იძლევა, შემდეგ კი — დასკვნებს.

საყურადღებოა ის, რომ მ. კელენჯერიძეს ჩამოთვლილი აქვს ხშირად ხმარებული ჩართული სიტყვები და გამოთქმები: „თურმე. ალბათ, რასაკვირველია, ვინიცობაა, მე შენ გეტყვი, ყურზე ხახვი არ დამაჭრას, ჭორს ნალები არ ამიყაროს, ასე ვსთქვათ, კერძოს ნახშირი, შენ ჯვარი გეწეროს, შენ არ მოუყვდე ჩემს თავს, შენმა მზემ, ჩემს თავს გეფიცები, ტყუილი არ გეგონოს, ვსთქვათ სიტყვაზე, სიტყვაჲ მოიტანა, არ დაგავიწყდეს (ის, რასაც ამბობდი), უკაცრავად (სიტყვა გაგაწყვეტინეთ), მეტქი, თქო, გამიგონია, არ მახსოვს, მგონია, წარმოიღვინეთ, შეიძლება, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ცხადია, ხოი მოგეხსენებათ და სხვ.“<sup>4</sup>. ასე სრულად ჩართული სიტყვები და გამოთქმები სხვა გრამატიკებში არ გვხვდება. მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილი სიტყვა თუ წინადადება ჩართულად ვერ ჩაითვლება; მაგ., სხვათა სიტყვის ნაწილაკები (მეტქი, თქო).

<sup>1</sup> ჩართული ენის გრამატიკა, შედგენილი ი. ნიკოლაიშვილის მიერ, ტფლისი, 1927, გვ. 141.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 122, 132, 137.

<sup>4</sup> მ. ს. კელენჯერიძე, ჩართული პრაქტიკული გრამატიკა, ქუთაისი, 1925, გვ. 82.

მ. კელენჯერიძე იძლევა სასვენი ნიშნების ხმარების წესსაც ჩართულთან დაკავშირებით, ოღონდ პუნქტუაციის ნაცვლად ხმარობს „ორთოგრაფიას“.

ი. ფერაძისა და ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვებაში“ მასალა ისეა დალაგებული, სეარჯიშოები შედგენილი და დავალებანი ისეა აგებული, რომ მისი შემსრულებელი მოსწავლე, მართლაც, „პატარა მკვლევარის“ როლში გვევლინება. განკერძოებული სიტყვებიდან ავტორები მხოლოდ მიმართვასა და ჩართულ სიტყვებს იხილავენ, ისიც ზოგადად<sup>1</sup>.

ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვებაში“ (1929 წ.) განკერძოებული სიტყვებიდან და გამოთქმებიდან პ ი რ ვ ე ლ ა დ ა ა შ ე ტ ა ნ ი ლ ი მიგებითი ნაწილაკები: კი, არა, დიახ, პო<sup>2</sup>.

დ. კარიჭაშვილს თავის გრამატიკაში სინტაქსი არა აქვს წარმოდგენილი და, ამდენად, არც განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს ეხება<sup>3</sup>.

1932—1939 წლებში ი. სიხარულიძემ რამდენჯერმე გამოცა თავისი „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც საშუალო სკოლის V—VI—VII კლასების სახელმძღვანელოს წარმოადგენდა.

ამ გრამატიკის ყველა გამოცემაში ავტორი ერთნაირად ამხვილებს ყურადღებას ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებზე, მიმართვასა და დანართზე, რომელთაც საერთო სახელწოდებას აძლევს: „განცალკევებული წევრები წინადადებაში“<sup>4</sup>. აქვე პ ი რ ვ ე ლ ა დ გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი მ კ ა ფ ი ო დ ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ და უ კ ა ვ შ ი რ ო დ ა ნ ა რ თ ი<sup>5</sup>.

კარგადაა წარმოდგენილი ჩართული სიტყვები და გამოთქმები. ჩართულის რაობის განსაზღვრაში სიახლეა შეტანილი. მის სპეციფიკად ავტორს მიაჩნია მ თ ქ მ ე ლ ის დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა . გ ა მ ო თ ქ მ უ ლ ი ა ზ რ ის ა დ მ ი : „ჩართული სიტყვები, გამოთქმები და წინადადებები აღნიშნავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმული შინაარსისადმი: მთქმელი ან დარწმუნებუ-

<sup>1</sup> ი ლ ი ა ფ ე რ ა ძ ე , ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , ენის დაკვირვება, ენის სწავლების I კონცენტრი, ტფილისი, 1927, გვ. 85.

<sup>2</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , ენის დაკვირვება, სამუშაო წიგნი, 1929, გვ. 341, 342.

<sup>3</sup> დ . კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი , ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, ტფილისი, 1930.

<sup>4</sup> ი . ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V — VI — VII კლასებისათვის, ტფილისი, 1937, გვ. 121.

<sup>5</sup> ი ქ ვ ე , გვ. 122:

ლია ნათქვამის სისწორეში, ან თავის ვარაუდს გამოთქვამს, ან მწუხარებას და სხვ.“<sup>1</sup> მოცემული განსაზღვრება, ოდნავ შეცვლილი სახით, ამჟამად მოქმედ სასკოლო გრამატიკაშიც წარმოდგენილია<sup>2</sup>.

საბჭოთა პერიოდის სასკოლო გრამატიკებიდან მშობლიური ენის სწავლების საქმეში მეტად დიდი როლი შეასრულა ა. შანიძის სასკოლო გრამატიკამ, რომელიც დღემდე თორმეტჯერ გამოიცა. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ყველა გამოცემაში ერთნაირად არაა წარმოდგენილი. პირველ, 1939 წლის, გამოცემაში შემოტანილია ახალი ტერმინი — „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“, რომელიც შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა გრამატიკულ ლიტერატურაში<sup>3</sup>. ამჟამად გამოცემაში დანართი მკვეთრად როდია განსაზღვრული და სხვა კატეგორიებისაგან გამიჯნული. აქ დანართად გაგებულა საკუთრივ დანართთან ერთად განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული ადგილსა და დროის გარემოება. აქვე მოცემული იყო დანართის სახეებიც: კავშირიანი და უკავშირო, გამოყოფილი იყო კავშირის გაბმის საშუალებანიც საკუთრივ კავშირები (ანუ, ესე იგი) და განსაკუთრებული სიტყვები (სახელად, გვარად მოდგმით...)<sup>4</sup>.

მეორე გამოცემა (1941 წ.) იმეორებს პირველ გამოცემაში წარმოდგენილ მასალას უმნიშვნელო ცვლილებებით<sup>5</sup>.

წინა გამოცემებთან შედარებით III გამოცემაში ბევრი რამ ახალია, სახელდობრ: განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს დაემატა ორი ახალი სახე: განკერძოებული განსაზღვრება (§ 258) და განკერძოებული გარემოება (§ 259). აქვე მოცემულია განკერძოებული გარემოების სახეებიც — განკერძოებული ადგილის გარემოება და განკერძოებული დროის გარემოება საილუსტრაციო მასალა ძალიან ღარიბადაა წარმოდგენილი<sup>6</sup>.

ამ გამოცემაში მართლწერის საკითხები მიმართვასთან მხოლოდ ზოგად ხაზებშია წარმოდგენილი<sup>7</sup>; ჩართულიც ძალიან მკრთალადაა. ცალკე არ არის გამოყოფილი აზრის თანამიმდევრობის გა-

<sup>1</sup> ი. სიხარულიძე, ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის V — VI — VII კლ., ტფილისი, 1937, გვ. 118.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, თბილისი, 1955, გვ. 70.

<sup>3</sup> ა. შანიძის სასკოლო გრამატიკის პირველი გამოცემის შესახებ იხ. რეცენზია გ. კვერცხელიძისა და ილ. ბოლქვაძის, მოთავსებული გაზეთში „საბჭოთა მასწავლებელი“, 1939, № 101.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1939, გვ. 144 — 147.

<sup>5</sup> იგივე შრომა, მეორე გამოცემა, 1941, გვ. 137.

<sup>6</sup> იგივე შრომა, მესამე გამოცემა, 1946, გვ. 150 — 151.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 152.

მომხატველი სიტყვები, ფიცილის ფორმულები; არ არის გამოყოფილი ჩართული წინადადება.

IV გამოცემაში დაემატა ახალი სახე — მიგებითი ნაწილაკები (დადასტურებითი: პო, კი, დიად (ღიან) და უარყოფითი: არა, ვერა)<sup>1</sup>, რომელიც მოთავსებულია შორისდებულს წინ.

საილუსტრაციო მასალა და სავარჯიშოები აქ ყველაზე უფრო სრულადაა წარმოდგენილი. თემის დასასრულს მოცემულია გასამეორებელი მასალა სხვადასხვა სახის განკერძოებულ სიტყვასთან და შემაჯამებელი სავარჯიშო.

სავარჯიშოთა რიცხვი მომდევნო გამოცემებში, მეხუთე გამოცემის (1950 წ.) გამოკლებით, თანდათანობით კლებულობს<sup>2</sup>.



სასწავლო პროგრამები ახალი დროის შენაძენია<sup>3</sup>. „მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე არსებობდა თუ არა ქართული ენის პროგრამები, ეს ჩერჩერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ პროგრამებს მანამდე არც აღგენდნენ. ალბათ, კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ სახელმძღვანელოების დასახელებით ამა თუ იმ კლასისათვის“<sup>4</sup>.

რევოლუციამდელ ქართული ენის პროგრამებში შესასწავლ საკითხთა წრე მეტად სქემატურად იყო მოწაზული, თანაც ყოველ სკოლასა და თითოეულ მასწავლებელს ნებისმიერად შეეძლო შესასწავლი მასალის გადაჯგუფება. პროგრამებში, მაგალითად, ვხვდებით ასეთ მითითებებს: „სახელმძღვანელო: „ქართული გრამატიკა“, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი; ამ სახელმძღვანელოში უნდა შეისწავლონ პირველი კლასისათვის აღნიშნული მასალა“<sup>5</sup>. სინტაქსი ამ პროგრამის მიხედვით III კლასშია გათვალისწინებული<sup>6</sup>, მაგრამ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები სულ არაა ნახსენები.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948, გვ. 130.

<sup>2</sup> იქვე, 1950 წ.

<sup>3</sup> Е. Перовский, Методическое построение и язык учебника для средних школ: Известия Акад. наук РСФСР, 63, Москва, 1955, с. 26.

<sup>4</sup> შ. ჩინჩალაძე, ქართული ზმნიზელის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955, გვ. 66.

<sup>5</sup> ქუთაისის ქართული გიმნაზიის პროგრამები, ქუთაისი, 1911, გვ. 12.

<sup>6</sup> სათავადაზნაურო გიმნაზიის 1904 — 1910 წწ. პროგრამებში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ვერაფერს ვპოულობთ (იხ. საქ. ცენტრ. არქ. ფ. 422. საქ. № 1. 1410).

მომდევნო წლების პროგრამებში კანტიკუნტად ვხვდებით განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ზოგიერთ სახეს.

1921 წლის სექტემბრიდან ჩვენში შემოღებულ იქნა „რვაწლიანი პროგრამის სკოლა“ და საშუალო სკოლები გადაკეთდა ტექნიკუმიებად. სკოლებსაც მიეცათ პირველი საბჭოთა პროგრამები.

1933 წლის პროგრამით განკერძოებული სიტყვები და გამოთქმება გათვალისწინებულია VI კლასში (ჩართული წინადადება; ჩართული წინადადების გამოყოფა მძივით), VII კლასში კი შესულია შორისღებულისა და წინადადებათა მართლწერა<sup>1</sup>.

იგივე სურათია 1934 წელს შედგენილ პროგრამებშიც<sup>2</sup>.

1934 წლიდან 1946 წლამდე ქართული ენის პროგრამებში განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები უმნიშვნელო ცვლილებებითაა შესული, ხოლო 1946 წელს ეს თემა მთლიანად VII კლასში იქნა გადატანილი. პროგრამაში იგი შემდეგი თანამიმდევრობით შევიდა: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, მიმართვა, ჩართული, შორისღებული წინადადებაში, სასვენი ნიშნები განკერძოებულ სიტყვებთან. ყოველივე ამას დაეთმო 8 საათი<sup>3</sup>. იგივე სურათია 1947 წლის პროგრამაში, ოდონდ საორიენტაციო საათები არაა გამოყოფილი<sup>4</sup>.

1950 წელს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები VII კლასიდან გადატანილ იქნა VIII კლასში<sup>5</sup>. მომდევნო წლებში ამ თემას რაიმე ცვლილებები არ განუცდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1955 წელს ათწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები გათვალისწინებულ იქნა როგორც VII, ისე VIII კლასში. VII კლასში მას 9 საათი დაეთმო<sup>6</sup>, ხოლო VIII კლასში — 10 საათი<sup>7</sup>.

<sup>1</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია, ტფილისი, 1933, გვ. 10-12.

<sup>2</sup> არასრული საშუალო და საშუალო სკოლის პროგრამები და შესწორებანი, ტფილისი, 1934.

<sup>3</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1946, გვ. 17.

<sup>4</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1947, გვ. 15.

<sup>5</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურა (V — VIII კლასები), თბილისი, 1950, გვ. 15.

<sup>6</sup> მითითებანი 1955 — 56 სასწავლო წლის პროგრამებით მუშაობის შესახებ: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული, 7 — 8, თბილისი, 1955, გვ. 11.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 12.



1939 წლიდან ჩვენი სკოლები ა. შანიძის სასკოლო გრამატიკას იყენებენ. 1948 წელს ამ გრამატიკის მეოთხე გამოცემაში განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს დაემატა მიგებული ნაწილაკები, მაგრამ პროგრამაში ეს საკითხი არ გაუთვალისწინებიათ 1955 წლამდე.

მეტად მცირეა ამჟამად მოქმედი პროგრამით გათვალისწინებულნი განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ზოგიერთი სახისათვის განკუთვნილი დრო<sup>1</sup>. განსაკუთრებით ეს ითქმის განკერძოებული განსაზღვრებისა და დანართის შესახებ. მათი თითო გაკვეთილზე ახსნა, მოსწავლეთა მიერ მათი შეგნებული შეთვისება სკოლის პრაქტიკაში ვერ ხერხდება.

ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილი მასწავლებლები აღიარებენ, რომ, საერთოდ, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესწავლისათვის კერძოდ კი, განკერძოებული განსაზღვრებისა და დანართისათვის განკუთვნილი დრო მეტად მცირეა. დროის უქონლობის გამო უგულებელყოფილია როგორც ვარჯიშობა, ისე განსაკუთრებით გრამატიკული გარჩევის სხვადასხვა სახე.

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლება ჩვეულებრივ გათვალისწინებულია მეორე მეოთხედში (დაახლოებით რ დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე), მაგრამ აღნიშნულ ვადებში ამ თემის დამთავრება არ ხერხდება. როგორც თბილისის, ისე ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის სკოლებში საკლასო ეურნალების ჩანაწერებისა და მასწავლებელთა გაკვეთილის გეგმების შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესწავლა III მეოთხედშიც გრძელდება. ეს ხდება რთული წინადადების ხარჯზე: მას აკლებენ საათებს და უმატებენ განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს.

განკერძოებული განსაზღვრებისა და დანართის სწავლებას, გამოცდილ, მოწინავე მასწავლებელთა აზრით, უნდა დაეთმოს ოთხ-ოთხი საათი მაინც.

საორიენტაციო საათების გადიდება რომ საჭიროა, ამას მხარს უჭერს რუსეთის სკოლების პრაქტიკაც. რუსული ენის პროგრამაში „წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვებს“ ეთმობა 14 საათი, ხოლო „განკერძოებულ მეორეხარისხოვან წევრებს“ — 30 საათი, სულ 44 საათი<sup>2</sup>, რაც ოთხჯერ აღემატება ქართულში ამ თემისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობას.

<sup>1</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V—VII კლასები), თბილისი, 1957, გვ. 21.

<sup>2</sup> Программы средней школы на 1957—58 уч. год, русский язык и литература, первое чтение, V—VII классы, Учпедгиз, 1957, стр. 12—13.

საათების გაზრდა მომავლის საქმეა. მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია ამ თემისათვის პროგრამით გათვალისწინებული დროის ბიუჯეტი შემდეგნაირად განაწილდეს: მიგებითს ნაწილაკებსა და შორისდებულს წინადადებაში დაეთმოს 1 საათი. განთავისუფლებული 1 საათი მიემართოს განკერძოებულ განსაზღვრებას; ნარევი ტიპის წინადადებას მოაკლდეს 1 საათი და იგი დაემართოს დანართს. ამგვარად, განკერძოებულ განსაზღვრებასა და დანართს ორ-ორი საათი დაეთმობა.

## ბანკეაქოებუღი სიფყვები დე გამოთქმები ქართულ მეთოდოქა დიფიარაფიარაფი

ქართულ მეთოდოქურ ლიტერატურაში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმებისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი არ მოგვეპოვება. გაცვრით ამ საკითხს სხვადასხვა დროს ეხებოდნენ ტრ. თაბუქაშვილი, ფ. რურუა, კ. გაგუა, შ. თაბუქაშვილი, ვ. რამიშვილი, მ. თაბუქაშვილი და ლ. კვაჭაძე.

ტრ. თაბუქაშვილი მხოლოდ შორისდებულზე მსჯელობს და ისიც არა სინტაქსურის, არამედ მორფოლოგიური თვალსაზრისით, თუმცა შენიშნავს, რომ „შორისდებული ისწავლება წინადადებაში; დროგამოშვებით ერთი-ორი წინადადება იწერება ზაფაზე და ისმის თავთავის ადგილზე ნიშნები“<sup>1</sup>.

ფ. რურუა განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს უმთავრესად პუნქტუაციურის მხრივ იხილავს<sup>2</sup>. ასევე პუნქტუაციური თვალსაზრისით იხილავენ მათ შ. თაბუქაშვილი და ვ. რამიშვილი<sup>3</sup>.

ვ. რამიშვილმა პირველად მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ მოსწავლეებს უჭირთ და ზოგჯერ ერთმანეთში ერევათ განკერძოებული განსაზღვრება და დანართი გარკვეული ნიშნების მსგავსების გამო; ავტორი იძლევა ამ ორი სინტაქსური კატეგორიის სპეციფიკური ნიშნების დახასიათებას, მეცნიერულად აყალიბებს სწორ და მეთოდოქურად გამართულ პუნქტუაციურ წესებს განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების თითოეულ სახესთან დაკავშირებით<sup>4</sup>.

მეტად საგულისხმო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ კ. გაგუას თავის წიგნში „ქართული

<sup>1</sup> ტრ. თაბუქაშვილი, მეთოდოქური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ, ტფილისი, 1923, გვ. 35.

<sup>2</sup> ფ. რურუა, მართლწერის სავარჯიშოთა კრებული, რედაქტორი არნ. ჩიქობავა, თბილისი, 1938, გვ. 28 — 31.

<sup>3</sup> შ. თაბუქაშვილი, პუნქტუაცია, თბილისი, 1956, გვ. 27-39, ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდოქა, თბილისი, 1954, გვ. 53 — 61.

<sup>4</sup> ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდოქა, თბილისი, 1954, გვ. 53-61.

ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის საკითხები“. ავტორი ძირითადად ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის“ პირველ გამოცემას (1939 წ.) მისდევს, მაგრამ ზოგიერთი ცვლილებაც შეაქვს, განსაკუთრებით მასალის დალაგების თანამიმდევრობაში.

ავტორი საკითხის სწავლებას ძირითადად დანართით იწყებს. „ძირითადად“ იმიტომ ვამბობთ, რომ თავდაპირველად ავტორი იძლევა ისეთ წინადადებებს, სადაც მონაწილეობენ აიტყვები: „გარდა“, „განსაკუთრებით“ და „მიუხედავად“ შესიტყვებებში: „გარდა“, „ოთარაანთ ქვრივისა“, „განსაკუთრებით ჭექა-ქუხილის დროს“ და „მიუხედავად დიდი ცდისა“. კ. გაგუას აზრით, „გარდა“ (გამორიცხვის ცნება), „განსაკუთრებით“ (ცნებას აძლიერებს), „მიუხედავად“ (წინააღმდეგობის ცნებას ხატავს)<sup>1</sup>. უნდა შევნიშნოთ, რომ, ჯერ ერთი, ავტორი არ გვაცნობს, თუ განკერძოების რომელ სახესთან გვაქვს აქ საქმე და, მეორეც, აღნიშნულ ენობრივ მოვლენას იმ დროს მოქმედა გრამატიკის სახელმძღვანელო არ ითვალისწინებდა.

აქვე დანართის სწავლებამდე კ. გაგუა იმოწმებს ასეთ მაგალითს: „ქვემოთ, მ დ ი ნ ა რ ი ს მ ო ს ა ხ ვ ე ვ თ ა ნ, მეთევზეთა ბინა იყო“; და დასძენს: „მდინარის მოსახვევთან აზუატებს ადგილმდებარეობის ცნებასო“<sup>2</sup>. ეს მაგალითი განკერძოებული ადგილის გარემოების ნიმუშია, თუმცა ავტორი ამ ტერმინს არ ხმარობს.

ამის შემდეგ განხილულია დანართი, რომლის სწავლებისას გამოყენებულია ინდუქციური გზა—კერძო მაგალითების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია ზოგადი დასკვნები.

დანართს უშუალოდ მიმართვის სწავლება მოსდევს. საანალიზოდ აღებული მაგალითები საპროგრამო მასალიდანაა. მიმართვასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: მიმართვა პირდაპირი მნიშვნელობით, მიმართვა არაპირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით; მიმართვის განმეორება, ზიზღის, მედიდურობისა და უხეშობის კილოს გამოხატველი მიმართვა; მლიქვნელობის გამომხატველი მიმართვა. კ. გაგუა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე მიმართვის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებებზედაც, მაგრამ ავტორი მხოლოდ ზედსართავი სახელის აღნიშვნით კმაყოფილდება.

მართალია, კ. გაგუა მიმართვის სწავლებისას ინდუქციურ გზას იყენებს, მაგრამ დასკვნები არ გამოჰყავს და რაობის განმარტებას არ იძლევა, რის გამოც გაურკვეველი რჩება, თუ რა არის მიმართვა.

<sup>1</sup> კ. გაგუა, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის საკითხები, თბილისი, 1941, გვ. 71.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 71.

კ. გაგუა ეხება ჩართული სიტყვების სახეებს უმთავრესად სემანტიკური თვალსაზრისით, წინადადებაში მათს ადგილს, \*სასვენი ნიშნების ხმარების წესებს და ჩართულის სემანტიკურ ჯგუფებს სქემის სახითაც წარმოგვიდგენს. მაგრამ აქაც მხედველობის გარეშე დატოვებული ჩართულის რაობა. ის გაკვრით ჩერდება, აგრეთვე ჩართულ წინადადებაზედაც და ყურადღებას ამახვილებს ინტონაციაზე, რომ „ჩართული წინადადება უნდა გამოითქვას დაბალი და მონოტონური კილოთი“.<sup>1</sup>

კ. გაგუა არაფერს ამბობს მიგებითი ნაწილაკებს, შორისდებულის, განკერძოებული განსაზღვრებისა და განკერძოებული გარემოების სწავლების შესახებ. ეს გასაგებიცაა, რადგან აღნიშნული სინტაქსური კატეგორიები (შორისდებულის გამოკლებით) მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცალკე გამოყოფილი.

განკერძოებული განსაზღვრების განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებად გადაკეთების შესახებ გაკვრითი შენიშვნები მოეპოვება ლ. კვაჭაძეს<sup>2</sup>.

ესაა და ეს. ჩანს, \*საჭიროა განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმათა სწავლების მეთოდოლოგიის დამუშავება.

---

<sup>1</sup> კ. გაგუა, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგიის საკითხები, თბილისი, 1941, გვ. 75.

<sup>2</sup> ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 1950, გვ. 52.

## განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სნაპღების მნიშვნელობა

განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ფართოდ გავრცელებულ სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მის შესწავლას სკოლაში აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, სახელდობრ:

1. მათი შესწავლით მოსწავლე ეცნობა ქართული ენის გრამატიკული წყობისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სინტაქსურ კონსტრუქციას, ეუფლება წერიტსა და ზეპირ მეტყველებაში მათს მართებულ გამოყენებას, სწავლობს პუნქტუაციის წესებს და გამომეტყველებითს კიბხვას. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლებას.

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების სწავლებას უკავშირდება მორფოლოგია-სინტაქსის არა ერთი საკიბხი. ეს კი საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაიბეოროს, დაახუსტოს და სისტემაში მოიყვანოს მოსწავლეთა მიერ აღრე ნასწავლი.

2. მათი შესწავლით მოსწავლე ერევეა წესიერ საუბარს, თავიან მეტყველებას, საკუთარ მეტყველებასა და წერაში თავიდან იცილებს ერთი და იმავე სიტყვის უადგილო განმეორებას.

3. განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების შესწავლა მოიბხოვზოგიერთი საკიბხის ისტორიულ ასპექტში გაშუქებას (მაგ., დიად ვწეროტ თუ დიახ), რითაც ხერხდება ენის სწავლებაში ისტორიზმის ელემენტების შეტანა.

4. ამ სიტყვა-გამოთქმების შესწავლა უმუშავებს მოსწავლეს დაკვირების უნარს, აჩევეს მათ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნებია გამოყოფას, ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. ამასთანავე ერთად მოსწავლე ერევეა ერთი და იმავე აზრის სხვადასხვაგვარ გაღმოცემას, რითაც თავიდან ვიცილებოტ ერთფეროვნებას.

# საილუსტრაციო-საჰაჯიო მასალა განაქრობელი სიყვებისა და გამოთქმების სწავლებისას

განკერძობული სიტყვები და გამოთქმები ყველა ენარის ნაწარ-  
მოებში გვხვდება. VII კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღ-  
ვანელოშიც მრავლადაა მისი ნიმუშები. მაგრამ, რა თქმა უნდა, არა  
ერთნაირი რაოდენობით.

მასწავლებელი მოვალეა როგორც სხვა სახის გრამატიკული მასა-  
ლისათვის, ისევე განკერძობული სიტყვა-გამოთქმებისათვისაც მო-  
სწავლეებს მიწოდოს წინასწარ შერჩეული, შინაარსობრივად გასაგე-  
ბი, ენობრივად სწორი, აღმზრდელობითი მიზნებისათვის გამოსადეგი  
ტექსტი, ცალკეული წინადადებები თუ სიტყვები.

არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა მასწავლებელი კლასს  
საშინაო დავალებად აძლევს წინასწარ შეუმოწმებელ ტექსტს, რის  
გამო მოსწავლეებს ზედმეტი შრომა და დრო ეხარჯებათ ტექსტში  
იშვიათად წარმოდგენილი მაგალითების ძებნაში.

როგორც საშინაო დავალებისათვის, ასევე სკოლაში საილუსტრა-  
ციო-საჰაჯიო მასალის ძირითად წყაროდ VII კლასის „მშობლიური  
ლიტერატურა“ უნდა იქნეს მიჩნეული. ამავე დროს შეიძლება გამო-  
ვიყენოთ სამეცნიერო-პოპულარული, კრიტიკულ-პუბლიცისტური  
ნაწერები და მათგან ამოვკრიბოთ თემისათვის საკუთრო მასალები.  
ანდაზები და გამოცანები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები  
საამისოდ მდიდარ მასალას იძლევა.

უნდა გვახსოვდეს, რომ „მშობლიური ენისა და ლიტერატურის  
სწავლებისას წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივალ-  
წიოთ, თუ ამ ორ საგანს მჭიდროდ დავუკავშირებთ ერთმანეთს. ენის  
სწავლება ქმნის საფუძველს ლიტერატურულ ნაწარმოებთა სრულ-  
ყოფილად შესწავლისათვის და, პირიქით, ლიტერატურული კითხვის  
გარეშე შეუძლებელია ენის საფუძვლიანად დაუფლება, მოსწავლეთა  
წიგნიერების დონის ამაღლება, ზეპირი და წერიითი მეტყველების გან-  
ვითარება“<sup>1</sup>.

VII კლასის „მშობლიურ ლიტერატურაში“ პროგრამული მასალა  
დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ქართულ ენაში  
განკერძობული სიტყვა-გამოთქმების სწავლების პარალელურად  
ლიტერატურული კითხვის პროგრამით ისწავლება დ. კლდიაშვილის

1 მ. ჩინჩალაძე, მშობლიური ენის და ლიტერატურის ურთიერთკავშირის  
სწავლების პროცესში: ეურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1957, № 5,  
გვ. 31.

„სოლოჰან მორბელაძე“, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა ამ კლასში აღრე ნასწავლი ნაწარმოებები არ გამოიყენოს.

ჩვენ შევამოწმეთ VII კლასის ლიტერატურული კითხვის პროგრამით გათვალისწინებული მასალები და გამოირკვა შემდეგი:

№ № რიგზე	ლიტერატურული კითხვის მასალა	მიმართვა	მიგებითი ნაწილაკები	შორისდებული წინადადება	განკმ. განსაზღვრება	დანართი	განკმ. გარემოება	ჩართული	სხვადასხვა სახის განკმ. მიღებული სიტყვა-გამოთქმები წინადადებაში
1	ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია „ხვეისბერი გონა“	3	—	—	—	—	—	—	—
		35	7	6	23	—	4	31	2
2	ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფია „სტუმარ-მასაინძელი“	1	—	—	—	6	4	1	—
		20	—	3	2	—	—	1	—
3	ვ. ხინოშვილის ბიოგრაფია „ჩვენი ქვეყნის რაინდი“	—	—	—	1	4	2	—	—
		17	7	2	2	2	7	10	—
4	დ. კლდიაშვილის ბიოგრაფია „სოლ. მორბელაძე“	1	—	—	—	1	1	1	—
		16	7	3	5	7	9	15	1
5	ირ. ვედოშვილის ბიოგრაფია „მიგობრებს“	—	—	—	—	2	—	—	—
		2	—	1	—	—	—	—	—
6	მაქსიმ გორკის ბიოგრაფია „სიძლეოა გრიგალახე“	—	—	—	—	3	2	2	—
		—	1	—	1	—	—	—	—

## აღმოსაზრება და თანამიმდევრობით უნდა ვასწავლოთ განკმ. მიღებული სიტყვა-გამოთქმები

ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში საბოლოოდ არაა დადგენილი, თუ როდის და რა თანამიმდევრობით უნდა ვასწავლოთ განკმ. მიღებული სიტყვები და გამოთქმები. მის გადაწყვეტას კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს ენის სწავლების საქმეში.

ამჟამად მოქმედი გრამატიკის მიხედვით განკმ. მიღებული სიტყვები და გამოთქმები ისწავლება შერწყმული წინადადების შემდეგ. მაგრამ, როგორც სკოლის პრაქტიკა გვარწმუნებს, ამას წინ უნდა უსწრებდეს წინადადების წევრთა დამოკიდებულების ძირითადი სახეებისა და წევრთა რიგის გაცნობა, რადგანაც განკმ. მიღებული განსაზღვრება ჩვეულებრივი რიგის ნაცვლად ინვერსიულ რიგს იყენებს. თუ მოსწავლეს წინასწარ შესწავლილი არა აქვს ქართული წინადადების წევრთა როგორი რიგია ბუნებრივი, მაშინ იგი ვერ გაერკვევა, თუ რატომ ხდება განკმ. მიღებული განსაზღვრების რიგის (ე. ი. მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციული რიგის) შეცვლა და რა ფუნქციას ასრულებს ეს ინვერსია მეტყველებაში.

თქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, არავისთვის სადავოს არ უნდა წარმოადგენდეს სინტაქსის სასკოლო კურსში განკმ. მიღებული სიტყვებ-

სა და გამოთქმების წინ ცალკე ქვეთავის—სიტყვათა რიგი წინადადებაში—შეტანა<sup>1</sup>. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. საქმე ისაა, რომ მოსწავლეებმა საფუძვლიანად გაიგონ არა მარტო სიტყვათა რიგის როლი განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შემცველ წინადადებაში, არამედ ისიც, რომ ასეთი სიტყვები და გამოთქმები როგორ დამოკიდებულებაში არიან წინადადების წევრებთან. ამაში კი ისინი იმ შემთხვევაში გაერკვევიან, თუ განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესწავლად ველილი ექნებათ სიტყვათა დამოკიდებულების ძირითადი სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა<sup>2</sup>.

როგორც სამართლიანად მიუთითებს არნ. ჩიქობავა, „სინტაქსის საგანი თუ შესიტყვებაა, სინტაქსის მიზანი შესიტყვების მექანიზმის შესწავლაა. ეს მიზანი არ შეიძლება გარკვეულ თვალსაზრისსაც არ გვავალებდეს; ეს თვალსაზრისია: ანალიზი იმ ურთიერთობისა, რომელიც არსებობს ყოველს ცალკე შესიტყვებაში სიტყვათა შორის“<sup>3</sup>; ხოლო სიტყვათა შორის ურთიერთობის გარკვევისათვის საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ სიტყვათა დამოკიდებულების სახეები.

მაშასადამე, შეთანხმების, მართვისა და მირთვის გათვალისწინება სახელმძღვანელოში გამართლებულად მიგვაჩნია. ამას მხარს უქვრს აგრეთვე რუსული ენის გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელო და ენის პროგრამა, სადაც შეტანილია ეს საკითხები<sup>4</sup>.

აქედამდ მოქმედ ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს, და პროგრამაში ასეთი თანამიმდევრობაა დაცული: 1. განკერძოებული

<sup>1</sup> „სტილისტური მიზანდასახულობითაა გათვალისწინებული III კლასის პროგრამაში სიტყვათა რიგის წინადადებაში დაცვის საკითხი, რომელიც ელემენტარულად ისწავლება / მაგ., ბავშვი პატარა ბურთს თამაშობს. — პატარა ბავშვი ბურთს თამაშობს... /“ — ვკითხულობთ დაწყებითი სკოლის ქართული ენის პროგრამის განმარტებითს ბარათში, იხ. დაწყებითი სკოლის პროგრამები, 1956 — 1957 სასწავლო წლისათვის, თბილისი, 1956, გვ. 18 — 19.

<sup>2</sup> ყოველივე ეს მხედველობაში ჰქონდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგიის სექტორს, როცა VI კლასის სინტაქსის პროგრამაში / 1956 წ. გამოცემა / გაითვალისწინა ეს საკითხი და განმარტებითს ბარათში კიდევ დაასაბუთა ამ თემის სწავლების აუცილებლობა: იხ. საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V — VII კლასები). თბილისი, 1956, გვ. 17.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, ტფილისი, 1928, გვ. 149.

<sup>4</sup> С. Г. Бархударов и С. Е. Крючков, Учебник русского языка часть II, синтаксис, для 6 и 7 классов средней школы, Москва, 1955, стр. 6, Программы средней школы на 1956/57 учебный год, русский язык и литературное чтение, V—VII класса, Учпедгиз, 1956, стр. 11.



განსაზღვრება, 2. განკერძოებული გარემოება, 3. დანართი, 4. მიმართვა, 5. ჩართული, 6. მიგებითი ნაწილაკები და 7. შორისდებული წინადადებაში<sup>1</sup>.

პედაგოგიურ სასწავლებელთათვის განკუთვნილ „ქართული ენის სინტაქსში“ ზუსტად ის თანამიმდევრობაა დატული<sup>2</sup>, რაც ვ. რამიშვილს აქვს მოცემული<sup>3</sup>, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე სასწავლებლის ქართული ენის პროგრამა მიჰყვება მასობრივი სკოლების პროგრამასა და სახელმძღვანელოს<sup>4</sup>.

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სახეები ისე უნდა დავალაგოთ, რომ ერთი სახიდან მეორეზე გადასვლისას დატული იქნეს თანდათანობა, ადვილიდან ძნელზე გადასვლის წესი. ეს კი ხელს შეუწყობს შესწავლილ მასალასთან დაკავშირებით მოპოვებულ ცოდნა-ჩვევათა გაღრმავება-განმტკიცებას, ცოდნის გამთლიანებას, სისტემაში მოყვანას და ამავე დროს გახდება მკვიდრი საფუძველი შემდგომი სახის შესასწავლად.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სწავლება დაეწყოთ არა დანართით ან განკერძოებული განსაზღვრებით, როგორც ესაა გრამატიკის სახელმძღვანელოსა და პროგრამაში<sup>5</sup>, არამედ მიმართვით, ვინაიდან:

1. მიმართვა მოსწავლეთათვის ცნობილია IV კლასიდანვე. აღსანიშნავია, რომ გარდა მიმართვისა, დაწყებით სკოლაში განკერძოებულ სიტყვათა და გამოთქმათა არც ერთი სხვა სახე არ ისწავლება.

2. მიმართვაში ყველაზე უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი განკერძოებულთა დამახასიათებელი ნიშნები. სახელდობრ: იგი არაა სინტაქსურ დამოკიდებულებაში წინადადების წევრებთან, გამოიყოფა

<sup>1</sup> 1956 წელს გამოცემულ ქართული ენის პროგრამაში წინა წლების პროგრამასთან შედარებით რიგი ცვლილება შევიდა. ამის გამო განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების თანამიმდევრობაც ოდნავ შეიცვალა; სახელდობრ: პირველ ადგილზე დანართია. 1955 წელს გამოცემულ პროგრამაში კი განკერძოებული განსაზღვრება იყო პირველ ადგილზე.

<sup>2</sup> ლ. კვ ა ქ ა ძ ე, ქართული ენის სინტაქსი (პუნქტუაციის საკითხებითურთ), სახელმძღვანელო პედაგოგიურ სასწავლებელთათვის, თბილისი, 1956, გვ. 120—132.

<sup>3</sup> ვ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 1954, გვ. 136.

<sup>4</sup> პედაგოგიური სასწავლებლის პროგრამები, ქართული ენა, შემდგენელი დოც. ლ. კვ ა ქ ა ძ ე, თბილისი, 1955, გვ. 26.

<sup>5</sup> 1957 წელს გამოცემულ ქართული ენის პროგრამაში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეულ სახეთა თანამიმდევრობა შეიცვალა იმგვარად, როგორც ის სახელმძღვანელოშია მოცემული. იხ. საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V — VII კლასები), თბილისი, 1957, გვ. 21.

საკუთარი ინტონაციით (წერაში სასვენი ნიშნებით) და ყველა შემთხვევაში განკერძოებულია.

3. მიმართვა ყველაზე უფრო გამოკვეთილი, ტიპობრივი განკერძოებული სიტყვაა და ამავე დროს შესასწავლადაც ადვილია. მას გააჩნია ისეთი მორფოლოგიური ნიშანი (წოდებითი ფორმა), რომლის საშუალებითაც ის ადვილად გამოიცნობა.

4. მიმართვა ყველა სხვა განკერძოებულ სიტყვაზე უფრო გავრცელებულია ყოველდღიურ სასაუბრო ენაში. იგი წამყვან ადგილს იკავებს მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედ პირთა დიალოგისას.

5. მიმართვის ადგილის შეცვლას ცვლილება არ შეაქვს წინადადების საერთო სტრუქტურაში. ასეთი ოპერაციების საშუალებას სხვა სახის განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ნაკლებ იძლევიან<sup>1</sup>.

6. რუსული ენის სახელმძღვანელოებში, მაგალითად, ა. ზემსკის, ს. კრიუჩკოვისა და მ. სვეტლაევის „რუსული ენის გრამატიკაში“ განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები მიმართვით იწყება<sup>2</sup>; ასევე მიმართვით იწყება სხვაგანაც<sup>3</sup>.

მიმართვის შემდეგ ვაცნობთ ჯერ მიგებითს ნაწილაკებს, შემდეგ შორისდებულებას წინადადებას; მიმართვის მსგავსად ესენიც ადვილია: ყოველთვის გამოყოფილია სასვენი ნიშნებით, ადგილის შეცვლა არ ცვლის წინადადების საერთო სტრუქტურას; როგორც მეტყველების ნაწილები (ნაწილაკი, შორისდებული), შესწავლილია მოსწავლეთა მიერ დაწყებითშიც და V კლასშიც.

მიმართვის, მიგებითი ნაწილაკებისა და შორისდებულებანი წინადადების შემდეგ მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ განკერძოებული განსაზღვრება შემდეგი მოსაზრების გამო:

ა) განკერძოებული განსაზღვრება მეტად გავრცელებულია როგორც ზეპირ, ისე წერითს მეტყველებაში. ადგილის მიხედვით იგი წინადადებაში ადვილი გამოსაცნობია.

ბ) სასვენი ნიშნების ხმარების მიხედვით განკერძოებული განსაზღვრება შედარებით მარტივია. აქ გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი სახის სასვენი ნიშანი — მძიმე, რაც აადვილებს მის შესწავლას.

<sup>1</sup> მიმართვით დაწყებას მხარს უჭერს დოც. მ. თალაკვაძე თავის წერილში „განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლების ადგილისა და მნიშვნელობისათვის“ / წერილი გამოუქვეყნებელია /.

<sup>2</sup> А. М. Земский, С. Е. Крючков, М. В. Светлаев, Русский язык, часть вторая, Москва, 1950, стр. 65.

<sup>3</sup> Н. С. Плещунов, Грамматика русского языка, часть II. синтаксис, Азерпетр, Баку, 1954 стр. 48, ზღრ. Н. С. Рождественский, Н. С. Поселов. Пособие для практических занятий по русскому языку в национальных педагогических ВУЗ-ах, Москва, 1954, стр. 477.

გ) განკერძოებული განსაზღვრება ერთგვარი გზაა, რომლის გავლაც აუცილებელია სხვა სახის განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებზე გადასავლელად.

მისი შესწავლის გარეშე განკერძოებული გარემოებისა და დანართის გაგება მოსწავლეებს უძნელდებათ.

ამგვარად, მეოთხე ადგილი განკერძოებულმა განსაზღვრებამ უნდა დაიჭიროს.

მეხუთე ადგილზე უნდა ვასწავლოთ განკერძოებული გარემოება, როგორც ეს სახელმძღვანელოსა და პროგრამაშია გათვალისწინებული<sup>1</sup>. მის შემდეგ, რაც მოსწავლეებმა განკერძოებული განსაზღვრება იციან, განკერძოებული გარემოების შესწავლას სიძნელე არ ელოდება წინ. საგულისხმოა, რომ ასეთი თანამიმდევრობა ემთხვევა წინადადების წევრთა ვაცნობის რიგსაც. მეთოდოლოგიურად მიზანშეწონილია, ჯერ გავაცნოთ განკერძოებული ადგილის გარემოება, შემდეგ—დროისა.

ამის შემდეგ ვაცნობთ დანართს, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო განკერძოებულ განსაზღვრებასთან. სწორედ ამის გამო რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში მას განსაკუთრებული სახის განსაზღვრებასაც კი უწოდებენ<sup>2</sup>.

პუნქტუაციურად დანართი ერთ დამატებით სიძნელეს შეიცავს: აქ მძიმის გარდა, არც თუ ისე იშვიათად ტირეც იხმარება.

დანართის შემდეგ უნდა ვასწავლოთ ჩართული. ჩართული ყველაზე უფრო მეტი სირთულის შემცველია. ამას ისიც ქმნის, რომ „ერთი და იგივე სიტყვა და გამონათქვამი გარემოების მიხედვით შეიძლება ჩართული იყოს და შეიძლება არა“<sup>3</sup>.

ჩართული პუნქტუაციურადაც რთულია. აქ გვხვდება მძიმეები, ტირეები და არც თუ ისე იშვიათად ფრჩხილებიც. ამას უნდა დაემატოს

---

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი / მართლწერის საკითხებითურთ), VI—VII კლასების სახელმძღვანელო, თბილისი, 1956, გვ. 65; საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V—VII კლასები), თბილისი, 1956, გვ. 28; 1957 წელს გამოცემულ პროგრამაში კი თანამიმდევრობა ისევ შეიცვალა. პირველ ადგილზე გამოტანილ იქნა განკერძოებული განსაზღვრება, რომელსაც უშუალოდ განკერძოებული გარემოება მოსდევს: საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V—VII კლასები), თბილისი, 1957, გვ. 21.

<sup>2</sup> Н. С. Рождественский, Н. И. Поспелов, Пособие для практических занятий по русскому языку в педагогических ВУЗ-ах, Москва, 1954, стр. 441; А. С. Матвиенко, Грамматика русского языка Ч. II. Синтаксис, Москва, 1955, стр. 39.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII—VIII კლასებისათვის, თბილისი, 1948, გვ. 129.

ისიც, რომ ჩართულად გვევლინება არა მარტო სიტყვა, არამედ სიტყვები, გამოთქმები და მთელი წინადადებაც კი.

მოსწავლისათვის ჩართული სრულიად ახალი თემაა, მის შესახებ წინა კლასებში მსჯელობა არ ყოფილა და, აზუნად, ძნელი ასათვისებელია<sup>1</sup>. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შესწავლა ჩართულით დამთავრდეს.

მართალია, 1956 წელს გამოცემულ ქართული ენის პროგრამაში განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს კიდევ ერთი საკითხი დაემატა — სხვადასხვა სახის განკერძოებული ზიტყვა-გამოთქმები წინადადებაში, რომელიც რიგით ჩართულის შემდეგ ისწავლება, მაგრამ ეს მდგომარეობას ვერ ცვლის. ძინი ახალს არაფერს შეიცავენ, გარდა იმისა, რომ ერთ წინადადებაში რამდენიმე სახის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმაა, რომლებიც მოსწავლეებს ცალ-ცალკე შესწავლილი აქვთ.

ამგვარად, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეულ სახეთა სწავლების თანამიმდევრობა ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი: 1. მიწართვა, 2. მიგებითი ნაწილაკები, 3. შორისდებული წინადადებაში, 4. განკერძოებული განსაზღვრება, 5. განკერძოებული გარემოება, 6. დანართი, 7. ჩართული და 8. სხვადასხვა სახის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები.

---

<sup>1</sup> А. Ф. Ломизов, Обучение пунктуации в средней школе, Ленинград, 1954, стр. 55.

---

## განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების რაობის სწავლა

განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმების შესწავლას მთელი რიგი სიტუაციები ახლავს. ამ სიტუაციებს სხვადასხვა მიზეზი იწვევს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეული სახე მეტად ნაირფეროვანია: ზოგი მათგანი წინადადების ამა თუ იმ წევრის ახსნა-განმარტებას, დამაზუსტებელ ცნობებს შეიცავს (განკერძოებული განსაზღვრება, დანართი), ზოგი აზუსტებს ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილს (განკერძოებული ადგილის გარემოება), ზოგიც — დროს (განკერძოებული დროის გარემოება), ზოგი კიდევ გვიჩვენებს მოუბრის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმული აზრისადმი (ჩართული); ზოგიერთი განკერძოებული სიტყვა აღნიშნავს, ვისადმია მიმართული ნათქვამი (მიმართვა), ზოგიც უარყოფს ან ასაბუთებს წინადადებაში გამოთქმულ აზრს (მიგებითი ნაწილაკები) და, ბოლოს, ზოგიერთი განკერძოებული სიტყვის მეშვეობით უშუალოდ ვგებულობთ ადამიანის სულიერ განწყობილებას ან გრძნობას (შორისდებული წინადადებაში).

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები რთულია პუნქტუაციურადაც. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათს საფუძვლიან დამუშავებას.

სასკოლო პრაქტიკაში ზოგი მასწავლებელი გვერდს უვლის ამ სიტყვა-გამოთქმის რაობის ახსნას და მასალის გადაცემას უშუალოდ განკერძოებული განსაზღვრების გაცნობით იწყებს.

რაობასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში მოცემული განმარტება დაზუსტებას საჭიროებს. აქ ვკითხულობთ: „წინადადების წევრებს გარდა, მოიპოვება სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენენ და განკერძოებული ადგილი უჭირავთ“<sup>1</sup> (ხაზი ჩენია — რ. შ.).

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1957, გვ. 71.

აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: საქმე ისაა, რომ წინადადებაში სიტყვებისა და გამოთქმების განკერძოება იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი „წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენენ“. სრულებითაც არა. მათ გარკვეული ფუნქცია აკისრიათ და სწორედ ამიტომაც, რომ მათი ამოღებით წინადადების აზრი მკრთალდება და ზოგჯერ ირღვევა კიდევ.

რაობის გაცნობისას ზოგადად, მთავარ ხაზებში მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა მიეცეთ, სულ მცირე, სამი საკითხის შესახებ:

1. რა და რა სახის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებს ვიცნობთ;
2. რისთვის არის საჭირო მათი განკერძოება;
3. რა და რა საშუალებებით ხორციელდება განკერძოება ზეპირსა და წერიტს მეტყველებაში.

რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხის საფუძვლიანი გარკვევა მოხდება მთლიანად თემის დამთავრების შემდეგ. რაობის გარკვევისას კი მათ მხოლოდ მთავარ ხაზებში ვეხებით.

მიზანშეწონილად მიგვიჩნია განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების (როგორც ძნელი თემის) სწავლება დავიწყოთ ინლუქციის გზით და მოვახდინოთ საუბრისა და თხრობის მეთოდების გეგმაზომიერი მონაცვლეობა.

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების რაობის სწავლებისათვის დასაყრდენს წარმოადგენს წინადადების წევრების, სინტაქსური წყვილებისა და სინტაქსური დამოკიდებულების სახეების განმეორება-დაზუსტება. ამაზე უნდა დაშენდეს ახალი თემა — განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების რაობა. განმეორებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: წინადადების წევრების ამოცნობა, სინტაქსური წყვილები, წყვილთა რაოდენობა წინადადებაში და სინტაქსური დამოკიდებულების სახეები (შეთანხმება, მართვა, მირთვა).

ამ საკითხების განმეორების შემდეგ უშუალოდ გადავდივართ ახალი თემის ახსნაზე. ცოტა უხერხულობა ახლავს, მაგრამ მაინც აუცილებელია განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების ყველა სახეზე ერთგვარი წარმოდგენა მიეცეთ მოსწავლეებს პირველსავე გაკვეთილზე. „უხერხულობა“ რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, დროის ბიუჯეტის საკითხი. ამის გამო სასურველია, მასწავლებელმა დაფაზე წინასწარ, გაკვეთილის დაწყებამდე, დაწეროს საანალიზო წინადადებები (თუ მოძრავი დაფაა, ერთ მხარეზე დაიწერება და დაფა შებრუნდება კლასისკენ სუფთა პირით; თუ ასეთი არ არის, მაშინ დაფა ქაღალდით დაიფარება), ანდა გამოიყენოს სპეციალურად დამზადებული პლაკატი.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ დაფაზე იწერება თემის სათაური. მოსწავლეები გადაიწერენ მას რვეულებში. მასწავლებელი კედელზე (ან დაფაზე) ამაგრებს პლაკატს, სადაც წარმოდგენილია საანალიზო წინადადებები:

მ ე გ ო ბ რ ე ბ ო, წინ, წინ... გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული (ი. ევლ.).

— ოთხასი მანეთი მძცა ხომ?

— კი.

— ბეჩაუ, მთლად გაყინულხარ (ა. ყაზბ.).

მტერს მათი სანგალი, სიმაგრედ გაკეთებული, აელო (ა. ყაზბ.).

ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა 1915 წლის 27 ივნისს, საღამოს 7 საათზე (იქვე).

ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დავდოთ (ვაჟას ბიოგრაფიიდან).

ბოლოს, შეწყდა სიმღერა (ა. ყაზბ.).

პირველი წინადადების გაანალიზებისას გაირკვევა, რომ „მეგობრებო“ არ არის წინადადების წვერი, რადგან მას კითხვა არ ღვსმის და არც წინადადების წვერებთანაა სინტაქსურ დამოკიდებულებაში. ამის გამოა, რომ წინადადებისაგან გამოყოფილია, განცალკევებით დგას.

ასევე გაანალიზდება მეორე წინადადება. მთავარი ყურადღება მიექცევა დიალოგს, სადაც კი განცალკევებითაა წარმოდგენილი და კითხვაზე პასუხს წარმოადგენს.

მესამე წინადადებაში „ბეჩაუ“ შებრალების გამომხატველი შორისდებულია, რომელიც წინადადებისაგან გამოყოფილია.

ასევე გაირჩევა ღანაჩენი წინადადებები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, რომ განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები წინადადებისაგან გამოიყოფიან სასვენი ნიშნებით. ასევე დროს აღინიშნება ისიც, რომ განკერძოებულია არა მარტო ცალკეული სიტყვა, არამედ გამოთქმებიც.

ექლვეა ტერმინი „განკერძოებული“, ზღება მისი გაშინაარსება. თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. ფხალაძემ აღნიშნული ტერმინი ასე მიაწოდა კლასს: ვთქვათ, რომელიმე მოსწავლე გაურბის ამხანაგებს, სულ მარტო ყოფნა სურს, არ ღებულობს მონაწილეობას კლასის საქმიანობაში, განცალკევებულია. როგორ იქცევა ეს მოსწავლე? — „განცალკევებულად“, — ამბობს ერთი. „გამოყოფილად“, — უმატებს მეორე, — „განმარტოებულად“, — ასწორებს სხვა და ა. შ. სწორია, — ამბობს მასწავლებელი, — აღნიშ-

ნული მოსწავლე იქცევა „განცალკევებულად“, „გამოყოფილად“, „განმარტოებულად“. მე დაუფმარტებელი — „განკერძობებულად“. მოცემულ წინადადებაშიც ასეა. აღნიშნული სიტყვა-გამოთქმები წინადადებაში განკერძობებულად დგანან. ანტიტოპაც ეწოდებათ მათ განკერძობებულ სიტყვები და გამოთქმებიც.

შეიძლება ყურადღება მიექცეს იმასაც, თუ როგორ არის ეს სიტყვა ნაწარმოები. „განკერძობებული“ წარსული დროის ვნებითი გვარჯ მიმოვობაა და ნიშნავს ვინც (რაც) განკერძოვდა, განცალკევდა, განმარტოვდა.

ჩამოითვლება განკერძობებული სიტყვა-გამოთქმების ცალკეული სახე იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს გაანალიზებულ წინადადებაშია მოცემული. აღინიშნება, რომ ქართულში განკერძობებული გვხვდება მიჰართვა, მიგებითი ნაწილაკი, შორისდებული, განკერძობებული განსაზღვრება, განკერძობებული გარემოება, დანართი და ჩართული.

აქვე ძალიან ზოგადად, მთავარ ხაზებში გაირკვევა საკითხი იმის შესახებ, თუ რისთვის არის საჭირო წინადადებაში სიტყვებისა და გამოთქმების განკერძობება და რა საშუალებით ხორციელდება ასე ზეპირსა და წერითს მეტყველებაში. ყოველივე ეს ძალიან მოკლედ აღინიშნება. ვრცლად მასზე განკერძობებული სიტყვა-გამოთქმების ცალკეულ სახეთა სწავლებისას შევჩერდებით. პირველად საკმარისი იქნება, აღებულ იქნეს დანართი და განკერძობებული გარემოება. შერჩეული ნიმუშების საფუძველზე გაირკვევა, რომ დანართის მეშვეობით წინადადების ან თუ იმ წევრის შესახებ უფრო მდიდარ ცნობებს ვღებულობთ, ხოლო განკერძობებული გარემოების საშუალებით ზუსტდება და კონკრეტდება ზნით გამოხატული მოქმედების ადგილი და დრო.

იმ მიზნით, რათა მოსწავლეებს უჩვენოს, თუ ზეპირ მეტყველებაში რა საშუალებებით ხორციელდება განკერძობება, მასწავლებელი გამომეტყველებით, შესატყვისი პაუზებისა და ინტონაციის დაცვით კითხულობს გაანალიზებულ წინადადებებს და ამის შედეგად აღნიშნავს: განკერძობებული სიტყვა-გამოთქმების წარმოთქმა იწყება დაბალი ტონით და თანდათან მაღლდება, ბოლოს იმეც წყდება განკერძობებული სიტყვის დასასრულს, გადადის რა ახალ დადაბლებაზე. განკერძობებული სიტყვა-გამოთქმები წარმოთქმისას პაუზით გამოიყოფა წინადადებისაგან (ტერმინი „პაუზა“ მოსწავლეებმა იციან შერწყმული წინადადებიდან), ხოლო წერისას ყოველთვის გამოიყოფიან სასვენი ნიშნებით (უფრო ხშირად მძიმით, შეიძლება სხვა სასვენი ნიშნითაც).



სწავლების ამ საფეხურზე ზემოაღნიშნული ცნობები სავსებით საქმარისია იმისათვის, რათა მოსწავლეები ზოგადად გაერკვნენ განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმების რაობაში.

ყოველივე თქმულის შემდეგ ბუნებრივად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რას ეწოდება განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. ეს კი სახელმძღვანელოში არ არის. ამიტომ საჭიროა მოსწავლეებს მივსცეთ მიახლოებითი განმარტება მაინც. თუ წესი, განსაზღვრება მთლად ზუსტი და ამომწურავი ვერ იქნება (ეს კი ძალიან ძნელია, რადგან განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებში ერთიანდება სხვადასხვა ბუნების ენობრივი მოვლენა), უნდა ვეცადოთ, რომ იგი აღწერიტად მაინც მივაწოდოთ მოსწავლეებს.

ყოველი წესის, განმარტების, განსაზღვრების მიცემისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ ვ. ი. ლენინის შემდეგი სიტყვებით: *Дать определение—это значит прежде всего подвести данное понятие под другое, более широкое*<sup>1</sup>.

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების რაობის განსაზღვრებაში უნდა გამოჩნდეს მათი სპეციფიკური ნიშნები. ასეთად კი ჩვენ ვთვლით: 1. წინადადების რომელიმე წევრის დაზუსტება-დაკონკრეტებას; 2. ზეპირმეტყველებაში სათანადო პაუზებითა და ინტონაციურად გამოყოფას; 3. წერისას კი სასვენი ნიშნებით გამოყოფას. ამ ნიშნების საფუძველზე განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები შეიძლება ასე განსაზღვროთ:

გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი ა ი ს ე თ ი ს ი ტ ყ ვ ა - გ ა მ ო თ ქ მ ე ბ ი ,  
რო მ ლ ე ბ ი ც წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი დ ა ნ პ ა უ ზ ი თ , ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა  
ი თ ა და ს ა ს ვ ე ნ ი ნ ი შ ნ ე ბ ი თ გ ა მ ო ი ყ ო ფ ი ა ნ მ ი ს ი რ ო -  
მ ე ლ ი მ ე წ ე ვ რ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს და ზ უ ს ტ ე ბ ა - დ ა -  
კ ო ნ კ რ ე ტ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ .

მართალია, ეს განმარტება ამ სიტყვა-გამოთქმების ყველა სახისათვის დამახასიათებელ არსებით ნიშნებს ვერ მოიცავს, მაგრამ პირველ საფეხურზე შეიძლება ასეთი განმარტებითაც დავემყოფოთ.

ახსნილის განმტკიცების მიზნით დაისმის რამდენიმე საკვანძო კითხვა.

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების რაობა შესწავლილად ჩაითვლება, თუ მოსწავლემ იცის:

1. ქართულში რამდენი სახის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმა გვაქვს;
2. რა მიზნით ვიყენებთ წინადადებაში მათ;

<sup>1</sup> В. И. Ленин, Сочинение, изд. 4-ое, том 14, стр. 133.

3. რა და რა საშუალებით ხორციელდება ზეპირსა და წერითს მეტყველებაში სიტყვა-გამოთქმების განკერძოება.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ზოგ სკოლაში მასწავლებლები ამ საკითხის სწავლებასთან დაკავშირებით მოსწავლეებს საშინაო დავალებად სავარჯიშოებს არ აძლევენ, რაც არასწორია.

ნასწავლი ტექსტიდან განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების შეიღივე სახის ამოწერა სწავლების ამ საფეხურზე არ იქნებოდა გამართლებული, თანაც მოსწავლეთა გადატვირთვისაც გამოიწვევდა. ამიტომ საჭიროა სხვა სახის სავარჯიშოს მიცემა. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ერთ მათგანს დავასახელებთ. მასწავლებელი უკარნახებს მოსწავლეებს განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების შემცველ წინადადებებს არა ახსნილი თანამიმდევრობით (მიმართვა, მიგებითი ნაწილაკი და ა. შ.), არაჩედ არეულად. მაგალითად:

„მკლავაძეებს ძალმოპრობასაც, რა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, შეეკვცა ფრთა“ (ე. ნინ.)

„ქ ი ს ტ ე ბ ო, ჩვენი მოსისხლე შემოგვეპარა დაშითა“ (ვაჟა).

„ეს განსაცდელი იქავ ახლოს, ზ უ რ გ ს უ კ ა ნ, ეღვა (ხევისბერს)“ (ა. ყაზბ.).

„მამამისი, ის აკ თადას-ძე ხოსიტაშვილი, იყო ბოდბის-ხევის ეკლესიის დიაკვანი“ (ირ. ევლოშვილის ბიოგრაფია).

— რაზე დაგიძალო?

— შემოგეძლია?

— კი (დ. კლდ.).

„ონისეს, ბუნებით ვაჟკაცს და თავგანწირულს, დღეს მეტი მიზეზი ჰქონდა ერთიორად გადაქცეულიყო“ (ა. ყაზბ.).

„ჰმ, ასი მანეთის გულისთვის... ხელიდან ეცლება სამაშვალო ექვსი თუმანიც“ (დ. კლდ.).

მოსწავლეებს დაევალებათ, ეს წინადადებები ჩაწერონ ქვემოთმოცემულ სქემის შესატყვის სვეტში.

მიმართვა	მიგებითი ნაწილაკი	ხორისდევად-ლი წიხდადეგაშ	გაკერძოვით-ლი განახლებობა	განკერძოებული გარემოება	დანართი	ჩართული

## მიმართვა. მიმართვის რაობა

ა. შანიძე მიმართვას ასე განსაზღვრავს: „წოდებითში დაყენებულ სახელს მიმართვა ჰქვია“<sup>1</sup>, ან: „წოდებითში დაყენებული სახელი წარმოადგენს მიმართვას“<sup>2</sup>.

სულ სხვაგვარადაა განსაზღვრული მიმართვა გ. ახვლედიანის ქართული სკოლებისათვის განკუთვნილ „რუსული ენის გრამატიკაში“, სადაც წერია: „ერთს ან რამდენიმე სიტყვას, რომლებიც ნახმარია წინადადებაში იმან დასასახელებლად, ვისაც ან რასაც მიმართავენ, ეწოდება მიმართვა“<sup>3</sup>.

რუსული ენის გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოში კი ვკითხულობთ: „მიმართვა ეს სიტყვებია, რომლებიც ასახელებენ იმას, ვისაც მიმართავენ საუბრისას“<sup>4</sup>.

აქედან ჩანს, რომ მიმართვის ერთნაირი, საერთოდ მიღებული განსაზღვრა არ არის<sup>5</sup>. ეს კი აუცილებელია.

მიმართვის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მიმართვა სინტაქსური კატეგორიაა. „წოდებითში დაყენებული სახელი წარმოადგენს მიმართვასო“, როცა ვამბობთ, ამით სინტაქსურ ცნებას („მიმართვა“) ვსაზღვრავთ მორფოლოგიური კატეგორიით („წოდებითი ბრუნვა“).

მიმართვა ერთი ან მეტი სიტყვაა და წინადადების წევრებს სინტაქსურად არ უკავშირდება. იგი „არ უკავშირდება არც ზმნას და არც სახელს“<sup>6</sup>, „არ იმართვის არც ზმნის, არც სახელისა და არც თან-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, სახელმძღვანელო V, VI და VII კლასებისათვის, თბილისი, 1941, გვ. 236.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII — VIII კლასებისათვის, თბილისი, 1948, გვ. 126; შდრ. 1951 წლის გამოცემა, გვ. 80; ან 1956, გვ. 68.

<sup>3</sup> Г. С. Ахвледзянов, Учебник грамматики русского языка, для грузинских школ, 4-ое издание, Тбилиси, 1953, стр. 348.

<sup>4</sup> С. Г. Бархударов и С. Е. Крючков, Учебник русского языка, II, синтаксис, для 6 и 7 классов средней школы, Учпедгиз, 1956, стр. 58.

<sup>5</sup> ბ. კეცელიძე (1888) მიმართვას „მიმართობას, ანუ სადათ — მიმართობას“ უწოდებს, არ. ქუთათელაძე / 1889 / — მიმართვით სიტყვას, თ. უორდანიძე (1889) — მიმართვით ანუ წოდებითს სიტყვას, ანდრია ბენაშვილი (1894) — მიმართვით და მოწოდებითს სიტყვას, ს. ხუნდაძე (1906) — წოდებითს სიტყვას, ანუ მიმართვას, ი. ნიკოლაიშვილი / 1917 / — მიმართვა, მოწოდებას, ილია სიხარულიძე, ილ. ფერაძე / 1927 / — წოდებით, ანუ მიმართვით სიტყვას.

<sup>6</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950, გვ. 036.

დებულის მიერ<sup>1</sup>. სწორედ ამის გამოა, რომ მიმართვა განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებშია მოქცეული. ამიტომაც მიმართვის განსაზღვრისას ეს მხარეც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

მიმართვა ვისიმე ან რისიმე დასახელებას, მოწოდებას გულრხმობს და ამიტომ დგას წოდებითში.

თქმულის თანახმად ჩვენ მიმართვის ასეთ განსაზღვრას ვიძლევათ: წოდებითში დაყენებულ განკერძოებულ სიტყვას (ან სიტყვებს), რომელიც დასახელებას, მოწოდებას გამოხატავს, მიმართვა ჰქვია (ჩვენ განსაზღვრისას „სახელის“ ნაცვლად „სიტყვებს“ ვხმარობთ).

### წოდებითი შოკაბი. მისი ფუნქცია და აღვილი წინადადებაში

სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგი მკვლევარი წოდებით ფორმას ბრუნვად არ მიიჩნევს, რადგანაც მასთან (წოდებითთან) არ შეიმჩნევა ის ურთიერთობა, რომელსაც დანარჩენ ბრუნვებთან აქვს აღვილი, სახელდობრ: სინტაქსური დამოკიდებულების ერთ-ერთი სახით — მართვით — იგი წინადადების წევრებს არ უკავშირდება და ყოველთვის და ყველგან განკერძოებით დგას. მიუხედავად ამისა, წოდებითი პირობითად ბრუნვათა რიგშია შეტანილი და ჩვენც პრაქტიკული (სასკოლო) თვალსაზრისით მას ბრუნვად ვიღებთ.

ქართულში თითოეულ ბრუნვას თავისი სინტაქსური ფუნქცია აქვს. წოდებითსაც აქვსრია წინადადებაში განსაზღვრული მოვალეობა. წოდებითი მიმართვის ფორმაა. იგი იხმარება დაძახების, მოწოდების დროს, მიახედოს ან ყურადღება მიიქციოს იმ პირისა, ვინაც მიმართავენ. ესაა მისი ფუნქცია, მაგალითები:

ნიკო, ხვალ ფრთხილად უნდა იარო! (ე. გაბ., გვ. 225).

არსენ, როგორა გყავს საქონელი და დედ-მამა? (მ. ჭავჭავ., გვ. 371).

ჩემო გაბრიელ, მე შენს ანაბარასა ვარ (ი. ჭავჭავ., II, გვ. 80).

ქართულში მიმართვა მკვეთრადაა გამოხატული მორფოლოგიური ზამუალებით, წოდებითის ფორმით.

ძველ ქართულში წოდებითს ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი სახე აქვს.

როგორც ცნობილია, წოდებითი გვიან წარმოქმნილი ფორმაა. პირველად მის მოვალეობას წრფელობითი ასრულებდა. თვით ძველ ქართულშიც გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა საზოგადო სახელებს

<sup>1</sup> ვ. თ. ფ. რ. ი. ა., წოდებითი ბრუნვისათვის: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956, გვ. 46.

წოდებითის ნაცვლად გამოყენებული აქვს წრფელობითი ბრუნვის ფორმა<sup>1</sup>; მაგალითად მოუქდა მას ერთი მწიგნობართაგანი და ჰრქუა მას: მ ო ძ ლ უ ა რ, მიგდევდე შენ... (მთ. 8, 19); იხ. აგრეთვე მთ. 22, 16; 26, 25, 49; მრკ. 9, 17, 38; 10, 35; 12, 14 და ა. შ..

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: ხ უ ც ე ს, და მეცა დიდსა ღუ-აწლსა განზადებულ ვარ (შუშან., 3,4 — 15);

მომეც მე, ზ ე პ ი ს კ ო პ ო ს, ნამარხევი იგი ჩემი (მამ. სწავ., გვ. 292). ამავე ფორმის მქონეა ადამიანის საკუთარი სახელი ძველსა და ახალ ქართულში.

„ისეთი ფორმები, როგორცაა: დავითო, თამარო, ეთერო, ვახტანგო... დიალექტებში თუ შეიძლება შეხვდეს კაცს და ისიც იშვილთად“<sup>2</sup>. წინადადებაში მიმართვის ადგილი სწორედ იმის მიხედვით განასაზღვრება, თუ რა სიტუაციაში ვიყენებთ მას. მართალია ღებულება იმის შესახებ, რომ მიმართვის ადგილი წინადადებაში არ არის მკვიდრი, მაგრამ ამ მხრივ ერთგვარი შეზღუდვა მაინც არსებობს; სახელდობრ: მიმართვა წინადადებას თავში იმ შემთხვევაშია, თუ გვსურს მოსაუბრის ჩვენკენ მოხედვა, მისი ყურადღების მოპყრობა<sup>3</sup>. მოგვყავს სათანადო მაგალითები:

— ლ უ ა რ ს ა ბ! — დაუძახა ძმას დავითმა, — მოგვატყუეს, ეგ არ არის, ჯვარი არ დაიწერო (ი. ჰავქ., II, გვ. 189).

და თო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (ი. ჰავქ., II, გვ. 137). მოწოდებებში, ლოზუნგებში, ბრძანებებში, ორატორთა გამოსვლებში, საქმიან და კერძო წერილებში მიმართვა, როგორც წესი, წინადადების თავშია.

მიმართვა წინადადების შუაში მაშინაა, თუ გვსურს წინა ნათქვამზე მოსაუბრის ყურადღების გამახვილება; მაგალითები:

მაგას ნუ ბრძანებთ, მ ე ფ ე ო, ჯერ ვარღი არ დაგქცნობია (ვეფხისტყაოს., 14, 38).

მიგიხვდი, ჩ ე მ ო მ ო ხ ე ვ ე ვ, რა ნესტართა ხარ ნაჩხვლელი (ი. ჰავქ., II, გვ. 30).

ეგებ, ბ ი ძ ი ა, გეგულეზოდეს საღმე უშვილო ღედაბერი (ღ. კლდ., I, გვ. 149).

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956, გვ. 65.

<sup>2</sup> ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956, გვ. 66.

<sup>3</sup> ვ. თოფურიძე, წოდებითი ბრუნვისათვის, გვ. 44.

საპასუხო წინადადებაში, როგორც წესი, მიმართვა შუაში ან ბოლოსაა, უფრო ხშირად კი ბოლოსაა; მაგალითად:

— დიდი ხანია, რაც ამ მხარესა ხარ?

კარგა ხანია, ბ ა ტ ო ნ ო (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 38).

ერთი, ორი შეპატრუებით რაღა დარჩებოდა, შე ე ქ ა ლ ო (დ. კლდ., I, გვ. 51).

მე გაბრიელმა ყველაფერი მითხრა, ჩ ე მ ო კ ა რ გ ო (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 98).

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, მიმართვა ყველაზე ხშირად წინადადების თავშია, უფრო იშვიათად — შუაში, ხოლო ყველაზე უფრო ნაკლებად — ბოლოსაა.

მიუხედავად იმისა, რომ წინადადებაში მიმართვის ადგილი ერთგვარად შეზღუდულია, აქედან სრულებით არ გამოძინინარეობს ის, თითქოს არ შეიძლებოდეს ლაპარაკი მიმართვის „თავისუფალ გადასაცვლებზე“ წინადადების შიგნით, რომ თითქოს მიმართვა სასტიკად ლოკალიზებული იყოს, როგორც ამას ი. იუდეინი ფიქრობს<sup>1</sup>.

მიმართვის გამოყენების სფერო მეტად ნაირფეროვანია. იგი გადმოიცემა ჩვეულებრივ არსებითი სახელებით (შეიძლება მეტყველების სხვა ნაწილითაც), რომლებიც აღნიშნავენ ადამიანთა სახელებს, გვარებს, მეტსახელებს, სქესს, აგრეთვე პირებს თავიანთი მდგომარეობის მიხედვით, რომელიც მათ საზოგადოებაში უკავიათ. მათს კლასობრივ თუ ზნეობრივ მხარეს, მათს დამოკიდებულებას სხვადასხვა პარტიებისაღმძი, მიმდინარეობისაღმძი, ორგანიზაციებისაღმძი, მათს თანამდებობას, პროფესიას, სპეციალობას, ეროვნებას და ა. შ.<sup>2</sup>.

მიმართვა გადმოიცემა ისეთი არსებითი სახელებითაც, რომლებიც აღნიშნავენ ფრინველების, ცხოველების სახელს (უმთავრესად პოეზიაში). ისინი ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარებიან და ახასიათებენ მოსაუბრეს დადებითად ან უარყოფითად, ან უსულო არსებითი სახელებითაც, რომელთა საშუალებით მწერალი ახერხებს მოსაუბრის დახასიათებას მოლაპარაკის თვალსაზრისით. ასეთი სიტყვების საშუალებით ზეპირი მეტყველება ხდება უფრო მიმზიდველი და ხატოვანი.

მიმართვის როლში გამოდის ისეთი სახელებიც, რომლებიც გამოიყენებიან საძულველ, საზიზღარ, უქნარა ადამიანთა დასახასიათებ-

<sup>1</sup> И. Е. Юдкин, К вопросу об обращении (морфологическая и синтаксическая природа обращения в современном русском языке) (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), Тбилиси, 1956, გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5.

ლად (მაგ., უსინდისო, ზარმაცო, საძაგელო, საზიზღარო, გაიძვერაგ, თაღლითო, არამზაღავ, თვალთმაქცო, ყალთაბანლო, ქვეშქვეშავ, ცბიერო და სხვ.).

მიმართვას ზოგჯერ მწერალი იყენებს მოქმედი პირის განათლების, მორალური და ზნეობრივი ავლა-დიდების გამოსააშკარაებლადაც: „ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო“ (ი. ქავჭ., II, გვ. 182). ბერის მთქმელია მოსე გრძელიძის წერილის ეს დასაწყისი! აქ ნათლად ჩანს დამწერის „ნიჭი“, „ღიღი განათლება“.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა მიმართვის ფორმად გამოყენებული სალანძღავი სიტყვები მთქმელის (და არა მიმართვის ობიექტის) ზნეობრივი ავლადიდებისა და მორალური სახის მაჩვენებელია; მაგ., ლ. ქიაჩელის „გვაღი ბიგვას“ მოქმედი პირი არჩილ ფორია გვადის ზვეულებრივ მიმართავს ბატონყმური დამოკიდებულების ლექსიკონიდან ამოღებული სიტყვებით:

რატომ ბაზარში არა ხარ, ყ უ რ უ მ ს ა ლ ო („გვაღი ბიგვა“, 1942, გვ. 27);

ბიგვა ხომ არ გგონივარ, მ ა მ ა ძ ა ლ ლ ო (იქვე, გვ. 27); „შ ე პ ი რ ძ ა ლ ლ ო“ (გვ. 30); „ო ხ ე რ ო“ (გვ. 30); „ს უ ლ ე ლ ო“ (გვ. 30); „შ ე უ ბ ე დ უ რ ო“ (გვ. 30); „შ ე უ გ უ ნ უ რ ო“ (გვ. 32); „ყ ა ზ ა ხ ო“ (გვ. 35); განა ვერ მივხედვოდნი, რომ არ მომეშვებოდნი, შ ე ს ი ნ დ ი ს მ ყ რ ა ლ ო ყ ა ზ ა ხ ო?! (იქვე, გვ. 213); ბილიკთახ რომ მომყევი და დამალობიას თამაში გამიმართე, რას ფიქრობდნი, შ ე მ უ დ რ ე გ ო (იქვე, გვ. 213).

დიპლომატიურ მიმოწერებში, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა წერილების გაცვლა-გამოცვლისას, შესანიშნავი თარიღებია (ხალხის გათავისუფლება და სახელმწიფოს შექმნა, დაბადების წლისათვის აღნიშვნა, მოგზაურობის შემდეგ საშობლოში დაბრუნება და ა. შ.) აღნიშვნასთან დაკავშირებით იხმარება ისეთი მიმართვები, რომლებიც რევოლუციამდე, კლასობრივი უთანასწორობის პერიოდში მხოლოდ გაბატონებული კლასების მიმართ გამოიყენებოდა. ახლა კი ამ სახის მიმართვებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და ურთიერთისადმი პატივისცემის მიმთითებელი გახდნენ. ასეთი სახის მიმართვები ხშირია გაზეთების ფურცლებზე; თქვენო უმაღლესობავ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენო უდიდებულესობავ, ბატონო თავმჯდომარე და ა. შ.

იგი ჩვეულებრივ გამოიყოფა აბზაცით. ცალკე სტრიქონად მხოლოდ მიმართვა და აბზაცით იწყება ტექსტის შინაარსი.

ისეთ მიმართვებს, როგორცაა: „თქვენო ხარისხოვნებავე!“ (აკაკი, IV, გვ. 134), „ბატონო სერაფიონ!“ (დ. კლდ., I, გვ. 220), „თქვენო

შალაკეთილშობილებავ!“ თქვენო ბრწყინვალეზავ!“ (ა. ყაზბ., I, გვ. 85), „თქვენო კეთილშობილებავ!“ (აყაქი, IV, გვ. 133), „თქვენო მალალაპატებულეზავ!“ (პ. ჭავჭავ., გვ. 97) და სხვ. ხშირად ვხვდებით რევოლუციამდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოსახატავად.

### მიმართვის ინფონატიურ-სვილისვიური თავისეპუკებანი

ყოველი მოღალობის წინადადებას თავისი დამახასიათებელი ინტონაცია აქვს. თავისებური ინტონაცია აქვს აგრეთვე მიმართვის შემცველ წინადადებასაც.

იზოლირებული მიმართვა (მოწოდებებში, ლოზუნგებში, პირად ბარათებში, დიპლომატიურ მიმორწერებში და სხვ.) ყოველთვის წარმოითქმის განსაკუთრებული, ძახილის ინტონაციით; მაგ., „სახალხო განათლების მუშაკებო! აუქობესეთ ბავშვთა სწავლების ხარისხი“... (1957 წლის საპირველმასო მოწოდებიდან). ძახილის ინტონაციითვე წარმოითქმის იმ შემთხვევაშიც, როცა იგი დგას ჩვეულებრივ წინადადების თავში: „დათიკო! არ გებრალეზა ის დეთის სული, უცოდველი გოგო?“ (ი. ჭავჭავ., II, გვ. 102). ძახილის ინტონაცია ახასიათებს მაშინაც, როცა მიმართვას წინ უძღვის შორისდებული, მაგრამ ამ შემთხვევაში შორისდებულსა და მიმართვის აზღვარზე ერთგვარი პაუზა შეიქჩნევა: „ოჰ, მამავ!.. რა ამბავი იყო?“ (ა. ყაზბ., I, გვ. 400); „ოჰ, ქაბატო, მოხველი კიდეც?“ (ა. ცაგ., გვ. 13).

იმ შემთხვევაში, როცა წინადადებაში რამდენიმე მიმართვაა და ისინი ერთი და იმავე პირის სხვადასხვა თვისებას აღნიშნავენ, პირველი ჩქარი ტემპით წარმოითქმის, ხოლო დანარჩენებთან მეტყველების ტემპი თანდათან ნელდება: „მშვიდობით, ჩვენო სასიქაღულო მამულის-შვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო“ (ი. ჭავჭავ., III, გვ. 249).

ძახილის ინტონაცია შესამჩნევად სუსტდება იმ შემთხვევაში, როცა წინადადებაში მიმართვები წარმოდგენილია სხვადასხვა პირისადში. აქ ინტონაცია უახლოვდება ერთგვარწვევებიანი შერწყმული წინადადების ინტონაციას. ასეთ წინადადებაში კი ყოველ ერთგვარ წვევრს აქვს თავისი ლოგიკური მახელილი და გამოიყოფა მეორისაგან პაუზით. ეს ინტონაცია თანდათანობით მალდება იმგვარად, რომ ყოველი მომდევნო წვევრს ინტონაცია უფრო ბაღალია, ვიდრე წინა ერთგვარი წვევრისა: „ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცოილი ხეზე-

<sup>1</sup> В Текучев, Предложения с однородными членами: Морфологические разряды по грамматике; Собрание статей, Москва, 1949, гв. 254—255; შდრ. მ. თალაკვაძე, შერწყმული წინადადება: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული IX, თბილისი, 1956, გვ. 93.



და მიმნარ ფრინველს აფრთხოვდა (ი. ჭავჭავაძე, არჩ. ნაწ., I, 1948, გვ. 121). შტრ.: „მოგვასთ წყალობა, რაც იღიდა, რაც იხსენა, იმათმა დოვლათმა, თე მ ო, ს ო ფ ე ლ ო, ქ უ დ ო ს ა ნ ო, მ ა ნ დ ი ლ ო-ს ა ნ ო (ვაჟა, VI, გვ. 184). „სალომე, თევდორე, ხაბაზო, ვინ ხართ, მოვიღნენ, არიქა, კარები გაუღეთ“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 446).

შესაძლებელია მიმართვა „და“ კავშირით შეუერთდეს მეორე მიმართვას. „წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე... წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაეკაცი...“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 259); „ჩვენო დედებო, ჩვენო დეებო, ჩვენო მეუღლენო და ერთობ გასათხოვარნო...“ (ი. ჭავჭავაძე, III, გვ. 422). ასეთ შემთხვევაში I მიმართვა ჩქარი ტემპით წარმოითქმის და გამოიყოფა უფრო ხანგრძლივი პაუზით მომდევნოსაგან, დანარჩენი მიმართვები კი უფრო ნელი ტემპით წარმოითქმის.

თუ მიმართვა მოსდევს პირთა ნაცვალსახელს, იგი ლოგიკურად და ინტონაციურად გამოიყოფა და დადაბლებული ტონით წარმოითქმის: „შენ, ჩემო ძროხავ შვინდაო, საკვები აღარ გინდაო“ (აკაკი, II, გვ. 370). ძახილის ინტონაცია არაა დამახასიათებელი წინადადების ბოლოში მოთავსებული მიმართვისათვის. პაუზა ამ შემთხვევაში იმდენად დიდია, რამდენადაც გავრცობილია მიმართვა: „მაშ მე და შენ დავძმობილდეთ, ჩემო გაბრიელ! (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 57).

მხატვრულ ნაწარმოებში შთაბეჭდილების გასაძლიერებლად გამოიყენება ავტორის უშუალო მიმართვა მოქმედი პირისადმი: „ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა და როცა უპირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 245).

მიმართვას სხვადასხვა სტილისტიკური ელფერი შეაქვს მთელ გამონათქვამში<sup>1</sup>. იმის მიხედვით, თუ რა სტილისტიკურ ელფერს ანაქებს მიმართვა ფრაზას, წინადადებას, ჩვენ მიმართვას პირობითად ორ დიდ ჯგუფად ვყოფთ; I ჯგუფში შევა ის მიმართვები, რომლებიც უშუალოდ მხოლოდ ადამიანებს განეკუთვნება, ხოლო მეორეში — ე. წ. რიტორიკული მიმართვები. რიტორიკულია მიმართვა იმ საგნებისადმი, რომელთაც გამოხმაურება არ შეუძლიათ. ასეთია მიმართვა ბუნებისადმი, განყენებული საგნებისადმი, მკითხველისადმი, ზეციური ძალებისადმი.

<sup>1</sup> С. И. Бернштейн. Экспериментальная фонетика и психология в обучении иностранному языку. Москва, 1940, стр. 174; Грамматика русского языка, том II, часть I, синтаксис, АН СССР, Москва, 1954, стр. 138—141; Большая Советская Энциклопедия, 18. второе издание, 1953, стр. 317. შტრ. А. М. Пешковски и Вопросы методики родного языка, лингвистики и стилистики, Москва, 1930, стр. 130.

განვიხილოთ I ჯგუფის მიმართვები. აქ შედიან მოფერებითი მნიშვნელობის სიტყვები: „მამა, მამუკელა, ჩემო მამულია!“ (აკაკი, IV, გვ. 148); „მამა-ჩემო დედოღო! როგორა ხართ!“ (მ. ჯავახ., გვ. 211); „გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდი?“ (ი. ჭავჭავ., I, გვ. 67).

მიმართვის ფორმას მწერლები ორი მნიშვნელობით ხმარობენ: პირდაპირი და გადატანითი. ეს უკანასკნელი მაშინ გამოიყენება, როცა მწერალი დასცინის რომელიმე მოქმედ პირს. მიმართვა პირდაპირი მნიშვნელობით: „მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო!“ (ი. ჭავჭავ., II, გვ. 37); მიმართვა გადატანითი მნიშვნელობით: „აი, ჩემო სულიკო! ...აკი არ დამითვლიაო, შეეშმაკო, შენა... — ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა? — შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ...“ (ი. ჭავჭავ., II, გვ. 136). ასეთი ხასიათის მიმართვის გამოყენებით ილია ერთმანეთში აქსოვს იუმორს, ირონიასა და სატირას, რაც მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი სტილისტიკური ხერხია.

მიმართვის განმეორებით მწერალი სიტყვას მეტ ემოციურობას და ექსპრესიულ ძალას აძლევს; განმეორება შეიძლება ერთი და იმავე სიტყვისა ან აგრეთვე სინონიმური თუ სხვა ხასიათის მიმართვებისაც: „შალვავე, შალვავე! გამაიქე პაპასთან“ (ვაჟა, V, გვ. 160); „მოდი ჩემთან, ჩემო სიცოცხლევე, ჩემო თვალის ჩინო! — ეუბნებოდა დედა შვილს, (ვაჟა, VI, გვ. 90); „ვარდო, შვილო, გოგო, ვარდო, პირჯვარი დაიწერე!“ (დ. ქონჯ., გვ. 39).

II ჯგუფის მიმართვაში შედის მიმართვა ისეთი საგნებისადმი, რომელთაც გამოხმაურება არ შეუძლიათ: „ვერ უყურებთ, მკითხველო! კნენინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ, რაები სცოდნია?“ (ი. ჭავჭავ., II, გვ. 147); „ოხ, ბუნებავ, ბუნებავ! — რა კარგი რამა ხარი!“ (ნ. ლომ., გვ. 161).

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! —  
მძინარიც იმას ვდუღუნებ“ (ვაჟა, I, გვ. 189).

„ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტყბილი  
გამაგონე ჩემს მამულში“

(ი. ჭავჭავ., რჩ. ნაწ., I, გვ. 43).

მიმართვის გამოყენებისას წინადადება მაქსიმალურად მოკლდება, თხრობა ცოცხლდება და ენიჭება მას სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქე, თხრობა ხდება დინამიკური.

## მიმართვის სწავლება

### მიმართვის რაობის სწავლება

მიმართვის რაობის სწავლებასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს ისეთი საკითხები, როგორცაა: 1. რა სიძნელეები ახლავს მიმართვის სწავლებას და როგორ დაძლეოთ იგი; 2. როგორ გავაცნოთ მოსწავლეებს მიმართვის რაობა და 3. რა ცოდნა-ჩვევები უნდა შეიძინოს მოსწავლემ ამ სინტაქსური კატეგორიის შესწავლისას.

მიუხედავად იმისა, რომ მიმართვა განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების ყველა სახესთან შედარებით ადვილია, მის სწავლებას მაინც ახლავს სირთულეები, რომელთა გათვალისწინება და დაძლევა მასწავლებლის უპირველესი მოვალეობაა. ეს სიძნელეებია:

1. მოსწავლეებს არცთუ ისე იშვიათად ერთმანეთში ერევათ მიმართვა და ქვემდებარე. ეს იმ შემთხვევაში შეინიშნება, როცა წინადადებაში ზმნა მოცემულია I ან II პირის ბრძანებითი ფორმით, ხოლო ქვემდებარე არაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს უნდა მოეგონოთ VI კლასის პროგრამიდან საკითხი — ქვემდებარე ბრძანებითი ფორმისთან. „ბრძანებითი ფორმისთან, თუ ის მეორე პირისაა, ხშირად იხმარება წოდებითში დასმული სიტყვა, მაგრამ ეს კი არ არის ქვემდებარე, არამედ ზმნის ფორმით ნაგულისხმევი II პირი, რომელთანაც შეიძლება არც კი იყოს ნახშირი სათანადო ნაცვალსახელი“. ამ წესს სათანადო მაგალითით ნათელყოფთ.

წოდებითში დასმული სახელის ქვემდებარედ მიჩნევა რომ თავიდან ავიცილოთ, ამისათვის საჭირო იქნება ერთხელ კიდევ მოვავლოთ მოსწავლეებს ქვემდებარის ბრუნვები ქართულში (სახელობითი, შოთხრობითი და მიცემითი). წოდებითში დასმული სახელი არასოდეს არაა ქვემდებარე, არამედ ყოველთვის მიმართვის ფორმაა.

2. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ზმნა არ არის ბრძანებითი კილოს ფორმით წარმოდგენილი, მაგრამ ქვემდებარე არ ჩანს და მოსწავლეები ქვემდებარედ წოდებითის ფორმას მიიჩნევენ; მაგალითად: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?“ (ნ. ბარ.). აქ ქვემდებარეა ნაცვალსახელი „შენ“, რომელიც არაა წარმოდგენილი, „მტკვარო“ კი მიმართვაა.

3. მოსწავლეები ზოგჯერ მიმართვად თვლიან II პირის ნაცვალსახელებს („შენ“ ან „თქვეს“). ამ შეცდომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისეთი წინადადებების შედარება-შეპირისპირება, სადაც ერთ შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ პირის ნაცვალსახელი

1 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბილისი, 1957, გვ. 20.

(„შენ“, „თქვენ“), ხოლო მეორე შემთხვევაში ამ ნაცვალსახელებთან ერთად — მიმართეა. მაგალითად: „შენ ქართული კარგად იცა, გაქვს ნიკი და ალლო“ (ი. გრიშ.); „შენ, ბალო, ქართული კარგად იცა, გაქვს ნიკი და ალლო“. „თქვენ ისეთი კარგი ხართ, როგორც ცისკრის ვარდები“ (ი. გრიშ.); „თქვენ, ბავშვებო, ისეთი კარგი ხართ, როგორც ცისკრის ვარდები“. შედარება-შეპირისპირების გზით გაირკვევა, აღნიშნულ წინადადებებში რომელია მიმართეა და რომელი ქვემდებარე. მასწავლებელი ცხადყოფს, რომ პირის ნაცვალსახელები („შენ“, „თქვენ“) წინადადებაში ქვემდებარეებია და ამიტომ არაა საჭირო მათი გამოყოფა სასვენი ნიშნებით.

4. ხშირად მოსწავლეებს უჭირთ გავრცობილი მიმართვის ამოცნობა და სასვენ ნიშნებს არასწორად სვამენ. ამ სიძნელის დასაძლევად კარგ შედეგს იძლევა გაუვრცობელი მიმართვის გავრცობილად გადაქცევა, მისი სინტაქსური ანალიზი და ანალოგიურ მაგალითებზე სისტემატური ვარჯიშობა<sup>1</sup>; მაგ., „მეც ახლავე მოვალ, შვილო!“ (დ. კლდ.); -მეც ახლავე მოვალ, ჩემო ძვირფასო შვილო!

ზემოთჩამოთვლილი სიძნელეები მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული და კარგად გააზრებული, მაგრამ მასწავლებელი ამ საკითხებზე ყურადღებას მხოლოდ მაშინ ამახვილებს, როცა მოსწავლეები შეცდომას დაუშვებენ.

მოსწავლეები მიმართვას IV კლასში ეცნობიან. მათ იციან: მიმართვის რაობა, სასვენი ნიშნები მიმართვასთან, მიმართვის ადგილი წინადადებაში, გავრცობილი და გაუვრცობელი მიმართვა (ტერმინების დაუსახელებლად)<sup>2</sup>. აქ, VII კლასში, ცოდნა უნდა გავალრმაყოთ. ამისათვის ჭერ ვიმეორებთ IV კლასში გავლილ მასალას და სისტემაში მოგვყავს იგი.

მიმართვის რაობის სწავლებას ვიწყებთ პირდაპირ განსაზღვრით. შემდეგ კი მას ნათელყოფთ შესატყვისი მაგალითების ანალიზის საშუალებით. მაშასადამე, აქ მივმართავთ დედუქციას. მოსწავლეებმა ჭერ კიდევ დაწყებითი კლასებიდან იციან, რომ „ვისაც მივმართავთ, მის სახელს წოდებით ბრუნვაში ვამბობთ“, მაგრამ VII კლასში აქ განსაზღვრით ვერ დავკმაყოფილებთ. აქ უნდა მივსცეთ უფრო სრული და ამომწურავი განსაზღვრა. მოსწავლეებს ვეუბნებით: წოდებითში დაყენებულ განკერძოებულ სიტყვას (ან სიტყვებს), რომელიც დასახელებას, მოწოდებას გამოხატავს, მიმართვა ჰქვია.

<sup>1</sup> საკუთარი და ქ. ქუთაისის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებლის პ. ხმალაძის გამოცდილება.

<sup>2</sup> ვალ. რამიშვილი, ქართული ენა, გრამატიკა და მართლწერა, III და IV კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1956, გვ. 82.

ამ განსაზღვრაში წამყვანი ადგილი მიიღო წოდებით ბრუნვას უკირავს და რაობის სწავლებისას ამოსავალი სწორედ ეს უნდა იყოს.

ამის შემდეგ საქაროა სავარჯიშო-საილუსტრაციო მაგალითების ანალიზის საფუძველზე მოცემული დებულების ნათელყოფა.

პირველად უნდა გაანალიზდეს ისეთი წინადადება, როგორც მიმართვა გამოხატულია თანხმობანფუძიანი ზაზოგადო არსებითი სახელით და იგი თავშია. საილუსტრაციოდ ვიღებთ შემდეგ მაგალითს:

„ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო“ (ხალხ.) წინადადების ანალიზით გაირკვევა, რომ „ბიჭო“ სინტაქსურად არც ერთ წევრს არ უკავშირდება, სინტაქსურ წყვილში არ შედის, გამოყოფილია მძიმით და განაქრობებული ადგილი უკირავს; იგი არ არის წინადადების წევრი (არ დაესმის კითხვა).

იმის ნათელსაყოფად, რომ მიმართვა სინტაქსურად არ უკავშირდება წინადადების არც ერთ წევრს, ვიღებთ მიმართვის შემცველ წინადადებას და გამოვყოფთ წყვილებს:

ბ ა ვ შ ე ბ ო, დღეს თქვენ საუბარს ჩაგიტარებთ პიონერხელმძღვანელი. დაწყვილებს ასე: 1. ჩაგიტარებთ პიონერხელმძღვანელი; 2. საუბარს ჩაგიტარებთ; 3. თქვენ ჩაგიტარებთ; 4. დღეს ჩაგიტარებთ.

ამით უკვე ბავშვებისათვის ნათელი გახდება, რომ მიმართვა წინადადების წევრებთან არ არის დაკავშირებული სინტაქსური დამოკიდებულების არც ერთი სახით.

ანალოგიურ მაგალითებზე ვარჯიშობისა და დაკვირვების შემდეგ საანალიზოდ მიესჯემა ხმოვანფუძიან საზოგადო არსებითი სახელით გადმოცემულ მიმართვას. ვაანალიზებთ წინადადებას: „ზღვაო, აღელდი, აღელდი, ქარტახილს დაემორჩილე“ (აკაკი). დასკვნა აქაც იგივე იქნება; სახელდობრ: წოდებითში მდგარი სახელი წინადადების წევრებთან სინტაქსურად დაკავშირებული არაა, კითხვა არ ეწყობა და წინადადების წევრი არ არის.

შემდეგ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით მასწავლებელი ადგენს რომ „წოდებითი იხმარება დაძახების, მოწოდების, მიმართვის დროს; როცა გვინდა იმ პირის ყურადღება მივიპყროთ, ჩვენცენ მოვახედოთ მას, ვისაც მივმართავთ სალაპარაკოდ“<sup>1</sup>. ბოლოს წარმოებს ვარჯიშობა მიმართვის შემცველი წინადადების სწორად წარმოთქმვაზე. აღინიშნება, რომ მიმართვას ზოგჯერ ახასიათებს ძახილის ინტონაცია. მასწავლებელი განმარტავს ამ უცხო სიტყვას: ინტონაცია ნიშნავს წარმოთქმისას ხმის აწევა-დაწევას (ეს შეიძლება რვეულებშიც ჩავაწერინოთ).

<sup>1</sup> ვ. თ. უ. რ. ა., წოდებითი ბრუნვისათვის..., გვ. 44.

## წოდებითი უოკვის, მისი უწესიისა და ადგილის სწავლება

წოდებითის ფუნქციასა და ადგილში მოსწავლეთა გარკვევისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, მიზნობრივად შერჩეული ნიმუშების საფუძველზე ვაჩვენოთ მიმართვის ფუნქცია წინადადებაში და, მეორეც, ერთსა და იმავე მაგალითში მიმართვის გადაადგილებითა და წინადადებაში სხვადასხვა ადგილზე მოთავსებული მიმართვების ანალიზით გაარკვიოს ის ადგილი, რომელიც მიმართვას უჭირავს.

წინადადებაში მიმართვის ადგილი და ფუნქცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. პირველით განისაზღვრება მეორე; ამიტომ ამ ორი მოვლენის სწავლება ცალ-ცალკე, ერთმანეთთან დამოუკიდებლად კი არ ხდება, არამედ ერთად, ერთდროულად.

უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეებს მაგალითებით უნდა ვუჩვენოთ, რომ მიმართვას წინადადებაში არ უჭირავს ერთი განსაზღვრული ადგილი. იგი შეიძლება იყოს თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც. ამ ადგილს განსაზღვრავს მიმართვის ფუნქცია. ასე, მაგალითად: 1. მიმართვა წინადადების თავში უმეტესად მაშინაა, როცა მოსაუბრეს სურს მსმენელის ყურადღების მიპყრობა: „სოლომან, მომკლავთუ ამ ერთ თვეში არ მომეცი ფული (დ. კლდ.); 2. მიმართვა შუაში მაშინაა, როცა მოსაუბრის ყურადღება მახვილდება წინა ნათქვამზე: „რას გვემართლებოდით, ყმაწვილო, წუხელ რომ გაგვლანძღეთ?“ (ე. წინ.); 3. საპასუხო წინადადებაში მიმართვა შუაში ან ბოლოშია, უმეტესად კი ბოლოში გვხვდება: „უკანასკნელი გროში წამართვა იმ უხვირო ქაიხოსრომ და რაღა მოგცე, ძმაო“ (დ. კლდ.).

ეს ცნობები მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, მაგრამ VII კლასის მოსწავლისათვის არ არის აუცილებელი მათი მთლიანად მიწოდება, რადგან, ჯერ ერთი, მიმართვის სწავლებას მეტად განსაზღვრული დრო აქვს დათმობილი (1 საათი) და, მეორეც, ზოგჯერ მწერალი აღნიშნულ წესებს ზუსტად ვერ იცავს. ამიტომაც ჩვენი მთავარი ამოცანაა მოსწავლეები გავარკვიოთ ზოგადად მაინც მიმართვის ადგილსა და ფუნქციაში. ადგილის შესახებ მათ უნდა იცოდნენ, რომ წინადადებაში მიმართვის გადაადგილება შეიძლება. ფუნქცია კი იმ პირის ყურადღების მიპყრობაა, ვისაც მივმართავთ საუბრისას.

აქა-იქ შესაძლებელია მიმართვას ავტორის ენაშიც წავაწყდეთ. მაგ.: „უადგილო არ იქნება, მკითხველო, უფრო დაახლოებით გავაცნოთ ტარიელ მკლავაძე“ (ე. წინ.).

მიმართვას ვხვდებით დიალოგებში, საქმიან მიმოწერებში: „ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო! ჩემისთანა ლარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს სახსოვრად“ (ა. ყაზბ.). მიმართვა შეიძ-

ლება შეგვხვდეს ლირიკულ ნაწარმოებში თანამოსაუბრის გარეშე უსულო საგნებთან: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუბუბუბებ“ (ნ. ბარ.); „ერთს ქართველურად კიდეც შექმახებს, არაგვო. მაგ შენ ამწვანებულ მთებს“ (ნ. ბარ.). მსგავს მაგალითებში მწერლის მიზანია მეტყველების ემოციურობის გაძლიერება. ასეთ შემთხვევებში უსულო საგნები და მოვლენები გასულდგმულებულად არიან წარმოდგენილი.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ მწერალმა შეიძლება მიმართვა იხმაროს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. პირველის მაგალითად გამოდგებოდა: „კმარა, ჩემო შვილიკო, კმარა, თორემ იცოდე, ნამდვილ სახელს წაგართმევ და „მიყიდეს“ გიწოდებ“ (ი. გრიშ.), ხოლო მეორეს ნიმუში იქნება: „ყმაწვილო, ყმაწვილო, ღუელი დაგავიწყდა!“ (ე. ნინ.).

### გაუპრობადი და გაუპრობილი მიმართვის სწავლება

სანამ გაუპრობელ-გაუპრობილი მიმართვის გაცნობაზე გადავიდოდეთ, მანამ საჭიროა ყურადღება მიექცეს მიმართვის ფორმების არასწორად ხმარების შემთხვევებს. ამ მხრივ მდიდარ მასალას იძლევა თვით სასკოლო ცხოვრებაზე დაკვირვება. სკოლაში ზოგჯერ მასწავლებელიც უშვებს შეცდომას, როცა ასე მიმართავს მოსწავლეს: „კოპალიანი, გამოდი დაფასთან“, „ტყეშელაშვილი, გასწორდი!“ ეს ხდება მიმართვად გამოყენებული საკუთარი სახელების ანალოგიით და ზოგჯერ რუსული ვნის გავლენით. მიღებულია წესად, რომ „სკოლაში მასწავლებლის მიერ მოსწავლის გამოძახებისას სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული გვარების ხმარება წოდებითში ამაჟამად უმართებულოდ ხმარებული სახელობითის ნაცვლად: ასათიანო, გომართელო, დავითაშვილო..., ხოლო სიაში ან ქურნალში ამოკითხვისას — სახელობითში: ასათიანი, გომართელი, დავითაშვილი და სხვ.“<sup>1</sup>

გაუპრობელი და გაუპრობილი მიმართვის გასაცნობად ჯერ ვიღებთ წინადადებას, სადაც მიმართვა ერთი სიტყვითაა გამოხატული, შემდეგ კი იმავე წინადადებაში მიმართვას გავაგრძობთ: „ძმაო, შენს ჩამოსვლას მოუთმენლად მოველი!“ წინადადების ანალიზით გარკვევა, რომ „ძმაო“ არსებითი სახელია. იგი მიმართვის ფორმაა და გამოხატულია ერთი სიტყვით, ხოლო წინადადებაში „ჩემო საყვარელო ძმაო, შენს ჩამოსვლას მოუთმენლად მოველი!“ მიმართვა გამოხატულია სამი სიტყვით — ნაცვალსახელით, ზედსარ-

<sup>1</sup> წოდებითი ფორმის დაბოლოება /ა. შანიძის მოხსენების მიხედვით /: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956, გვ. 58.

თავითა და არსებითი სახელით. კეთდება დასკვნა: ერთი სიტყვით გამოხატულ მიმართვას გაუერცობელი ეწოდება, ერთზე მეტი სიტყვით გამოხატულს კი — გაერცობალი<sup>1</sup>.

წარმოებს ვარჯიშობა ანალოგიურ მაგალითებზე:

„ჩემო კარგო ქვეყანა, რაზედ მოგიწყენია“ (ი. ჭავჭავაძე);

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?“ (ი. ჭავჭავაძე);

„ჩემო პირველო მეგობარო, როდის გვეწვევი სოფელში?“ გაერცობილ მიმართვას ხაზი გაესმის და აღინიშნება, თუ მეტყველების რომელი ნაწილია წოდებითში დასმული. ამასთან დაკავშირებით შეიძლება კლასს მივცეთ ასეთი სახის სავარჯიშოც:

გაუერცობელი მიმართვა

მე, ხორეშან, დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს.

ნინო! ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს სახსოვრად.

ჩემს შეილს, პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში.

რა მშვენიერი რამა ხარ. ქვეყანავე!

ნიკო! ხვალ ფრთხილად უნდა იარო“ (ე. გაბ.).

გაერცობილი მიმართვა

მე, ჩემო გულითაღო მეგობარო ხორეშან, დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს (ი. ჭავჭავაძე).

ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო! ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს სახსოვრად (ა. ყაზბ.).

ჩემს შეილს, ჩემო პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში (დ. კლდ.).

რა მშვენიერი რამა ხარ. დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავე! (ი. ჭავჭავაძე).

ჩემო ერთადერთო იმედო ნიკო, ხვალ ფრთხილად უნდა იარო.

აქვე მოსწავლეებს პირის ნაცვალსახელების ბრუნებიდან მოვაგონებთ შემდეგს: საერთოდ პირის ნაცვალსახელები (შენ, თქვენ) არ იბრუნვის. ოღონდ წოდებითში დაყენებულ სხვა სიტყვასთან „შენ“, „თქვენ“ ბოლოკიდურ ნ-ს ჩამოიკვეცს<sup>2</sup>. „ერთი-ორი შეპატიყებით

<sup>1</sup> ტერმინები „გაუერცობელი“. „გაერცობილი“ მოსწავლისათვის ნაცნობია მარტივი წინადადების სინტაქსიდან, ამიტომ მათზე საგანგებოდ შეჩერება არ არის საჭირო.

<sup>2</sup> მიმართვის ფორმების შემოკლებას /ქა, ვა.../ კლასში არ ვეხებით. რადგან, ჯერ ერთი, ძნელია და, მეორეც, იგი ხშირად არ გვხვდება. VII კლასის „მშობლიურ ლიტერატურაში“ მისი ხმარების შემთხვევები იშვიათია.



რავა დარჩებოდა, შექალო!“ (დ. კლდ.), „რატომ ხარ ასე წინდაუხედავო, შეუბედურო!“ (დ. კლდ.); „მაგ წანწალით ვშოულობ, შედალოცვილო, ორიოდ გროშს“ (დ. კლდ.); „ბავშვს დასამუწავებლად ბარემ აქვე დავამწყვდევდი ოთახში, ჯალა რუხეთში ავხაენდიო, თქვე დალოცვილებო“ (დ. კლდ.). ყურადღება ნახვილდება ემოციურ იერზე, რომელიც ზოგჯერ მიმართვას ახლავს. მიმართვის ემოციური იერი კი დამოკიდებულია ორ პირობაზე: 1. სიტყვის მნიშვნელობაზე (მაგ., ახსანაგო, მეგობარო, ვშობლიურო, საყვარელო და ა. შ.) და 2. სიტყვის ფორმაზე, ემოციურობის გამომხატველ სუფიქსებზე (მაგ., დედილო, მამილო, დედიკო, მამიკო, დაიკო, თამრიკო, ძმობილო და სხვ.)<sup>1</sup>; მაგალითები: „მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ“ (გ. ტაბ.); „ესეც ვალია, ძმობილო, ძლივღა დავათრევ ფეხებსა“ (ვ. ჯა); „ბებიკო, ჩემო დიდედა; ბებიკო, გენაცვალები“ (რ. ერ); „თავს შემოგველოს თამიკო, დედიკო. გენაცვალო“ (შ. მღ.).

ანალოგიურ მაგალითებზე ვარჯიშობით გაიჩვენება როგორც მიმართვად გამოყენებული სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობა, ისე მათი სუფიქსებიც, რომლებიც ალერსს გამოხატავენ.

## სასანი ნიშნების სწავლა მიმართულებით

ჯერ კიდევ IV კლასში ეცნობიან, რომ მიმართვა წინადადებისაგან მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა. მიუხედავად ამისა, V კლასის მოსწავლეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მიმართვასთან სასვენ ნიშნებს სწორად ვერ ხმარობენ. ჩვენ ამ მიზნით შევამოწმეთ თბილისის ქუთაისის და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის V კლასელთა საკონტროლო, საკლასო და საშინაო წერითი ნაშუშევრები და გამოიჩვენა, რომ წესებს მოსწავლეები პრაქტიკულად ვერ იყენებენ, უშვებენ შეცდომებს. აი, საკონტროლო ნაწერებიდან აღებული ნიმუშები:

„ამ დროს ჩამოიარა გიორგი კუჭატენლა. არსენამ უთხრა გამარჯობა გიორგი“.

„არსენა რადა ხარ ჭკუა თხელია, უთხრა გიორგიმ“.

„ძამო რა ტკბილად, რა უდარდელად

ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ“.

„ვიცი მე ძმაო არ გამიწყრები“ და სხვ.

ჩვენ გადავთვალე რეთ VII კლასის მოსწავლეთა წერითი ნაშრომებიც მიმართვის სწავლებამდე, სწავლების პროცესში და სწავლების

<sup>1</sup> П. И. Колосов, Обращение: Мотивические разработки по грамматике Сборник статей, Москва, 1949, стр. 266.

შემდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, მიმართვის სწავლებამდე მოსწავლეები თითქმის იმავე ხასიათის შეცდომებს უშვებენ, როგორც V კლასის მოსწავლეები. შეცდომათა რაოდენობა შესამჩნევად კლებულობს თემის სწავლების პროცესში, მაგრამ გასაკვირია, რომ ერთიორად მატულობს თემის შესწავლის შემდეგ, განსაკუთრებით ეს შესამჩნევია წლის ბოლოს, გამოსაშვებ საგამოცდო წერით ნამუშევრებში. გამოვლინდა ისიც, რომ მოსწავლეებს უფრო უჭირთ სასვენი ნიშნების დასა ისეთ მიმართვასთან, რომელიც გავრცობილია და წინადადების ბოლოში დგას. აი, ორიოდ მაგალითი მოსწავლეთა ნაწერებიდან: „რატომ მოეპყარი იმ კაცს ასე ცუდად ჩემო დესპინე. უთხრა სპირიდონმა ცოლს“.

„მეც მინდა რუსული წიგნის სწავლა საყვარელო დედოკო“.

„სპირიდონმა ტარიელს დაუძახა „თქვენთან ერთი პატარა სიტყვა მაქვს ტარიელ მკლავადევი!“

„ჩემს შვილს უშველებელი კალამი უჭირავს ხელში ჩემო პლატონ“.

ანალოგიური ხასიათის შეცდომები გაუფრცობელ მიმართვასთანაც შეიმჩნევა, როცა იგი წინადადების ბოლოშია: „ბესარიონმა უთხრა მოსაპსახურეს: „სოლომანს ჯორი ჩამოართვი ბიჭო“.

„რა დროს შარშანდელ ამინდზე საუბარია ქალო“.

ზუსტად ასეთივე შეცდომები გამოვლინდა XI კლასელთა ნაწერებშიც. ჩვენ ქუთაისის განათლების განყოფილებაში გადავათვალიერეთ მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილი 250-მდე მოსწავლის საკონტროლო წერიტი შრომები. თითქმის არ შეიმჩნევა პუნქტუაციური შეცდომები წინადადებათა თავში მოთავსებულ მიმართვასთან, მაგრამ ხშირია შეცდომები შუაში და ბოლოში მყოფ მიმართვებთან. მოგვყავს სათანადო მაგალითები მოსწავლეთა ნაწერებიდან:

„პოგესალმებით ქედებო მომაქვს სალამი გვიანი“.

„შენს საყვარელ სახელს ვფიცავ მშობლიურო ჩემო მიწაე!“.

„ჩვენ მშვიდობა გვინდა და თქვენ კი ომი გწყურიათ მილიონე ერებო“.

„ლონე თუ არა ენა ხომ მოგცა გამჩენმა ჩემო ბიძია“ (მოსწავლეს ეს მაგალითი „გვადი ბიგვადან“ აქვს მოყვანილი).

1957 წელს, III მეოთხედში, როცა მოსწავლეებს უკვე შესწავლილი ჰქონდათ მიმართვა, ჩვენ ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის VII კლასში ასეთი დაკვირვება მოვახდინეთ: მოსწავლეებს ვუკარნახეთ ტექსტი, სადაც მიმართვა თავშიც იყო, ბოლოშიც და შუაშიც.

ნაწერთა გასწორებისას გამოირკვა, რომ მოსწავლეები შეცდომას უშვებენ, მძიმეს არ სვამენ შუაში და ბოლოში მოთავსებულ მიმართვებთან; არც ერთი შეცდომა არ იყო თავში დასმულ მიმართვასთან. შუაში მოთავსებულ მიმართვასთან სამი სახის დარღვევას ჰქონდა ადგილი: ან სულ არ იყო მძიმეები, ან ერთი მძიმე იყო დასმული (ზოგან მარჯვნივ და ზოგან მარცხნივ).

ასევე შეცდომებს უშვებენ მოსწავლეები სასვენი ნიშნების დასმაში წინადადების ბოლოს მოთავსებულ მიმართვასთან. მაგრამ უფრო უჭირთ მათ წინადადების შუაში მოთავსებული მიმართვის სასვენი ნიშნებით გამოყოფა. ეს თითქმის ყველა სკოლაში შეიმჩნევა და ამიტომ ჩვენ ასეთი სახის შეცდომებს ტიპობრივ შეცდომებად ვთვლით.

ამ შეცდომების გამომწვევი მიზეზებია: 1. მიმართვისათვის გამოყოფილი არასაკმარისი დრო (1 გაკვეთილი); 2. ვარჯიშობის უგულვებელყოფა. მდგომარეობა გამოსწორდება, თუ ახსნას და ვარჯიშობას საკმარის დრო დაეთმობა.

ყოველივე ეს წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვასწავლით მიმართვასთან სასვენი ნიშნების ხმარებას.

რადგანაც მოსწავლეები ხშირად უშვებენ შეცდომებს შუაში მოთავსებულ მიმართვასთან, ამიტომ უმჯობესია იგი ბოლოს გადავიტანოთ. მაშასადამე, სწავლებისას უნდა დავიცვათ ასეთი თანამიმდევრობა: მიმართვა თავში, ბოლოში და შუაში და სასვენი ნიშნება მასთან.

კიდევ ერთი შენიშვნა: ხახელმძღვანელოში სასვენი ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებით მოყვანილი მაგალითი „პო, ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო (ი. ქავკ.) სწავლების ამ ეტაპზე არ გამოდგება, რადგან მასში მოცემულია მიგებითი ნაწილაკი (პო), რომელსაც მოსწავლე არ იცნობს.

პირველად ვიღებთ ისეთ წინადადებას, სადაც მიმართვა თავშია და მძიმითაა გამოყოფილი: „ნიკო, შენგან უნდა მივიღო ჩემი სამაშვლო“ (დ. კლდ.). დაკვირვება მიმდინარეობს მიმართვის ადგილზე, სასვენ ნიშანსა და წარმოთქმაზე. ამ ნიშნების მიხედვით კეთდება დასვენა. შემდეგ ვაცნობთ ძახილის ნიშნის ხმარებას; მაგალითად: „სულ ბოროტო! ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად?“ (ნ. ბარ.). აღინიშნება, რომ აქ მიმართვა წარმოთქმის ძლიერი გრძნობითა და დაყოვნებით (პაუზით). ასეთ შემთხვევაში მიმართვას ძახილის ინტონაცია ახასიათებს, რაც წერაში ძახილის ნიშნით აღინიშნება. ვასკენით: თუ მიმართვა წინადადების თავშია, ის გამოიყოფა მძიმით

ან ძახილის ნიშნით. ძახილის ნიშანი დაისმის მაშინ, როცა მიმართვა ძლიერი გრძნობითა და პაუზით არის წარმოთქმული<sup>1</sup>.

წინადადების ბოლოს მოქცეულ მიმართვასთან სასვენი ნიშნის გასაცნობად ვიღებთ სამ წინადადებას: „სოფლიდან გუშინ ჩაპოვედი, ჩემო ძვირფასო ბებიკო“; „ვიღაცამ ძალლი მოგვიკლა, კაცო!“ (ე. ნინ.); „აღექსა სად არის, დედა?“ (ნ. ლომ.) აღინიშნება, რომ პირველ წინადადებაში მიმართვა ერთი სიტყვითაა გამოხატული. მოთავსებულია ბოლოში და ამიტომ მის წინ მძიმეა საჭირო. წინადადება თხრობითია და ბოლოში წერტილი დაისმის.

ამავე წესით გაირჩევა მეორე და მესამე წინადადება. ეძლევათ წესი: თუ მიმართვა ბოლოსაა, ის თავისი ამხსნელი სიტყვებით წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა, შემდეგ კი ის ნიშანი მოდის, რაც წინადადებას შეეფერება: წერტილი, ძახილისა თუ კითხვის ნიშანი.

ხანგრძლივ ვარჯიშობას მოითხოვს სასვენი ნიშნების დაუფლება შუაში მოთავსებულ მიმართვასთან. საანალიზოდ უნდა შეირჩეს ჯერ გაუვრცობელი მიმართვა, შემდეგ კი — გავრცობილი: „ჩოყოლა მქვიან, ძმობილო, ალხასტაისძე გვარადა“ (ვაჟა); „ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა“ (დ. გურამ.) შუაში მოთავსებული მიმართვა ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყო. კეთდება დასკვნა: თუ მიმართვა წინადადების შუაშია მოქცეული, მას ორივე მხრიდან მძიმე უნდა.

დაბოლოს, შეიძლება გავაანალიზოთ ისეთი წინადადება, სადაც ერთი და იგივე მიმართვა თავშიც იქნება, ბოლოშიც და შუაშიც: „ბატონო ქაიხოსრო, პატიოსანი კაცი ბრძანდები და პატიოსან საზოგადოებაში იმყოფები“ (დ. კლდ.); „პატიოსანი კაცი ბრძანდები და პატიოსან საზოგადოებაში იმყოფები, ბატონო ქაიხოსრო“; „პატიოსანი კაცი ბრძანდები, ბატონო ქაიხოსრო, და პატიოსან საზოგადოებაში იმყოფები“. აქ ყურადღება მახვილდება იმაზე. თუ რატომაა მძიმე და კავშირის წინ.

აქვე გაანალიზდება რამდენიმე მიმართვიანი წინადადება: „დაო, დაო, რა მიყავ, რისხვა რად დამეც მეღგაო“ (ვაჟა). აღინიშნება, რომ წინადადებაში რამდენი მიმართვაც უნდა იყოს, ყველა სასვენი ნიშნებით გამოიყოფა. ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე უნდა გაახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ ზოგჯერ მწერალი მიმართვას სტილისტიკური მიზნით იყენებს, მისი საშუალებით ახასიათებს მოქმედ პირს. ზოგჯერ მოქმედი პირი უშვერი სიტყვებით მიმართავს

<sup>1</sup> ასეთ შემთხვევაში ძახილის ნიშნის შეცვლა ყოველთვის შეიძლება მძიმით, როგორც სამართლიანად მიუთითებს ე. რამიშვილი. იხ. მისი „პუნქტუაციის სწავლების მეთოდთა“, გვ. 141.

თანამოსაუბრეს („ძალეზო“, „ლაჩარო“, „დიაცეზო“, „ბუგრიანო“, „ქეციანო“, „უხეიროვ“ — გვხვდება „ხევისბერ გოჩაში“, „თავეზ-დო“. „ქოფაკო“ — „სტუმარ-მასპინძელში“), ზოგჯერ კი ალერსით („ძმობილო“, „ჩემო ყველა“, „ბიძი“, „ძვირფასო“, „მეგობარო“, „შვილიკო“...), ზოგჯერ კიდევ ბატონყმური დამოკიდებულების გამოხატველი სიტყვებით („ბატონო“, „კნენინა“...).

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე, ტექსტზე მუშაობის პროცესში უნდა ვაწარმოოთ აღნიშნულ ფორმებზე დაკვირვება. მასწავლებელმა მათ სათანადო ახსნა-განმარტება უნდა მისცეს.

საერთოდ, მიმართვის ღრმა და საფუძვლიანად შესწავლა მოითხოვს ხანგრძლივ და მრავალფეროვან ვარჯიშობას, როგორცაა:

1. მიმართვიანი წინადადების ანალიზი;
2. მიმართვიანი წინადადების დაფიდან გაღმოწერა და სასვენო ნიშნების დასმა;
3. გაუწერებელი მიმართვის გავრცობილად გადაკეთება;
4. მოცემული სიტყვების (პიონერი, კომკავშირელი, მასწავლებელი, სპორტსმენი. აკაკი, ილია, ვაჟა, ფხაკაძე, ლოქვირი, სანაია, ბართაია, გაფრინდაშვილი, ალექსანდრე ლლონტი...) მიმართვად გადაკეთება და წინადადების შედგენა.
5. ტექსტიდან თხრობითი წინადადების ამოწერა და მისი კითხვითად გადაქცევა ისე, რომ ქვეშედებარე მეორე წინადადებაში მიმართვად გადაიქცეს. ნიმუში:

თხრობითი წინადადება  
ლა თეატრში მიდის.

პიონერები ვმზადებიან ფესტივალისათვის.

მიმართვიანი კითხვითი წინადადება  
ღია, თეატრში მიდისარ?

პიონერებო, მოემზადეთ ფესტივალისათვის?

მასწავლებელს შეუძლია სურვილისამებრ შეარჩიოს სავარჯიშოები და არ გადატვირთოს მოსწავლეები ზედმეტი მასალით<sup>1</sup>.

### მიგვაბითი ნაწილაკები

მიგვაბითი ნაწილაკები ორ ჯგუფად იყოფა: დადასტურებით და უარყოფით ნაწილაკებად. დადასტურებითი ნაწილაკებია: დიახ, ჰო, კი, ხოლო უარყოფითი — არა, ვერა.

სალიტერატურო ენაში დადასტურებითი ნაწილაკებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია კი, შემდეგ მოდის დიახ, ხოლო უფრო იშ-

<sup>1</sup> მიმართვის სწავლებასთან დაკავშირებული სავარჯიშოების ნაწილი აღებული გვიქვს ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის I საშუალო სკოლის მასწავლებელ ე. ლ. გ. ნ. ი. ნ. ა. შ. ო. ნ. ი. ა. ს. პრაქტიკიდან.

ვიათად იხმარება ჰო. უარყოფითი ნაწილაკებიდან კი არა უფრო გავრცელებულია, ვიდრე — ვერა.

მიგებითი ნაწილაკები შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: ისეთ ნაწილაკებს, რომლებიც კითხვის პასუხად დასტურს ან უარყოფას გამოხატავენ, მიგებითი ნაწილაკები ეწოდება.

### ა) დადასტურებითი ნაწილაკები

კი ნაწილაკს მეტყველებაში არა მარტო ნაწილაკის ფუნქცია აქვს, არამედ იგი ზოგჯერ კავშირდაც და მეტყველების სხვა ნაწილადაც გვევლინება. ზოგნი მას ზმნიზედად თვლიან, მაგრამ ზმნიზედისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიურ-სინტაქსური და სემანტიკური თავისებურებანი სრულიად უცნობა კი ნაწილაკისათვის<sup>1</sup>.

ცნობილი რუსი ენათმეცნიერი ა. შახმატოვიც კი ორპოფობდა, მეტყველებას როგელი ნაწილისათვის მიეკუთვნებინა კი (და) ნაწილაკი. პირველად ა. შახმატოვი მას თვლიდა ზმნიზედად. შემდეგ შორისდებულად მიიჩნია. მაგრამ ანას შენიშვნა დაურთო: „*Итак*

*ли да междометие: это — наречие. Может быть, наречие*“<sup>2</sup>.

ა. შახმატოვის ეს მოსაზრება სპეციალისტებმა არ გაიზიარეს.

ქართული ენისათვის კი ნაწილაკის ზმნიზედად მიჩნევა არ იქნება განართლებული.

დიახ ნაწილაკი გამოხატავს დასტურს, თანხმობას (კითხვაზე პასუხის გადემისას). მაგრამ ამავე დროს მას აქვს ჩართული ნაწილაკის ფუნქციაც, რომელიც გვიჩვენებს გამოთქმული აზრის უდაობას, უეჭვილობას<sup>3</sup>. დიახ ნაწილაკის ეს ორი ფუნქცია მკვეთრად და გამოიჯნული.

ჰო ნაწილაკიც დასტურს გამოხატავს. იგი ნაკლებად გავრცელებულია და ეს ალბათ იმიტომ, რომ მას ცოტა სხვა ელფერიც გადაჰკრავს.

დადასტურებითი ნაწილაკები კი, დიახ, ჰო ერთურთის შიშართ სინონიმებია. მათ ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ. კითხვაზე პასუხისას ისინი აზრობრივ სხვაობას ვერ ქმნიან. მაგრამ მათ შორის დაახლოებით ისეთივე განსხვავებაა, როგორც, მაგალითად, „მოდი“ და

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. მ. ჩინჩალაძე, ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955, გვ. 15 — 16.

<sup>2</sup> А. А. Шахматов, Спутники русского языка, 1941, стр. 194.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, 1953, გვ. 1665.

„მოპრძანდი“-ს შორას. უფროსებთან ან მოსარცდებელ პირთან დილოგისას კითხვაზე დ ი ა ხ-ით მიუვებთ<sup>1</sup>.

## ბ) უარყოფითი ნაწილაკები

• უარყოფითი ნაწილაკებია: ა რ ა და ვ ე რ ა რომელთაც, მართალია, უუნქცია ერთი აქვთ, მაგრამ ისინი სემანტიკურად განსხვავდებიან. მათი ხმარება ერთიჲორის მაგივრად შეუძლებელია, რადგან „ა რ ა“ ნაწილაკი მარტივად უარყოფს პასუხს, „ვერა“ კი მოქმედების შეიღებას გამოიციხავს, შეუძლებლობას აღნიშნავს.<sup>2</sup>

ა რ ა ნაწილაკი ზმნისართად არის გაგებული „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“ და განმარტებულია, როგორც „უარყოფითი სიტყვა (საპირისპირ. ჰო, კი, დიახ)“<sup>3</sup>. ასევე ზმნისართად არის კაგებული იმავე ლექსიკონში<sup>4</sup> ვ ე რ ა: „ვერა ზმნს. უარყოფის სიტყვა; აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება შეუძლებელია (ვინმესთვის)“<sup>5</sup>.

სტილისტიკური თვალსაზრისით დადასტურებითი ნაწილაკები „კი. ჰო. დიახ — სულ სხვადასხვა ემოციურ იერს შეიცავს“<sup>6</sup>.

## მიგებითი ნაწილაკი წინადადების ნეკაღ და წინადადების პაკვიპაღნგაღ

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიგებითი ნაწილაკი სიტყვა-წინადადებას წარმოადგენს, წინადადებას ცვლის, მის მაგივრობას ეწევა და, აზღენად, წინადადების ეკვივალენტად გვევლინება. ეს დასაბუთებულია. ა. შანიძე წერს: „ეა (მიგებითი) ნაწილაკები იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას ეწევიან“ (ხაზი ჩეხია — რ. შ.)<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, სოხუმო. 1956, გვ. 110.

<sup>2</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 532 — 533.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, 1955, გვ. 49.

<sup>4</sup> ზ უ რ ა ბ ჰ უ მ ბ ზ რ ი ძ ე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 38.

<sup>5</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 630; და: კ ა ნ ტ რ ი ა, სიტყვათა და წინადადებათა შემოკლების შემთხვევები გარეკახურში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომებას კრებული. I. 1941, გვ. 179; ე. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული, ტფილისი, 1921 — 1924, გვ. 76; ალ. დლონტი, ა რ და ვ ე რ ნაწილაკები ქართულში: სტალინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955, გვ. 258.

თუ როგორი წინადადების მაგივრობას ეწევა მიგებითი ნაწილაკები, სად, რა შემთხვევასა და პირობებში, ამის შესახებ ქვემოთ გვეჩვენა საუბარი.

თქვულს უნდა დავსძინოთ ისიც, რომ მიგებითი ნაწილაკები არა მარტო წინადადების როლში გამოდიან, არამედ შეუძლიათ გარკვეულ შემთხვევაში წინადადების ყველა წევრის (ქვემდებარის, შემასმენლის, დამატების, განსაზღვრების, გარემოების) მოვალეობაც შეასრულონ. მაგრამ ეს მხოლოდ პირობითად. სტრუქტურულად, რა თქმა უნდა, იგი არც წინადადების წევრია და არც წინადადება, ფუნქციონალურად კი ერთას როლსაც ასრულებს და მეორისაც, იგი წინადადების წევრის ეკვივალენტია, ან წინადადების ეკვივალენტია, რადგანაც წინადადება ერთ-ერთი სახის შესიტყვებაა, მიგებითი ნაწილაკები კი შესიტყვებას არ ქმნიან.

მიგებითი ნაწილაკები რომ მთელ წინადადებას ცვლის, მის მაგივრობას ეწევა, ამას ამტკიცებს მაგალითები:

— ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

— არა, სტავროპოლში ვიყიდე (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 16).

...თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის. ეგ იმასა ნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმის?

— დიალ, კარგად (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 16).

ამ შემთხვევაში ჩვენ მიგებითი ნაწილაკების (არა, დიალ) საშუალებით გამოვხატავთ განსაზღვრულ მსჯელობას (პირველ შემთხვევაში: „ეს ჩაი მოსკოვისა კი არ არის, სტავროპოლში ვიყიდე“, ხოლო მეორე შემთხვევაში — „მე მესმის, კარგად მესმის, რომ ჩემი ქვეყანა არ არის განათლებული, ბნელია“); ამდენად, მიგებითი ნაწილაკები არა უბრალო სიტყვაა, არამედ სიტყვა-წინადადება. ვფიქრობთ, მართალი არიან რ. ავანესოვი და ვ. სიდოროვი, რომლებიც მიგებითს ნაწილაკებს თვლიან ისეთ სიტყვებად, რომლებიც „გაოხხატავენ ცალკეულ დამთავრებულ გამოთქმებს და, ამგვარად, წარმოადგენენ განსაკუთრებულ სიტყვა-წინადადებაებს“<sup>1</sup>. ასეთი სიტყვა-წინადადებანი ისევე გასაგებია ჩვენთვის, როგორც ჩვეულებრივი წინადადება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Р. И. Аванесов и В. Н. Сидоров, Очерк грамматики русского литературного языка, часть I, фонетика и морфология, Москва, 1945, стр. 231.

<sup>2</sup> И. А. Попов, Небольшие предложения в современном русском языке: Труды института языкознания, т. II, Москва, 1953, стр. 20.



მიგებითს ნაწილაკებს ჩვენ ვხვდებით არა მარტო თანამოსაუბრის პასუხში, არამედ მონოლოგებშიც, ყველაზე უფრო ხშირად კი შემინწევა დიალოგებში კითხვის პასუხად.

განვიხილოთ დაწერილებით ისეთი წინადადებები, რომლებიც გამოხატულია მხოლოდ და მხოლოდ მიგებითი ნაწილაკებით.

პო, კი, დიახ პასუხში ყოველგვარი წინადადებების ეკვივალენტად გვევლინება. ასე, მაგალითად, იგი შეიძლება იყოს ეკვივალენტი მთელი წინადადებისა:

— ღმერთმა დამიფაროს, მაგას როგორ ამბობთ?! განა იმიტომ გავადგდებინე მგელს პირიდან, ახლა მე ვქცეულიყავ მგლად? არა (ეაჟა, VI, გვ. 137).

— დედა ტირის?

— პო! (დ. კლდ., I, გვ. 201).

— მაშ შენ მოჩვენება არა ხარ? — შეკვივლა გლახამ.

— არა (ი. ჰევკ., II, გვ. 121).

ასეთი შემთხვევები არა მარტო დიალოგებში გვხვდება, არამედ მონოლოგებშიც, გაბმულ მეტყველებაში, უმეტესად ავტორის რემარკებში; მაგალითები:

რალა გეტოვებენ (მერცხლები) ასე აღრე? ნუთუ აგრილების გამო?

— არა (ი. გოგ., გვ. 119).

განა ის ისეთი კაცია, რომ საბუთად დაიპიროს რამე?! არა: (აჟაი, IV, გვ. 117).

დიალოგებში მიგებითს ნაწილაკებს შეუძლიათ შეასრულონ მარტივი ან შედგენილი შემასმენლის, ქვემდებარის, დამატების განსაზღვრებისა და გარემოების (აღვიღის, დროის, ვითარების) მოვალეობა. მიგებითი ნაწილაკები ასეთ შემთხვევაში წინადადების წევრებს ცვლიან, მათ მაგივრობას ეწევიან.

1. მიგებითი ნაწილაკი მარტივი შემასმენლის მაგიერია:

არჩილმა ხელმეორედ ჰკითხა (კესოს):

— შე ი რ თ ა ვ დ ი ?

— არა (ი. ჰევკ., II, გვ. 317).

— მაშ, არ სთხოვდები?

— არა (ი. ჰევკ., II გვ. 97).

— ბესარიონ, ცოლ-შვილს გაფიცებ... ხომ არავინ შემოგძლევია ამ დღეებში...

— რალაზე დაგიმალო!

— შე მ ო გ ე ძ ლ ი ა ?

— კი (დ. კლდ., I, გვ. 60)..

2. მიგებითი ნაწილაკები შედგენილი შემასმენლის მონაცვალეა:  
 — ოხ, ალექსი, ჭაჭაა? — ცბიერად დაეკითხა დახლიდარი.  
 — ჰო!.. — უპასუხა ალექსიმ (ლ. არღ., გვ. 205).
3. მიგებითი ნაწილაკები ქვემდებარეს ენაცვლება:  
 — ოსები არიან?  
 — არა, მოხევევები.  
 — მოხევევები?! — გაკვირვებით იკითხა დიამბეგმა.  
 — დ ი ა ხ, — მისცეს პასუხი. (ა. ყაზბ., I, გვ. 366).  
 — უთუოდ გადია იქნებოდა!  
 — გადია?!  
 — ჰო! — მოკლედ უპასუხა მანარემ და ჩაფქრდა (შ. არაგვ., II, გვ. 471).
4. მიგებითი ნაწილაკი პირდაპირი დამატების მოვალეობას ასრულებს:  
 — ოა აშბაეია, რომ ეს ერთი ხანია ბატონი სადარბაზოდ აღარ დაბრძანდება? ჩაუკეტია კარები და ჩაშწყუფელულა!  
 — სტერიის გუდას თუ ბერაჟს?! — უპასუხა მოხუცმა ცივად.  
 — გუდას?!  
 — ჰო! (აკაკი, IV, გვ. 100).
5. მიგებითი ნაწილაკები უბრალო დამატებად გამოდის:  
 — შენთან მაქვს საქმე, შენთან მოველ სალაპარაკოდ.  
 — ჩემთან? — გაიკვირვა ონისემ.  
 — ჰო (ა. ყაზბ., I, გვ. 203).  
 — ბატონო კაცია, მეფე თქვენზე ცოტათი გამწყურალია!..  
 — ჩემზე?!  
 — დ ი ა ხ, დ ი ა ხ. (შ. არაგვ., II, გვ. 338).
6. მიგებითი ნაწილაკი განსაზღვრების როლს ასრულებს:  
 — დიდხანს ჰყავდა უცნობლადქს?  
 — თუთხვეტი წელიწადი.  
 — ბრეგაძეს?  
 — რვა.  
 — რვა?  
 — ჰო.
- (დ. კლდ., I, გვ. 156).
7. მიგებითი ნაწილაკები ადგილის გარემოების მაგიერია:  
 — ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს... აი სტეფანწმინდის პირდაპირ რა მონასტერია?  
 — თერგ-გაღმით?  
 — დ ი ა ლ (ი. ქაეკ., II, გვ. 26).

— როცა ვ-ნდა, ილოცე და, როცა გინდა, ილანძღე, ეხლა კი, აი წყაროსაკენ გავიაროთ!

— წყაროსაკენ?!

— ჰო. (შ. არაგვ., I, გვ. 375).

8. მიგებითა ნაწილაკები დროის გარემოებას ენაცვლება:

— მაჰ, ხვალ: დიღაღრიანად?!

— ჰო, ჩემო ირმავე!

(შ. არაგვ., II, გვ. 331).

როგორც წინადადებაში ერთი და იმავე წევრის განმეორებით ერთგვარ სტილისტიკურ ხერხს ვალწევთ, ასევე შეიძლება გამეორებულ იქნეს მიგებითა ნაწილაკებიც მტკიცების ან უარყოფისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად; მაგალითად:

— ჰო, ვილაც შევგვრემანი კაცი? დიახ, დიახ, გაიარა, მაგრამ არ დავკვირვებივარ (აკაკი, IV, გვ. 138).

— წაიღნენ, თავი დაგვანებეს?

— ჰო, ჰო!.. დაგვანებეს (ა. ყაზბ., I, გვ. 35).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მიგებითი ნაწილაკები მოქცეულია წინადადების შუაში. ასეთ შემთხვევაში იგი არ წარმოადგენს ჩართულს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ეგონოს კაცს; მაგალითები:

მე ჩუმაღ დავედევნე, კედელ-კედელ, ჰო, დიახ, კედელ-კედელ. (დ. არდ., გვ. 112).

ბოდიშს იმით მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მივებარები, დიაღ, შეგირდად (ი. ჭავჭავ. II, გვ. 295).

მეტად რთულია ინტონაციურად მიგებითი ნაწილაკები. ადამიანის ემოციათა მთელი მრავალფეროვნება შეუძლია გამოხატოს ამ მოკლე პასუხმა — დაწყებული მშვიდი ტონით და დამთავრებულ მუქარის გამოხატვით; მაგალითები:

— ყმაწვილო, თქვენღ სახელი?

— ღურმიშხან.

— დიახ, ღურმიშხან, საარაგვოზე გივლიათ როდისმე?

— არა (დ. ჭონქ., გვ. 40).

— მზაღო, მოეშაღე, შენს გასატაცებლად ჩამოვედი!

— ჩემს გასატაცებლად? — თითქოს შეკრათ.

— ჰო, შენს გასატაცებლად (ა. ყაზბ., I, გვ. 91).

ღუარსაბი. ორას თუმანს, სულ ბაჯაღლო ოქროს?

დაეითი. ჰო (ი. ჭავჭავ., II, გვ. 402).

როგორც დავინახეთ, მიგებით ნაწილაკთა საკომპლექსო ფუნქცია ჩვეულებრივია. იგი მთელი წინადადებისა და მისი წევრების მაგივრობას ეწევა; ეკვივალენტური სიტყვა-წინადადებანი (ჰო, კი, არა...) გრამატიკულად უსტრუქტურია. სინტაქსურად დაუნაწევრებელი, სინტაქსური დამოკიდებულების გარეშე მდგომია, მაგრამ მათი მნიშვნელობა ენაში მეტად დიდია: მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია თანამოსაუბრეს მივაწოდოთ ცნობა რამეზე, ვამტკიცოთ რაიმე ან უარყოთ, აზრთა მთელი კომპლექსა გადმოვცეთ, თანაც გამოვხატოთ გრძნობები, ემოციები და ა. შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიგებითი ნაწილაკები გვხვდება ჩართულის ფუნქციითაც. ეს უმთავრესად შეინიშნება მონოლოგში. ასეთ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა ძხვადასხვანაირია:

1. უჩვენოს, რომ მოქმელი ადასტურებს ან უარყოფს თავისი აზრების სისწორეს და სიმართლეს;

2. მოქმელი უეცრად იგონებს წინათ მხედველობის გარეშე დატოვებულ ვითარებას; ან

3. ზოგიერთის მეტყველებაში ეს ნაწილაკი სიტყვა-პარაზიტს წარმოადგენს; მაგალითები:

აი ხუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ, თუ მანამდინ დაშალდა. დიალ!.. ხუთი წელიწადი იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინებს ჩემი მიწა-წყალი (ი. ქავჭ., II, გვ. 38).

ბატონთან რომ მიმიყვანეს... უბრძანა ბიჭებს, რო შევებით გუთანში. დიახ, გუთანში (დ. ქონქ., გვ. 46).

ჰო, მართლა, ე ფულის ხსენებაზე მომაგონდა (ნ. ლომ., გვ. 114).

ქართული სიმღერა დიალ სასიამოვნოა (ლ. არდ., გვ. 66)<sup>1</sup>.

ზოგჯერ მიგებითს ნაწილაკებთან ერთად გვხვდება სხვათა სიტყვის ნაწილაკები (-მეტქი, -თქვა):

<sup>1</sup> ზოგჯერ მიგებითი ნაწილაკების ფუნქციით დიალოგში გვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებსაც ყველა ჩვენგანი იყენებს და რომელთა ხმარება-გამოყენება დამოკიდებულია პიროვნების განათლების დონეზე, თანამოსაუბრესთან დამოკიდებულებაზე. ასეთი პასუხის ნაცულად მოქმელს შეეძლო ეხმარა მიგებითი ნაწილაკები, მაგრამ ამას განზრახ არ ხმარობს; მაგალითები:

— იცნობ შენ, ოტია?

— აბა რა, ძალიან კარგად (დ. კლდ., I, გვ. 162).

— მამა გყავს? — მკითხა მე.

— არა, შენი ჰირიმი!

— დედა?

— გახლავს / ი. ქავჭ., II, გვ. 47 /.

ხორეშანი. გეუბნები კო-მეტი. ამას შენთვის ვამბობ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 379).

— არა მწყინს-მეთქი, ადამიანო, არ გეყურება?!

— არც გოზინაყი?

— არა-მეთქი, აბაიმე (მ. არაგვი, I, გვ. 21 — 22).

— არა-მეთქი, არა — დაიყვირა დათუამ (ნ. ლომ., გვ. 25).

— არ მინდა... არ წაყვები, არა-თქვა, არა (დ. კლდ., I, გვ. 239).  
აღსანიშნავია ისიც, რომ დადასტურებითს პო ნაწილაკს თან ერთვის გამაძლიერებელი და ნაწილაკი, რომელიც ზოგჯერ ერთად, ზოგჯერ ცალკე და ზოგჯერ დუფისით არის დაწერილი. მაგრამ და ნაწილაკი არა მარტო პო ნაწილაკთან, არამედ ზმნასთან, ჩართულ სიტყვასთანაც გვხვდება; მაგალითები:

— მართლად, ძილში ლაპარაკობდი...

— მე, შველო?

— პო-და შენ.

— მე ძილში ლაპარაკი არ ვიცი.

— ეგრე იყო-და (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 277).

პო და ასე. ვებაასე, ვებაასე, შე მზის გიჟო! (ი. გრიშ., გვ. 387).

— პო და, გაიხარე, შევილოსან, მაგრამ კაი დახვედრა ცი უნდათ მაგ სტუპრებსა (ნ. ლომ., გვ. 114).

როგორც ჩანს, პო და ზოგჯერ დადასტურებითს გარდა ჩართულ ნაწილაკადაც გვევლინება. წესით და ნაწილაკი იმ სიტყვასთან ერთად იწერება, რომელსაც ახლავს<sup>1</sup>.

— მე ვერ ვულალატებ ჩემ სიყვარულს — წავიბუტბუტე არევით.

— რატომ ვერა!<sup>2</sup> ვფიცავ ღმერთსა, რომ იმას ჩემზე უფრო არ უყვარდე და არც ჩემზე ულამაზესი იყოს შენი საყვარელი (აკაკი, IV, გვ. 145).

იქნებ გგონიათ, რომ შიო მღვიმელი ღარიბია და ამისათვის დაიარება ასე დაგლეჯილ-დაფლეთილი? ს რ უ ლ ე ბ ი თ ა ც ა რ ა (ე. გაბ., გვ. 58).

ეგვს ვინმემ იფიქროს, რომ ამგვარი საქმეების ჩამდენი და საქმეში აჩქარებული მამაჩემი მჩატე ქკუის ყოფილიყოს. ს რ უ ლ ი - დ ა ც ა რ ა (აკაკი, IV, გვ. 23).

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1946, გვ. 262; შდრ. იგივე, 1949, გვ. 277.

<sup>2</sup> ზოგჯერ მიგვბითს ნაწილაკებს შებტი დამაჩერებლობისათვის ემატება სიტყვები: რ ა ტ ო მ, ს რ უ ლ ე ბ ი თ ა ც, ს რ უ ლ ი ა დ ა ც და ვღებულობთ რ ა ტ ო მ ვ ე რ ა, ს რ უ ლ ე ბ ი თ ი ა რ ა, ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა.

სასაუბრო ენაში ჰო ნაწილაკის მონაცვლედ ხშირად გვხვდება  
ბ.ო. სალიტერატურო ენა მის ხმარებას გაურბის, მაგრამ შეიძლება  
იშვიათად შეგვხვდეს:

ბ.ო, საკერავი მაქ პაწია და იმიზა დაგიძახე, — უპასუხა მან  
ლიზას (ე. ნინ., „პარტახი“, 1935, გვ. 13).

— თაიგულს წყალში ჩარგვა არ უნდა?

— ბ.ო.

— თაიგულს; ქალო?

— ბ.ო, ბ.ო („ლიტ. გაზეთი“, 1956 წ., 18 მაისი).

„ბ.ო“ ნაწილაკი დიალექტური წარმოშობისაა და მიღებულია  
ჰო-საგან ჰ-ს ხ-დ ქცევით.

### მიგებითი ნაწილაკები (ჰო, არ), პეჩა) — სხვაეტი

ქართული ენის ერთ-ერთ თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ  
მას შეუძლია აბრუნოს „არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნი-  
ზედაც, თანდებულიც, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებუ-  
ლიც, ე. ი. ყოველგვარი სიტყვა“, ყველა სახის მეტყველების  
ნაწილი.

მიგებითმა ნაწილაკმა შეიძლება მთლად დაკარგოს დადასტურე-  
ბისა და უარყოფის ფუნქციები, ბრუნვის ნიშნები მიიღოს, სახელ-  
თა რიგებში ჩადგეს და წინადადებაში გამოყენებულ იქნეს როგორც  
მთავარ, ისე მეორეხარისხოვან წევრებად (შედგენილი შემასმენლის  
სახელურ ნაწილად, ქვემდებარედ, პირდაპირ, ირიბ და უბრალო  
დამატებად).

1. შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილად

ერთი სიტყვით ეს ბარათი ან ჰო არის, ან არა (ი. ჭავჭ.,  
II, გვ. 177).

2. ქვემდებარედ

ამ მაგალითიდან სჩანს, იმ „ახალი რაზმის“ კაცი იმისთანა  
კაცია, რომელშიაც ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე საგან-  
ზედ ჰოც შეიძლება მოთავსდეს და არაცა (ი. ჭავჭ., III,  
გვ. 276).

✓ ამაზე ჰოც ითქმის და არაცა (ი. ჭავჭ., III, გვ. 286).

3. პირდაპირ დამატებად:

— რა გითხრა, ადამიანო?

1 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, თბილისა,  
1942, გვ. 74. იხ. აგრეთვე ი. ჭავჭავაძე, V, 1927, გვ. 95.

— ან ჰო და ან არა და მომკალ კიდეც (ი. ჰავკ., II, გვ. 85).

4. ირიბ დამატებად

შენ ერთხელ მეტყუი „მითხარო“, მე ასჯერ გეტყუი „ვერასა“  
(„ვეფხისტყაოსანი“, 53, 235).

✓ არც „ჰოს“ არ ეტყვის, არც ეტყვის „არას“ (ი. ნონ.,  
ერთ., გვ. 331).

5. უბრალო დამატებად

...ვერას გეტყუი „არას“ მეტსა, რაც უნდა მკითხო (შ. არაგვ.,  
II, გვ. 36). შენს სიკვდილს კიდეც „ჰოს“ თქმა მირჩენია  
(ი. ჰავკ., II, გვ. 85).

ასეთ შემთხვევაში ჰო, არა, ვერა, სემანტიკურად მიგებითი ნაწი-  
ლაკები კი არაა, არამედ სახელების ჩგუფშია გადასული.

### სასკენი ნიშნები მიგებითს ნაწილაკებთან

მიგებითი ნაწილაკები პუნქტუაციურად მრავალფეროვანია. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომელი რა მოძალობის წინადადების ეკვივალენტია ან რა ადგილი უჭირავს წინადადებაში. მათთან უმთავრესად გამოყენებულია შემდეგი სასკენი ნიშნები: წერტილი, მძიმე, ძახილის ნიშანი, ბრჭყალები. მათი დასმა შეიძლება განაწილდეს ასე:

I წესი. თუ მიგებითი ნაწილაკი (დადასტურებითი იქნება ის, თუ უარყოფითი) დიალოგში კითხვაზე პასუხს გამოხატავს და მას არ მოსდევს სხვა სიტყვები, მის შემდეგ წერტილი იწერება; მაგ.:

— რასაც ფრთები არ აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად.  
კაცი ვერ გაფრინდება?

— ვერა. (აკაკი, IV, გვ. 45).

II წესი. თუ მიგებითი ნაწილაკები უშუალოდ კითხვაზე პასუხია და ძლიერ ემოციას გამოხატავს, მაშინ მის შემდეგ ძახილის ნიშანი დაისმის; მაგალითად:

— სასულიერო სასწავლებელში, მამაო?

— დიახ! დიახ! (დ. კლდ., I, გვ. 191).

III წესი. თუ დადასტურების ან უარყოფის გასაძლიერებლად განმეორებულია მიგებითი ნაწილაკი, მაშინ მიგებითი ნაწილაკები ერთმანეთისაგან მძიმეებით გამოიყოფა, ხოლო ბოლოს ძახილის ნიშანი დაისმის; მაგალითები:

ჰო, ჰო! შემატყობინე! მადლია შენთვისაც (ა. ყაზბ., II, გვ. 24).

— მაშ რა გინდა, რა მოგდის, შეილო?.. იქნება კრილობა გაწუხებს?

— არა, არა! — მოუსვენრად ცრემლმორეულის ხმით წარმოსთქვა ავადმყოფმა (ა. ყაზბ.; II, გვ. 448).

IV წესი. თუ წინადადებაში მიგებითა ნაწილაკი მიმართვის ან ჩართული სიტყვის წინაა ან შემდეგ, მათგან იგი მძიმით გამოიყოფა; მაგალითები:

— არა, ძმაო, ეგ ბედის საქმე არ არი (ი. ჭავჭავ., II, გვ. 59).

— შანშეც აქა ბრძანდება?

— დიაღ, შენი კირიმე, აქ გახლავთ (ნ. ლომ. გვ. 346).

V წესი. თუ მიგებითს ნაწილაკს წინ უსწრებს ან მოსდევს ისეთი სიტყვები, რომლებიც პასუხს აზუსტებენ, მიგებითი ნაწილაკი მძიმით გამოიყოფა.

— ჰო, ჰო, მომაგონდა. დეიდა სიღონიას რომ ეძახიან ისა, არა?

— ჰოო, ისა. (ნ. ლომ., გვ. 316).

— ეგ არის თქვენი ქმარი?

— ეგ არის, დიახ. (ვ. ლორთქ., გვ. 197).

VI წესი. თუ მიგებითი ნაწილაკები არსებითი სახელის ფუნქციითაა ნახვარი, მაშინ იგი სასუენი ნიშნებით არ გამოიყოფა, ოღონდ ბრჭყალებში ჩაისმის; მაგალითად:

....უარყოფელობა „არას“ თქმა (ი. ჭავჭავ., III, გვ. 300).

### მიგებითი ნაწილაკების რაობის სწავლება

სწავლების თვალსაზრისით მიგებითი ნაწილაკები არაა რთული. მით უმეტეს, საერთოდ ნაწილაკების შესახებ მოსწავლეებს ელემენტარული ცნობები ჯერ კიდევ IV კლასში ეძლევათ. V კლასში სწავლობენ ნაწილაკს, ხოლო VI კლასში ფორმალურად სიტყვებთან დაკავშირებით ისინი ეცნობიან ნაწილაკის რაობას, ფუნქციასა და მართლწერის საკითხებს.

VII კლასში მიგებითი ნაწილაკების სწავლებასთან დაკავშირებით ასეთი მეთოდოლოგიური საკითხები ისმის: 1. რა მოცულობით ვასწავლოთ მიგებითი ნაწილაკები; 2. რა თანამიმდევრობით გავაცნოთ ისინი; 3. როგორ გავაცნოთ (ცალ-ცალკე თუ ყველა ერთდროულად); 4. რა სიძნელეები ჩნდება სწავლებისას.

1 ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 1954, გვ. 60.



მოცულობის საკითხს პროგრამა განსაზღვრავს, სადაც გარკვევითაა მითითებული: „მიგებითი ნაწილაკები და მძიმის ხმარება მათთან“. აქ ერთი შესწორება უნდა შევიტანოთ: მიგებით ნაწილაკებთან მარტო მძიმე არ იხმარება, გვხვდება წერტილიც და ძახილის ნიშანიც:

მიგებით ნაწილაკებთან წერტილია:

— აქამდინ ვერ წაართო?

— ვერა. (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 141).

— საპი დღეა, რაც გაიქცა? — ბოლოს იკითხა მან.

— ჰო. (ა. ფურც.).

მიგებით ნაწილაკებთან ძახილის ნიშანია:

— არა! არა! სხვა დროს გვინდა!

გამოვიდეს სულ სხვა დასი (აკაკი, II, გვ. 319).

ჰო! აპრილში: მზის ყაითნით დაიბლანდა მიწამ კაბა (ი. გრიშ., გვ. 472).

მაშასადამე, პროგრამაში ეს საკითხი უნდა დაზუსტდეს ასე: „მიგებითი ნაწილაკები და სასვენი ნიშნების ხმარება მათთან“.

რა თანამიმდევრობით გავაცნოთ მიგებითი ნაწილაკები? სახელმძღვანელოში დაცულია ასეთი რიგი: ჰო, კი, დიალ (დიახ); არა, ვერა. აქ ორი შესწორებაა საჭირო: 1. პირველად გავცნობა უარყოფითი მიგებითი ნაწილაკები („არა“, ვერა“), რადგან მოსწავლეებმა ისინი იციან მორფოლოგიიდან.

მაშასადამე, თანამიმდევრობა ასეთი იქნება: არა, ვერა, დიახ, კი, ჰო.

2. სახელმძღვანელოში დიახ მიგებითი ნაწილაკი პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი: დიალ (დიახ). როგორც გამოიჩვენა, დიახ უფრო გავრცელებული ფორმაა და მოსწავლეებს პირველად იგი უნდა გავაცნოთ<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მიგებითი ნაწილაკების სწავლება არაა რთული, მას მაინც ახლავს ზოგი სიძნელე:

<sup>1</sup> ჩვენი წერილი: დადასტურებითი ნაწილაკის მართლწერისათვის: ეურნ. „ქობუნისტური აღზრდისათვის“, 1957, № 3, გვ. 55 — 60.

<sup>2</sup> Из этих трёх слов (ლაპარაკია დიახ, კი, ჰო-ს შესახებ—რ. შ.) დიახ более других принято в литературном языке; კი, происходящее из Западной Грузии, соответствует также русск. „так“ (франц. si); ჰო—особенно характерно для речи восточных грузин. იხ. Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, Москва-Ленинград, 1940, стр. 260.

1. მოსწავლეებს ხშირად უჭირთ გაგება ან არ ესმით, თუ რა განსხვავებაა „არა“ და „ვერა“ მიგებითს ნაწილაკებს შორის. ერევათ ესენი უარყოფითს ნაწილაკებთან [არ (ა), ვერა (ა)].

2. გარეგნული მსგავსების ნიადაგზე ხშირად ერთმანეთში ერევათ „არა“ მიგებითი ნაწილაკი და „არაა“ შედგენილი შემასმენელი.

3. წინადადებაში სხვადასხვა ფუნქციის მქონეა „კი“. იგი შეიძლება იყოს: მიგებითი ნაწილაკი, ბებია მოვიდა? — კი, (მტკიცებითი ნაწილაკი) „მამალმა თქვა მე-კი ვიყიველებ და თუნდ გათენდეს ღა თუნდ არაო“ — (ანდ.); გაძლიერებით (-ც ნაწილაკიან სიტყვებთან), „ყვევილები-კი ალელდნენ“ — (გ. ტაბ.); მაპირისპირებელი კავშირი (-ხოლო, მაგრამ) („ყველა ბუზი ბზუსო, ფუტკართან კი ყველა სტყუისო“) — (ანდ.)<sup>1</sup>. ეს გარემოება ერთგვარ სიძნელეს ქმნის სწავლებაში.

პირველად მოსწავლეებს უნდა მივსცეთ ისეთი მიგებითი ნაწილაკები, რომლებიც კითხვაზე პასუხია და არ მოსდევთ პასუხის დამაზუსტებელი სიტყვები, რადგან ამ შემთხვევაში უფრო რელიეფურად გამოჩნდება მიგებითი ნაწილაკის თავისებურება.

ჯერ უარყოფითი ნაწილაკები გაიჩვენა, შემდეგ კი — მიგებითი:

უარყოფითი ნაწილაკები	მიგებითი ნაწილაკები
არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი (ანდ.).	— შენ მოჩვენება არა ხარ?
ახოვნებითა და გაბედულობით ლომს ვერა ნადირი ვერ შეედრება (ი. გოგ.).	— არა (ი. ჭავჭ.).
	— რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრინდება?
	— ვერა (აკაკი) <sup>2</sup> .

მაგალითების შედარება-შეპირისპირებით გაიკვევა, რომ:

1. წინადადებაში „არა შეჯდა მწყერი ხესა...“ — არა უარყოფითი ნაწილაკია, ზმნას ახლავს და აძლევს მას უკუთქმითს შინაარსს. იგი არც სასვენი ნიშნით გამოიყოფა ზმნისაგან.

2. მეორე წინადადების გარჩევით („შენ მოჩვენება არა ხარ? — არა“) ნათელი გახდება, თუ რა განსხვავებაა უარყოფითსა და მიგებითს ნაწილაკებს შორის: უარყოფითი ნაწილაკი („არა ხარ“) ზმნას უკავშირდება, ზმნის უკუთქმით შინაარსს უჩვენებს; მიგებითი ნაწილაკი კი ცალკე დგას, კითხვაზე პასუხს წარმოადგენს და მნიშვნელობით მთელ წინადადებას უდრის: „შენ მოჩვენება არა ხარ? — არა“ (-მე მოჩვენება არა ვარ).

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი, 1955, გვ. 1192.

<sup>2</sup> ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელ ზინა მეგრელიშვილას გამოცდილება.

ასევე მომღევენო წინადადებაში („ვერა ნადირი ვერ შეედრება“) „ვერა“ „ვერ“ უარყოფითი ნაცვალსახელი და ნაწილაკია, ისინი სახელსა („ვერა ნადირი“) და ზმნას („ვერ შეედრება“) ახლავს. „ვერა ნადირი“ — „ვერა ვითარი“ — „ვერც ერთი ნადირი“. პარალელურ წინადადებაში „ვერა“ მიგებითი ნაწილაკია და მნიშვნელობით მთელ წინადადებას უდრის (ვერა — რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრინდება). აქვე დაკვირვება წარმოებს „არა“, „ვერა“ მიგებითს ნაწილაკთა მნიშვნელობაზე:

— მოლოზნალ ხომ არ უნდა წახვიდე?

— არა (დ. ჭონქ.).

— ჩიტები მახიდან გაფრინდნენ?

— ვერა (ი. გოგ.).

აღინიშნება, რომ „არა“, „ვერა“ მიგებითს ნაწილაკებს წინადადებაში ერთი ფუნქცია აქვთ: კითხვაზე ორივეს უარყოფითს პასუხს იძლევა, მაგრამ მნიშვნელობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ერთიმეორის ნაცვალად მათ ვერ ვიხმართ.

ამგვარადვე გაეცნობა ნაწილაკები დიახ, კი, ჰო. საქორთა ისეთი მაგალითები შევარჩიოთ, სადაც ეს ნაწილაკები იქნება მოცემული. VII კლასის სახელმძღვანელოში — „მშობლიური ლიტერატურა“ აღნიშნული ნაწილაკები იშვიათად გვხვდება. ამიტომ მასწავლებელმა იგი თვითონ უნდა მონახოს.

იწერება წინადადებები ჯერ ერთი, მერე — მეორე და შემდეგ — მესამე. მათ ცალ-ცალკე ვარჩევთ:

— ისინი მოხვედები არიან?

— დიახ“ (ა. ყაზბ.).

„— ბიბლიოთეკიდან წიგნი მომიტანე?

— კი“.

„— ვითომ ქაიხოსრო სამაშვლოს აღარ მოგცემს?

— ჰო!“ (დ. კლდ.).

მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. მიგებითი ნაწილაკები კითხვებზე პასუხია. მათი (დიახ, კი, ჰო ნაწილაკების) საშუალებით მთელი წინადადების აზრია გადმოცემული, ამიტომ ისინი მთელი წინადადების მაგივრობას ეწვევიან.

2. დიახ, კი, ჰო მიგებითი ნაწილაკები ერთისა და იმევე მნიშვნელობისა და ფუნქციისაა. მათი საშუალებით გამოიხატება შეკითხვაზე დასტური, თაჩხმობა.

როცა მოსწავლეებს ზოგადი წარმოდგენა მიეცემათ მიგებითს ნაწილაკებზე, მიზანშეწონილია შეუპირისპირდეს „კი“ მიგებითი ნაწილაკი სხვა ფუნქციით გამოყენებულ „კი“-ს.

ამისთვის გაანალიზდება წინადადებები:

„მაპალმა თქვა, მე კი ვიყივლებ და თუნდა გათენდეს და თუნდა არაო“ (ანდ.).

„მე კი რით გაგაკვირვო, რომელ ქათინაურით“ (ი. გრიშ.).

„ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან კი ყველა სტყუისო“ (ანდ.).

„სახლიდან წერილი მიიღე?“

— კი“.

მაგალითების შედარებით გაირკვევა, რომ:

1. პირველ წინადადებაში „კი“ მტკიცებითი ნაწილაკია (შდრ. კი წავალ, კი წავიკითხავ, კი ვისწავლი...). მისი ფუნქციაა დადასტუროს მოქმედება.

2. მომდევნო წინადადებაში „კი“ გაძლიერებითი ნაწილაკია. ოგი ამახვილებს ყურადღებას „მე“-ზე (სახელდობრ: მე რით გაგაკვირვო...).

3. მესამე წინადადებაში „კი“ მაპირისპირებელი კავშირების (ხოლო, მაგრამ) ფუნქციას ასრულებს. ეს ნათლად გამოჩნდება, თუ „კი“-ს ადგილზე ამ კავშირებს ჩავსვამთ (ყველა ბუზი ბზუისო, ხოლო (მაგრამ) ფუტკართან ყველა სტყუისო“).

4. აქ „კი“ მიგებითი ნაწილაკია, დასტურის მაჩვენებელია. იგი მთელ წინადადებას ცვლის, მის მაგივრობას ეწევა.

შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ „კი“ მიგებითს ნაწილაკს სხვა ფუნქცია აქვს და „კი“ მტკიცებითს, გაძლიერებითს, მაპირისპირებელს — სხვა.

უფრო ნათელი რომ გახდეს მიგებითი ნაწილაკების ფუნქცია და დანიშნულება, მიზანშეწონილია მოსწავლეებს მიესცეთ ისეთი ტაბულა, სადაც ერთ მხარეზე მიგებითი ნაწილაკები იქნება წარმოდგენილი, მეორეზე კი — მათი მნიშვნელობა. აი ეს ტაბულა:

მიგებითი ნაწილაკები	რომელი ნაწილაკია	რის მაგივრობას ეწევა
— პატრონები არაეინ ჩამოგყვით?	არა	პატრონები არაეინ ჩამოგყვა
— არა (ი. ლომ).	ვერა	რასაც ფრთები არა აქვს, ვეო გაფრინდება.
— რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრინდება?	დიახ	ეს ნიშანი მე დავუსკი.
— ვერა (აკაკი)	კი	ფრინველები სახლში შევიდნენ
— ეს ნიშანი შენ დაუსვი?		
— აი აი (აკაკი).		
— ფრინველები სახლში შევიდნენ?		
— კი (ვერა)		
— ხურაბ ქართველამე ხომ ძლიერ მდიდარია?	ჰო	ხურაბ ქართველამე ძლიერ მდიდარია.
— ჰო (ი. გოგ.)		

სანამ საბოლოოდ წესის სახით ჩამოეყალიბებდეთ მიგებითი ნაწილაკების რაობას, მანამ საჭიროა გაირკვეს მათი ხმარების სხვა შემთხვევებიც: — 1. როცა მიგებითს ნაწილას მოსდევს პასუხის დამაზუსტებელი სიტყვები. ყოველივე ეს შესატყვისი საილუსტრაციო მაგალითების ანალიზის შედეგად გაირკვევს; მაგალითად:

„— გულს მირბილებ განა? — ვკითხე უჭერობით.

— დამიჯერე, მართალს გეუბნები.

— მართალს?!

— ჰო, ისეთი კაცი გიშოვნო, ძმასავით მოგეხმაროს“ (ი. ჯავჭ.). აღინიშნება, რომ ამ წინადადებაში მიგებითს ნაწილას მოსდევს სხვა სიტყვები, რომლებიც პასუხს აზუსტებს. მათგან მიგებითი ნაწილაკი სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ იგი განკერძოებული სიტყვაა, წინადადების წევრებს სინტაქსურად არ უკავშირდება.

2. არის შემთხვევები, როცა მიგებითი ნაწილაკები რამდენჯერმეა განმეორებული; ამას მწერლები მაშინ მიმართავენ, როცა სურთ მეტი კატეგორიულობა მიანიჭონ დასტურს ან უარყოფას:

— რას იტყვით, ჯამათნო... დაემორჩილდეთ?

— არა, არა, არა! — განუწყვეტლივ ისმოდა ხალხში (ა. ყაზბ.).

— ამ სამ დღეში მოგელი და იმ ყმაწვილის აზრსაც გამაგებინებ.

— კი, კი (დ. კლდ.).

წარმოებს ვარჯიშობა ანალოგიურ მაგალითებზე, ყურადღება ექცევა სწორ წარმოთქმას. აღინიშნება, რომ მიგებით ნაწილაკთა შორის პაუზაა.

აქვე შეიძლება ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ ზოგჯერ მიგებითი ნაწილაკი სახელის როლში გვევლინება, ბრუნვის ნიშნების იღებს და წინადადების ჩვეულებრივი წევრი ხდება. „არც „პოს“ ამბობს, არც „არას“ — ხან გამოკრთის, ხან ქრება“ (ი. გრიშ.). აქ „პოს“, „არას“ წინადადების წევრებია, პირდაპირი დამატებაა.

ამის შემდეგ საჭიროა მოსწავლეებს მიგებითი ნაწილაკების რაობის განსაზღვრა მივსცეთ. სახელმძღვანელოში რაობაზე არაფერია ნათქვამი. ჩვენ ასე განვსაზღვრავთ მას: ისეთ ნაწილაკებს, რომლებიც კითხვაზე პასუხს წარმოადგენენ დასტურის ან უარყოფის სახით, მიგებითი ნაწილაკები ჰქვია.

### სასვენი ნიშნების სწავლება მიგებითს ნაწილაკებთან

სასვენი ნიშნების შესწავლა მიგებითს ნაწილაკებთან არავითარ სირთულეს არ შეიცავს. მათთან გამოყენებულია შემდეგი სასვენი

ნიშნები: წერტილი, მძიმე, ძახილის ნიშანი (იშვიათად მრავალწერტილი და ბრჭყალები, რომელთაც მასწავლებელი გაკვრივით შეეხება).

— ონისე ხარ?

— დ ი ა ხ (ა. ყაზბ.).

წინადადების ანალიზის შემდეგ ეძლევათ პირველი წესი: როცა მიგებითს ნაწილას არ მოსდევს დამაზუსტებელი სიტყვები, მის ბოლოს წერტილი იწერება.

ამავე ხერხით გაეცნობათ მძიმის ხმარების შემთხვევაც:

— ეს ბავშვი რად დადის ასე? ბრმა ხომ არ არის?

— დ ი ა ხ, უსინათლო გახლავთ (ნ. ლომ.).

აქ დ ი ა ხ ნაწილას მოსდევს სხვა სიტყვები, რომლებიც პასუხს აზუსტებს. ჩამოყალიბდება მეორე წესი: თუ მიგებითს ნაწილაკებს მოსდევს პასუხის დამაზუსტებელი სიტყვები, იგი ამ სიტყვებისაგან მძიმით გამოიყოფა.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ძახილის ნიშნის ხმარებას. აქ გადამწყვეტია წარმოთქმა.

— გაღია იქნებოდა!

— გაღია?!

— ჰო! — მოკლედ უპასუხა მახარემ (შ. არაგვ.).

ამ შემთხვევაში მიგებითი ნაწილაკი გრძნობით არის წარმოთქმული, მას ძახილის ინტონაცია ახასიათებს. ეძლევა წესი: თუ მიგებითი ნაწილაკი გრძნობით, ძახილის ინტონაციითაა წარმოთქმული, მის შემდეგ ძახილს ნიშანი იწერება. თუ შემდეგ მოდის ავტორის სიტყვები, უკანასკნელი მისგან ტირეთი გამოიყოფა.

ამ წესის დასაუფლებლად და ჩვევად ქცევისათვის საჭიროა ხანგრძლივი ვარჯიშობა.

მართლწერილობის. მართლწერის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს დ ი ა ხ ნაწილაკი, რომლის პარალელურად არცთუ ისე იშვიათად დ ი ა ღ ფორმაც გვხვდება. ამ საკითხს გაშუქება უნდა, რაც მოითხოვს ისტორიულ ექსკურსს<sup>1</sup>. შეირჩევა ისეთი წინადადება, სადაც ორივე ფორმა (ღიახლიდიალ) იქნება წარმოდგენილი.

„დ ი ა ხ, მკითხავის ბრალია, — მოჰყვა ისევე კუდიანი, — იმის ბრალია. იმას მიგნება ჰქონოდა, ეხლა. შვილი კალთაში გეჯღებოდათ. დ ი ა ღ, გეჯღებოდათ“ (ი. ჭავჭავ.). მოსწავლეები აკვირდებიან მიგებითი ნაწილაკის ორივე ფორმას და აღვილად რწმუნდებიან, რომ დ ი ა ხ და დ ი ა ღ ნაწილაკები მნიშვნელობით ერთი და იგივეა, განსხვავებას

<sup>1</sup> გ. გაბედავა, არსებითი სახელის სწავლება საშუალო სკოლაში, თბილისი, 1951, გვ. 147 (გამოუქვეყნებელია).

ქმნის ბოლოკიდური ბგერები **ხ** და **ღ**. გამოთქმა **ღ** იად მიღებულია **ღ** ია **ღ** (მერთო)-საგან, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან შეიკვეცა და დარჩა **ღ** იად ფორმა. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მოაგონებს **V** კლასის პროგრამიდან, რომ **ღ** მქლერი თანხმოვანია, **ხ** კი — ყრუ. თუ მქლერი ბგერა სიტყვის ბოლოში მოექცა, იგი ხშირად ყრუვდება. ამის გამო **ღ** იად ფორმისაგან მივიღეთ **ღ** ია **ხ**, რომელიც უფრო გავრცელებულია მწერლობაში და ამიტომ უნდა წარმოვთქვათ და ვწეროთ **ღ** ია **ხ**.

ნაწილაკების შესახებ მიღებული ცოდნის გასამტკიცებლად საჭიროა ვარჯიშობა. სახელმძღვანელოში სავარჯიშო მასალა მცირეა და თანაც არაა ისეთი მაგალითი, სადაც მიგებითს ნაწილაკებად **კ** ი, **ვ** ი-**რა** იკოს გამოყენებული.

ვაოჯიშობა შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს:

1. წერილობითი პასუხის გაცემა კითხვებზე და დიალოგის შედგენა მიგებითი ნაწილაკების გამოყენებით;

2. მოთხრობიდან „სოლომან შორბელაძე“ („შობლიური ლიტერატურა“, გვ. 199) მიგებითი ნაწილაკების ამოწერა და გარკვევა, რომელი წინადადების მაგიერია.

3. მოკემულ წინადადებებში („სოფელში იყავი?“ — **კ** ი. „მდინარეში იბანავე?“ **ა** რა...) მიგებითი ნაწილაკების შეცვლა და აღნიშვნა, თუ რა აზრობრივ სხვაობას აქვს ადგილი;

4. ისეთი წინადადებების მიწოდება, სადაც მიგებითს ნაწილაკებთან ყველა სახის სასვენი ნიშნის დასმაა საჭირო (წერტილი, მძიმე, ძახილის ნიშანი); სასვენი ნიშნების დასმა და სათანადო წესების მოგონება.

რა თქმა უნდა, ყველა აქ მოყვანილი სავარჯიშოს გამოყენება გაკვეთილის პროცესში მოუხერხებელია, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია კლასის მომზადების დონის შესაბამისად შეარჩიოს მისთვის სასურველი მაგალითები და ამის მიხედვით აწარმოოს ვარჯიშობა.

## შოკისღებელი წინადადებაში

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი არა მარტო იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა შორისდებული ცალკე მეტყველების ნაწილს<sup>1</sup>, არამედ იმის შესახებაც, შეიცავს თუ არა შორისდებული ლოგიკურ წარმოდგენას<sup>2</sup>. კიდევ მეტი, ჯერ კი-

<sup>1</sup> В. А. Богородицкий, Общий курс русской грамматики, Москва, 1935, стр. 106, 193, 193.

<sup>2</sup> Е. М. Галкина — Федорук, Основные вопросы языкознания в трудах В. И. Ленина: Иностранный язык в школе, 1951, № 1, стр. 9.

დევ არ არის გამონახული შორისდებულის ამოცნობის კრიტერიუმი. მართალია, იმ შეიძლება იმის თქმა, რომ გრამატიკული ზღვარი შორისდებულსა და მეტყველების სხვა ნაწილებს შორის ისეთივე გამოკვეთილი და შესაძინევეა, როგორც ეს არის ზნისა და სახელს შორის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა დაიძებნოს ის სპეციფიკური ნიშანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შორისდებულს აქვს და მეტყველებს სხვა ნაწილებს არ ახასიათებს. საკითხი უმთავრესად შორისდებულთა სემანტიკა-მორფოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ჩვენ კი აქ შორისდებულთა სინტაქსის საკითხები გვიანტერესებს, ისიც მხოლოდ მთავარ ხაზებში<sup>1</sup>.

### შორისდებულის ზომი სინტაქსური თავისებურება

სემანტიკურად შორისდებულები ადამიანის მრავალფეროვან რთულ ემოციებს, სულიერ განწყობილებებს გადმოგვცემენ. ასეთივე მრავალფეროვანია წინადადებაში მათი ფუნქციაც. სემანტიკურად შორისდებულებს არა აქვთ მატერიალური მნიშვნელობა და გრამატიკულადაც ისინი ფორმაუცვლელები არიან. შორისდებული დაუშლელი, დაუნაწევრებელი ერთეულია, რომელიც არ ემორჩილება არც მიმოხარის (იშვიათი გამონაკლისის გარდა) და არც წარმოქმნის (დერიაციის) კანონს, ამიტომ წინადადებაში განკერძობით დგას.

შორისდებულებს არ შეუძლიათ წინადადების წევრობა; არ დაესმით კითხვა.

შორისდებულის ზუსტი მნიშვნელობა უფრო გასაგები ხდება მთქმელთან უშუალო ურთიერთობის დროს, ცოცხალი საუბრისას. ამ საუბარს თან ახლავს განსაზღვრული ინტონაცია, ექსტ-მიმიკა, რის საშუალებითაც ზუსტად ვიგებთ სუბიექტის მიერ შორისდებულთა გამოხატულ მწუხარებასა თუ სიხარულს, მოწონებასა თუ ზიზღს, გაკვირვებასა თუ ნატრას, წაქეზებასა თუ გაქირღვას. „მასში ძალიან ზუსტადაა წარმოდგენილი შემეცნებითი-აზრობრივი ელფერი, რაც გვიბძგებს შევაესოთ ეს დანაკლისი წარმოთქმისას ინტონაციით, ზოგჯერ კი ექსტითა და მიმიკით“<sup>2</sup>.

მეტყველებაში შორისდებული შეიძლება ცალკე სიტყვის სახით

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ პ. კეოცარიძის შორისდებულის აღსანიშნავად გამოყენებული აქვს ტერმინი „საყუსნი, ანუ მისაბმარი სიტყვები“; ამ ტერმინის ქვეშ, შორისდებულის გარდა, ატორი გულისხმობს კავშირსაც და ნაწილსაც. შორისდებულისათვის მას მეორე ტერმინიც აქვს გამოყენებული — „ერთობი“.

<sup>2</sup> Современный русский язык, Морфология, под редакцией акад. В. В. Виноградова, издательство Московского университета, Москва, 1952, стр. 479.



იქნეს წარმოდგენილი, ან წინადადებაში იყოს მოქცეული. პირველადილოგებში შეიმჩნევა, მეორე კი — გაბმულ მეტყველებაში:

— კარში გამომაგლებ? ა?

✓ — იმე? <sup>1</sup> (დ. კლდ., I, გვ. 139).

— ნიგოზზე შემომესწრო.

— ჰმი (იქვე, გვ. 42).

ახ, რა ბედნიერი იქნებოდი, რო ეხლა მომკვლარიყავ (დ. კონქ., გვ. 25).

ჩუ! ფოთოლი მოსწყდა ხეს,

ქარი ღრუბელს გლეჯს და ხევს (ი. გრიშ., გვ. 155).

ორივე შემთხვევაში შორისდებული გამოხატავს სუბიექტის სულიერ განწყობილებას, მის ემოციას. მაგრამ როცა შორისდებული დიალოგში დამოუკიდებლად, სხვა სიტყვების გარეშე, იზოლირებულად გამოდის, მისი ზემოქმედების ძალა გაცილებით მეტია, ვინემ იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტშია.

რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შორისდებულებს სიტყვა-წინადადებას უწოდებენ, ქართულში კი მათ წინადადების ეკვივალენტად თვლიან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ შორისდებული მეტია წინადადებაზე, „მეტია არა სინტაქსურისა თუ მორფოლოგიურის თვალსაზრისით, არამედ ცნობიერების, მნიშვნელობის თვალსაზრისით“<sup>2</sup>.

ამგვარად, ცხადია, რომ „შორისდებულები კი არ გამოხატავენ აბსტრაქტულ გრძნობებს ზოგადად, არამედ ვადმოგვემენ ცოცხალი აღამიანის განცდებს, რომლებიც არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ერთ რომელიმე გრძნობამდე“<sup>3</sup>.

### შორისდებულის ადგილი და უნაქსია წინადადებაში

შორისდებულები მდიდრადაა წარმოდგენილი განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში: ანდა-ზებში, გამოცანებში და ა. შ. ლიტერატურაში ისინი ამაღლებენ მოქმედი პირის მეტყველების ტემპს, ფართოდ გვახედებენ მის შინაგან სამყაროში და უფრო გასაგებს ხლიან პერსონაჟის სულიერ მხარეს.

შორისდებულები საკმაო რაოდენობით და ჩამოყალიბებული სხით გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებში. რა თქმა უნდა, ის სიმდიდ-

<sup>1</sup> იმე! კუთხ. /იმერ./ შორისდებული გამოხატავს გაკვირებას, გაოცებას: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბილისი, 1956, გვ. 685.

<sup>2</sup> ა. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, ტფილისი, 1928, გვ. 157.

<sup>3</sup> Н. В. Касаткин, смысл междометий: Томский государственный педагогический институт, Ученые запiski, т. XI, 1954, стр. 139.

რე და მრავალფეროვნება, რომელიც ახალ სალიტერატურო ენას ახასიათებს შორისდებულთა ხმარების მხრივ, ძველ ქართულში არ შემჩნევა, მაგრამ მაინც ენაში მათი არსებობა ფაქტია. ჩვენ მხოლოდ ორიოდ მაგალითით დავკმაყოფილდებით:

აჰ ა, და მეცა მზა ვარ თქუენ თანა (სერაპ. ზარზმ. ცხ., გვ 171).

ვ ა ზ სოფელსა საცთურთა მათგან (მთ. 18, 7).

ვამ თქუენდა, შჯულისა მოძღუართა (ლკ. 11, 52) და სხვ.

მომდევნო პერიოდის ძეგლებში შორისდებული უფრო და უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება, ხოლო მე-19—20 საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში ის მთელი თავისი მრავალფეროვნებით წარმოგვიდგება.

მართალია, შორისდებულს წინადადებაში ერთი გარკვეული ადგილი არ უკირავს, იგი შეიძლება შეგვხედეს თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც, მაგრამ მისი ბუნებრივი ადგილი მაინც წინადადების თავშია. მე-19 საუკუნის კლასიკოს და თანამედროვე გამოჩენილ ქართველ მწერალთა ნაწერებიდან ჩვენ სპეციალურად ამოვწერეთ შორისდებულები წინადადებაში მათი ადგილის მიხედვით და ასეთი სურათი მივიღეთ:

შორისდებული რაოდენობა	%	შორისდებული წინადადების თავში	%	შუაში	%	ბოლოში	%	შენიშვნა
450	100	360	80	68	15	22	5	—

ეს სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, რადგანაც ადამიანი სიხარულს განიცდის თუ მწუხარებას, რაიმე მოვლენით აღფრთოვანებულია თუ ნაწყენი, გაკვირვებას, წყენას თუ სხვა გრძნობებს შორისდებულის მეშვეობათ გამოხატავს და შემდეგ აღწერით აზუსტებს, აკოხკრეტებს მას. მაგ.: „ოოო, მახარე, რა კარგი ხარ!.. (თქვა ეთერმა) (შ. არაგვ., II, გვ. 477); პირველად მოწონების შორისდებული წარმოითქვა („ოოო“), შემდეგ კი მისი აღწერა. ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი. კაკო ყაჩაღმა, მოისმინა რა ზაქროს ცხოვრების მხოლოდ ერთი ნაწილი, ვერ მოითმინა, აფეთქდა და თანამოსაუბრეს ზიზღით მიახალა:

ფ უ, შენს ნამუსსა, მამა-შვილობას.

ფ უ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას! (ი. ჭავჭავაძე, I, გვ. 174).

„შენ უნამუსო ყოფილხარ, მამამშვილური სიყვარული არ გცოდნია და სახელი და ვაჟკაცობა შეირცხვინეო“, — აი, რას ნიშნავს ამ კონტექსტში ზიზღის გამომხატველი შორისდებული „ფ უ“.

ჩანს, შორისდებულის ბუნებრივი ადგილი წინადადების თავშია, შუაში და მით უმეტეს ბოლოში იგი ძალიან ნაკლებად გვხვდება.

I. შორისდებული წინადადების თავშია:

აჰუ! შეგირცხვათ კაცობა! — ხელის ჩაქნევით წამოიძახა მათიამ (ა. ყაზბ., I, გვ. 85). აქ შორისდებულს ახლავს ეესტი.

II. შორისდებული წინადადების შუაშია:

იცი, როგორი სირბილი ვიცი? როგორი გადაბტომა? ო ო ო! შენ მე ვერ მიცნობ, დობილო! (ვაჟა, VI, გვ. 289).

III. შორისდებული წინადადების ბოლოშია:

ისე მიყვარს, როგორც თევზს წყალი, როგორც ფრინველს ჰაერი! ო ო (ა. ყაზბ., I, გვ. 396).

„შორისდებული დამოუკიდებელი სიტყვა-წინადადებაა“<sup>1</sup> იგი გვხვდება მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებაში. მათთან შორისდებულს აზრობრივი კავშირი აქვს და არა გრამატიკული.

„აჰააა! — ძლივს ამოიქმინა ამ სიტყვებით გაცოფებულმა ქიტულამ“ (შ. არაგვ., I, გვ. 196); „ეეეხ! — ღრმად ამოიოხრა ნენემ და გულადმა გაღმორთილდა“ (შ. არაგვ., I, გვ. 121); „ჰა?! — უეცრად შეფრთხილდა თეკლე, როდესაც ვახტანგი იმის ლოყას შეეხო“ (შ. არაგვ., I, გვ. 293). პირველი წინადადება მარტივია, მეორე — შერწყმული და მესამე — რთული. ყველა მათგანში დამოუკიდებელ კომპონენტად შედის შორისდებული და აქვს თავის ინტონაცია. შორისდებულის თავისებური ინტონაცია მისი მაქსიმალური ლაკონიურობის მთავარი პირობაა. სწორედ ამის წყალობით იქცევა იგი გრძნობებისა და ემოციების მოკლედ გამოხატვის საშუალებად. „В силу этого обстоятельства и возможна замена междометием целых фраз и словосочетаний“<sup>2</sup>.

როგორც ინტონაციურად წამყვანი სიტყვა, შორისდებული გავლენას ახდენს მთელი წინადადების ინტონაციაზე და ამით ინტონაციურ კავშირში შედის მთელ წინადადებასთან<sup>3</sup>.

შორისდებული ყოველთვის ყველაზე უფრო ძლიერი და გამომეტყველი ხიტყვაა ინტონაციურად; მაგალითად, ავიღოთ წინადადებები:

<sup>1</sup> ს. ჯღენტო, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946, გვ. 256.

<sup>2</sup> А. И Германович, Междометие как часть речи: Русский язык в школе. 1941, № 2, стр. 31.

<sup>3</sup> Ш. Ш. Сарыбаев, Междометие в казахском языке (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), Алма-Ата, 1953. გვ. 3—19.

ჰმ, სიცილით მოკვდა ტირილით ნაშობი! (ი. ჰავქ., II, გვ. 118)  
ვ ა ა, არსენ, ასე აწკარა სიარული გაგონილა? (მ. ჭავჭავაძე, გვ. 204).  
ჰ ა ჰ ა, ჰ ა ჰ ა, ჰ ა ჰ ა, ჰ ა ა — გარკვევით ჩაეწვეთა ყურში  
(მახარეს) დაბალი, ნიავსავით მურინავი დაციწვითი ხარხარა  
(შ. არაგვ., I, გვ. 365).

ა ა! — სიხარულით შესძახა ნაჩაღნიკმა (ა. ყაზბ., I, გვ. 43).

ა რ ი ჰ ა, მაგრა შეკარით, არ დაანახოთ საწყალ დედაკაცს  
(დ. ჰონქ., გვ. 91).

შორისდებულს პირველ წინადადებაში შეაქვს მძაფრი ირონიის  
ელფერი, მეორეში — გაკვირვების, გაოცების, განცვიფრების, მესა-  
მეში — დაციწვის, მეოთხეში — სიხარულის და მეხუთე წინადადე-  
ბაში კი შორისდებულით მიშველების, მოხმარების მოწოდებაა.

„შორისდებული წინადადების ბადალია. იგი ზოგჯერ წარმოდ-  
გენილია მთავარ წინადადებად, რომელსაც დამოკიდებული მოსდევს  
„რომ“-ით ან „თუ“-ით დაკავშირებული“<sup>1</sup>, ზოგჯერ კი პირიქითაცაა,  
დამოკიდებულშია მოქცეული, მაგალითები:

აწვალებენ? ო, თუ აწვალებენ, ცხო რალა მინდა! (ა. ყაზბ.,  
I, გვ. 27).

ვ ა ი, რომ ჩემი სიცოცხლის მზე მაშინ ჩადის, როცა ამოდის ჩემი  
ქვეყნის მზეი ღიაღი! (ი. ჰავქ., I, გვ. 52).

ჰ ა ი, ჰ ა ი, რომ მოხვევე ვარ (ა. ყაზბ., I, გვ. 321).

ვ ა ჰ, თუ რძალი არ გამოდგეს, ქურდიც იყოს, კაპასიცა (ვაჟა,  
VI, გვ. 420).

შორისდებული დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული:

იზღერის ბალი განათლების გვირგვინია, ისეთი ბალია, რომ  
„მწუ“ (ი. ჰავქ., II, გვ. 15).

შარო, ისეთი კარგია რკინიგზა, ისეთი, რომ ჰ ა ა! (ნ. ლომ.,  
გვ. 305).

ზოგჯერ შორისდებული მთავარ წინადადებადაა წარმოდგენილი,  
მაგრამ დამოკიდებულთან უკავშიროდაა შეერთებული:

გამომეღვიძა. შხამ-ნაღველი გულს შთამესახა და ესტქვი: ა ჰ ჰ,  
ეს სურათი ცხადლივ მენახა (ი. გრიშ., გვ. 358).

წინადადების რომელ ნაწილშიც უნდა იყოს შორისდებული  
მოქცეული, თუ იგი პერსონაჟის ნათქვამში მონაწილეობს, მთელ  
წინადადებაზე ავრცელებს იმ ემოციებს, რასაც თვითონ ატარებს.  
წინადადებიდან შორისდებულის ამოღებით ეს ემოციებიც იშლება.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 648, შდრ.  
ლ. კვავაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1956, გვ. 172.

ძახილის წინადადება უმეტეს შემთხვევაში თხრობითად იქცევა, წყლდება წინადადების ემოციურობა; მაგალითად:

ხ ა, ხ ა, ხ ა, მე თითონ გავხლები ვაქარი (ფიქრობდა ღურმიშხანი) (ღ. ქონჯ., გვ. 36). შღრ. მე თითონ გავხლები ვაქარი (ფიქრობდა ღურმიშხანი).

პირველი წინადადება ემოციურია, შორისდებულის ამოღებით წინადადება უფერული, ნაკლებად ემოციური გახდა და ამიტომაც ძახილის წინადადება თხრობითად გადაიქცა<sup>1</sup>. ფრაზის დანარჩენი სიტყვები წარმოითქმიან ნაკლები დაძაბულობით.

შორისდებული ფრაზის დანარჩენი სიტყვებისაგან გამოირჩევა ტონის სიმაღლით, ზოგჯერ თავისებური ტემბრის სიძლიერითა და ხანგრძლივობით<sup>2</sup>.

შორისდებულს ხშირად მიმართვა მოსდევს ან პირიქით. აქ ორგვარ შემთხვევას ვარჩევთ: 1. შორისდებული აძლიერებს მიმართვის ფორმას, 2. შორისდებულის ემოციები უშუალოდ მიმართვაზე გადადის, მისთვისაა განკუთვნილი; მაგალითები:

ა ა ა! ქალო, შენც აქა ყოფილხარ? (ნ. ლომ., გვ. 214).

მგელავ, ჰა მგელავ! (ვაჟა, V, გვ. 4) (შღრ. მეგრ. ცირა, ო ცირა! სორექ თეზმა ხანს?).

ქალო! ა ქალო! სად ილტვი, სიტყვა მაქვს, დადეგ, დაიცა, (ი. გრიშ., გვ. 532). ა ხ, მეზურნე, დაქარი! დაქარი! (აკაკი, I, გვ. 99).

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა წინადადებაში შორისდებული განმეორებულია რამდენჯერმე. ამით მისი ექსპრესიულობის ძალა

<sup>1</sup> როცა შორისდებულსა და წინადადების ურთიერთკავშირის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე შემდეგი: 1. არის შემთხვევები, როცა შორისდებული ცალკე დგას. და შემდეგ მას ავტორის სიტყვები მოსდევს: „აა!... ტყუელის მეფით გაკეთებული ბოზბაში?“ (ი. ჰავეკ., II, გვ. 162); ზოგჯერ მას უსწრებს ავტორის სიტყვები: „არაჩივად ჩამოცხა“ უპი (ი. ჰავეკ., II, გვ. 197). 2. არც თუ ისე იშვიათად შორისდებულს პერსონაჟის ნათქვამში შედის: „ბიჭებო! ა რ ი ქ ა, ბიჭებო!“ (ი. ჰავეკ., II, გვ. 211); „ა რ ი ქ ა, მიშველეთ!“ (იქვე): „ე ხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს თვის ღუქანთან მიბმული ყოჩით“ (ი. გრიშ., გვ. 93). „უ ო, შენ კი გენაცვალოს ღელაშენი, ჩემო ქებაე და ღიღებაე“ (ი. ჰავეკ., II, გვ. 265) და ა. შ.

ორკვევა, რომ როცა შორისდებული ცალკე დგას და მას უსწრებს ან მოსდევს ავტორის სიტყვები, შორისდებულის ინტონაცია არ ვრცელდება წინადადების სხვა წევრებზე, დანარჩენ შემთხვევებში — კი.

<sup>2</sup> А. И. Германович, Синтаксис междометий и их стилистическое значение: Известия Крымского педагогического института им. М. В. Фрунзе, том XIV, кафедра русского языка, Симферополь, 1949, стр. 3, 23.

მატულობს და ინტონაციაც ინტენსიური ხდება; აქ ვარჩევთ ორგვარ შემთხვევას: 1. შორისდებული ერთიმეორის მიყოლებითაა განმეორებული, 2. განმეორებულ შორისდებულებს შორის სხვა სიტყვა ან სიტყვებია ჩასმული. პირველ შემთხვევაში შორისდებულთა ინტენსიურობის ძალა უფრო მეტია, მეორეში — გაცილებით ნაკლები; მაგალითები:

ვ უ ი, ვ უ ი, ვ უ ი!.. — გაისმა ოთახში ბლავილივით ვილაციის ტირილის ხმა (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 310).

ი ფ, ი ფ!.. დამიხედეთ მთის მებატონის შვილს! (ა. ყაზბ., I, გვ. 446).

ერთგვარ შორისდებულებს შორის სხვა სიტყვა ან სიტყვებია ჩასმული (უმთავრესად მიმართვა):

ო ჰ, უგუნურებავ, ო ჰ, საძაგლობა! ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი (აქაკი, I, გვ. 125).

ფ უ, მაგისტანა ვაეკაცობას!.. ფ უ, მაგისტანა თავადიშვილობას!.. — შევკვივლე უილაჯომა დათიკოს (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 103).

წერისას შორისდებული სასვენი ნიშნებით გამოიყოფა: მაგრამ პუნქტუაცია, ცხადია, უძლურია ასახოს შორისდებულთა წარმოთქმის მთელი თავისებურება, მათი ვარიაცია. რაც შეეხება ორმაგ და სამმაგ ბგერებს, ისინი უმნიშვნელო ხარისხით ასახავენ ცოცხალი მეტყველების წარმოთქმას:

ა ა ა! უცნაური ხმით დაიღრიალა მან (შ. არაგვ., I, გვ. 47).

ი ი ი! რა ძაან ღვინოა! (შ. არაგვ., I, გვ. 100).

ფ უ უ უ ჰ! ჩვენ როცა გვშიან, ერთმანეთსაც კი ვჭამთ (ვაჟა, VI, გვ. 50).

ფ უ უ ფ უ ფ უ უ! პასუხის მაგიერად დაიწყო იმან უღვაშებისა და ტუჩების ბერვა (შ. არაგვ., I, გვ. 181).

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა წინადადებაში წარმოდგენილია რუსული და უცხოური შორისდებულები.

1. წინადადებაში რუსული შორისდებულობა:

კამპანიასაც გაუმარჯოს, უ რ ა! (ვაჟა, V, გვ. 285).

შ ა ლ ა დ ე ც, ბიჭო, რომ უნამუსო ღედაკაცს უნამუსოდ დახვედრიხარ! (ვაჟა, V, გვ. 301).

უცებ — იმ დროს, როდესაც ყველას ყური უნდა დაეგდო — ავტებზე ტაშის კვრა და თან ხმა-მადლა შევღრიალე — ბ რ ა ვ ო! ბ რ ა ვ ო! ბ რ ა ვ ო! ბ ი ს ს ი (ლ. არდ., გვ. 65).

ამ წინადადებაში რუსულ შორისდებულთან ერთად ლათინური

შორისდებულებაცაა წარმოდგენილი („ბის“ ლათინურია და ნიშნავს. მეორეჯერ! განმეორებით! კიდევ ერთხელ)!.

რუსულ შორისდებულთან ერთად ქართულიცაა წარმოდგენილი:  
ბ რ ა ვ ო, ბ რ ა ვ ო! — შეჰყვირა კირილემ. — ბ რ ა ვ ო, დარი-  
კო! ა ი და ყ ო ჩ ა ლ, ქალო, ეგ ნამდვილი რჩევაა, შენ ნუ მომიკვდე-  
ბი (დ. კლდ., I, გვ. 134).

2. წინადადებაშია ინგლისური შორისდებული:

ა ლ ო ა ლ ო ჩემო კარგო,

თბილ ქვეყნიდან ვლაპარაკობ (გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 24. II. 1956). („ალო“ ინგლისური შორისდებულაა წარმოშობით. ახლამას ხმარობენ ტელეფონით ლაპარაკიას, წინათ კი გამოიყენებოდა ზღვაში ერთი გემიდან მეორეზე გადასაძახებლად).

3. წინადადებაშია არაბული შორისდებული:

ბ ა რ ა ქ ა ლ ა, ჩემო სტატია, ბ ა რ ა ქ ა ლ ა (ი. ჰავკ., III, გვ. 28)<sup>2</sup>. ბ ა რ ა ქ ა ლ ა, ბ ა რ ა ქ ა ლ ა... შენი ერთგულება მეც არ დამავიწყდება (ა. ყაზბ., I, გვ. 194).

4. წინადადებაში სპარსული შორისდებულაა გამოყენებული:

ა ფ ე რ უ მ შენ საქმეს (ყურნ. „ნიანგი“, 1956, № 1, გვ. 2).

ა ფ ს უ ს, ჩემი სიბრძნის ცოდნა,

ა ფ ს უ ს, ჩემი ჩანგის ჟღერა (ი. ჰავკ., I, გვ. 116).

5. წინადადებაში თურქულ შორისდებულსაც ვხვდებით:

ამ ტრიალ მინდვრებში — ჰ ა ი დ ა ჰ ა ი დ ა ჰ ა ი დ ა! (გ. ტაბ., გვ. 138)<sup>3</sup>.

6. წინადადებაშია რუსული სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი შორისდებული:

ვერ მოგართვი გათავდა! ბ ა ს ტ ა გადაუთარგმნე გიორგი! (მ. ჭავჭავ., გვ. 507).

აჰა, შეგხვდი, გიცანი, მიცანი, გაგიცანი და ბ ა ს ტ ა! (დ. კლდ., I, გვ. 237)<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 1067.

<sup>2</sup> „ბარაქალა“ არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ყოჩაღ, ვაშა. იხ. Персидско-русский словарь, 1950, გვ. 54. შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 175.

<sup>3</sup> „აიდა“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს: „წადი“. იხ. Толковый словарь русского языка, под редакцией Ушакова, т. I, 1935, გვ. 19 შდრ. В. Даль, Толковый словарь, т. I, 1935, стр. 7.

ყაჩაღებს ინახავენ და ალექსანდრეს ჯაშუშებსაც ეხმარებან.  
ახლა კი ბ ა ს ტ ა, დავოლნო! (მ. ჯავახ., გვ. 353) <sup>1</sup>.

### შორისდებუდი—სახელი

შორისდებულმა შეიძლება სრულიად დაკარგოს თავისი დამახასიათებელი ემოციები, გრძნობები და ინტონაცია და სახელის მოვალეობა შეასრულოს. იგი წინადადებას სრულფასოვან წევრად გვევლინება; მაგ., „ვ ა შ ა ა ა!“ ყველა ხარხარით ყვიროდა „უ რ ა ს“ (შ. არაგვ., II, გვ. 14). ამ მაგალითში „ვაშაა“ შორისდებულია, მაგრამ „უ რ ა ს“ კი არა, იგი დამატების როლს ასრულებს.

შორისდებული შეიძლება მოგვევლინოს წინადადების თითქმის ყველა წევრის როლში. მაშინ იგი სახელია, სემანტიკურად გრძნობას, ემოციას გამოხატავს, მაგრამ ინტონაციის გარეშე, გრამატიკულად კი ბრუნებადი სიტყვაა.

ყველაზე ხშირად შორისდებული-სახელი დამატებად გვევლინება, ნაკლებად — ქვემდებარედ, გარემოებად.

1. შორისდებული-სახელი ქვემდებარედ:

შენს სიკედილშია ჩემი ვ ა ი ც და ნეტარებაც (ი. ჭავჭავ. I, გვ. 151).

ჩვენი ვ ა ი ც მაგაშია (ი. ჭავჭავ. II, გვ. 117).

მეტისმეტო ჰოიში ხარს უკლმნა წაიყვანსო (ანდ.).

2. პირდაპირ დამატებად:

„ვ ა შ ა-ვ ა შ ა ს“ შესძახიან მას ბანს აძლევს მთა და ბარი (აკაკი, II, გვ. 409). სალდათებმაც მოსძახეს „უ რ ა!“ (ა. ყაზბ., I, გვ. 4).

გაშლილ ოქტომბერს შევეძახებთ ვ ა შ ა ს! (გ. ტაბ., გვ. 11).

ვერ გავიგე თქვენი „ა ხ“! (შ. არაგვ., I, გვ. 349).

ხნეირა ქალი ხან „უ ი მ ე ს“ იძახდა, ხან შეჰკვივლებდა გოცუბული (დ. კლდ., I, გვ. 169).

3. ირიბ დამატებად:

„ვ ა ი ს“ უნდა გავეყაროთ, მაგრამ „უ ი ს“ შევეყაროთ (აკაკი, I, გვ. 205).

ვ ა ი ს გავეყარე, უ ი ს შევეყარეო (ანდ.).

4. უბრალო დამატებად:

<sup>1</sup> „ბასტა“ რუსული სასაუბრო სიტყვაა და ნიშნავს: „გათაედა“, „შორჩა“. იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, 1956, გვ. 40; შტრ. Словарь русского языка, составил С. И. Ожогов, Москва, 1953, стр. 29.



ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი და ბევრი „უის“ გამგონე (აკაკი, II, გვ. 173).

5. განსაზღვრებად:

ნე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო, იტყოდა ხოლმე დათია ბაღიაშვილი ოთარაანთ ქვრივზე (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 252).

6. ვითარების გარემოებად:

„ვაით“ გმობე, „უით“ გზარდე (აკაკი, I, გვ. 325).

ყველაზე წინ-წინ ცქმუნა მიცუნცულდა ვიშვიშით (ვაჟა, VI, გვ. 169).

ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ქალო ყოჩაღად მოქცეულხარ (ვაჟა, VI, გვ. 59).

ამგვარად, შორისდებული, როგორც წინადადების წევრი, სემანტიკურად და გრამატიკულად სახელია და შეიძლება ეუწოდოთ მას შორისდებული-სახელი!

### შორისდებულის ჩაშლის სწავლება

როგორც სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, შორისდებული წინადადებაში კუდშეკვეცილად ისწავლება. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი საშუალო სკოლის VII კლასში ეს თემა ხუთ წუთში აიხსნა. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სხვაგანაც. ამის მიზეზად ორი გარემოება ჩანს:

1. ამ საკითხისადმი მასწავლებელთა არასაკმაო ყურადღება და
2. თემის მეთოდოლოგიური დაუმუშავებლობა.

საჭიროა გაშუქდეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ვასწავლოთ ეს თემა, რა მეთოდები და საშუალებები გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მოსწავლეებს საფუძვლიანად შევასწავლოთ შორისდებულის სინტაქსური ბუნება, მისი ადგილი და ფუნქცია წინადადებაში.

თემა „შორისდებული წინადადებაში“ არაა რთული. მიუხედავად ამისა, მის სწავლებას მაინც ახლავს გარკვეული სიძნელეები; ესაა:

1. სიტყვებს ჩვეულებრივ ორ ჯგუფად ყოფენ; ერთს შეადგენენ დამოუკიდებელი სიტყვები, რომელთაც წინადადების წევრობა შეუძლიათ, მეორეს კი — დამხმარე სიტყვები, რომელთაც წინადადების

1 საკითხის იმის შესახებ, თუ რა და რა სახეისი ნიშნები გვხვდება შორისდებულთან, არ ვეხებით, რადგან იგი სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა გაშუქებული. იხ. ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, 1954, გვ. 61.

წევრობა არ შეუძლიათ.<sup>1</sup> შორისდებული კი არც ერთს მიეკუთვნება და არც მეორეს, იგი ცალკეა გამოყოფილი. ეს კი სწავლებისას გარკვეულ სიძნელეს ქმნის.

2. სასკოლო გრამატიკაში „შორისდებულის“ გვერდით გამოყენებულია მეორე ტერმინიც—„სულიერი განწყობილების გამომხატველი სიტყვები“.<sup>2</sup> ეს კი ქმნის იმის საშიშროებას, რომ მოსწავლემ „შორისდებული“ და „სულიერი განწყობილების გამომხატველი სიტყვები“ სხვადასხვა ენობრივ მონაცემად გაიგოს. ამიტომ სჯობს ამ მეორე ტერმინზე ხელი ავიდლო.

3. მოსწავლისათვის ძნელი გასაგებია, თუ რატომ არაა შორისდებული წინადადების წევრი, განსაკუთრებით ისეთი შორისდებულები, როგორცაა: ბიკოს, ღმერთმანი, დედაშვილობამ, ძმობამ, ჩემმა მზემ, გამარჯობა, გენაცვალე და სხვა. ამ სიძნელის გადასაღებად საჭიროა ერთმანეთს შეუპირისპირდეს ისეთი წინადადებები, სადაც ერთ შემთხვევაში აღნიშნული სიტყვები წინადადების წევრების როლში გამოვლენ, მეორე შემთხვევაში კი — არაწევრების (მათმა ძმობამ ყველა მოხიბლა; შდრ. ძმობამ, ბევრი ვეცადე, მაგრამ ის საქმე ვერ გავაკეთე). პირველ შემთხვევაში „ძმობამ“ ქვევლდება, მეორე შემთხვევაში კი არ არის წინადადების წევრი, არ დაესმის კითხვა. იგი განკერძოებული სიტყვაა.

4. „შორისდებული — სემანტიკური ოდენობაა“<sup>3</sup>. სემანტიკურად კი იგი მდიდარი და მრავალფეროვანია: ზოგი შორისდებული გრძნობათა გამომხატველია, ზოგი — მოუბრის ნება-სურვილს გადმოგვცემს, ზოგი კიდევ — საფიტრად, მისასალმებლად და საალერსოდ იხმარება<sup>4</sup>. ეს გარემოება კი სწავლებისას თავისებურ სირთულეს ქმნის.

5. შორისდებული შედგენილობითაც მრავალფეროვანია. იგი შეიძლება ცალკე ბგერითაც გადმოიცეს („ო, როგორც მსურს, მეც ამ ზეიმს ღირსეულად მივეგებო“ (ი. გრიშ.), ბგერებით („ფუ, შენს სამართალსა, შენს სამსჯავროსა“ (ი. ჭავჭავ.) და სიტყვითაც კი („ბიკოს! შენ აღარ ხუშრობ, დაუძახა გიორგიმ“ (ი. ჭავჭავ.).

6. შორისდებული დაცლილია კონკრეტული შინაარსისაგან. მას

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, მორფოლოგია, თბილისი, 1957, გვ. 10.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავ. გვ. 10.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 266.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 645, 647.

შეუძლია გამოხატოს სხვადასხვა გრძნობები და ემოციები: სიხარული, მწუხარება. მოწონება, დანაწება, ზიზღი, გაკვირება და ა. შ., მაგრამ ამ გრძნობებისა და ემოციების დაუსახელებლად; მაგალითად: „უოჩაღ, მეგობარო, უოჩაღ! შენც კარგი გალობა გცოდნია, — ეუბნებოდა მამალი“ (ვაჟა). აქ უოჩაღ მოწონების შორისდებულა. შდრ. „მომწონს ეგ სიტყვა... შენც მომეწონე“ (ი. ჭავჭავაძე). ამ შემთხვევაშიც მოწონებაა გამოხატული, მაგრამ არა ერთი სიტყვით, არამედ სიტყვებით, არა დაუსახელებლად, არამედ სახელებით.

7. შორისდებული ჩვეულებრივ განკერძოებული სიტყვაა, მას არც კითხვა დაესმის და არც წინადადების წევრს წარმოადგენს, მაგრამ ხშირად იგი მთელი წინადადების მაგიერობას ეწევა; მაგალითად:

— საკვირველებაა! რა ვნახე და სად ვიყავი?!

— სად იყავი?

— ძაღლთან.

— ჰმ!

— დიახ, ნასწავლი ძაღლი ჩამოუყვანიათ!.. ფორტოპიანს უკრავს (აკაკი).

აქ „ჰმ!“ გაკვირვების, გაოცების შორისდებულა, რომელიც მთელი წინადადების ნაცვლად იხმარება, მის მაგიერობას ეწევა.

8. შორისდებულმა შეიძლება სულ დაკარგოს თავისი ძირითადი ფუნქცია — აღამიანის სულიერი განწყობილების ან გრძნობის უშუალო გამოხატვა, მეტყველების სხვა ნაწილში გადავიდეს, კითხვაც შეეწყოს და წინადადების წევრი გახდეს; მაგ.: „ვთის გავეყარე, ვუთის შევეყარეო“ (ანდ). „ვთის“, „ვუთის“ წინადადების წევრებია (ამ შემთხვევაში დამატება).

აქ ჩამოთვლილ სიძნელეთაგან შორისდებულის სინტაქსური ფუნქციის სწავლებისას ყველა არ იჩენს თავს. ზოგ მათგანს შორისდებულის, როგორც მეტყველების ნაწილის, სწავლებისას ეაწყდებით. აქ მათი გაერთიანება იმით არის გამართლებული, რომ ყველა ამ სიძნელის გათვალისწინება უკეთ დაეხმარება მასწავლებელს წინადადებაში შორისდებულის როლის, ადგილისა და სინტაქსური ფუნქციის გარკვევაში.

შორისდებულის შესახებ ელემენტარულ ცნობებს ჯერ კიდევ IV კლასში ღებულობენ; VI კლასში ეცნობიან შორისდებულს, როგორც მეტყველების ერთ-ერთ ნაწილს.

პირველად მოსწავლეებს უნდა მოვაგონოთ წინა კლასებში მიღებული ცოდნა კითხვა-პასუხის საშუალებით. კითხვები ასეთი თანამიმდევრობით დაეძმის:

1. რას ეწოდება შორისდებული?

2. რა და რა სახის სულიერ განწყობილებასა და გრძნობას გამოხატავს ის?

3. რით განსხვავდება შორისდებული მეტყველების სხვა ნაწილებისაგან?

4. შინაარსის მიხედვით შორისდებული რა და რა ჯგუფისაა?

5. რა სასვენი ნიშნები იხმარება შორისდებულთან?¹.

ამის შემდეგ ვარკვევთ შორისდებულის ადგილს წინადადებაში; ის თავშიც გვხვდება, შუაშიც და ბოლოშიც, მაგრამ უმეტესად მისი ადგილი თავშია. საანალიზოდ აიღება მაგალითები.

შორისდებული თავშია:

„ე რ ი ჰ ა, მოჰყევი შენებურად რახუნს!“ (ე. ნინ.).

„ვა, არსენ, ასე აშკარა სიარული გაგონილა?!“ (მ. ჯავახ.).

„ა უ! დააქცია მეხმა სახლი!“ (ე. ნინ.).

წინადადებათა გაანალიზების შედეგად დადგინდება, რომ:

1. შორისდებული წინადადების თავში დგას, მის შემდეგ სასვენი ნიშანია დასამული, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ წარმოთქმისას მასთანე პაუზაა. მესამე წინადადებაში კი შორისდებული ძახილის ნიშნით არის გამოყოფილი, რადგან იგი წარმოთქმულია გრძნობითა და მეტი პაუზით.

2. შორისდებული სინტაქსურად წინადადების არც ერთ წევრს არ უკავშირდება; მაგ., პირველ წინადადებაში შორისდებულის ჩათვლით ოთხი სიტყვა გვაქვს, წესის თანახმად, უნდა გექონდეს სამი წყვილი, მაგრამ გვაქვს ორი (1. მოჰყევი რახუნს; 2. მოჰყევი შენებურად). შორისდებული კი არც ერთ წევრს არ დაუკავშირდა, რადგანაც იგი არ არის წინადადების წევრი. იგი წინადადებაში განკერძოებულად დგას.

სამივე წინადადების ანალიზის შედეგად კეთდება შესაფერისი დასკვნა.

ამის შემდეგ გაანალიზდება ისეთი წინადადებები, სადაც შორისდებული ბოლოსაა. ყურადღება მახვილდება სასვენი ნიშნებზე და იმაზედაც, რომ შორისდებული განკერძოებული სიტყვაა:

„ამიტომაა სასიამოვნო აქ მოსვლა, ი ფ!“ (დ. კლდ.).

„იმათ მარჯვენას და იმათ ნაცად ბილიკს მივყვებით, ვაშა!“  
დი დ ე ბ ა!“ (ი. გრიშ.).

¹ М. В. Ушаков, Междометие: Уроки русского языка в V—VII классах, Москва, 1954, стр. 362; Изучение русского языка в V—VII классах, фонетика и морфология, Москва 1956, стр. 608.

ალინიშნება, რომ მოცემულ წინადადებებში შორისდებული ბოლოსაა, მაგრამ აქაც განკერძოებულად დგას, წინადადებისაგან მძიმით არის გამოყოფილი. მეორე წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანია დასმული, რადგან შორისდებული გრძნობითაა წარმოთქმული.

ექლევათ წესი: თუ შორისდებული წინადადების ბოლოშია, მაშინ იგი წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა, ბოლოს კი ძახილის ნიშანი იწერება.

ანალოგიური მუშაობა წარიმართება წინადადების შუაში მოთავსებული შორისდებულის ფუნქციისა და მასთან დაკავშირებული სასვენი ნიშნების წესის გასაცნობად:

„მაგრამ, ე კ, ძმაო, რაც იყო, იყო, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად!“ (ი. ჭავჭავაძე).

„ნაგრამ, ვ ა ჰ მ ე, ძველებურად ის ჰანგები აღარ ისმის“ (ი. გრიშ).

აქ ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ შორისდებული განკერძოებული სიტყვაა და იგი ორივე მხრიდან მძიმეებითაა გამოყოფილი.

მეცემა წესი: თუ შორისდებული შუაშია, იგი წინადადებას ორივე მხრიდან მძიმეებით გამოეყოფა.

ამ წესის ჩვევად გადაქცევისათვის საჭიროა ვარჯიშობა.

ბოლოს გაანალიზდება კიდევ ერთი წინადადება, რომელშიც შორისდებული თავში იქნება წარმოდგენილი. შემდეგ კი მას ადგილს შევუცვლით, გადავიტანთ ბოლოში და შუაში:

„— ო უ! დიდი არამზადაა ეგ მოურავი“ (ა. ფურც).

„— დიდი არამზადაა ეგ მოურავი, ო უ“

„— დიდი არამზადაა, ო უ, ეგ მოურავი“.

აღმოჩნდება, რომ შორისდებულის ადგილის გადაანაცვლება ყოველთვის არ ხერხდება.

შორისდებულიან წინადადებაში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოთქმას. შორისდებულის ინტონაცია იმდენად ძლიერია, რომ იგი გავლენას ახდენს მთელ წინადადებაზე<sup>1</sup>, მაგალითად:

<sup>1</sup> გვევლება ასეთი შემთხვევები, როცა შორისდებული გამოდის რთული წინადადების ერთ-ერთ კომპონენტად. იგი უმეტესად მთავარ წინადადებადაა წარმოდგენილი. ეს მაშინაა შესაძლებელი, როცა შორისდებულს მოსდევს თუ ან რ ო მ კავშირისანი დამოკიდებული წინადადება, მაგალითად: „ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის“ /ი. ჭავჭავაძე/, „ვაი, თუ კიდევ გამოგვეკიდნენ“ /ა. ყაზბეგ/.

მაგრამ სწავლების ამ საფეხურზე შორისდებულის ამ სინტაქსური თავისებურების გარკვევაზე ხელი უნდა ავიღოთ ორი მიზეზის გამო: 1. თავისთავად ასეთი კონსტრუქციის წინადადებების ამოცნობა ძნელია, და 2. რთული წინადადება დი-

„ე, რავე მიათრევს თავის რაშს!“ (დ. კლდ.).

„ვი ვ! რად გაეტეხე მამის ნათქვამი!

ახია ჩემზე, რაც მომივიდა!“ (ი. ჭავჭავაძე).

„ბიჭოს! — სთქვა გულში პეტრემ, — პირობა შეუკრავთ, თუ რა ღმერთი გასწყრომიათ!“ (ი. ჭავჭავაძე).

წარმოებს ვარჯიშობა აღნიშნულ წინადადებათა სწორად წაკითხვაზე, პირველად მასწავლებელი კითხულობს, შემდეგ კი — მოსწავლეები.

შორისდებულის წინადადების სათანადო ინტონაციით წაკითხვა-წარმოთქმის დაუფლება და ჩვევად გადაქცევა ვარჯიშობას მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია ეს მუშაობა მხოლოდ ენის გაკვეთილებით კი არ შემოიფარგლოს, არამედ ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზედაც გაგრძელდეს. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს სხვადასხვა ან ერთნაირ შორისდებულთა განმეორებაზე, რომლის მიზანია შორისდებულთა გამოხატული გრძნობებისათვის მეტი ზემოქმედებითი ძალის მინიჭება:

„ბიჭოს, ბიჭოს! ყოჩაღ, მეგობარო, ყოჩაღ! შენც კარგი გალობა გცოდნია“ (ვაჟა).

„ოოო, ოოო! — ყვიროდნენ ბავშვები“ (შ. არაგვი).

„ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! — მოხევემ მწარედ გაიქნია თავი“ (ა. ყაზბ.).

გაირკვევა, რომ წინადადებაში შესაძლებელია ერთი და იგივე შორისდებულთა განმეორდეს და სხვადასხვაც. ამით მწერალი დინამიკურობასა და დიდ გამომსახველობითს ძალას ანიჭებს თხრობას. შორისდებულთა ასეთი განმეორება VII კლასის „მშობლიურ ლიტერატურაში“ მოთავსებული მხატვრული ნაწარმოებებიდან ყველაზე უფრო ახასიათებს „ხევისბერ გოჩას“<sup>1</sup>.

სწავლების ამ საფეხურზე გაირკვევა შორისდებულთა სინტაქსურ-სტილისტიკური ფუნქციებიც. ამ მიზნით საჭიროა აღებულ იქნეს რამდენიმე წინადადება, სადაც ერთი და იგივე შორისდებულთა სულ სხვადასხვა გრძნობის გადმოსაცემადაა გამოყენებული:

„ზურაბის დედა იდგა, იდგა, ფიქრობდა რაღაცას და შეშფოთდა გულისმოსაკლავი დაღონებით იტყოდა! — ახ, ნეტავი-კი მომაგონა“ (დ. ქონჯ.).

ფერენცირებულად (თანწყობილი, ქვეწყობილი) მოსწავლეებს შესწავლილი არა აქვთ. საკითხი მაშინ გაირკვევა, როცა მოსწავლეები რთულ ქვეწყობილ წინადადებას შეისწავლიან.

<sup>1</sup> „ყაზბეგის ენაში მდიდრადაა წარმოდგენილი შორისდებულები, და ეს არ არის შემთხვევითი: ყაზბეგის ტემპერამენტს და თხრობის ექსპრესიას სავსებით შეეფერება შორისდებულთა სემანტიკური თავისებურება“, — წერს შ. ძიძიგურაძე. იხ. ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954, გვ. 129.

„ა ხ, მეგობრებო, რაღა გითხრათ მე თვალსაჩინოდ,  
მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა“ (ი. გრიშ.).

„ა ხ, რა ბედნიერი იქნებოდი, რომ ეხლავ მომკვლარისაჲ“  
(დ. ჯონქ.).

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პირველ შემთხვევაში ა ხ შორის-  
დებული ნატვრას გამოხატავს, მეორე შემთხვევაში — შეძახებას,  
მწუხარებას, დარდს. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს მწერა-  
ლი წიგნის კითხვამ რომ გადაარჩინა, იმითაა დამწუხრებული. არა,  
შავნელი წარსულის მოგონებამ გამოიწვია ა ხ მწუხარების შორის-  
დებულის ამოძახილი. მესამე წინადადებაში კი იგივე ა ხ ნატვრას გამო-  
ხატავს<sup>1</sup>.

ასეთი სახის ვარჯიშობა (სხვადასხვა ბგერითი შედგენილობის  
შორისდებულის ლიტერატურული ტექსტიდან ამოწერა და დადგენა  
იმისა, თუ რა გრძნობას გადმოგვცემს) დიდად შეუწყობს ხელს შო-  
რისდებულის სტილისტიკური ფუნქციის გაგება-შეთვისებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შესაძლებელია მოს-  
წავლეთ მიეცეთ შორისდებულის შენდევნაირი განსაზღვრა: ისეთ  
განკერძობებულ ბგერას, ბგერათა ჯგუფს ან სიტყვას, რომელიც ადამიან-  
ის სულიერ განწყობილებას ან გრძნობას უშუალოდ გამოხატავს,  
შორისდებული ეწოდება. ამ განსაზღვრის ნაწილი მოსწავლისათვის  
ნაცნობია VI კლასიდან.

რაობას დაემატება ის, რომ შორისდებული განკერძობებული  
ბგერა, ბგერათა ჯგუფი ან სიტყვაა. ამით კი განსაზღვრა უფრო

---

<sup>1</sup> მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ გვხვდება ამის საწინააღმდეგო შემთხვე-  
ვებიც: ერთი და იმავე გრძნობის გამოსახატავად შეიძლება სულ სხვადასხვა შო-  
რისდებული იქნეს გამოყენებული; მაგალითად:

„ბ ა რ ა ქ ა ლ ა, შეილო, ყოველთვის წინ მამა უნდა გაახარო ხოლმე“ (დ. ჯონქ.).

„უ ი, შენ გენაცვალს ჩემი თავი“ (ი. ჰეკ.).

„ბ ი ტ ო ს, მამ ღვთის კაცი ყოფილა“ (ი. ჰეკ.).

„ი ფ, ვენაცვალე იმ კისერში!“ (ე. ნინ.).

„ო ო ო, მახარე, რა კარგი ხარ!“ (შ. არაგვ.).

„ყ ო ჩ ა ლ, ბიძაჩემო, ყ ო ჩ ა ლ! მე ანე მეგონა — ბიძია დამიბერდა-მეთქი“  
(ნ. ლომ.).

„მ ა რ ო, ისეთი კარგია რკინიგზა, ისეთი რომ ჰა ა!“ (ნ. ლომ.).

„ე ა შ ა, ახალ სხივს! გულს მიხალისებს ახალი ძალა“ (ი. გრიშ.).

„ვ ი შ, რა კარგია, რა ლამაზია პატარა ია!“

„ა ხ, რა კარგია, რა ლამაზია პატარა ია!“ (ი. გრიშ.).

„ო, რა კარგი ხარო, რა წარმტაციო!“ (ი. გრიშ.).

ამ მოყვანილია თერთმეტი სხვადასხვა სახის, სხვადასხვა აგებულებისა და ბგე-  
რითი შედგენილობის შორისდებული, მაგრამ ყველა ისინი ერთ გრძნობას — მოწო-  
ნებას გამოხატავს.

სრულყოფილი გახდება. აქ მთლიანობაშია მოცემული შორისდებულის მორფოლოგიური ნიშნები და სინტაქსური ფუნქცია.

აქვე ვსახელებთ ვარჯიშობის რამდენიმე სახეს:

1. ნასწავლო ტექსტიდან შორისდებულიანი წინადადებების ამოწერა და გარჩევა;

2. წინადადებების მიცემა და შესატყვისი შორისდებულების ჩასმა, ასე, მაგალითად:

„...რა ლამაზად იღვიძებს ბუნება!“

„...რა უგულო ყოფილხარ!“

„...გადაიკისკისა პატარა გოგონამ!“

„ჩვენს საქმეს... რა ეშველება?“

„შენც გცოდნია ქადრაკის თამაში...“ და ა. შ.

(შესათერისი შორისდებული ჩაიწერება მრავალწერტილის ადგილას).

3. შორისდებულიანი წინადადებების მიწოდება სასვენი ნიშნების გარეშე: დაუსვან შესატყვისი სასვენი ნიშნები;

4. დამოუკიდებლად შედგენა ისეთი წინადადებებისა, სადაც შედის შორისდებულები: ვაშა, ყოჩაღ, ბიქოს, ჰერი და სხვა.

5. მოცემული შორისდებულებისაგან (ოპ, ოი, ვაპ, უპ, პეე, ვაჰჰე, ვაგლახ...) წინადადებების შედგენა; ერთი და იმავე შორისდებულით სხვადასხვა გრძნობის გადმოცემა<sup>1</sup>.

6. მხატვრული ნაწარმოებიდან ამოწერა ისეთი წინადადებებისა, რომლებშიც შორისდებული განკერძოებული ბგერა, ბგერათა ჯგუფი ან სიტყვა იქნება, დავალება: გადააქციონ შორისდებული წინადადების წევრად; მიუთითონ რომელ ბრუნვაშია და წინადადების რა წევრია.

მიზანშეწონილია ჩატარდეს სხვადასხვა სახის საკლასო წერიტი სამუშაო:

1. კარნახი. საკარნახო ტექსტი ისე უნდა იყოს შერჩეული (თუ შედგენილი), რომ შეიცავდეს სასვენი ნიშნების ხმარების ყველა შემთხვევას (ძახილის ნიშანი, მძიმე).

2. გადაწერა. მიეცემათ გადასაწერად უნიშნებო ტექსტი დავალებით: გადაიწერონ ტექსტი, დაუსვან სასვენი ნიშნები და შორისდებულებს ქვეშ ხაზი გაუსვან.

<sup>1</sup> А. В. Дудников, Методика пунктуации в связи с изучением синтаксиса простого предложения, Москва, 1955, стр. 85.



ამ სახის ვარჯიშობით ხელს ვუწყობთ მოსწავლეთა ზეპირსა და წერიტს მეტყველებაში ამ გრამატიკული კატეგორიის აქტიურად დამკვიდრებას<sup>1</sup>, დანერგვას<sup>2</sup>.

## განკერძობები განსაზღვრება

განკერძობული განსაზღვრება, როგორც სინტაქსური კატეგორია<sup>3</sup>, ქართულ ენაში აღრიდანვეა ჩამოყალიბებული. ეს უძველესი წერილობითი ძეგლებიდან ჩანს.

განკერძობული განსაზღვრების ნიმუშები შრავლადაა „შუშანიკის წამებაში“; მაგალითად:

ვიხილე ხატი მისი (,) და ბ ძ არ უ ლ ი და გან ს ი ვ ე ბ უ ლ ი (,) და აღუტევე კმაა და ვტიროდე (21, 11 — 12).

და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოათ კერძო, მ ც ი რ ჭ და ბ ნ ე ლ ი, და მუნ შეაყენეს წმიდაა იგი (იქვე, 28, 23 — 24).

ძველი ქართულის სხვა ძეგლებშიც საკმაოდაა წარმოდგენილი განკერძობული განსაზღვრების შემცველი წინადადება. მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს: მათ თანა იყო ნეტარი გრიგოლ, მ დ გ ო მ ა რ ე ა დ გ ი ლ ს ა სა ჩ ი ნ ო ს ა (ხანძთ., გვ. 101).

მომდევნო პერიოდის ძეგლებში უფრო და უფრო ხშირია ეს კონსტრუქცია, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ განკერძობული განსაზღვრების მაგალითი რამდენიმე ათეულს აღწევს; ჩვენ მხოლოდ სამიოდე მაგალითის დასახელებით დავკმაყოფილდებით:

მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შე ნ გ ა ნ გ ა ნ ა წ ი რ ს ა (203, 251).

კაცი, ჩ ე მ გ ა ნ გ ა ნ ა ტ ყ ო რ ც ნ ი, ბ რ უ ნ ა ვ ს ვ ი თ ა ტ ა ნ ა ჯ ო რ ი (98, 447).

გამოჩნდა მუნით მინდორი, ს ა ვ ა ლ ი ღ ღ ი ს ა შ ვ ი დ ი ს ა (43, 184).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში განკერძობული განსაზღვრება ფართოდ გამოიყენება. იგი გვხვდება სხვადასხვა ენარის და სტილის ნაწარმოებებში: პროზაში, პოეზიაში, კრიტიკულ-პუბლი-

<sup>1</sup> П. И. Колосов, Междометве: Прусский язык в школе, 1938, № 4 стр. 57.

<sup>2</sup> სავარჯიშოთა ნაწილი აღებული გვაქვს ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელ იუნონა კალანდაძის პრაქტიკიდან.

<sup>3</sup> А. Г. Руднев, о генезисе обособленных членов предложения, как синтаксической категории, в русском литературном языке (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), Ленинград, 1949.

ცისტურ სტატიებში, მეცნიერულ შრომებში, პოლიტიკურ ლიტერატურაში და ა. შ., მაგალითები:

ეს იყო მაღალი ტანის ახალგაზრდა კაცი, ბალნით ძალზე შემოსილი, ისე რომ ლოყები ძლივს უჩანდა (დ. კლდ., I, გვ. 231).

ბარათი, სისხლის ცრემლნატოვარი,

ბექედი, ძვირფას ალთა მთოვარი —

საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი (გ. ტაბ., გვ. 65).

განკერძობული განსაზღვრების ხშირი გამოყენება სხვადასხვა ენარის ნაწარმოებებში იმაზე მიგვიითითებს, რომ ეს კონსტრუქცია შეადგენს ქართული ენის გრამატიკული წყობის ბუნებრივ მოვლენას.

### განკერძობისათვის ხელშემწყობი პირობები

განკერძობული განსაზღვრების რაობა

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ დამულა საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირობებია საჭირო განსაზღვრების განკერძობისათვის. რუსულში კი ამ საკითხმა თავიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და თითქმის ორასი წლის მანძილზე არ შენელებულა ინტერესი ამ პრობლემისადმი. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება თუ შეხედულება გამოითქვა და დღესაც, შეიძლება ითქვას, იგი საბოლოოდ არ არის გადაჭრილი.

რუსული ენათმეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით და ქართული ენის მონაცემთა ანალიზით ირკვევა, რომ განკერძობის ხელშემწყობ პირობად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

I. ინვერსია, ანუ სიტყვათა შებრუნებული რიგი. სიტყვათა რიგის საკითხი არსებითად ფრაზას, წინადადებას ეხება. სიტყვათა რიგის ყოველგვარ შეცვლას თან სდევს მთელი წინადადების ელფერის შეცვლა<sup>1</sup>.

ქართულში სიტყვათა რიგი ისე მტკიცედ არაა განსაზღვრული, როგორც ზოგიერთ სხვა ენაში, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამ საკითხში ქართული ენა თითქოს არავითარ კანონზომიერებას არ იქონის: ეს კანონზომიერება არსებობს და ზოგჯერ ნათლადაც ვლინდება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> А. М. Пешковский, школьная и научная грамматика, Москва, 1925, стр. 16.

<sup>2</sup> მ. ჩინჩაიძე, ზმინულის სწავლებისათვის, უფრ. „კომ. აღზრდისათვის“, 1954, № 1, გვ. 55.

ამ უკანასკნელ პერიოდში გამოთქმული მოსაზრების თანახმად „წინადადების წევრთა რიგი ქართულში უფრო სტილისტიკის საგანია, ვიდრე გრამატიკისა“<sup>1</sup>. მაგრამ ეს ყოველთვის არ მართლდება. ამ საკითხს სპეციალური შესწავლა უნდა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულში სიტყვათა რიგს, ჩვენი აზრით, სამი ფუნქცია მაინც აქვს.

1. სიტყვათა რიგი ქართულში წარმოადგენს სემანტიკურ საშუალებას. სიტყვათა რიგის შეცვლით იცვლება წინადადების აზრობრივი ელფერი; მაგ., „მფრინავი მამაცი გმირულად იბრძოდა“. აქ აზრი ბუნდოვანია. ეს გამოიწვია მსაზღვრელ-საზღვრულის რიგის შეცვლამ. ბუნებრივია: „მამაცი მფრინავი გმირულად იბრძოდა“.

2. სიტყვათა რიგი წარმოადგენს სტილისტიკურ საშუალებას, ე. ი. განსაზღვრავს წინადადების ყოველი წევრის აზრობრივ ტვირთს.

„ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად საკავშირებელი სიტყვა უშუალოდ უნდა იყოს იმ სახელთან, რომელსაც დამოკიდებული წინადადება მიეკუთვნება, ან, თუ დაშორება აუცილებელია, სხვა სახელი არ უნდა უდგეს წინ. მაგალითად: „მას არ ესმოდა იქვე ახლო აკოკრებული ვარდის ბუჩქზე მჯდომი ბულბულის აღგზნებული სტვენა, რომელიც სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს“ (არაგვ.). საკითხავია: რა ვერ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს: ბულბულის თუ მისი სტვენა? რა თქმა უნდა, ბულბული, მაგრამ აქ სიტყვები ისეა დალაგებული, რომ უნებურად „სტვენას“ იგულისხმებს კაცი“<sup>1</sup>. მაშასადამე, სიტყვათა რიგის შეცვლამ სტილისტიკური უხერხულობა გამოიწვია.

3. სიტყვათა რიგი ასრულებს სინტაქსურ ფუნქციას; არაიშვიათად სიტყვის ადგილით განისაზღვრება მისი სინტაქსური როლი. აქ ძველი ქართულის შესახებ არაფერს ვიტყვი, რადგან იგი საერთოდ ცნობილია. ავიღოთ სხვა მაგალითები. წინადადებაში „ჩემი სტუმარი გახლავს მამალი“ (ვაჟა, V, გვ. 206), როგორ უნდა გამოვარკვიოთ „რომელი სახელი უნდა იქნეს ქვემდებარედ მიჩნეული და რომელი შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილად?

<sup>1</sup> ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბილისი 1956, გვ. 124. შდრ. მ. ხ. ქეკელიძე, სტილზე მუშაობის შესახებ უშუალო სკოლაში; ქართ. ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში. კრებული V, თბილისი, 1953, გვ. 187.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII-VIII კლასებისათვის, თბილისი, 1948, გვ. 152.

ამას არკვევს სიტყვათა რიგი (პირველ ადგილზე, როგორც წესი, ქვემდებარეა, მეორეზე — შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი)<sup>1</sup>.

II. გავრცობილი განსაზღვრების გამოყენება. განსაზღვრება შეიძლება იყოს ერთეული (გაუვრცობელი) და რთული (გავრცობილი). შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში განკერძოებულია გავრცობილი განსაზღვრება. რაც უფრო გავრცობილია განსაზღვრება, მით უფრო მოსალოდნელია განკერძოება; მაგალითად:

შრომა, აწ ქვეყნად ტყვე და პყრობილი,

მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა (ი. ჭავჭავაძე, I, გვ. 140).

აბე ფიქრობდა გუნებაში ბეკინა და ეს აზრი, შემდეგ სურვილად გადაქცეული, ბოლოს აუცილებელ წადილად გადაიქცა (დ. ულდ., I, გვ. 115).

იშვიათად შეიმჩნევა ამ წესიდან გადახვევა:

ა) ზოგჯერ მწერალი ერთეულ, გაუვრცობელ განსაზღვრებასაც ნაჩვენებობს. ამას სჩადის, თუ სურს საგნის ნიშან-თვისება უფრო გამოკვეთოს, გახაზოს. ეს შესაძლებელია მოხდეს მაშინაც, როცა საზღვრულს, რომელსაც წინ აქვს განსაზღვრება, მოსდევს სხვა განსაზღვრებაც, თუცა ეს არ არის სავალდებულო განკერძოება. ეს მწერლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ამიტომაც ასეთ განკერძოებას ჩვენ ფაქტულტატურ (არაწავალდებულო) განკერძოებას ეუწოდებთ. მაგალითები:

უეცრად, როგორც გწერ, გამოვფხიზლდი და დავინახე ჩვეულებრივი ქალი, გასათხოვარი, რომელიც ცდილობს ბადეში გააბას საქრო (შ. არაგვ., I, გვ. 235).

ლამაზი და მდიდარია აფხაზეთის ბუნება.

მიყვარს შავ ზღვის, ბუმბერაზის, დაძვრა-აგუგუნება (გ. ტაბ., გვ. 78).

III. მსაზღვრელის დაშორება საზღვრულისაგან. მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ხშირად ერთი ან რამდენიმე სიტყვაა მოთავსებული. ამის შედეგად ისინი ერთმანეთისაგან დაშორებულია. მათ შორის ჩასმულია წინადადების სხვა წევრები. მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი დაშორება ქმნის ხელსაყრელ პირობებს მსაზღვრელის განკერძოებისათვის.

მაგალითები:

<sup>1</sup> ლ. კვაჭავაძე, წინადადების წევრები ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 32. შდრ.. ა. კიზირია, შემასმენლის ადგილი წინადადებაში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, მეთოდური წერილების კრებული, III, თბილისი, 1950, გვ. 37-43.

თავბრუდასხმული ბაბო ძლივს იჯდა სავარძელში, ს ი რ ც ხ ე ი-  
ლი ს ა გ ა ნ გ ა მ შ რ ა ლ ი (დ. კლდ., I, გვ. 98).

ხალხი იცდის და ჭავრი ს ა გ ა ნ გ უ ლ დ ა ხ უ რ ვ ი ლ ე ბ ს,  
სიცხე უფრო აფიცებებს (აკაკი, IV, გვ. 98).

განკერძოებისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, თუ მეტყ-  
ველების რომელი ნაწილითაა გამოხატული მსაზღვრელ-საზღვრული.  
პირის ნაცვალსახელებთან განსაზღვრება ყოველთვის განკერძოებუ-  
ლია. არსებითი, რიცხვითი სახელითა და საწყისით გამოხატული გან-  
საზღვრება იშვიათადაა განკერძოებული.

პირის ნაცვალსახელთან განკერძოებისათვის განსაზღვრების გავ-  
რცობა-გაუფრცობლობას მნიშვნელობა არა აქვს:

მას, ამ გამწარებაში მყოფს, თავბრუ ესხმოდა  
(დ. კლდ., I, გვ. 162).

მე, გახარებულმა, წამოვედი, და თითქმის ყველა ჩემ ტოლ ბი-  
ჭებს გარდავეც მიზეზი ამ სიხარულისა (ნ. ლომ., გვ. 30).

IV. საზღვრული სიტყვის ჩავარდნა. ზოგ შემთხვევაში წინადად-  
ებაში მსაზღვრელი წარმოდგენილია, მაგრამ საზღვრული ჩავარდნი-  
ლია; ამის გამო მსაზღვრელი საზღვრულის გარეშე რჩება და, რო-  
გორც წესი, განკერძოებული ხდება; მაგალითად:

და, სი ს უ ს ტ ი თ გ უ ლ გ ა ტ ე ხ ი ლ ს,  
აღარ მწამს არსით შეება (აკაკი, II, გვ. 131).

ამ გვარი სიტყვებით და იმედებულს გული საგულეს  
მქონდა (აკაკი, IV, გვ. 36); მაგრამ შემდეგ, იქიდან დაბრუ-  
ნებულმა, ისეთი ნიჭი და ერთგულება გამოიჩინა, რომ ოსმა-  
ლეთის მართებლობამ მიაქცია მას ყურადღება (აკაკი, IV, გვ. 155).

აქ პირველსა და მეორე წინადადებაში ჩავარდნილია „მე“, ხოლო  
მესამეში — „მან“ ნაცვალსახელი<sup>1</sup>.

განკერძოებულ განსაზღვრებას ახასიათებს თავისი სათანადო ინ-  
ტონაცია და პაუზა. ჩვეულებრივი განსაზღვრება კი საზღვრულისაგან  
არ გამოიყოფა ინტონაციითა და პაუზებით. ამაში ნათლად დავრწმუნ-  
დებით მაგალითთა შეპირისპირებით:

ბევრგან ხანჯლით დაჭრილი საწყალი იოთამი საკუთარ  
სისხლში სცურავდა. შდრ. საწყალი იოთამი, ბეერგან ხანჯლით  
დაჭრილი, საკუთარ სისხლში სცურავდა (ი. გოგ., გვ. 292).

პირველ წინადადებაში განსაზღვრება წარმოთქმისას ინტონაციუ-  
რად არ გამოიყოფა დანაჩრენი წევრებისაგან, მეორეში კი განკერძო-

<sup>1</sup> მხედველობაში არ ვიღებთ ე. წ. განმარტებულ მსაზღვრელს, სადაც სულ  
სხვა ვითარებაა. იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 93.

ებული განსაზღვრება ინტონაციითა და პაუზებით გამოიყოფა<sup>1</sup>, რაჲ წერაში სათანადო სასვენი ნიშნებით აღინიშნა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა პაუზის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს გრამატიკული პაუზა და არა ლოგიკური, ფსიქოლოგიური და შემთხვევითი პაუზები<sup>2</sup>.

ზემოთქმულის თანახმად განკერძოებული განსაზღვრების რაობა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: განკერძოებული განსაზღვრება ეწოდება ისეთ განსაზღვრებას, რომელიც წინადადებიდან გამოიყოფა თანმხლებ სიტყვებთან ერთად პაუზითა და ინტონაციით და გამოკვეთილად წარმოგვიდგენს საზღვრული წევრის ნიშან-თვისებას.

### განსაზღვრების განკერძოების ძირითადი შემთხვევები

აქ ვებებით განკერძოებული განსაზღვრების ყველაზე ძირითად და ტიპობრივ შემთხვევებს<sup>3</sup>.

I. გავრცობილი განსაზღვრება, რომელიც საზღვრული წევრის შემდეგ დგას, ყოველთვის განკერძოებულია. ამ წესმა არ იცის გამონაკლისები. ყველა სახის განკერძოებული განსაზღვრების თითქმის სამი-მეოთხედი ასეთია. მოგვყავს სათანადო მაგალითები:

ირემი, დაწუხებულ ჰაერისა და მიწისათვის, ათასში ერთხელ ამოყოფდა თავს ზღვიდან (ვაჟა, VI, გვ. 125).

მაქანკალი, გრძელიძისაგან გამოგზავნილი, განხლდათ ერთი ნოხუცებული დედაკაცი (ილ. ჯავჭ., II, გვ. 167).

II. საზღვრულის შემდეგ მდგომი ორი ან მეტი გაუფრცობელი განსაზღვრება განკერძოებულია იმისდა მიუხედავად, საზღვრულის წინ არის თუ არა ატრიბუტული განსაზღვრება; მაგალითად:

მოხვევ, ცაღონებულ და შეწუხებულ, გამოვიდა სადგურად გამხდარის ქვაბიდან (ა. ყაზბ., I, გვ. 213).

ღვთისოსაც, შეურაცყოფილს და შერცხენილს, აღარ ედგომებოდა ჩვენთან (ვაჟა, VI, გვ. 168).

აი, რას ამბობს რუსთველი, სულმნათი, ყვაელოვანი (აკაკი, II, გვ. 78).

<sup>1</sup> განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ინტონაცია ცალკე კლავის საგანია.

<sup>2</sup> Е. В. Кротович, к вопросу о синтаксическом членении речевого потока: Нлукони записки. т III. выпуск второй. Львов, 1946, стр. 96.

<sup>3</sup> განსაზღვრების განკერძოების რამდენიმე შემთხვევა აღნიშნული აქვს ლ. კვაძეძეს: ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1956, გვ. 120 — 121.

პირველ და მეორე მაგალითში განკერძოებული განსაზღვრებები „და“ კავშირით არიან შეერთებული, ხოლო მესამე მაგალითში — უკავშიროდ. მდგომარეობას არ ცვლის ატრიბუტული განსაზღვრება უძღვის თუ არა საზღვრულს:

ამ კაცს ჰყავდა სამი მოსწრებული ქალი, და ც უ ლ ნ ი და და კ რ -  
ბ ა ლ უ ლ ნ ი (ლ. არდ. გვ. 44).

III. თუ საზღვრულს მოსდევს გაუვრცობელი ატრიბუტული მსაზღვრელი, წესით იგი არაა განკერძოებული: „ნელად მოღელავს მოღულუნე მტკვარი ანკარა (ნ. ბარ. გვ. 10), მაგრამ როგორც პოეზიაში, ისე პროზაში სისტემატურად გვხვდება ასეთ შემთხვევაში განკერძოების ფაქტები. მაგალითები:

მიყვარს თვალები, მიბნედილები, ეშხისა ცეცხლით დაქან-  
ცულები (იქვე, გვ. 24).

ცხვარი, და ფ ა ნ ტ უ ლ ი, ტყეში შესულიყო (ა. ყაზბ., I, გვ 71).  
ანალოგიური მდგომარეობაა მაშინ, როცა განსაზღვრება კომპო-  
ზიტი და საზღვრულის შემდეგაა:

ანუკამ, ჯოხ და ბ ჟ ე ნ ი ლ მ ა, მკედრის პატრონივით საცოდავად  
გაპკივლა (ვაჟა, V, 49).

ლიზა. და დ ლ ი ლ -და ქ ა ნ ც უ ლ ი, გაუხდელად ამოუჯდა  
გვერდში ქეთევანს (ე. გაბ., გვ. 391).

ჩამოატარეს ნეფე-დედოფალი, გვირგვინებ ჩამოკიდე-  
ბულ ი, ურმით (იქვე, გვ. 40).

მახსოვს ყმა, ქოჩორ გადავარცხნილი, ჩამოჯდებოდა  
წიგნებით მერხზე (ი. გრიშ., გვ. 17).

მწერალი ზოგჯერ გამოყოფს განსაზღვრებას სასვენი ნიშნებით  
და ზოგჯერ არა. უფრო კომპოზიტების განკერძოება ჭარბობს.

ასეთ შემთხვევაში განკერძოება მწერალზეა დამოკიდებული, სა-  
ვალდებულო არაა იგი.

IV. თუ გავრცობილი მსაზღვრელი საზღვრულის წინაა, განკერძო-  
ებას ადგილი არა აქვს:

წერილის გაგზავნას მეოთხე დღეს მატარებლით ჩამო-  
სულმა გიგომეტლი გააჩერა (დ. კლდ., I, გვ. 83).

V. მეტად საინტერესოა სურათს იძლევა განსაზღვრების განკერ-  
ძოება პირის ნაცვალსახელებთან. როგორც წესი, გავრცობილი თუ  
გაუვრცობელი განსაზღვრება, პრეპოზიციულია ის თუ პოსტპოზიცი-  
ური, განკერძოებულია, როცა ის ახლავს პირისა და ჩვენების ნა-  
ცვალსახელებს. აქ ვარჩევთ რამდენიმე შემთხვევას.

ა) ძალიან ხშირია, როცა პირის ნაცვალსახელს („მე“) უშუალოდ

მოსდევს გავრცობილი თუ გაუვრცობელი განკერძოებული განსაზღვრება:

მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა (აკაკი, IV, გვ. 42).  
იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამაპაპურად ფეხ-  
მორთხმულს, წინ მიფენია ქართული სუფრა (იქვე, გვ. 159).

მე, გონებად ანტული, გიყვივთ გავექანე (იქვე, გვ. 145).

ზოგჯერ პირის ნაცვალსახელს ახლავს კავშირი „კი“:

მე კი, შერცხვენილი, დამცირებული, ფეხ-აკრეფით გამოვიპარე  
(მ. არაგვ., I, გვ. 222).

და მე კი, მის ენას გადაჩეეულმა, ვერ გავიგო მისი ენა,  
მისი სიტყვა? (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 12).

იგივე მდგომარეობაა, როცა პირის ნაცვალსახელს უსწრებს გავრ-  
ცობილი განკერძოებული განსაზღვრება: „მოკლებული ჩემს  
უპირველეს სიამოვნებას, მე დიდს მოწყენილობას ვგრძნობ-  
დი (ი. გოგ., გვ. 216).

ასეა III პირთანაც:

სახეწარმონათებულს. თვალეზამღვრეული (ი) იგო  
შეჩერდა (დ. კლდ., I, გვ. 188).

თავის ცოტახედაც კმაყოფილი, ამ თავის მცირე  
დიდობაზე დანიერი, იგი გულმოდგინებით ურტყამდა თოხს  
მიწას (დ. კლდ., I, გვ. 113).

გულ-ლმობიერი, ნაზი, თავმდაბალი, ხალისიანი,  
გრძნობიერი, იგი გასაკვირვად იზიდავდა, იახლოვებდა და  
ხიბლავდა ყველას (დ. კლდ., I, გვ. 270).

შეიძლება ნაცვალსახელი გამოტოვებული იყოს, მაგრამ განკერძოე-  
ბული განსაზღვრების მეოხებით ის ადვილად იგულისხმება:

ქვეყანაში თვალგაუხელებელი, ცხოვრებაში გამოუცდელი და ოც-  
ნებით გაბერილი, აბრილის დამდევს დავადექი რუსეთის გზას (აკაკი-  
IV, გვ. 54).

ბ) მესამე პირის ნაცვალსახელები ასეთი სახით გვხვდება: „მან“,  
„მან კი“, „მანა“, „ის“, „ისიც“. „ის კი“, „იგი“ და სხვ.

მან, გაცეცხლებულმა, უცნაური ხმით მიაყვირა (დ. კლდ.,  
I, გვ. 21)

მან კი, თავლაფდასხმულმა, პირშავად უნდა იაროს ქვე-  
ყანაზე (მ. ჭავჭავაძე, გვ. 363).

ყოველივე ამან, კირილეს ცოცხალი ენით გამოთქ-  
მულმა, ბევრი აცინა პლატონიც (დ. კლდ., I, გვ. 136).



აი ეხლა იმას<sup>1</sup> თავის წარსული მოგონებით გატაცებულს და სიამოვნებით მოცულს, უეცრად წამოპყრა ამ უნვა (მ. არაგვ., I, გვ. 112).

იმანაც, ბრაზმორეულმა, კამეჩივით მიაშურა ახალგაზრდას (აკაკი, IV, გვ. 109).

იმათაც კი, შეჩვეულებს, ემძიმებოდათ ამნაირი მდგომარეობა (დ. კლდ., I, გვ. 276).

ის კი, გავე შებული და ჩოხა-შემოგლეჯილი, კბურღავდა მაიორს (მ. ჯავახ., გვ. 192).

იგი. შეშინებულს, ისევ ლერწამში შევარდა (ი. გოგ., გვ. 280).

ის, ოღესღაც გშირულად გადმოცქერა, ახლა თავჩაღუნული დასცქეროდა დედაშიწას (მ. არაგვ., I, გვ. 154).

იქვე იღგა ისიც (.) დონჯა შემოყრილი (.) და გულაანად იცი-ნოდა (ვაჟა, VI, გვ. 299).

განკერძოებული განსაზღვრება გვხვდება ქვემდებარესთან, დამატებებთან, შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილსა და მიმართებასთან იმავე ბრუნვაში, რომელშიც ისინი დგანან — სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითსა და წოდებითში<sup>1</sup>. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

I. განკერძოებული განსაზღვრება ახლავს ქვემდებარეს (ეს ყველაზე ხშირი შემთხვევაა):

მაგრამ ჩინარი, მალლად მჩინარი, ღვას მედიდურად და სიამაყით (ნ. ბარ. გვ. 37).

სოლოჰანვა, ვიწროსაჯდომ ფიცარზე გულადმა გაშხლართულმა, მალე ხვრინვა ამოუშვა (დ. კლდ., I, გვ. 52).

II. განკერძოებული განსაზღვრება პირდაპირ დამატებასთანაა:

ის უბედური კაცი, ისე ვისე მწოლარე, იმავე ადგილას დავინახე (ი. ჭავჭავ., II, გვ. 35).

ვითა პეპელა არხევს ნელნელა სპეტაკ შრომანას, ღამაზად ახრილს (ნ. ბარ. გვ. 15).

III. განკერძოებული განსაზღვრება ირიბ დამატებას მოსდევს:

მტერსა, მოყვრულად მოსულსა,

ვერიდოთ ვარდის მფენარსა (აკაკი, II, გვ. 399).

IV. განკერძოებული განსაზღვრება უბრალო დამატებასთანაა:

შეთქმულან შენზედ ერთბირად ძენი ქართლისა სრულისა

აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეული სი (ნ. ბარ.

გვ. 35).

<sup>1</sup> ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1956, გვ. 121.

მიღწევებით, ახალით, ქალაქები დამშენდა

სადაც იყო უღატონო, იქ ქარხნები გაშენდა (ი. გრიშ., გვ. 35).

V. განკერძოებული განსაზღვრება ახლავს შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილს:

თითქოს იგრძნო (ა. ჭავჭავაძემ), რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თა ვ-გ ა უ ტ ა ნ ე ლ ი, ფე ხ-მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი (ი. ჭავჭ., III, გვ. 209).

ეგ ვილაც გლახა არის, დავრდომილი და უპატრონო (ი. ჭავჭ., II, გვ. 34).

VI. განკერძოებული განსაზღვრება მიმართვის თანხლებია:

ქორო, მრავლისა მღვეარო, ბევრჯერ დარჩები მწიერი (ხალხ.).

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა განკერძოებული განსაზღვრება უშუალოდ მოსდევს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების წვერ-კავშირს:

მხალო. რომელიც აქამდისინ ფერმიხდილი და გაჩუმებულ ი, რაღაცა მითოლოარე მდგომარეობაში იყო, უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიყვანეს სასოწარკვეთილებიდან (ა. ყაზბ., I, გვ. 25).

სონია ისევ ბიჭისაყენ გაექანა, რომელიც, ახალ ცემისათვის გამზადებულ ი, საცოდავად მოიკაკვა (დ. კლდ., I, გვ. 230).

განკერძოებული განსაზღვრება საზღვრულს ყოველთვის ეთანხმება ბრუნვაში, ხშირად რიცხვშიც (ეზიან-შიც და ნართანიან მრავლობითში):

ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინეთ გაჩნდნენ ჩვენში წვეროსნები. უცხო ქვეყნიდან დაბრუნებულ ები (აკაკი, IV, გვ. 187).

დიდრონი შავი თვალეზი, სქელი წარბებით გადმოხურულ-დაჩრდილულ ები, საოცრად ბრიალებდნენ (აკაკი, V, გვ. 108).

დავრჩით ოთხნი, გულდაკოდილნი და მოტყუებულნი (ვაჟა, V, გვ. 169) და სხვ. (იხ. ზემოთ).

საზღვრული სხვა ბრუნვაში რომ გადაიყვანოთ, განკერძოებული განსაზღვრებაც შეიცვლის ბრუნვას და იმავე ბრუნვაში დადგება. მაშასადამე, განკერძოებული განსაზღვრება შეთანხმებული განსაზღვრებაა, მაგრამ განკერძოებული.

ყველაზე ხშირად განკერძოებულ განსაზღვრებად მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობები ჩანს. ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული მასალების აბსოლუტური უმრავლესობა: მაგალითების საერთო რაოდენობის 93,5% სწორედ მიმღეობაზე მოდის.

## განკერძობული განსაზღვრების სწავლება

### ზანაქრობული განსაზღვრების რაობის სწავლება

პირველად უნდა მივაწოდოთ თეორიული ხასიათის ცნობები, რომ მოსწავლეები საფუძვლიანად გაერკვნენ განკერძობული განსაზღვრების რაობასა და არსში.

განკერძობული განსაზღვრების სწავლება რთულია. სასკოლო პრაქტიკაში ამ თემას სიძნელები ახლავს; სახელდობრ:

1. მოსწავლეები ძალიან ხშირად ვერ ერკვევიან იმაში, თუ რა განსხვავებაა განკერძობულ და ჩვეულებრივ განსაზღვრებას შორის. მათთვის წინადადებები: „მონადირე, ბედი თ კმაყოფილი, სიამოვნებით დასცქეროდა ნანადირევს“ (ვაჟა, VI, გვ. 462) და „ბედი თ კმაყოფილი მონადირე სიამოვნებით დასცქეროდა ნანადირევს“ ერთნაირი სინტაქსური ღირებულებისაა. როდესაც მოსწავლეებს შევეკითხებით: რით განსხვავდება ეს ორი წინადადება ერთმანეთისაგან, უმეტესობა დუმს, იშვიათ შემთხვევაში კი ვიღებთ ასეთ პასუხს: „მსაზღვრელი მარცხნიდან მარჯვნივაა გადასმულიო“. ჩანს, განკერძობული განსაზღვრება არაა კარგად გაშუქებული.

2. განსაზღვრების განკერძობების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას განსაზღვრების ინვერსია წარმოადგენს. მაგრამ სწავლების პროცესში, როგორც დავრწმუნდით, ამაზე არ მახვილდება ყურადღება. ამის გამო მოსწავლისათვის გაუგებარია, ბუნებრივია ქართულისათვის სიტყვათა ის რიგი, რომელსაც ადგილი აქვს განკერძობულ განსაზღვრებასთან, თუ არაბუნებრივი. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი (სხვა მიზეზებთან ერთად) იმისა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვაუბრის ამ სინტაქსური კონტრუქციის ხმარებას არა მარტო VII კლასში, არამედ დამამთავრებელ კლასებშიც კა.

3. განკერძობული განსაზღვრება პირის ნაცვალსახელებთანაც გვხვდება. მაგრამ როცა ეს უქანასკნელი გამოტოვებულია და განსაზღვრება განმარტობული რჩება, მოსწავლისათვის ძნელი ამოსაცნობი ხდება განკერძობული განსაზღვრება.

4. არის ისეთი შემთხვევები, როცა განკერძობული განსაზღვრება დაშორებულია საზღვრულ სიტყვას; მაგალითად: „კაკლის ჩრდილ ქვეშ თამრო დავინახე, მწვანე ბალახზედ წამოწოლილი“ (ი. ჭავჭავ.); „მარინა ამღლებულს ადგილას დგას, ფერუშმაროწასმული“ (ე. გაბ.).

ანალოგიურ შემთხვევებში მოსწავლეს ჰგონია, რომ განკერძობებას არა აქვს ადგილი და განკერძობულ განსაზღვრებას ჩვეულებრივ განსაზღვრებად თვლის.

5. გვხვდება ამის საწინააღმდეგო შემთხვევაც, როცა მანაზღერელი (ატრიბუტული თუ მართული) გათიშულია სხვა სიტყვით ან სიტყვებით, მოსწავლე ასეთ შემთხვევებს განკერძოებულ განსაზღვრებად აღიქვამს; მაგ.: „აზრი არ ისმის ლოცვისა“ (ვაჟა); „ხის შემოესმის კვენესაო“ (ვაჟა); „ხარს კვევარ ნაილაღარს“ (ვაჟა) და ა. შ.

6. საკულისხმოა, რომ მოწაფეებს ერევათ ერთმანეთში განკერძოებულ განსაზღვრება და დანართი გარკვეული ნიშნების მსგავსების ნიადაგზე: განკერძოებული განსაზღვრება და დანართი — ორივე სახელით გამოხატულ წევრს დაერთვის, ორივე დვას წინადადებისაგან განკერძოებით და განმარტავს წინადადების იმ წევრს, რომელსაც მოსდევს: მაგრამ განკერძოებული განსაზღვრება წინადადებაში აღვილის შეცვლიას უმეტეს შემთხვევაში ჩვეულებრივი განსაზღვრების როლში გვევლინება და მძიმის გამოყენებას აღარ საჭიროებს. დანართთან სხვა ვითარება გვაქვს. დანართი ადგილის შეცვლით, მართალია, წინადადების ჩვეულებრივი წევრი ხდება. მაგრამ ის სიტყვა კი, რომელსაც დანართი დაერთო, დანართის როლში გვევლინება და ეს უკანასკნელი ამის გამო მძიმეებით გამოიყოფა წინადადებისაგან (თუმცა ზოგჯერ ასეთი ოპერაცია სტილიზტიკურად დაუშვებელი ხდება). ეს ასხეავებს უკვეშირო დანართს განკერძოებული განსაზღვრებისაგან გრამატიკულად. სტილიზტიკურად და პუნქტუაციურად.<sup>1</sup>

აღნიშნული სიძნელეების გათვალისწინება და დაძლევა მაშინაა საჭირო, როცა შეცდომებს უშვებენ. განკერძოებული განსაზღვრება ისე უნდა გაშუქდეს, რომ ამ მისალოდნელ შეცდომებს ადგილი არ ექნეს.

განკერძოებული განსაზღვრების რაობის სწავლება უნდა დავწყოთ იმის განმეორებით, რაც მოსწავლეებმა წინა კლასებში შეისწავლეს. განსაზღვრებას მოსწავლეები მარტივად ჯერ კიდევ IV კლასიდან იცნობენ<sup>2</sup>. VII კლასში კი ცნობები განსაზღვრების შესახებ უფრო ფართოდება და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: განსაზღვრების რაობა და მისი ურთიერთობა წინადადების სხვა წევრებთან; ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და არსებითი სახელი განსაზღვრებად<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ვა ლ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდთა, თბილისი, 1954, გვ. 136-137.

<sup>2</sup> ვა ლ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენა, გრამატიკა და მართლწერა, III და IV კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1957, გვ. 64.

<sup>3</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V-VII კლასები), თბილისი, 1957, გვ. 19.

სწავლებისას გამოყენებულ უნდა იქნეს თხრობისა და საუბრის წეთოდები მონაცვლეობით; გამოიყენება გრამატიკული გარჩევა, ფართო ადგილი უნდა დაეთმოს შედარება-შეპირისპირების ხერხსაც ჩვეულებრივი და განკერძოებული განსაზღვრების მსგავსება-განსხვავების გასარკვევად.

საანალიზოდ იწერება წინადადება:

„გრძელიძისაგან გამოგზავნილი მატანკალი გახლდათ ქვრივი დედაკაცი“.

„მაქანკალი, გრძელიძისაგან გამოგზავნილი, გახლდათ ქვრივი დედაკაცი“ (ი. ქავჭ.).

ჯერ გაირჩევა სინტაქსურად პირველი წინადადება, მოინახება მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები, წყვილების მოძებნის საშუალებით გაირკვევა წინადადების წევრთა შორის სინტაქსური ურთიერთობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მსაზღვრელ-საზღვრულის რიგსა და სინტაქსურ ურთიერთობას (მსაზღვრელ-საზღვრულს ქვეშ ხაზი გაესმის).

სანამ მეორე წინადადების უშუალო ანალიზზე გადავიდოდეთ, კლასს დაესმის ასეთი კითხვა: რით განსხვავდება მეორე წინადადება პირველისაგან? ამ კითხვაზე მოსწავლეები ჩვეულებრივ დაუბრკოლებლად უპასუხებენ: მეორე წინადადებაში მსაზღვრელი თავიანთი მიმყოლი სიტყვითურთ საზღვრულის შემდეგ დგას.

მსწავლებელი კითხულობს პირველსა და მეორე წინადადებებს სათანადო ინტონაციის დაცვით — განკერძოებულ განსაზღვრებას პასუხებით გამოყოფს. მსწავლებლის ნიმუშის მიხედვით მოსწავლეებიც კითხულობენ მოცემულ წინადადებებს. შემდეგ შეიძლება დაისვას კითხვა: კიდევ რა განსხვავებაა პირველსა და მეორე წინადადებებს შორის? აქაც მოსწავლეს შეუძლია დაუბრკოლებლად უპასუხოს, რომ თუ პირველი წინადადების წაკითხვისას თანდათან ვუდაბლებდით ხმას და ბოლოს შევჩერდით, მეორე წინადადებაში კი სამჯერ შევჩერდით: ორჯერ მცირედ, ბოლოს კი დიდხანს.

დაისმის ასეთი კითხვა: რა განსხვავებაა ამ წინადადებებს შორის სასვენი ნიშნების ხმარების მხრივ? მოსწავლეებს არც ამ კითხვაზე უძნელდებათ პასუხის გაცემა: მეორე წინადადებაში, პირველისაგან განსხვავებით, განსაზღვრება მიმყოლი სიტყვითურთ ორივე მხრიდან მძიმეებითაა გამოყოფილი.

ამ ეტაპზე მსწავლებელი საუბრის მეთოდს იყენებს. ამის შემდეგ მიმართავს სხვა მეთოდს — თხრობას.

ახლა მოსწავლეებს უნდა გავაგებინოთ, რაში შეინიშნება მსგავსება ამ ორ წინადადებას შორის. შედარება-შეპირისპირების ხერ-

ხით დადგინდება, რომ ორივე წინადადებაში განსაზღვრება აზრობრივად და სინტაქსურად საზღვრულს უკავშირდება; ორივე წინადადებაში მსაზღვრული ერთი და იმავე მორფოლოგიური კატეგორიითაა გამოხატული.

სინტაქსურად პირველ წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმებაა. მსაზღვრელიც და მსაზღვრელიც სახელობით ბრუნვაშია (გამოგზავნილი მაქანკალი); მეორე წინადადებაშიც ეგვემდგომარეობაა (მაქანკალი, გრძელიძისაგან გამოგზავნილი...). საზღვრული რომ სხვა ბრუნვაში გადავიყვანოთ, მსაზღვრელიც იმავე ბრუნვაში დადგება (მაქანკალმა, გრძელიძისაგან გამოგზავნილმა...; მაქანკალს, გრძელიძისაგან გამოგზავნილს... და ა. შ.). მაშასადამე, მეორე წინადადებაშიც მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ბრუნვაში შეთანხმებაა.

ორივე წინადადებაში მსაზღვრელი ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებს. ამის გამო პირველ წინადადებაში განსაზღვრება წინადადების ჩვეულებრივი წევრია, მეორეში კი ცოტა სხვაგვარი მდგომარეობაა: რადგანაც განსაზღვრებამ ადგილი შეიცვალა და წარმოთქმაში იგი წინადადებისაგან პაუზებით გამოიყო (წერაში სასვენი ნიშნით), ამის გამო განკერძობებული წევრი გახდა. იგი წინადადების წევრია, ოღონდ განკერძობებული.

ედლევათ ტერმინი „განკერძობებული განსაზღვრება“ და მისი რაობის განმარტება: განკერძობებული განსაზღვრება ეწოდება ისეთ განსაზღვრებას, რომელიც წინადადებიდან გამოიყოფა თანმხლებ სიტყვებთან ერთად პაუზითა და ინტონაციით და გამოკვეთილად წარმოგვიდგენს საზღვრული წევრის ნიშან-თვისებას.

აღინიშნება. რომ განსაზღვრების განკერძობებით მისი აზრობრივი მნიშვნელობა ძლიერდება.

საბოლოოდ მასწავლებელი ასე ჩამოაყალიბებს განკერძობებულ და ჩვეულებრივ განსაზღვრებას შორის მსგავსება-განსხვავებას:

### წინადადება

გრძელიძისაგან გამოგზავნილი მაქანკალი გახლდათ ქვრივი დედაკაცი.

მაქანკალი, გრძელიძისაგან გამოგზავნილი, გახლდათ ქვრივი დედაკაცი.

### მსგავსება

1. საგნის ნიშნის გამოხატვა;
2. სინტაქსური დამოკიდებულება საზღვრულთან (შეთანხმება ბრუნვაში).

### განსხვავება

1. აზრობრივი მნიშვნელობის გაძლიერება, გახაზვა;
2. განკერძობულობა;
3. ზეპირმეტყველებაში პაუზითა

3. მორფოლოგიური გამოხატუ- და ინტონაციით გამოყოფა (წე-  
ლება. რაში კი სასვენნი ნიშნებით).

წარმოებს ზეპირი ვარჯიშობა ჩვეულებრივი განსაზღვრების გან-  
კერძოებულად გადაქცევაზე. მანწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ  
ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი. ჩვეულებრივი განსაზღვრება  
განკერძოებულად უმეტესად მაშინ გადაკეთდება. როცა მსაზღვრელ-  
საზღვრული სახელობითს ბრუნვაშია. ზეპირი ვარჯიშობისათვის  
წინასწარ უნდა იქნეს შედგენილი ასეთი სახის პლაკატი:<sup>1</sup>

ჩვეულებრივი განსაზღვრება	განკერძოებული განსაზღვრება
მოულოდნელად გამოჩნდა ერთი- მეორეზე უკეთესი სამი მე- ომარი.	მოულოდნელად გამოჩნდა სამი მე- ომარი. ერთიმეორეზე უკეთ- ესი (აკაკი).
დავლით დატვირთული თათრის ჯარი ბორჯომის ხეობაში შევიდა. ქვეშ იყო წალმით დახურუ- ლი მარანი.	თათრის ჯარი. დავლით დატ- ვირთული. ბორჯომის ხეობაში შევიდა (ი. გოგ.).
მეორე კარებიდან შემოვიდა ხუ- რჩინით დატვირთული მარ- თა.	ქვეშ იყო მარანი. წალმით და- ხურული, (ი. ქავჭ.). მეორე კარებიდან შემოვიდა მარ- თა, ხურჩინით დატვირთუ- ლი (ე. გაბ.).
გაზაფხულისაგან ხელ- ახლად გაცოცხლებული ქვეყანა გამოიყურებოდა ტკბი- ლად.	ქვეყანა, გაზაფხულისაგან ხელახლად გაცოცხლებული, გა- მოიყურებოდა ტკბილად. (ი. ქავჭ.).
მარიკოსაგან წარმოთქ- მული ალექსანდრეს სახელი ლა- ხვარივით მოხვდა მიხაკოს გულსა. დადლილ-დაქანცული ღი- ზა გაუზღელად ამოუჯდა გვერდ- ში ქეთევანს.	ალექსანდრეს სახელი. მარიკო- საგან წარმოთქმული, ლა- ხვარივით მოხვდა მიხაკოს გულ- სა (ლ. არდ.). ღიზა, დადლილ-დაქანცუ- ლი. გაუზღელად ამოუჯდა გვერ- დში ქეთევანს (ე. გაბ.).
ნიავეისაგა მოტანილი ალაზნის შხუილი თითქოს შესჩი- ვის და შეჭხენეჰის მის გარეშე- მოს.	ალაზნის შხუილი. ნიავეისაგან მოტანილი, თითქოს შესჩივის და შეჭხენეჰის მის გარეშემოს (აკაკი).

<sup>1</sup> ჩვენ აქ ნიშნუისათვის შევავსეთ ორივე სვეტი. სწავლებისას მხოლოდ პირ-  
ველი შეივსება, მეორე ცარიელი რჩება. მოსწავლეებს ევალბათ, ჩვეულებრივი  
განსაზღვრება განკერძოებულად გადაქციონ ზეპირად.

მხარზე გადაგდებულ ი  
გამიშვლებული თოფი მზის სხივ-  
ზე კრიალებდა.

სიცხისაგან დაოსებუ-  
ლი კაცი ძლივს სულს იქცევდა.

ძალით და ღონით საეცე  
ყმაწვილი მთელი დღეობით უსაქ-  
მოდ დაეხეტებოდა სოფელში.

წელში ორად მოკაკუ-  
ლი ქიტუა მიაღვა თავის სახლ-  
ის კარებსა.

გამიშვლებული თოფი, მხარზე  
კადაგდებულ ი. მზის სხივ-  
ზე კრიალებდა (ა. ყაზბ.).

კაცი, სიცხისაგან დაოსე-  
ბულ ი, ძლივს სულს იქცევდა  
(ი. ქავჭ.).

ყმაწვილი. ძალით და ღონით  
საეცე, მთელი დღეობით უსაქ-  
მოდ დაეხეტებოდა სოფელში  
(ე. გაბ.).

ქიტუა, წელში ორად მოკა-  
კული, მიაღვა თავის სახლის კა-  
რებსა (მ. არაგვ.).

ამ სახის ვარჯიშობით მოსწავლეს უმუშავდება ჩვევა განკერ-  
ძობული განსაზღვრების მეტყველებაში სწორად გამოყენებისა.

საბოლოოდ აღინიშნება, რომ, როცა მსაზღვრელი საზღვრულს  
უსწრებს, მაშინ გვაქვს სიტყვათა პირდაპირი რიგი. ხოლო  
როცა მსაზღვრელი თავისი მიმყოლი სიტყვებით გამოყოფა  
საზღვრულს და დადგება მის შემდეგ, გვაქვს სიტყვათა შებრუ-  
ნებული რიგი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მსაზღვრელი თავისი  
მიმყოლი სიტყვითურთ წარმოთქმაში პაუზებით გამოყოფა, წერი-  
სას — მძივეს ა<sup>1</sup>

ექლევათ პირველა დასკვნა: განსაზღვრების განკერძობებას ხელს  
უწყობს სიტყვათა შებრუნებული რიგი (სიტყვათა ინვერსიულ  
რიგს არ ვხმარობთ, რადგან არაა საჭირო ზედმეტი ტერმინის მი-  
ცემა). აღინიშნება, რომ განკერძობებულ განსაზღვრებას ჩვეულებ-  
რივ სხვა სიტყვები ახლავს, ამატომ ასეთი განკერძობებული გან-  
საზღვრება გავრცობილად იწოდება.

ექლევათ დასკვნა: საზღვრულის შემდეგ მდგარი გავრცობილი  
განსაზღვრება ყოველთვის განკერძობულია (ეს წესი შეიძლება  
რვეულებშიც ჩავაწერინოთ).

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, მოსწავლეებს განკერძობული  
განსაზღვრების ამოცნობა იმ შემთხვევაში უჭირთ, როცა წინადადე-  
ბაში პირის ნაცვალსახელი ჩავარდნილია და განსაზღვრებალად  
დარჩენილი. აქ მოსწავლე ორი სიძნელის წინაშე დგება: მან კონ-

<sup>1</sup> როდესაც მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებულ რიგზე ვლაპარაკობთ, მზე-  
დველობაში გვაქვს განკერძობული განსაზღვრება და არა საზღვრულის უბრალო  
კადაადგილება



ტექსტის მიხედვით უნდა აღადგინოს საზღვრული სიტყვა (პირის ნაცვალსახელი) და ამავე დროს გაარკვიოს ჩვეულებრივ განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე თუ განკერძოებულთან. ამიტომ ჭერ ვაცნობთ ისეთ შემთხვევებს, როცა პირის ნაცვალსახელი წარმოდ-კენილია. შემდეგ კი იხეთს, როცა ნაცვალსახელი ჩავარდნილია.

პირის ნაცვალსახელთან განსაზღვრების განკერძოებისას უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

1. განსაზღვრება განკერძოებულად გვხვდება არა მარტო პირის ნაცვალსახელებთან, არამედ ჩვენებითს ნაცვალსახელებთანაც.

2. ასეთ შემთხვევებში განსაზღვრების განკერძოებისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, მსაზღვრელი გავრცობილია თუ გაუვრცო-ბელი. ორივე თანაბრად ექვემდებარება განკერძოების წესს.

3. პირისა და ჩვენებითს ნაცვალსახელებთან განკერძოებულნი განსაზღვრება შეიძლება უსწრებლეს საზღვრულს და შეიძლება მოს-დევეს მას.

იწერება საანალიზო წინადადება:

„მე, ამ გვარი სიტყვებით და იმედებულს, დღე-დაღამ მეტი არა მეფიქრებოდა რა“ (აკაკი).

ამ შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა გრამატიკული (მორფოლო-გიურ-სინტაქსური) გარჩევა. მორფოლოგიური გარჩევით გაირკვევა, მეტყველების რა ნაწილითაა გამოხატული მსაზღვრელ-საზღვრული. სინტაქსური გარჩევით კი ირკვევა წინადადების წევრთა შორის ურთიერთმიმართება. აღინიშნება:

1. აქ საზღვრული გამოხატულია უბრუნველი პირის ნაცვალსა-ხელით, მსაზღვრელი კი — მიმღობით. მსაზღვრელს თან ახლავს მიმყოლი სიტყვები, მამაადაჰე, იგი გავრცობილია.

2. ადგილის მიხედვით, ჭერ საზღვრულია მოთავსებული, შემდეგ კი — მსაზღვრელი მიმყოლი სიტყვებითურთ.

3. მსაზღვრელი (განკერძოებული განსაზღვრება) თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ წარმოთქმისას განსაკუთრებული ინტონაციით გა-პოიყოფა. წერაში კი — მძიმებით.

4. პირის ნაცვალსახელი ჩვეულებრივ უბრუნველია. მიმღობით ვეგებთ, თუ რომელ ბრუნვაში იგულისხმება ნაცვალსახელი.

მთავარია მოსწავლე გაერკვეს, თუ რომელია განსაზღვრება და რომელი მიმყოლი სიტყვები. ეს მოსწავლეებს ხშირად ეშლებათ, ამიტომ საჭიროა თვალსაჩინოების გამოყენება: მსაზღვრელს ქვეშ გაუუსვათ ერთი ხაზი, მსაზღვრელთან სინტაქსურად დაკავშირებულ მიმყოლ სიტყვებს კი — ორი ხაზი. მაშინ საანალიზო წინადადება ასეთ სახეს მიიღებს:

მე, ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს, დღედაღამ მეტი არა მეფიქრებოდა რა.

ამის შემდეგ მიეცემათ პირის ნაცვალსახელებთან გაუვრცობელი განკერძოებული განსაზღვრების მაგალითები:

„მე, გონება და ფანტული, გიჟივით გავექანე სახლსაკენ“ (აკაკი).

„მე, სულგანაბული, ყურს ვუგვებდი ბულბულის სტვენას“ (ვაჟა).

აქ საპიროა იმის აღნიშვნა, რომ განსაზღვრება გაუვრცობელია, მაგრამ იგი მაინც განკერძოებულია. ამავე რაოდენ, პირის ნაცვალსახელებთან განსაზღვრების განკერძოებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, განსაზღვრება გაუვრცობელია თუ გავრცობილი.

განკერძობით დაკვირვებას. ვიღებთ იმავე წინადადებას:

მე, ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს, დღედაღამ მეტი არა მეფიქრებოდა რა (ვიყენებთ იმავე თვალსაჩინოებას).

საზღვრულსა და მსაზღვრელს ვუცვლით ადგილებს. წინადადება ასეთ სახეს იღებს:

ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს. მე დღედაღამ მეტი არა მეფიქრებოდა რა.

ადგილების შეცვლის მიუხედავად, განსაზღვრება მაინც განკერძოებული დარჩა. ამგვარად, ნაცვალსახელს უსწრებს თუ მოსდევს განსაზღვრება, სულ ერთია, განკერძოებულია მაინც.

ახლა იმავე წინადადებიდან გამოვტოვოთ ნაცვალსახელით გამოხატული საზღვრული. წინადადება ასეთ სახეს მიიღებს:

ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს. დღედაღამ მეტი არა მეფიქრებოდა რა.

გაიკვევა, რომ განსაზღვრება მაინც განკერძოებულია. არც აზრი დაზარალებულა.

ზმნასთან I პირი ნაცვალსახელის დაუსახელებლადაც ჩანს. ამიტომ ზმნის ასეთ ფორმასთან ნაცვალსახელის ხმარება ზედმეტია. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევაში ნაცვალსახელის ხმარება სტილს აუფერულებს (შღრ. მე მეფიქრებოდა, მეფიქრებოდა)!

ანალოგიურ მაგალითებზე ვარჯიშობას (ე. ი. პირის ნაცვალსახელით გამოხატული საზღვრულის ამოღებას წინადადებიდან) დიდი მნიშვნელობა აქვს ენის მოქნილობის შესასწავლად.

ასეთივე თანამიმდევრობით ჩატარდება მუშაობა ჩვენებით ნაცვალსახელებთან განკერძოებული განსაზღვრების საილუსტრაციოდ. საანა-

ლიზოდ ვილებთ წინადადებას, სადაც საზღვრულს ჯერ ადგილს გადა-  
უენაცვლებთ, შემდეგ კი სულ ამოვაგლებთ:

იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთ პატარა მთის ცხენზე.

თითონ ზორბად მოსული, იგბ იჯდა ერთ პატარა მთის ცხენზე.

თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთ პატარა მთის ცხენზე.

აქ მხოლოდ ყურადღება მახვილდება მსაზღვრელ-საზღვრულის  
პორფოლოგიური გამოხატვის საშუალებებზე და სასვენ ნიშნებზე.  
აღინიშნება, რომ საზღვრული გამოხატულია ჩვენებითი ნაცვალსახე-  
ლით („იგი“), მსაზღვრელი კი მიმღეობით („მოსული“)<sup>1</sup>.

სასვენი ნიშნების ხმარების მხრივ ყურადღებას იპყრობს ისეთი  
შემთხვევები, როცა ნაცვალსახელი გამოტოვებულია და განკერძო-  
ბული განსაზღვრება განმარტობითაა დარჩენილი. ასეთ შემთხვევაში  
არა თუ მოსწავლეთა ნაწერებში, არამედ წიგნებშიც კი ზოგჯერ ნახმა-  
რია სასვენი ნიშნები, ზოგჯერ არა. აუცილებელია, რომ ამ შემთხვე-  
ვაშიც განკერძოებული განსაზღვრება სასვენი ნიშნებით გამოიყოს წი-  
ნადადების დანარჩენი წევრებისაგან.

შეიძლება გამოვიყენოთ ზეპირ სავარჯიშოდ ეს მასალა:

ნაცვალსახელი განკერძოებულ განსაზღვრებას.	უწერებს განსაზღვრებას.	განკერძოებულ განსა- ზღვრებას მოსდევს ნაც- ვალსახელი.	განკერძოებული განსა- ზღვრება ნაცვალსახელის გარეშეა.
მე, ისეც სველი, უფრო დაუსველი (ვაჟა). იგი, ამ თავის მცირედით- თაც ბედნიერი, გულმოდ- გინებით ურტყამდა თოს. მიწას.	ისეც სველი, მე უფრო დაუსველი. ამ თავის მცირედითაც ბედნიერი, იგი გულმოდ- გინებით ურტყამდა თოს მიწას (დ. კლ.).	ისეც სველი, მე უფრო დაუსველი. ამ თავის მცირედითაც ბედნიერი. გულმოდგინე- ბით ურტყამდა თოს მიწას.	ისეც სველი, უფრო დაუსველი. ამ თავის მცირედითაც ბედნიერი. გულმოდგინე- ბით ურტყამდა თოს მიწას.
იგი, სახეწამოწითლებუ- ლი, თვალბამღვრეული, შეჩერდა ერთ ადგილას. მე, ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს, გული სა- გულეს მქონდა.	სახეწამოწითლებული, თვალბამღვრეული, იგი შეჩერდა ერთ ადგილას (დ. კლ.). ამგვარი სიტყვებით და- იმედებულს. მე გული სა- გულეს მქონდა. თათრების წყალობით გაღიდაკებულს, მას და- დი გაუღენა მქონდა კა- ხეთზე.	სახეწამოწითლებული, თვალბამღვრეული. შე- ჩერდა ერთ ადგილას. ამგვარი სიტყვებით და- იმედებულს. გული საგუ- ლეს მქონდა (აკაკი). თათრების წყალობით გაღიდაკებულს, დიდი გაუღენა მქონდა კახეთზე (აკაკი).	სახეწამოწითლებული, თვალბამღვრეული. შე- ჩერდა ერთ ადგილას. ამგვარი სიტყვებით და- იმედებულს. გული საგუ- ლეს მქონდა (აკაკი). თათრების წყალობით გაღიდაკებულს, დიდი გაუღენა მქონდა კახეთზე (აკაკი).
მე, მოკლებული ჩემს უპირველეს სიამოვნებას, დიდს მოწყენილობას ვგრძნობდი.	მოკლებული ჩემს უპირ- ველეს სიამოვნებას, მე დიდს მოწყენილობას ვგრძნობდი. (ი. გოგ.).	მოკლებული ჩემს უპირ- ველეს სიამოვნებას, მე დიდს მოწყენილობას ვგრძნობდი.	მოკლებული ჩემს უპირ- ველეს სიამოვნებას, დიდს მოწყენილობას ვგრძნობ- დი.
ამან, ზურგზე ხელბე- დაწყობილმა, აუარ-ჩამოთ- პრა ქალსა (ა. ყაზ.).	ზურგზე ხელბედაწყო- ბილმა, ამან აუარ-ჩამოთ- პალსა.	ზურგზე ხელბედაწყო- ბილმა, ამან აუარ-ჩამოთ- პალსა.	ზურგზე ხელბედაწყო- ბილმა, აუარ-ჩამოთ- პალსა.

<sup>1</sup> მასწავლებლების ვარა სამხარაძის (ქუთაისი მე-4 საშუალო სკოლა) და ნაზი  
პეტრუსივას (ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა) გამოცდილება.

ექლევათ დასკვნა: განსაზღვრება (გაერკობილი თუ გაუერკობელი) განკერძობებულია, როცა ის ახლავს პირისა და ჩვენებითს ნაცვალსახელებს<sup>1</sup>.

პრაქტიკული ვარჯიშობით მოსწავლეები მიგვეყავს იმ დასკვნამდე, რომ საზღვრული, რომელსაც განკერძობებული განსაზღვრება მოსდევს, შეიძლება ახლდეს ქვემდებარეს, პირდაპირ და ირიბ დამატებას, უბრალო დამატებას, შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილს და ა. შ. (მაგალითები იხ. წინ).

დასასრულ, ყურადღება უნდა გაახვილდეს სასვენ ნიშნებზე. ამის შესახებ გზადაგზა გვექონდა საუბარი. სწავლების ამ ეტაპზე შეიძლება მისი გამთლიანებული სახით მიწოდებაც. შერჩეული ნიმუშებს ანალიზის საფუძველზე ნათელი უნდა გავხადოთ შემდეგი წესი: „განკერძობებული განსაზღვრება თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმეებით გამოიყოფა წინადადებისაგან“<sup>2</sup>.

შესაძლებელია დამზადდეს ისეთი სახის პლაკატი, სადაც განკერძობებული განსაზღვრებასთან სასვენი ნიშნების ხმარების სამივე წესი იქნება მოცემული, გაიხაზება განკერძობებული განსაზღვრება მიმყოლი სიტყვებით. იგი ძირითადი წინადადების ქვემოთ მოთავსდება. ხაზები გვიჩვენებენ აგრეთვე პაუზებსაც. განკერძობებული განსაზღვრება შეიძლება განსხვავებული ფერით იქნეს წარმოდგენილი. ნიმუში:

ხალხი, ეხლა მხიარულად ყაყანებდა.  
|წუთის წინათ სულაანაბული.|  
მეორე დღეს იმერელმა ქ ჩაიდვა უბეში სადასტურო წერილი,  
ჩოლოყაშვილთან გატანებული.

აქამდის უძრავად  
მწილარე.

|ახლა ხან ერთ გვედზე გადაბრუნდებოდა და ხან მეორეზე

წინადადებაში განკერძობებული განსაზღვრების ადგილსა და მასთან დაკავშირებით სასვენი ნიშნების ხმარების წესებს ვაცნობთ პრაქტიკული ვარჯიშობის პროცესში, რადგან ცალკე საამისოდ დრო არ გვეყოფნის.

ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე საგანგებო ყურადღება ექცევა განკერძობებული განსაზღვრების შემცველი წინადადებები გამომეტყველებითს კითხვას, რადგან „ტექსტის გამომეტყველებითი

<sup>1</sup> ლ. ქ ე ა ქ ა ძ ე, ქართული ენის სინტაქსი, 1956, გვ. 121.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, 1957, გვ. 71.

კითხვის ჩვევა წარმოადგენს სასვენი ნიშნების სწორად ხმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას<sup>1</sup>.

დაბოლოს, ჩატარდება შემაჯამებელი მუშაობა მთელი თემის ირგვლივ.

აქ საჭიროა ერთ საკითხსაც შევეხოთ — განკერძოებული განსაზღვრების განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებად გადაქცევას. აწვლელების ამ ეტაპზე ამ სახის სამუშაოების ჩატარება მეთოდოლოგიურად გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგან მოსწავლეებს რთული წინადადება არა აქვთ შესწავლილი, ხოლო ამის შესახებ დაწყებით კლასებში მიღებული ცოდნა იმდენად პრიმიტიულია, რომ მასზე დაყრდნობით ასეთ კონსტრუქციებზე ვარჯიშობა შეუძლებელია. მაგრამ როცა შეისწავლიან განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებას, მასწავლებელი მოვალეა მოსწავლეებს მოაგონოს განკერძოებული განსაზღვრება და ავარჯიშოს ისინი მის რთულ ქვეწყობილ წინადადებად გადაკეთებაზე. ამ მიზნით საჭიროა ჩვეულებრივგანსაზღვრებიანი წინადადება გადაკეთდეს განკერძოებულგანსაზღვრებიანად, ხოლო ეს უკანასკნელი — განსაზღვრებითს დამოკიდებულ რთულ ქვეწყობილ წინადადებად.

წინადადების ერთფეროვანი კონსტრუქციების თავიდან აცილების მიზნით, სტილისტიკური სიცხადისა და სისადავისათვის უნდა მივიმართოთ პარალელური კონსტრუქციების ხმარებას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებასთან შედარებით განკერძოებულ განსაზღვრებას გააჩნია უპირატესობაც. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მოცულობით ყოველთვის მეტია, ვიდრე განკერძოებული განსაზღვრება. ეს უკანასკნელი მწერალს ეხმარება მოგვეცეს მოკლე, მაგრამ ნათელი, გამომსახველობითი ძალის მქონე და ემოციური სურათი.

ცოდნის განმტკიცებისა და ჩვევად ქცევის მიზნით ვიძლევიტ სხვადასხვა სახის სავარჯიშოს:

1. ტექსტში განკერძოებული განსაზღვრების მონახვა, ამოწერა და მითითება, მეტყველების რა ნაწილითაა გამოხატული მსაზღვრული და საზღვრული.

2. მისი გადაკეთება ჩვეულებრივ განსაზღვრებად და პირიქით.

3. მოცემულ წინადადებაებში (ბავშვი გაკვეთილს სწავლობს, დედა წერილს წერს; მამა სამუშაოდან გვიან მოვიდა; ჩვენი სკოლა ეგებება პირველ მაისს...) განკერძოებული განსაზღვრების ჩასმა.

<sup>1</sup> Е. В. Волынская. Методика изучения типов простого предложения в VI классе средней школы (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), Москва, 1955, გვ. 14.

4. შეცვალეთ საზღვრული სახელი ნაცვალსახელით და შემდეგ ამოიღეთ ნაცვალსახელი (ნიმუში: „სოლოჰანმა, ვიწრო საჯდომ ფიცარზე გულადმა გაშხლართულმა, მალე ხვრინვა ამოუშვა“ (დ. კლდ.); მან, ვიწრო საჯდომ ფიცარზე გულადმა გაშხლართულმა, მალე ხვრინვა ამოუშვა“; „ვიწრო საჯდომ ფიცარზე გულადმა გაშხლართულმა, მალე ხვრინვა ამოუშვა“).

5. ამოწერონ წინადადებები და საზღვრულსა და განკერძოებულ განსაზღვრებას ადგილები შეუცვალონ (თავიდან შუაში გადაიტანონ. ბოლოში მოაქციონ) და დაუსვან შესაფერი სასვენი ნიშნები.

## განკერძოებული გარემოება

როგორც ძველში, ისე ახალ ქართულში მხოლოდ ადგილისა და დროის გარემოების განკერძოების მაგალითები გვხვდება.

„შუშანიკის წაშვების“ უკანასკნელ თავში განკერძოებული დროის გარემოების კარგი მაგალითია წარმოდგენილი. იქ ვკითხულობთ: „და არს დასაბამი ტანჯვათა მთ წმიდისა შუშანიკისთაჲ თთუესა აზნისისასა, მერვესა თთვსასა და დღესა ოთხშაბათსა. და მეორედ გუემაჲ მისი შემდგომად აღვსებისა ზატიკსა, დღესა ოთხშაბათსა“ (შუშ., გვ. 46).

ამავე ნაწარმოებში განკერძოებული ადგილის გარემოებაცაა წარმოდგენილი: „და, ვითარცა მოიწია იგი საზღუართა ქართლიათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რამთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი“ (გვ. 5).

მომდევნო პერიოდის ძეგლებშიც საკმაო რაოდენობით გვხვდება მსგავსი მაგალითები: „მაშინ, შემდგომად რავდენისამე უამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა“ (აბო, გვ. 65).

აქ განკერძოებულია დროის გარემოება.

გაცილებით მეტი რაოდენობითაა განკერძოებული ადგილის გარემოება: „ხოლო იყო ნეტარ მიქელ ქუეყანასა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ, და მიძნაძაროს მონაზონ იქმნა“ (ხანძთ., გვ. 80).

„დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკვდრა კათარწაუჲს, ზღვს კიდესა, საზღვართა ზაბილონისათა და ნეფთალეებისათა“ (მთ., 4, 13).

გაცილებით მეტია განკერძოებული გარემოების რაოდენობა მე-12-20 საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში.

# განაკრძლებული განკრძობის შინაარსობრივი და გრამატიკული დახასიათება

## განაკრძლებული განკრძობის რაობა

ადგილისა და დროის განკრძობებული გარემოებები შინაარსობრივად ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილსა და დროს გადმოგვცემენ, ოღონდ დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით. ამიტომ ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ზმნასთან გრამატიკულად და სემანტიკურად. „სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით საერთოდ გარემოებასა და წინადადების იმ წევრს შორის, რომელსაც გარემოება უკავშირდება, ისტორიულად მართვაც უნდა გვექონოდა და მირთვაც“<sup>1</sup>. თანამედროვე ქართულში გარემოება მირთული წევრია; ზაგალითად, წინადადებაში: „სერაპიონმა გარეთ დაიგო ქვეშაგები“ - გარეთ“ ადგილის გარემოებაა. იგი ზმნას მიერთვის. „სერაპიონმა გარეთ. აივანზე, დაიგო ქვეშაგები“ (დ. კლდ. I, გვ. 174). აქ უკვე გაჩნდა განკრძობებული ადგილის გარემოება, რომელმაც ნათლად გვიჩვენა ის, თუ სერაპიონმა სახელდობრ სად დაიგო ქვეშაგები. ზაგრამ ამით სიტყვებს შორის მანამდე არსებული სინტაქსური ურთიერთობა არ დარღვეულა. ამდენად დამაზუსტებელი გარემოების (ამ შემთხვევაში „აივანზე“) წინადადებაში შეყვანით ზმნასა და პირველ გარემოებას შორის მირთვა არ გახლეჩილა, როგორც აქას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს<sup>2</sup>. „გარეთ დაიგო“ და „აივანზე დაიგო“ სინტაქსურად ერთნაირი ოდენობებია. ორივე შემთხვევაში მირთვაა.

მართლაც, „გარეთ“ და „აივანზე“ ერთნაირად უკავშირდება ზმნას როგორც სემანტიკურად, ისე სინტაქსურადაც, ოღონდ ფუნქციით მეორე დამაზუსტებელია. ეს ფაქტი წერაშიც თავის ასახვას პოულობს: მეორე, განკრძობებული გარემოება, სასეენი ნიშნებითაა გამოყოფილი.

დამაზუსტებელი გარემოება იმავე კითხვაზე მიუგებს, რაზედაც დასაზუსტებელი გარემოება (სად?), ამდენად ერთივე წინადადების წევრია და მეორეც, ოღონდ მეორე გარემოება გამოცალკევებულია წინადადების საერთო სტრუქტურიდან, იგი განკრძობებულია.

რაც განკრძობებული ადგილის გარემოების შესახებ ითქვა, იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ განკრძობებული დროის გარემოების შესახებ.

<sup>1</sup> ა. კიზირია, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში: იბერ. — კავ. ენათმეცნიერება, V, თბილისი, 1953, გვ. 120.

<sup>2</sup> И. И. Резепп, Проблема обособления: Учёные записки I-го Московского Гос. пед. института иностранных языков, т. VII, 1955, стр. 169.

განკერძოებული გარემოების შემცველი წინადადება სულ ცოტა ორ გარემოებას მაინც გულისხმობს, რომელთაგან ყოველი მომდევნო გარემოება უფრო კონკრეტულია თავის წინა გარემოებაზე; მაგალითად, წინადადებაში: „შაბათს, 15 მაისს, საღამოს 7 საათზე, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდება რადიომხმენელთა კონფერენცია“ (გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 10. V. 1954) სამი გარემოებაა: „შაბათს“, „15 მაისს“ და „საღამოს 7 საათზე“, რომელთაგან მომდევნო გარემოებები დამაზუსტებელია პირველი გარემოებისა.

ამგვარად, დამაზუსტებელი გარემოების შემცველ წინადადებაში რამდენი გარემოებაც უნდა იყოს, პირველს გარდა, რომელსაც ყველაზე ზოგადი მნიშვნელობა აქვს, ყველა დანარჩენი განკერძოებულია.

პირველი გარემოება ჩვეულებრივ ზოგადია, მომდევნო — კონკრეტული. აქაც იგივე კანონზონიერება ვლინდება, რაც დანართთან: ასახსნელი გარემოება წინ უძღვის, დამაზუსტებელი გარემოება მოსდევს.

გარემოების გავრცობა არ ახდენს გავლენას მის განკერძოებაზე. ერთი სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი თანაბრად განკერძოვდება, თუ ისინი ასრულებენ დაზუსტების ფუნქციას. მაგალითად: „(სტუმარი) გამოესალმა (მასპინიელს). მადლობა გადაუხადა, შეჯდა თავის ბედაურზე და სწრაფად გასწია ქვევით. აღმოასვენებდა თვის აქვე“ (ი. გოგ. გვ. 327). „გიორგი მეფე თავისი ჭარით იღგა ახლანდელ ჭავჭავთში; ფარავნის ტბის აქეთა მხარეს“ (ი. გოგ., გვ. 291).

ვითვალისწინებთ რა ყოველივე ზემოთქმულს განკერძოებული გარემოების შესახებ. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი რაობა ასე განისაზღვროს: ორ ან მეტ გარემოებათაგან განკერძოებული ეწოდება პირველს შემდგომს. რომელიც თავის წინა გარემოებაზე უფრო კონკრეტულია.

## განკერძოებული გარემოების ადგილი წინადადებაში

განკერძოებულ გარემოებას (ადგილისაა ის თუ დროის) წინადადებაში მკაცრად განსაზღვრული ადგილი უჭირავს. როგორც მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს. განკერძოებული გარემოება არასოდეს არ გვხვდება წინადადების თავში, იშვიათია აგრეთვე ბოლოშიც. ეს სრულიად ბუნებრივია. რადგანაც განკერძოებული გარემოება მოსდევს ასახსნელს. სწორედ ამას გამოსავსებით გამორიცხულია განკერძოებული გარემოების წინადადების თავში, პირველ ადგილზე მოქცევა მოგვეყვას სათანადო მაგალითები:

1. განკერძოებული ადგილის გარემოება შუაშია: „იქით, შატალა მოშორებოთ. ვილაც დედაბერი კედლის პატარა ბუხრის მ. რ. შამელაშვილი



წინ ქვაბებს დასტრიალებდა“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 60); „პითქვამს და კიდევ ვიტყვი, რომ იქ, სასახლის კარზე, ბედნიერება მოგვლის“ (აკაკი, IV, გვ. 104).

2. განკერძოებული ადგილის გარემოება ბოლოშია:—

„მეფე შემოწყრა ერისთავს და შერიხული ერისთავი გადმოვიდა გორში, თავის მამულში“ (აკაკი, IV, გვ. 174).

„ქართველი ჯარი მას გადაეღობა გზაზე თბილისის ქვევით, მარადის სამხრეთით“ (ი. გოგ., გვ. 67).

ასეთივე მდგომარეობაა განკერძოებულ დროის გარემოებასთანაც.

3. განკერძოებული დროის გარემოება შუაშია:

„შაბათს, 15 იანვარს, ერთი ფრიად სასიამოვნო და ახალი ამბავი მოხდა“ (ი. ჭავჭავაძე, III, გვ. 145).

„მეორე დღეს, დილით ადრე, გამოქულაო ზაალ აივანზე და ჭალებს გადაჰყურებდა“ (აკაკი, IV, გვ. 90).

„მეორე დღეს, შუადღის ხანს, ჩვენ უკვე ციხელის სახლის კარებთან მოვიყარეთ თავი“ (ვაჟა, VI, გვ. 157).

იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება გარემოებისა და განკერძოებული გარემოების გათიშვა სიტყვით ან სიტყვათა ჩგუჯვით: „შემდგომ, მეორე დღეს, აწერილის წინა თავებში სცენისა. შვიდს საათს დილით, ხსენებულ ტახტზე იჯდა მოკეცილი... გორქაპი (ლ. არღ., გვ. 157); „ოთხი თვის უკან, შემდეგ აღწერილის სცენისა, სადამოუკამს, გამოველ შინიდან (იქვე, გვ. 56). წინადადების ასე აგება სტილისტურად გაუმართლებელი ჩანს. უმჯობესია განკერძოებული გარემოება მისდევდეს თავის სასახლეს.

განკერძოებულ გარემოებად საკუთრივ ზმნიზედებზე უფრო ხშირად სახელები გამოდის. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენაა, რადგანაც ზმნიზედა უფრო ზოგადია, ვინემ სახელი, და სახელის მეშვეობით ზუსტდება ზმნიზედით გამოხატული გარემოება.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ გავრცელებულობის მხრივ განკერძოებულ ადგილის გარემოებას პირველი ადგილი უჭირავს დროის გარემოებასთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი რაოდენობით.

## სასაქონო ნიშნები განკერძოებულ გარემოებასთან

განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმათაგან განკერძოებული გარემოება პუნქტუაციის მხრივ ყველაზე მარტივია. აქ მხოლოდ მძიმეები იხმარება. მიუხედავად ამისა, სასკენ ნიშანთა ხმარებაში დიდი სიჭრელა როგორც მე-19 საუკუნის მწერლობაში, ისე თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწერებშიც და გამსაკუთრებით პერიოდიკა-

ში. ამ უკანასკნელში თითქმის უგულვებელყოფილია სასვენო ნიშნის ხმარება განკერძოებულ ადგილისა და დროის გარემოებასთან.

დავიწყით განკერძოებული ადგილის გარემოებიდან. აქ ვამჩნევთ სამი სახის დარღვევას: ან ა) სულ არაა, გამოყოფილი მძიმით, ან ბ) გამოყოფილია ერთი მხრიდან (მარჯვნიდან), ან კიდევ გ) მხოლოდ მეორე მხრიდან (მარცხნიდან); მაგალითები:

„ეკლესიის გასწვრივ (,) ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს მ ხ ა რ ე ს, დგას აგრეთვე მომკრო... ძველი ეკლესია“ (ი. დავით., გვ. 269).

„ალი ეხლა ხევში, მ დ ი ნ ა რ ი ს პ ი რ ა ს (,) იჭდა და თმას ივარცხნიდა“ (ვაჟა, VI, გვ. 60).

„უხოს ბოლოში (,) უ ხ ა რ მ ა ზ ა რ ი ქ ა დ რ ი ს ქ ე ე შ (,) სუფრა იშლება“ (მ. ჭავჭავაძე, გვ. 44).

ანალოგიური მდგომარეობაა განკერძოებულ დროის გარემოებასთან.

სასვენო ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებით დარღვევებს ეხვდებით განსაკუთრებით ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენ მხოლოდ ორი-ოდე მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით: „კვირას, 5 მაისს (,) ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გაიხსნება თბილისის პირველი პიონერული ფესტივალი“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 4. V. 1957).

„სამშაბათს (,) სამ საათზე (,) შედგება წულუკიძის პარტიაბინეტში აგიტატორთა სემინარი“ (გაზ. „სტალინელი“, 15. III. 1954).

„იქ, სარკმელთან (,) კამკამით ბრწყინვა უნდა სხიესაო“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 21. XII. 1955).

როგორც წესი, ადგილისა და დროის განკერძოებულ გარემოებებში სასვენო ნიშნით უნდა იქნეს გამოყოფილი ყველა შემთხვევაში.

## განკერძოებული გარემოების სწავლება

### განკერძოებული გარემოების სახის სწავლება

განკერძოებული გარემოების რაობაში მოსწავლეები ადვილად ერკვევიან, არც სასვენო ნიშნების ხმარება უჭირთ. ეს იმით აიხსნება, რომ განკერძოებული გარემოება არაა რთული თემა; ოღონდ არის შემთხვევა, რომ ერევით განკერძოებული გარემოება და ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადება. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მართი შედარება-შეპირისპირება და მსგავსება-განსხვავების დადგენა.

განკერძოებული გარემოების სწავლება გარემოების (წინადადების წევრის) განმეორებით უნდა დავიწყით. მოსწავლეებმა IV კლასიდან იციან, რომ გარემოება წინადადების წევრია; რომელიც დაერთვის შემასმენელს და აღნიშნავს — როგორ, სად, როდის ხდება

მოქმედება<sup>1</sup>, ხოლო VII კლასში ეცნობიან ყველა სახის გარემოებას, მათს რაობას, კითხვებსა და ფორმებს<sup>2</sup>.

განმეორება ასეთი თანამიმდევრობით უნდა წარიმართოს:

1. წინადადების როგორი წევრია გარემოება?
2. რომელ წევრს უკავშირდება იგი?
3. სინტაქსური დამოკიდებულების რომელი სახით უკავშირდება?
4. რა სახის გარემოებას ვიცნობთ?
5. შეტყველების რომელი ნაწილებით გადმოიცემა გარემოება?<sup>3</sup>

ხუთი სახის გარემოებიდან „ჩვეულებრივ განკერძოებით გვხვდება ადგილისა და დროის გარემოება“<sup>4</sup>.

ჯერ განკერძოებულ ადგილის გარემოებას ვასწავლით, შემდეგ — დროისას.

საანალიზოდ შეირჩევა ისეთი წინადადებები, რომლებშიც ერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი გარემოება იქნება მოცემული, მეორეში კი — განკერძოებული, შეიძლება მაგალითები ასეთი სახითაც მივაწოდოთ:

**ადგილის გარემოება**

ვაჟა ფშაველა დაიბადა 1861 წელს ფშავეში.

ვაჟა მასწავლებლად დაინიშნა ერწოში.

ხმელი წიფლის ძირს ვეფხვი დაბუდებულაო.

ქეთოს გონება ფრინავდა იქ.

ქვევით მოჩანდა სოფელი.

**განკერძოებული ადგილის გარემოება**

ვაჟა ფშაველა დაიბადა 1861 წელს ფშავეში, სოფელ ჩარგალში. ვაჟა მასწავლებლად დაინიშნა ერწოში, სოფელ ტოლაანთსოფელში.

ხმელი წიფლის ძირს, კლდეში, ვეფხვი დაბუდებულაო (ვაჟა).

ქეთოს გონება ფრინავდა იქ, დიდისტანში (ი. გოგ.).

ქვევით, დავაკებულში, მოჩანდა სოფელი (დ. კლდ.).

ჯერ წაიკითხება პირველი წინადადება (განკერძოებული გარემოების გარეშე), შემდეგ კი — განკერძოებული გარემოებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სათანადო პაუზასა და ინტონაციას.

<sup>1</sup> ვალ. რამიშვილი, ქართული ენა, გრამატიკა და მართლწერა, III და IV კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1957, გვ. 65.

<sup>2</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V-VII კლასები), თბილისი, 1957, გვ. 20.

<sup>3</sup> А. Ф. Боженкова, Мотивная изученная обособленных членов предложения (საკანდიდატო დისერტაცია), Ленинград, 1951, გვ. 215.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, თბილისი, 1957, გვ. 72.

მასწავლებელი გააანალიზებს მხოლოდ ერთ წინადადებას, დანარჩენს გამოიყენებს ზეპირი ვარჯიშობისათვის.

პირველი წინადადების ანალიზის შემდეგ აღინიშნება, რომ:

1. ადგილის გარემოებაა „ფშავში“, იგი მიგვითითებს ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილზე. მისი კითხვაა სად? ამის პარალელურ წინადადებაში ერთ გარემოებას („ფშავში“) კიდევ დაემატა მეორე გარემოება („სოფელ ჩარგალში“), რითაც კიდევ უფრო დაზუსტდა ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილი. ეს ორი გარემოება („ფშავში“, „სოფელ ჩარგალში“) უკავშირდება ზმნას, მაგრამ პირველი ასახსნელია, დასაზუსტებელი, წვევრია, მეორე კი დამაზუსტებელი. ამიტომ მეორე გარემოება („სოფელ ჩარგალში“) წინადადების განკერძოებული წვევრია.

2. განკერძოებული გარემოება სათანადო ინტონაციით წარმოითქმის, წერისას სასვენი ნიშნით გამოიყოფა.

3. განკერძოებული გარემოება შეიძლება გადმოცემულა იყოს ერთი სიტყვით ან სიტყვათა ჯგუფითაც. ამის მიხედვით გვაქვს გაუფრცობელი და გავრცობილი განკერძოებული გარემოება.

4. განკერძოებული გარემოება უკავშიროდ უერთდება ჩვეულებრივ გარემოებას. მათ შორის პაუზაა.

წაკითხვისას თავიდანვე ყურადღება უნდა მიექცეს ინტონაციას. ამის შესახებ საპართლიანად მიუთითებენ: „დამაზუსტებელი განკერძოებული გარემოებების შესწავლის დროს მთავარ როლს თამაშობს ინტონაციაზე დაკვირვება, ვინაიდან კარანახის დროს მხოლოდ ინტონაციის საშუალებით გადმოიცემა შესაფერისი არსებითი სახელისა და ზმნიზედის დამაზუსტებელი აზრი“<sup>1</sup>.

გარემოების — წინადადების წვევრისა — და განკერძოებული ადგილის გარემოების ერთიმეორისაგან გასასხვავებლად კარგი იქნება ასეთი თვალსაჩინოების გამოყენება: „გარემოების ქვეშ ერთი ხაზი გაესვას, განკერძოებულ გარემოებას კი — ორი“<sup>2</sup>.

მაგალითად:

„აქ, კახეთში, მოჯამაგირეობა დაეიწყე“ (ი. ჭავჭავაძე).

„ქვევიდან, შორს სოფლიდან, გაურკვეველი ყრიაშული ისმოდა“

(ვაჟა).

„გორის პირზე, ზევით მხრივ, იჭდა ნაბაღწამოხვეული მეცხვარე“

(ვაჟა).

<sup>1</sup> Г. П. Фирсов, Обособленные второстепенные члены предложения, уч.-подгиз, 1955, стр. 65.

<sup>2</sup> ვ. ა. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდთა, თბილისი, 1954, გვ. 139.

„ხის ძირებზე, იქვე ხევის პირად, ყოლის ფესვები იყო ამოსული“

(ვაჟა).

ამ ეტაპზე მთავარია მოსწავლეები გავარკვიოთ იმაში, რომ ჩვეულებრივი ადგილის გარემოება უფრო ზოგადია, ფართოა, ვინემ განკერძობებული.

ამის შემდეგ ყურადღება უნდა გამახვილდეს განკერძობებული გარემოებისა და ერთგვარგარემობიანი შერწყმული წინადადების მსგავსება-განსხვავებაზე. ამისათვის ერთმანეთს უნდა შეუპირისპირდეს განკერძობებული ადგილის გარემოება და ერთგვარადგილისგარემობიანი შერწყმული წინადადება:

მარჯვნივ, ბუჩქებს იქით, | გზის მარჯვნივ და ბუჩქებს იქით  
ნათურამ გაანათა. | ნათურამ გაანათა.

ჯერ განკერძობულადგილისგარემობიანი წინადადება გაირჩევა, შემდეგ — შერწყმული. ყურადღება მახვილდება წარმოთქმაზე, სასვენიშნებსა და გარემობათა შინაარსზე. შედარება-შეპირისპირების ხერხით დადგინდება მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

ამ ორ წინადადებას შორის მსგავსება ისაა, რომ გარემოებები (როგორც ჩვეულებრივი, ისე განკერძობებული) მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე, გადმოიცემიან მეტყველების ერთი და იმავე ნაწილით.

განსხვავება კი ისაა, რომ განკერძობებული ადგილის გარემოება დამაზუსტებელია, ერთგვარი წევრი არაა. ერთგვარ წევრებს შორის ჩასმულია მაჯგუფებელი კავშირი და, განკერძობულ გარემოებასთან ეს არ შეიძლება.

მოსწავლეთათვის რომ კიდევ უფრო გასაგები გახდეს განკერძობულ ადგილის გარემოებასა და ერთგვარადგილისგარემობიან შერწყმულ წინადადებას შორის განსხვავება, კარგია გრაფიკული თვალსაჩინოების გამოყენება:

მარჯვნივ, ბუჩქებს იქით, ნათურამ გაანათა.

მარჯვნივ  
| ბუჩქებს იქით |

ნათურამ გაანათა.

გზის მარჯვნივ და ბუჩქებს იქით ნათურამ გაანათა.

გზის  
მარჯვნივ

და | ბუჩქებს იქით |

ნათურამ გაანათა.<sup>1</sup>

განკერძობებული ადგილის გარემოების გაცნობის შემდეგ განკერძობებული დროის გარემოების შესწავლა ადვილია. აქაც მთავარია მოს-

<sup>1</sup> ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის მასწავლებელ ვერა ქომურჯიშვილის გამოცდილება.

წავლეთ ვუჩვენოთ, თუ რა განსხვავებაა ჩვეულებრივ და განკერძოებულ დროის გარემოებას შორის. ამისათვის ვუპირისპირებთ დროის გარემოებასა და განკერძოებულ დროის გარემოებას:

დილას გავედი საძებრად ნატე- | დილას, რ ი ე რ ა ე ზ ე, გავედი სა-  
რის თვალისა. | ძებრად ნატერის თვალისა (აკაკი).

აღინიშნება, რომ:

1. დროის გარემოებაა „დილას“, რომელიც მიგვითითებს ზმნით გამონათული მოქმედების დროზე. მისი კითხვაა რილის? პარალელურ წინადადებაში მას დაემატა მეორე დროის გარემოება, რომელიც უფრო ზედმიწევნით განმარტავს და აზუსტებს პირველი გარემოებით გადმოცემულ დროს. მეორე გარემოება განკერძოებულია.

2. განკერძოებული დროის გარემოება შეიძლება იყოს გაუერცობელიც და გავრცობილიც.

განკერძოებული შეიძლება იყოს ერთზე მეტი გარემოება; მაგალითად:

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს, 9 ივნისს, განთი-  
ადისას.


აქვე ყურადღება მახვილდება განკერძოებულ დროის გარემოებიან და ერთგვარდროის გარემოებიან შერწყმულ წინადადებაზე. მათი შედარება-შეპირისპირებით გაირკვევა მსგავსება-განსხვავება:

ოთხშაბათს, ხაღანოს 5 საათზე, წვიმდა.

ოთხშაბათს, ხუთშაბათს, წვიმდა.

წინადადებათა ანალიზის შედეგად იგივე დასკვნები მიიღება, რაც განკერძოებულადგილის გარემოებიანი და ერთგვარადგილის გარემოებიანი შერწყმული წინადადებების შეპირისპირებისას მივიღეთ. ერთადერთი განსხვავებაა ის, რომ იქ ადგილის გარემოებები გვექონდა, აქ კი დროის გარემოებები გვაქვს.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასეთი თვალსაჩინოება:



ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მოსწავლეებს ეძლევათ განკერძოებული გარემოების განსაზღვრა: ორ ან მეტ გარემოებათაგან

განკერძობებული ეწოდება პირველის შემდგომს, რომელიც თავის წინა გარემოებაზე უფრო კონკრეტულია.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები საფუძვლიანად გაერკვევიან განკერძობებული გარემოების რაობაში, შეიძლება მათ მივაწოდოთ თვალსაჩინოებისათვის სქემები და ვაწარმოოთ ამის მიხედვით ვარჯიშობა:

სერაპიონმა გარეთ, აიფანზე, დაივო ქვეშაგები“ (დ. კლ.).

(დიდი ოთხკუთხედი ჩვეულებრივი ადგილის გარემოებაა, პატარა — განკერძობებული).

დაბლა, ხევში, უფსკრულში, მდინარე მოქუხს (ვაჟა)†.

### სასვენი ნიშნების სწავლება განკერძობებულ გარემოებასთან

როგორც სხვა სახის განკერძობებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან, ისე განკერძობებულ გარემოებასთან მოსწავლეები სასვენი ნიშნების ხმარებისას უშვებენ შეცდომებს.

განკერძობებული გარემოება წინადადების თავში არასოდეს არ გვხვდება. მისი ბუნებრივი ადგილი წინადადების შუაშია, იშვიათად — ბოლოში. სასვენი ნიშნებიდან იხმარება მხოლოდ მძიმეები. ეს გარემოება კი აადვილებს მოსწავლეთა მიერ სასვენი ნიშნების ხმარების ჩვევების გამომუშავებას.

იწერება წინადადებები:

„აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყველაფერი ძალამოდ ეცხება ჩემს გრძნობებს“ (აკაკი).

„შორს, ვალმა, გამოჩნდა დიდი დაბურული ტყე“ (ვაჟა).

„დიმიტრი ყიფიანი იქ, სტავროპოლში. პატიმრობის დროს მოკლეს“ (აკაკი).

ამ მაგალითების ანალიზისას ყურადღება ექცევა განკერძობებული გარემოების ადგილსა და სასვენი ნიშნებს. ეძლევათ პირველი წესი: განკერძობებული ადგილის გარემოება (გაუფრცობელი თუ გაფრცობილი) თუ წინადადების შუაშია, მძიმეებით გამოიყოფა.

ვარჩევთ წინადადებას, სადაც განკერძობებული ადგილის გარემოება ბოლოშია მოქცეული:

„ვიწრო ბილიკი მიდიოდა ძირს, ხევის აკენ“ (შ. არაგვ.).

† ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლელის — ა. გოცაძის გამოცდილება.

ექლევათ მეორე წესი: განკერძოებული ადგილის გარემოება თუ წინადადების ბოლოშია, მის წინ მძიმე დაისმის.

ანალოგიურადვე გაცნობათ განკერძოებული დროის გარემოება წინადადებაში და მასთან დაკავშირებული სასვენი ნიშნების ხმარების წესები.

ხშირად მოსწავლეებს განკერძოებული გარემოება ერევათ ჩვეულებრივ ადგილისა და დროის გარემოებასთან.

მაგალითად, წინადადებაში: „ეგნატე ნინოშვილი დაიბადა 1859 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში ღარიბი გლეხის ოჯახში“ ხშირად სვამენ მძიმეებს.

ეს და მსგავსი შეცდომები გვხვდება აგრეთვე უზრუნალ-გაზეთებში და, სანაწიხაროდ, სახელმძღვანელოებშიც კი. საჭიროა, მასწავლებელმა გაარჩევინოს მოსწავლეებს ასეთი სახის წინადადებები. ყურადღება გაამახვილოს წინადადების სტრუქტურა-აღნაგობასა და წევრებზე<sup>1</sup>.

ცოდნის განსამტკიცებლად საჭიროა სხვადასხვა სახის ვარჯიშობა:

1. ნასწავლი ტექსტიდან განკერძოებული ადგილისა და დროის-გარემოებიანი წინადადებების ამოწერა და გარემოების ქვეშ ხაზის გასმა;

2. წინადადებების დაფიდან ვადმოწერა დავალებით: დასვან გამოტოვებული სასვენი ნიშნები;

3. განკერძოებულგარემოებიანი (ადგილის, დროის) წინადადებების დამოუკიდებლად შედგენა;

4. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში მრავალწერტილის ნაცვლად შესაფერისი განკერძოებული გარემოების ჩასმა და სასვენი ნიშნების დასმა 1. ქუთაისის მახლობლად... მდებარეობს კურორტი წყალტუბო; 2. პარასკევს... ჩემი ძმა ჩამოვა მოსკოვიდან... 3. ხვალ... თეატრში წავალ; 4. ბაგრატიის ტაძარი აღმართულია ქუთაისში....

5. იქ... ჩემი ტოლები მელოდებიან; 6. მამაჩემი მსახურობს თბი-

---

<sup>1</sup> როგორც ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე პრაქტიკოს მასწავლებელთა გამოცდილება გვიჩვენებს, ახალი მასალის განმტკიცებისას სათანადო კითხვების დასმის შემდეგ კარგ შედეგებს იძლევა ახსნილი საკითხის გრამატიკის სახელმძღვანელოში წაკითხვა.

იმის გასარკვევად, თუ როგორ ვაიგეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა, მასწავლებლები ხშირად მიმართავენ ასეთ საშუალებასაც: ამოაღებინებენ მოსწავლეებს „მშობლიური ლიტერატურის“ სახელმძღვანელოს და შიგ აქებინებენ იმ გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც გაკეთილზე აიხსნა (რა თქმა უნდა, მასწავლებელი ამისათვის წინასწარაა მომზადებული და იცის ტექსტის რომელ გეარზე გვხვდება ესა თუ ის ფორმა). ასეთი მუშაობა მოსწავლეებისათვის სახალისო და საინტერესოა.



ლისში... 7. დ. კლდიაშვილი დაიბადა იმერეთში... 8. მ. გორკი დასახლდა იტალიაში... 9. შარშან... ბაკურიანში ვისვენებდი; 10. ხვალ... რაზმეულის საბჭოს სხდომაა.

მრავალწერტილის ნაცვლად ჩაისმება შემდეგი სიტყვები: 1. დასავლეთით; 2. ნაშუადღევს; 3. რვა საათზე; 4. ჯაჭვის ხიდგალმა; 5. მდინარესთან; 6. სახელმწიფო უნივერსიტეტში; 7. სოფ. სიმონეთში; 8. კუნძულ კიპრზე; 9. ზაფხულზე; 10. სამ საათზე.

## ქ ა ნ ა რ თ ი

დანართი, როგორც განსაზღვრული სინტაქსური კატეგორია, მხოლოდ ახალი ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებას როდი წარმოადგენს. იგიც საკმაოდ ძველი ჩანს.

ძველ ქართულ ძეგლებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ უკვე აღრევე გაფორმებულია დანართის სამი სახეობა: კავშირიანი, უკავშირო და კავშირად გამოყენებულსიტყვიანი დანართი („ს ა ხ ე ლ ი თ“ ტიპისა). ამათგან ყველაზე უფრო ხშირია უკავშირო დანართის შემთხვევები, ორი დანარჩენი შედარებით იშვიათად გვხვდება.

ხანმეტ ტექსტებში ვკითხულობთ: „...და ამიათვის თქუა: „უკუეთუ მე, უფალმან და მოძღუარმან, ესე სახედ დაგიდევ, ესრევე თქუენცა ხყოფდით“ (ისტ. ქრესტ., გვ. 44), სადაც „უფალმან და მოძღუარმან“ დანართია.

ასევე „შუშანკის წამებაში“ სწერია: „მერმე მივლინა ჯოჯიკ, ძმაჲ თვისი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თვისი“ (შუშ., გვ. 14).

მოყვანილ მაგალითებში ხაზგასმული სიტყვები დანართებია. ასეთივე სურათია მომდევნო პერიოდის ძეგლებშიც:

„ნოლო შემდგომად რავედენტამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ, ერისთავმან ქართლისამან, და გამოიყვანა საპყრობილთ“ (აბო. გვ. 68).

ჩუენ, მორწმუნეთათვის, მეოხ არს უკუნისამდე (ხანძთ., გვ. 97). გვხვდება კავშირიანი დანართებიც. თუ თანამედროვე ქართულში დანართისათვის ორი კავშირია გამოყენებული („ანუ“, „ესე იგი“), ძველ ქართულში მაიგივებელი კავშირის ფუნქციას მხოლოდ ერთი („ესე იგი არს“) ასრულებდა. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ვ. რამიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „...V-X.I საუკუნის ძეგლებში მაიგივებელ კავშირად გამოყენებულია „ესე იგი არს“ (ესე იგი, ე. ი.), „ანუ“ კავშირს დაკისრებული აქვს მაცალკეებელი კავშირის ფუნქცია, აგრეთვე „და“, „თუ“ მაჯგუფებელის

ფუნქცია და არა მაიგივებელი კავშირისა“<sup>1</sup>. მართლაც, ჩვენ არა გვაქვს ძველი ქართულის მთელ მანძილზე არც ერთი შემთხვევა, რომ „ანუ“ მაიგივებელი კავშირის ფუნქციით გამოდის.

„ანუ“ მაცალკევებელი კავშირის ფუნქციით გამოდის.

„ნუ ჰზრუნავთ სულთა თქუენთათვის, რაჲ შჳამოთ ანუ რაჲ სუათ“ (მთ., 6, 25). „ესე იგი არს“ კავშირი ასრულებს თანამედროვე ქართულის „ანუ“, „ესე იგი“ კავშირების ფუნქციას:

„შეიპყრა ვეშაჲი იგი სამჳედურითა და განულო დანდალი ყბასა მისსა და ხარტუჲი ცხვრსა მისსა, ესე იგი არს ეშჳაჲი, რომელი შეიპყრა“ (აბო, გვ. 62).

„და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი შეგინებულთა კელითა. ესე იგი არს უბანელითა კელითა ჳამდეს პურსა“ (მრკ., 7, 2).

„XII საუკუნიდან „ანუ“ კავშირის პარალელურად ჩნდება „ან“, მაგრამ ამ პროცესს არ გამოუწვევია ფუნქციითა დიფერენციაცია... „ანუ“ ნაკლებად შეინიშნება მაიგივებლად XVII-XVIII საუკუნის ძეგლებშია. მისი ასეთი ფუნქციით აღჭურვა იწყება XVIII საუკუნიდან და შედარებით ჩჳარი ტემპით მიმდინარეობს XIX საუკუნის მეორე ნახევარში... XX საუკუნეში კი „ანუ“ და „ან“ კავშირის ფუნქციები მკაცრად დიფერენცირებულა: „ანუ“ მაიგივებელი კავშირია, „ან“ კი მაცალკევებელი“<sup>2</sup>.

დაწართის გამოყენების მხრივ საინტერესო ფაქტი ირკვევა ოთხთავის სხვადასხვა რედაქციის შედარებისას. მოგვყავს შავალთები:

## Д Е

1. და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, სახელით იოსებ, რომელ იცოცა მოწაფე იყო იესუსა (მთ. 27, 57).

2. იყო დღეთა მათ ჳეროდე მეფისა ჳურიასტანისათა მღღელი ვინმე, რომლისაჲ სახელი ზაჳარია,

## С

1. და ვითარ დამწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, რომელსა სახელი ერჳუა იოსებ, რამეთუ იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუსა (მთ. 25, 57).

2. იყო დღეთა მათ ჳეროდე მეფისა ჳურიასტანისათა მღღელი ვინმე, სახელი ზაჳარია,

<sup>1</sup> ვ ა ლ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, მაიგივებელი კავშირი („ესე იგი“, „ანუ“) ქართულში და მისი სწავლება: პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის, 1957 წლის 25—26 აპრილი (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბილისი, 1957, გვ. 22-23.

<sup>2</sup> ვ ა ლ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, მაიგივებელი კავშირი („ესე იგი“, „ანუ“) ქართულში და მისი სწავლება... გვ. 22.

შემდგომად დღითი-დღედისა მის | დასისა მისგან აბიასი, და ცოლი  
 მსახურებისა აბიასა, და ცოლი | მისი ასულთაგანი აპრონისთაჲ,  
 მისი ასულთაგან აპრონისთა, და | და სახელი მისი ელისაბედ (ლკ.,  
 სახელი მისი ელისაბედ (ლკ. 1,5). | 1,5).

აქედან ნათლად ჩანს, რომ თუ ერთ რედაქციაში საკავშირებელ-სიტყვიანი (კავშირად გამოყენებული სიტყვით: „სახელი“) დანართია წარმოდგენილი, მეორეში ეს კონსტრუქცია მთლიანად შეცვლილია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით. ამ ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დანართისა და რთული ქვეწყობილი წინადადების ურთიერთმიმართების გარკვევისათვის...

ამგვარად, ქართულში დანართი მკვეთრად ჩამოყალიბებული სინტაქსური კატეგორიაა, რომელსაც განსაზღვრული ფუნქცია აკისრია — სახელი, რომლის დანართიც თვითონ არის, დააზუსტოს, დააკონკრეტოს.

### დანართის შინააგებობა და გრამატიკული მახასიათებლები

**დანართის სახეობა** განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს შორის დანართს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.<sup>1</sup> ამ სინტაქსური კატეგორიის არსი ისაა, რომ მთქმელი, სუბიექტი, წინადადების ერთ-ერთ წევრს ხსნის, აკონკრეტებს, უფრო გასაგებს ხდის სხვა სიტყვით.

ეს ამხსნელი სიტყვა დანართია<sup>2</sup>; მაგალითად:

გურგენაული. ბ ა ბ ო ს დ ე დ ა, შესანიშნავი დედაკაცი იყო.  
 (ე. გაბ., გვ. 235).

მე, გა ბ რ ი ე ლ ს, კაცის-კვლის ცოდვა უნდა /დამდებოდა?!  
 (ი. ჭავჭ., II, გვ. 113).

არსენას ფარაჯიანი ულაყი, ქ ა რ თ უ ლ ი ლ უ რ ჯ ა, რიხიანად ჭიხვიენებს (მ. ჯავახ., გვ. 31).

<sup>1</sup> ბ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე დანართისათვის იყენებს ტერმინს „სიმეტნე“, მაგრამ ამავე ტერმინით განკერძოებულ განსაზღვრებასაც აღნიშნავს; არ. ქუთათელაძე და ან. ბენაშვილი დანართს „მიმატებით სიტყვას“ უწოდებენ, თ. ჟორდანიას კი — „ამხსნელ სიტყვას“, ს. ხუნდაძე და ი. ნიკოლაიშვილი — „მიმატებას“, ტრ. თაბუკაშვილიც დანართს მიმატებას უწოდებს. გაუვრცობელსა და გაუვრცობილ დანართს კი — მარტივსა და რთულ მიმატებას (იხ. მისი „სასვენი ნიშნების ხმარება“ 1927, გვ. 39).

<sup>2</sup> ი. М. Воскресенский, О приложениях в русском языке: Русский язык в школе, 1936, № 3, стр. 30.

ჩანს, დანართისათვის სპეციფიკურია ასახსნელი სიტყვის უფრო ნათლად, გასაგებად და კონკრეტულად წარმოდგენა.

დანართიან წინადადებაში დასაზუსტებელ და დამაზუსტებელ სახელთან გვაქვს საქმე; მაგალითად: „ჩვენ, ქართველებმა, ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირისპირეს მოუგო“ (აკაკი, IV, გვ. 26). აქ დასაზუსტებელი სახელია ნაცვალსახელი („ჩვენ“), ხოლო დამაზუსტებელი — არსებითი სახელი („ქართველებმა“). დასაზუსტებელი სიტყვის გარეშე წინადადების შინაარსი უცვლელი რჩება: „ქართველებმა ერთი კანონის მეტი არ ვიცით...“, ხოლო დამაზუსტებელი სიტყვის გამოტოვებით წინადადება კონკრეტულობას მოკლებული ხდება. ამიტომაც დამაზუსტებელი სიტყვის ფუნქციაა წინადადების შინაარსის უფრო ნათლად წარმოდგენა.

დანართი გაშოიყენება ქვემდებარის, დამატების ან რომელიმე სხვა წევრის ასახსნელად, დასაზუსტებლად ან ექსპრესიული ძალის გასაძლიერებლად. ამის მიხედვით შინაარსობრივად დანართს პირობითად ორ ჯგუფად ვყოფთ: 1. ამხსნელ-დამაზუსტებელი დანართები და 2. ემოციურ-ექსპრესიული დანართები. ამ უკანასკნელი ჯგუფისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა მეტაფორული დანართი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

I. ამხსნელ-დამაზუსტებელი დანართი. ამხსნელ-დამაზუსტებელი დანართი სიტყვას ამღიდრებს ახალი ნიშნებით. ამ სახის დანართი ხსნის უცხოურ სიტყვებს, ტერმინებს, დიალექტიზმებს. ამიტომ მათ ხშირად ვხვდებით მეცნიერულ წიგნებში, გამოკვლევებსა და მხატვრულ ლიტერატურაშიც კი.

ამხსნელ-დამაზუსტებელი დანართები მიგვითითებენ ვინაობაზე, — სახელზე, გვარზე, მამის სახელზე, ნათესაურ კავშირზე, ასაკზე. სოციალურ მდგომარეობაზე, ეროვნებაზე, სარწმუნოებაზე და ა. შ. მაგალითები:

ღეღამისი ეკვირინე, აზნაური სანიკიძის გვარის ქალი, მოხუცებულობაში შედიოდა (დ. კლდ., I, გვ. 203).

იმერეთის მეფე როსტომი გაიქცა თავისი ჯარით სიმამრთან, სამეგრელოს მთავარ დადიანთან (ი. გოგ., გვ. 324).

დიპიტრი, ლექსოს მამა, ბანს აძლედა (ვაჟა, VI, გვ. 106).

შინაარსით მრავალფეროვანია ისეთი დანართები, რომლებიც წარმოადგენენ უცხოური სიტყვების, ტერმინების, დიალექტიზმების, ანდა ძველი ქართულის ფორმების ახალი ქართულით ახსნას. აქ ვარჩევთ შემდეგ შემთხვევებს:

ა) დანართი ან ასახსნელი სიტყვა წარმოშობით უცხოა:

სიტყვას ორგვარი ცვლილება მოუდის: ერთია მიმოხრა (ფლექსია), მეორე კი წარმოქმნა (დერივაცია) (ა. შანიძე, ქართ. ენის გრამატიკა, 1955, გვ. 70).

ყოველთვის მწერლისათვის საჭირო და აუცილებელია იცოდეს თეორეტიკა, ანუ სწავლა ხელოვნების სიტყვიერებისა (ი. ჭავჭავაძე, III, გვ. 30).

ბონეჟური („კეთილი დღე, ე. ი. დილა კარგა ყოფნისა“) მამაცად უთხრა ფრანტმა თეიმურაზმა ალექსანდრას (ლ. არდ., გვ. 140).

ბ) ქართული სატყვე ქართულითვეა ახსნილი:

შემდგარ-შეტბორებულ ჰაერში მხოლოდ ხანდახან ოდნავ წამოუბერავდა ხოლმე ქვეცნა (აღმოსავლეთის) ქარი (ნ. ლომ., გვ. 286).

ხარირემი და ორაგული დაჯიბრებული არიან და ცდილობენ აღკვერდობას (დღეობა კახეთში), რომ ერთმა მეორეს დაასწროს (ვაჟა, VI, გვ. 332).

გ) ძველი ქართულის ფორმა ახლითაა განმარტებული:

მშვილდი და კაპარკი (საისრე) [იოთამამ] დედაბოძზე წნელით მიმაგრებულს ირმის რქაზე ჩამოკიდა (ვაჟა, VI, გვ. 239).

დ) დანართად წარმოდგენილია ცხოველებს სახელები:

„სწუხს ვანო: თვალწინ უდგას თავისი სახლი, თავისი მშობელი დედა, პატარა ძმა, რომელიც ძალიან უყვარს, ძროხა — ოჯახა, ცხენი — ნიშა, ტახი — ნისლა, ძაღლი — აფთარა, და, წარმოიდგინეთ, მამალიც-კი“ (ვაჟა, VI, გვ. 272).

ვაჟს. ა. ყაზბეგის, შ. არაგვისპირელის, ი. გოგებაშვილისა და სხვათა ნაწერებში ესა თუ ის დიალექტური ფორმა ზოგჯერ დანართად არის წარმოდგენილი, ზოგჯერ — ასახსნელ სიტყვად. ასეთ შემთხვევაში დანართი თითქმის ყოველთვის ფრჩხილებშია ჩასმული; მაგალითად:

იქვე ცეცხლთან იდგა ტაგანი (პატარა კოდი) ლუღით სავსე. რომ ცოტა შემთბარიყო (ვაჟა, VI, გვ. 182).

— ვინ არიან?

— ბაცოები თუ ბეინები (თუშები თუ მოხევეები), კარგად ვერ გავიგე (ა. ყაზბ., I, გვ. 331).

მხოლოდ სარები (ჭიგოები), უტოთლო და გაროკილი ხეები-და იყო ვენახში“ (შ. არაგვ., II, გვ. 24).

„დალოცვილმა ტკბილმა იქუნა, გადმოვარდა ბილიდან და დაიწყო დენა ოცკოკიან თაღარში, ანუ ქურში“ (ი. გოგ., გვ. 246).

ამხსნელ-დამაზუსტებელი დანართი წინადადების წევრს უფრო კონკრეტულად წარმოგვიდგენს. იგი გვხვდება აგრეთვე ნაცვალსახე-

ლებთან. ეს გასაგებიცაა: ნაცვალსახელებს აქვთ აბსტრაქტული ლექსიკური მნიშვნელობა<sup>1</sup> და ამიტომაც ისინი მოითხოვენ ახსნას, დაზუსტებას. ამ შემთხვევაში ნაცვალსახელსა და დანართს შორის ურთიერთობა, ლოგიკური ტერმინები რომ ვინმართ, გვარეობითი და სახეობითი ცნებების ურთიერთობას წააგავს; მაგალითად: „ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ“ (ი. სტალინი). აქ „ჩვენ“ გვარეობითი ცნებაა. ხოლო „კომუნისტები“ — სახეობითი.

ნაცვალსახელებთან მდგომი ამხსნელ-დაზუსტებელმა დანართმა შეიძლება გამოხატოს: პროფესია, თანამდებობა. ადამიანის გვარი, ნათესაური დამოკიდებულება, პარტიულობა, სოციალური წარმოშობა და სხვ. მაგალითები:

გეთხოვები მე, თანამოქალაქე: აქ განსჯენებ და არ ხარ მკვდარი (აკაკი, II, გვ. 443).

ჩვენ, საბჭოთა ენერგეტიკოსებმა. ინგლისსა და შოტლანდიაში ბევრი მეგობარი შევიძინეთ (გაზ. „კომუნისტი“, 7. IV. 1956).

II. ემოციურ-ექსპრესიული დანართები, ანუ დანართი მეტაფორები. ამ ტიპას დანართები მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებაა. მისი გამოყენებით ფრაზა დინამიკური ხდება. მაგალითები:

სოფოს. ჩემს იმედს, ჩემს ჭკვიან გოგონას, წითელ ფოსტლებს ამოვუტან (ე. გაბ., გვ. 220).

ვუსმინოთ ყაზბეგს, ხევის ბეთხოვენს

აგუგუნება კაიშაურის (გ. ტაბ., გვ. 124).

ისე როგორ გავკადნიერდი, რომ თეკლეს. ციურ არსებას, ჩემის ჭუჭყიანი ხელით შევეხე (შ. არაგ., I, გვ. 300).

მაგალითებიდან ჩანს, რომ დანართი-მეტაფორების საშუალებით მოქმედი, სუბიექტი ან თავის თავს ახასიათებს. ან სხვას. დახასიათებისათვის კი არჩევს გამომსახველობითი ძალის სიტყვებს, რითაც საგანი თუ მოვლენა ემოციური ხდება.

დანართსა და ასახსნელ სიტყვას შორის სინტაქსური ურთიერთობა მკვიდრობს: დანართი ეთანხმება ასახსნელ სიტყვას ბრუნვასა და ზოგჯერ რიცხვში, რაც აღნიშნულია გრამატიკულ ლიტერატურაში<sup>2</sup>: მაგალითები:

<sup>1</sup> ნაცვალსახელზე წერდა ლენინი: „Что? Само; ошшее слово“ იბ. В. II. Лоппи, философские тетради. Москва, 1936, стр. 283.

<sup>2</sup> ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1956, გვ. 123; შდრ. Г. С. Амров, Приложение в современном русском литературном языке сравнительно с Башкирским (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), Кушншев,

ახვეტის ბატონი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ყველაზე შეუ-  
პოვარი იყო“ (აკაკი, IV, გვ. 99).

კლდე არწივებს, თავის აღზრდილ შვილებს, ჰკითხავს  
ხოლმე ამბავს ბარისას (ვაჟა, VI, გვ. 317).

ამგვარად, დანართი და ასახსნელი, დასახუსტებელი სიტყვა არც  
სხვადასხვა წევრია და არც ერთგვაროვანი წევრი, ორივე ერთი  
წევრია.

მაგ., წინადადებაში „თინათინ ჩემი ხელმწიფე დასვი მე, მის-  
მან მშობელმან“ (შ. რუსთ., 12, 43) ზნა „დასვი“ ერთნაირად  
მართავს როგორც ასახსნელ სიტყვას („მე“). ისე დანართს („მისმან  
მშობელმან“). ამიტომაც ჩვენ სწორად მიგვაჩნია მ. ხანინის მოსაზრება  
იმის შესახებ. რომ „დანართისა და ასახსნელი სიტყვის ბრუნვაში  
თანხვევა გაპირობებულია მათი ერთნაირი მართვით ზნისაგან“<sup>1</sup>.

აქვე უნდა გაირკვეს საკითხი დანართის წინადადების წევრობის შე-  
სახებ. ჩვეულებრივ დანართს წინადადების წევრად არ თვ-  
ლიან, მას განკერძოებულ სიტყვას უწოდებენ<sup>2</sup>. ავიღოთ მაგალითი:  
„წამოიღო გლებმა ფქვილი და გამოაცხო თონეში ქერის პური, ანუ  
ჯინჯილა“ (ი. გოგ., გვ. 110). ამ წინადადებაში „პური“ პირდაპირი  
დამატებაა. „ჯინჯილა“ კი. — დანართია. ეს უკანასკნელიც იმავე კითხ-  
ვაზე მიუგებს, რაზედაც პირდაპირი დამატება; მეტყველების იგივე  
ნაწილია, რაც პირდაპირი დამატება: მაშასადამე, არის თუ არა დანარ-  
თი წინადადების წევრი, ამ შემთხვევაში პირდაპირი დამატება? ფორ-  
მალური ნიშნების მიხედვით იგი წინადადების წევრია, ოღონდ  
განკერძოებული. დანართი და ასახსნელი სიტყვა მორფოლოგიურად  
ერთნაირი ღირებულებიანაა, სინტაქსურად განსხვავებული. ამდენად  
დანართსა და ასახსნელ სიტყვას შორის შეინიშნება ლექსიკურ-გრა-  
მატიკული კავშირი; სახელდობრ: ლექსიკურად ორი არსებითი სახე-

---

1954, სტ. 9; М. Г. Шатух, Структурно-семантические разряды приложителья в современном русском языке: Вопросы языкознания, кн. I, изд. Ленинского уни-  
верситета, 1955, стр. 13; М. Г. Овалова, Приложение как особый вид опреде-  
ления в современном русском языке (саканდიდატო დისერტაციის ავტორეფერა-  
ტი), Москва, 1954, стр. 13.

<sup>1</sup> М. Х. Ханын, Семантико—синтаксические свойства обособленных при-  
ложителья в современном русском языке (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერა-  
ტი), Ленинград, 1956, стр. 13.

<sup>2</sup> უკმა რომ თქვას, დანართი იგივე განკერძოებული განსაზღვრებაა. ოღონდ  
განსხვავება მორფოლოგიურ გამოხატვაში. დანართი არსებითი სახელით გამოიხა-  
ტება, ხოლო განკერძოებული განსაზღვრება. — ზედსართავით, მიმღობით.

ზნისაგან დანართისა და ასახსნელი სიტყვის თანაბარ მართვაზე იმ შემთხვე-  
ვაში შეიძლება ლაპარაკი, თუ კავშირიან დანართთან გვაქვს საქმე.

ლი (ან შეტყველების სხვა ნაწილი) აღნიშნავს ერთ საგანს, გრამატიკულად კი ორივე ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას.

დანართი წარმოთქმისას ყოველთვის გამოიყოფა პაუზითა და განსაკუთრებული ინტონაციით (წერაში სასვენი ნიშნებით).

დანართის შინაარსობრივი და გრამატიკული დახასიათების შემდეგ ბუნებრივია დაისვას საკითხი მისი რაობის შესახებ. რას ეწოდება დანართი? ამ საკითხზე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ა. შანიძის განსაზღვრით, „დანართი ჰქვია იმეთ განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვების ჯგუფს, რომლებიც წინადადების რომელიმე წევრის შემავსებელ ცნობებს შეიცავს ახსნა-განმარტების სახით“<sup>1</sup>. ასეთივე განმარტება აქვს მოცემული ლ. კვაჭაძესაც<sup>2</sup>. „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“ კი ვკითხულობთ: „დანართი არის განკერძოებული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია წინადადების წევრთან პაუზით ან კავშირით და შეთანხმებულია მასთან ბრუნვაში“<sup>3</sup>.

დანართის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი როგორც ფუნქცია, ისე გრამატიკული თავისებურება. დანართის ფუნქცია ახსნა-დაზუსტებაა, ხოლო გრამატიკულად შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში. დანართი ასახსნელ სიტყვას კავშირითაც უერთდება და უკავშიროდაც, წარმოთქმაში კი უშეტესად პაუზითაა გამოყოფილი (წერაში — სასვენი ნიშნებით).

დანართის ზემოდასახელებულმა თავისებურებებმა თავისი ასახვა უნდა პოვოს მის რაობაში. ამიტომ, ჩვენი აზრით, დანართი ასე უნდა განისაზღვროს: დანართი ჰქვია განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც აზუსტებს წინადადების რომელიმე წევრს, დაკავშირებულია მასთან პაუზით ან კავშირით და შეთანხმებულია ბრუნვაში.

## დანართისა და ასახსნელი სიტყვის კავშირის საშუალებანი

დანართი ასახსნელ სიტყვას სამი საშუალებით უკავშირდება: 1. სპეციალური კავშირებით, 2. კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვებით და 3. უკავშიროდ. ამის მიხედვით გვაქვს კავშირიანი, საკავშირებელსიტყვიანი და უკავშირო დანართი<sup>4</sup>. განვიხილოთ ცალცალკე:

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, 1956, გვ. 66.

<sup>2</sup> ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1956, გვ. 122.

<sup>3</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, თბილისი, 1953, გვ. 589.

<sup>4</sup> „ანუ“ და „ესე იგი“ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მაიგივებელ კავშირებად იწოდება. სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება სხვა ტერმინიც, სახელ-  
9. რ. შამელაშვილი



1. კავშირიანი დანართი. დანართისა და ასახსნელი სიტყვის დასაკავშირებლად გამოყენებულია მაიგივებელი კავშირები „ანუ“ და „ესე იგი“ (ე. ი.). ეს კავშირები წიგნური მეტყველების კუთვნილებაა და თითქმის სრულებით არ გამოიყენება სასაუბრო ენაში. მათი ფუნქციაა ახსნას წინადადების წევრი მისივე სინონიმით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მაიგივებელი კავშირები აერთებენ შინაარსობრივად მსგავს წევრებს<sup>2</sup>. ამას გარდა, ეს კავშირები გამოიყენება წინათ ნათქვამის უფრო დეტალურად ახსნისათვის, რომელიმე ცნების დაზუსტებისათვის. არაიშვიათად ხსნის ცალკეულ სიტყვებს<sup>3</sup>; ყოველივე ეს შეიძლება ორ ძირითად ფუნქციამდე დავიყვანოთ:

ა) მაიგივებელი კავშირები გვიჩვენებს ან ზოგადსა და კერძოს შორის დამოკიდებულებას, ან ბ) აერთებს ისეთი იდენტური ცნების გამომხატველ სიტყვებს, რომლებიც ბგერითი შედგენილობით სხვადასხვაა და მეორე პირველის ახსნა-განმარტებას წარმოადგენს.

მაიგივებელი კავშირები აერთებს ზოგადსა და კერძოს. ასეთ შემთხვევაში პირველ ადგილზეა ზოგადი, შემდეგ — კერძო:

„თითონ მეტყველი ბუნებაც, ესე იგი ადამიანი, ჩვენში მოძრაობაში მოდის“ (ი. ჭავჭავაძე, V, გვ. 148 — 149).

მაიგივებელი კავშირი აერთებს იდენტურ ცნებათა გამომხატველ სიტყვებს:

„ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინა ურმის მეურნეობა, გლახობაში სასახელოა“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 229).

ერთსა და იმავე წინადადებაში „ანუ“ და „ესე იგი“ კავშირთა მონაცვლეობის შემთხვევებიც გვქვს. ეს გამოწვეული ჩანს ორი გარემოებით: 1. მწერალს სურს უფრო ნათელი, გასაგები გახადოს ასახ-

---

დობრ „ამხსნელი კავშირები“. იხ. А. М. Кобахидзе, *Союзы в русском и грузинском языках* (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი, 1955, გვ. 19. თუ გავითვალისწინებთ დანართთან აღნიშნული კავშირების სემანტიკურ ფუნქციებს, უმჯობესი იყო მათთვის და მ ა მ ა ზ უ ს ტ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი გ ვ ე წ ო დ ე ბ ი ნ ა, რადგანაც ისინი ასახსნელ სიტყვასა და დანართს კი არ აიგივებენ, არამედ წინადადების წევრის მნიშვნელობას აზუსტებენ.

სასკოლო გრამატიკაში ტერმინი „მაიგივებელია“ მიღებული და ამიტომაც ჩვენც მას ვხმარობთ.

<sup>1</sup> ა. კ. ი. ბ. ი. ა., ზოგი კავშირის ხმარებისათვის ახალ ქართულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული IX, თბილისი, 1956, გვ. 51.

<sup>2</sup> მ. ქალღანიძე, შერწყმული წინადადება: ჟურნ. „კომ. აღზრდისათვის“, 1956, № 11, გვ. 48, შურ. С. И. Абакумов, *Современный русский литературный язык*, Москва, 1952, стр. 140.

<sup>3</sup> А. М. Кобахидзе, *Союзы в русском и грузинском языках* (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი, 1955, გვ. 19.

სნელი სიტყვის მნიშვნელობა, 2. ერთი და იმავე კავშირის განმეორება სტილს დაამძიმებდა. მაგალითები:

„ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი ღროშა, ან უ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა“ (ი. ჭავჭავაძე, IV, გვ. 236).

„ყოველი მწერლისათვის საჭირო და აუცილებელია იცოდეს: თეორეტიკა, ან უ სწავლა ხელოვნების სიტყვიერებისა, ესე იგი ანბანის განსაზღვრაო, ბრძანებს ჩვენი მწერალი ქალი“ (ი. ჭავჭავაძე, III, გვ. 30).

მაიგივებელი კავშირები დანართის სპეციფიკური კავშირებია, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში მათ შერწყმული წინადადების კავშირებადაც თვლიან<sup>1</sup>. ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებს ვ. რამიშვილი: „მაგალითები, რომელთაც მაიგივებელ კავშირისანი შერწყმული წინადადების საილუსტრაციოდ იყენებენ, ნაწილად დანართის მაგალითებია და არა შერწყმული წინადადებისა... მაიგივებელი კავშირი მხოლოდ დანართთანაა გამოყენებული“<sup>2</sup>. ეს მოსაზრება გასაზიარებელი ჩანს.<sup>3</sup>

2. საკავშირებელსიტყვიანი დანართი. დანართთან გამოყენებულა ისეთი სიტყვები, რომელთაც კავშირის ფუნქცია აქვთ. მათ საკავშირებელ სიტყვებს უწოდებენ. ასეთებია: შთამომავლობით, განსაკუთრებით, სახელად, გვარად, წოდებით, რჯულით, ნამეტან, უმთავრესად, მაგალითად, სახელდობრ, ისიც და სხვ. მოგვყავს მაგალითები:

„ნიკო გახლდათ სოფლის მწერალი, შთამომავლობით მღვდლის შვილი და აზნაური“ (შ. არაგვი, I, გვ. 169).

„ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს“ (აქაკი, IV, გვ. 65).

„მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეში მონგოლები, რჯულით მაჰმადიანნი იყვნენ უძლიერესნი მეომარნი“ (ი. გოგებ., გვ. 274).

„სონია ხედავდა, რომ მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი“ (დ. კლდ., I, გვ. 285).

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, თბილისი, 1948, გვ. 97; მ. თალაკვაძე, შერწყმული წინადადება: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული IX, თბილისი, 1956, გვ. 96.

<sup>2</sup> ვალ. რამიშვილი, მაიგივებელი კავშირი („ესე იგი“, „ახუ“) ქართულში და მისი სწავლება, გვ. 23.

<sup>3</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. შანიძე მაიგივებელ კავშირებს რთული თანწყობილი წინადადების ნაწილების დასაკავშირებლადაც ვარაუდობს, მაგრამ სათანადო მაგალითი არ მოჰყავს, იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა ნაწ. II, სინტაქსი, თბილისი, 1956, გვ. 75.

„დაძონძილი და გაუხეკილი გლეხები, ნამეტან კი დედაკაცები. ყველაფერს მიწაში ფლავდნენ“ (მ. ჯავახ., გვ. 114).

„სამასი კაცი, უმეტესად ქართველები... სოფელ ურუხში ისვენებდნენ“ (ე. ლორთქი, „უკვდავება“, 1954, გვ. 11).

„დავფაცურდი. თან ერთი ჩემი ამხანაგთაგანი, სახელად ობრწილა გამომყვა“ (ვაჟა, V, გვ. 170).

საკავშირებელი სიტყვები თვითონ მიუთითებენ დანართის შინაარსზე: სოციალურ წარმოშობაზე (შთაშომავლობით), სახელზე (სახელად). გვარზე (გვარად), ეროვნებაზე (ეროვნებით), პროფესიაზე (პროფესიით) და ა. შ.

ანათ გარდა, საკავშირებელია მიმართებითი ზნინზედა „როგორც“; მაგალითები:

ის. როგორც ვაქარი, დღითი-დღე ტყავს აძრობდა გლეხობას (შ. არაგვ., I, გვ. 111).

„იმისმა შამამ, როგორც მღვდელმა და აზნაურმა, ნიკო სასულიერო სემინარიაში მიაბარა“ (შ. არაგვ., I, გვ. 169).

8. უკავშირო დანართი. არის შემთხვევა, როცა დანართი და ასახსნელი სიტყვა ერთმანეთს უერთდება მხოლოდ პაუზით. პაუზა, მართალია, კავშირიან დანართთანაც გვაქვს, მაგრამ უკავშირო დანართის პაუზა გაცილებით მეტია ხანგრძლივობით.

მასალათა ანალიზით ირკვევა, რომ უკავშირო დანართი უმეტესად მაშინ გვხვდება, როცა ასახსნელ სიტყვად წარმოდგენილია ნაცვალ-სახელი, იშვიათად სხვა სახელიც; მაგალითები:

„იმან მე სიღედრი დამიძახოს, მე, გაიანეს, დიდ ზედგინიძიანთ რძალს?“ (ე. გაბ. გვ. 207).

„რავდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 17).

„ანუჟას, გამახარეს საცოლეს, გატაცება აგვისტოს მიწურულ რიცხვებში მოხდა“ (ვაჟა, VI, გვ. 425).

„სამნი, — მე, მამაჩემი და ბიძაჩემი, ერთ ოთახში დავწექით“ (ვაჟა, V, გვ. 69).

დანართი აზრის ეკონომიურად გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა.

## დანართის ადგილი წინადადებაში

დანართი წინადადებაში ადგილის შეცვლას, გადაადგილებას ნაკლებად ექვემდებარება. დანართსა და ასახსნელ სიტყვას შორის ადგილების შეცვლა ფუნქციების შეცვლასაც იწვევს: დანართი ასახსნელ

სიტყვად იქცევა და ასახსნელი სიტყვა — დანართად: „საქართველო. ჩვენი ქვეყანა, გაღვიძებულა“. შღრ. „ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა“ (ი. ქავჭ., I, გვ. 152). როცა დანართით გამოხატულია ზოგადისა და კერძოს ურთიერთმიმართება, ასეთი გადაადგილება სტილიტიკურ უხერხულობას იწვევს. „ეს გვეუცხოვ: ფარეშებს, ჩვენ“; შღრ. „ეს გვეუცხოვა ჩვენ, ფარეშებს“ (აკაკი, IV, გვ. 30).

დანართის ადგილი წინადადებაში მეტად განსაზღვრული ჩანს. მისი ბუნებრივი ადგილი შუაშია, მაგრამ იშვიათად ბოლოშიც გვხვდება.

ეს გასაგებიცაა: დანართს წინ უნდა უძღოდეს ამჟამელი, დასაზუსტებელი სიტყვა. ამით განისაზღვრება დანართის ადგილი წინადადებაში.

დანართი წინადადების შუაშია:

ერთი იმ დროის კაცი, სახელად გოჩი, ზღვისა პირას ცხოვრობდა“ (ვაჟა, V, გვ. 33).

დანართი წინადადების ბოლოშია:

ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავლებელი დაგვინიშნეს, გვარად სავგეა“ (აკაკი, IV, გვ. 50).

დანართი ყოველთვის ბოლოსაა ნაწარმოების სათაურად გამოყენებულ სახელდების წინადადებაში: „ქართული საფას-საზომთა-მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“ (ი. ჯავახიშვილის წიგნის სათაური); „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერეგნის სიახლოვეს“ (გრ. ორბელიანის პოემის სათაური); „ვეპილი. ანუ აღზრდის შესახებ“ (ყან-ყავ რუსოს წიგნის სათაური) და ა. შ.

### სასპენი ნიშნები დანართთან

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებიდან დანართთან უფრო მეტი სიქრელე გვაქვს პუნქტუაციის მხრივ.

დანართთან გვხვდება მძიმე, ტირე ან ფრჩხილები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პუნქტუაციურ ნიშანთა ხმარების წესების დადგენა ქირს, მაინც ვლინდება ზოგი კანონზომაერება, სახელდობრ:

1. დანართი ყოველთვის მძიმეებით გამოიყოფა:

1. როცა იგი ახლავს პირის ნაცვალსახელებს:

„ის, ოცდაათი წლის-კაცი, სამოცი წლის მოხუცებულს დასგავსებოდა“ (ნ. ლომ., გვ. 161).

„ვბჭობდით ერემ, სერემ და მე, თქვენი უმორჩილესი მონა“ (ვაჟა, V, გვ. 273).

2. როცა იგი საკავშირებელი სიტყვით ან ასახსნელ სიტყვასთან მიმართებითი ზმნიზედითაა დაკავშირებული:

„ერთი მათგანი... ს. ახლად ივანე, კი მისჩერებოდა... მთვარეს“ (ი. ღავით., გვ. 177).

„ანდროკლს, როგორც დამნაშავე მონას, მიუსაჯეს მონებთან ბრძოლა (ი. გოგ., გვ. 181).

3. როცა იგი მაიგივებელი კავშირითაა შეერთებული:

„ცოტნემ გაიარა სამცხე, ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, ჩავიდა სამხრეთსა და შევიდა ანისის ქალაქში“ (ი. გოგ., გვ. 298).

„ამიტომ დაურქმევიათ „სავენე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი“ (აკაკი, IV, გვ. 11).

II. დანართი წინადადების ანტირეთი გამოიყოფა, თუ მძინის დაშლის შემთხვევაში არ ჩანს ნათლად საზღვარი დანართსა და ასახსნელ სიტყვას შორის და ისინი შეიძლება ერთგვარ წევრად იქნეს გაგებული<sup>1</sup>.

მაგ.: „ეს მუქთი შეიარაღებული გუშაგები ზეგ-მაზეგ წაელენ და მარაბდის ბატონს თავის ყმებს — გალახულ-გაფცქვნილ გლეხებს — პირისპირ დაუტოვებენ“ (მ. ჭავჭავაძე, გვ. 155).

ასეთ შემთხვევებში ტირეს სხვა ღანიშნულდებაც აქვს. ცნობილია, რომ სასვენ ნიშანთაგან ტირე ყველაზე მეტი გამომსახველობითი ძალის მქონეა. წარმოთქმაში ტირე პაუზას უდრის, მხედველობითი აღქმისას ყველაზე შესამჩნევი სასვენი ნიშანია. ამის გამო ხშირად მწერალი ნათქვამისათვის მეტი გამომსახველობითი ძალის მიანაიკებლად მძინის ადგილზე ტირეს ხმარობს. ტირეს ასეთი ფუნქცია სტილისტიკური მიზნებითაა გაპირობებული<sup>2</sup>.

III. ფრჩხილებში ჩაისმის უმეტესად იდენტური ცნების გამომხატველი დანართები, უცხო სიტყვები, დიალექტური ლექსიკური ერთეულები:

„ლექსიკოგრაფია შეიცავს... ლექსიკოს და გრაფო (grapho — ეწერ) სიტყვებს“ (ვ. თოფურია).

„მხოლოდ სარები (ჭიგოები) იყო ვენახში“ (მ. არაგვი, გვ. 24).

მაგრამ გვხვდება დანართთან სასვენი ნიშნების არააწორად ხმარებისა და გამოტოვების შემთხვევებიც:

„ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ (.) ქართველნი (.) წინა დროსა“ (ი. ჭავჭავაძე, I, გვ. 178).

<sup>1</sup> ლ. კვაკაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1956, გვ. 124.

<sup>2</sup> В. И. Кодохов, Функция тире в языке повести А. М. Горького „Мать“: Русский язык в школе, 1948, № 3, стр. 32; проф. С. И. Абакумов, Методика пунктуации, учебник, 1954, стр. 31; ვალ რამიზვილი პუნქტუაციის სწავლების მეთოდთა, 1954, გვ. 85.

„ის მხოლოდ ცარიელი სიტყვით. ე. ი. მლიქვნელობით (.) მოქმედებს“ (აკაკი, IV, გვ. 170);

„ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისათვის (.) დავით კლდიაშვილი მუდამ იქნება დიდი მასწავლებელი“ („ლიტერატურული გაზეთი“, 4. V — 1956).

ზოგჯერ აღრეულია მაიგივებელი („ანუ“) და მაცალკეებელი („ან“) კავშირების ფუნქციები და სასვენი ნიშნებიც ანია მიხედვითაა დასმული; მაგალითად: „რაც შეეხება ბაში-აჩუყის (.) ან ბაჩუყის (.) ნაშიერს, ისინი უფრო განრავლებულიც არიან დღეს“ (აკაკი, IV, გვ. 130). ღასასრულ, ერთი მაგალითიც: „არ გაგონდება არც მამა, დედა. ან შმა. ან უ და, ან სახლი, კარი? (ი. ჭავჭავაძე, რჩ. ნაწ., 1948, გვ. 109). ამ წინადადებაში სასვენი ნიშნები სწორადაა დასმული. მაგრამ მაცალკეებელი კავშირის ნაცვლად მაიგივებელია გამოყენებული.

საკიროა, ეს კავშირები ვიხმართ იმ მნიშვნელობით, რასაც სინამდვილეში გამოხატავენ და სასვენი ნიშნებიც ამათ მხედვით დავსათ.

## დანართის სწავლება

### დანართის რაობის სწავლება

დანართი წინა კლასების კურსში არაა გათვალისწინებული. ეს გარემოება კი მასწავლებლის წინაშე აყენებს კითხვას: რა უნდა გამოეორებინოს მოსწავლეებს ამ სინტაქსური კატეგორიის შესწავლის დაწყებამდე? როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოსწავლეებს ერთმანეთში ერევათ განკერძოებული განსაზღვრება და დანართი. ამიტომ ამ სიძნელის გადააღახავად მიზანშეწონილია მათი შეპირისპირებით ვაცნობა და ამით მსგავსება-განსხვავების გამოვლინება.

სახელმძღვანელოში დანართი დედუქციური გზით სწავლება. ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მასწავლებლები ინდუქციის გზას მიპართავენ და ამით გარკვეულ შედეგებსაც აღწევენ.

დანართსა და ასახსნელ სიტყვას შორის დასაკავშირებლად სამი საშუალებაა გამოყენებული: კავშირები, საკავშირებელი სიტყვები და უკავშირო შეერთება.

დანართის სწავლებისას სამივე ეს მომენტი გათვალისწინებულია.

მთავარი მეთოდოლოგიური საკითხია დანართის სახეობათა ვაცნობის თანამიმდევრობა. სახელმძღვანელოში ასეთი რიგია დატული. ჭერ წარმოდგენილია უკავშირო, შემდეგ კი კავშირიანი და საკავშირებელ-სიტყვიანი დანართი არადიფერენცირებულად.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველად უნდა ვაწავლოთ კავშირიანი დანართი.

დადასტურდა, რომ მაიგივებელი კავშირები დანართის სპეციფიკური კავშირებია<sup>1</sup>. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს დანართის ამოცნობისათვის. სწორედ ამიტომ მოსწავლეებს პირველად კავშირიან დანართს ვაცნობთ; შემდეგ შევასწავლით საკავშირებელსიტყვებიან (სახელად, გვარად, მოდგმით, წარმოშობით...) დანართს. რადგანაც ამ სიტყვებზე დაყრდნობით მოსწავლეს უადვილდება დანართის ამოცნობა.

ყველაზე ძნელია უკავშირო დანართი, რადგანაც სხვადასხვა სახის საპენი ნიშნით გამოიყოფა (შიშიმე, ტირე, ფრჩხილები). მის დასაკავშირებელ საშუალებას პაუზა წარმოადგენს. პაუზაზე დაყრდნობით კი დანართის ამოცნობა ძალიან ძნელია.

ასევე ერევათ „როგორც“ საკავშირებელსიტყვიანი დანართი ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასთან. აქაც საკიროა მათი შეპირისპირება და მსგავსება-განსხვავების დადგენა. ამაზე ყურადღება მახვილდება რთული ქვეწყობილი წინადადების შესწავლის დროს.

სწავლებას ვიწყებთ კავშირიანი დანართის გაცნობით.

კავშირების ორივე სახე (ანუ, ესე იგი) ერთდროულად ეძლევა. ჯერ ანუ კავშირიანი დანართის მაგალითი იწერება, შემდეგ — ესე იგი კავშირიანი, ბოლოს კი წარმოებს ვარჯიშობა ერთაა და იმავე წინადადებაში ანუ და ესე იგი კავშირების შენაცვლებაზე. ვწეროთ წინადადებებს:

„გიორგი მერვემ პირველად დაიმორჩილა მესხეთი, ანუ სამცხე“ (ი. გოგ.).

„ტარიელ მკლავაძეს დედ-მამა, ესე იგი მშობლები, ანებიერებდნენ“ (ე. ნინ.).

გაირჩევა სინტაქსურად, დანართის მაიგივებელი კავშირითურთ ქვეშ ხაზი ვაეხმის. აღინიშნება, რომ პირველ წინადადებაში ასახსნელი სიტყვაა „მესხეთი“, რომელიც ანუ მაიგივებელი კავშირის საშუალებით უფროაღება ახსნელ სიტყვას („სამცხე“). „ნესხეთი“ და „სამცხე“ ბგერითი შედგენილობით განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელობით ერთი და იგივე, სინონიმური სიტყვებია. ვცვლით ადვილს. ანუ შემთხვევაში დანართი ასახსნელ სიტყვად გადაიქცევა და ასახსნელი სიტყვა დანართად.

აქვე ყურადღება მახვილდება მაიგივებელი კავშირის (ესე იგი) ნართლწერის საკითხზე. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ აპ

<sup>1</sup> ე. რამიშვილი, მაიგივებელი კავშირი („ესე იგი“, „ანუ“) ქართულში და მისი სწავლება, გვ. 23.

კავშირის შემოკლებულად წერისას დასაწყისი ასოების შემდეგ წერტილი იწერება: ესე იგი — ე. ი., მაგრამ იგი იკითხება მთლიანად, გაშლილად. ამგვარად, ე. ი. უნდა წავიკითხოთ: ესე იგი<sup>1</sup>.

ხშირია შემთხვევა, რომ მაიგივებელი კავშირი ანუ აღრეულაა მაცალკეებელ ან კავშირთან. ხშირად მოსწავლეთა ნაწერებში ანუ ან-ის ადგილზეა ნახმარი და პირიქით. ამის გამო სასვენი ნიშნებიც არასწორადაა დასმული. ასეთი ხასიათის აღრევებს მწერლობაშიც ვხვდებით; მაგალითად: „წალი. დიპტრი მონგეაჲ ან ცოცხალი, ან უკვდარი“ (ი. ქავ.). ან და ან უ კავშირების აღრევის თავიდან აპაცილებლად საჭიროა ან მაცალკეებელკავშირიანი შერწყმული წინააღმდეგობა და ანუ მაიგივებელკავშირიანი დანართის ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირება; მაგალითად: „ან გამოცანებს ეამბობდით და ან სხებრ როგორმე ვიქცევდით თავს“ (აკაი); „გურიის მუშა ხალხს. ან უ გლენკაცობას, თოფისათვის მოეციდა ხელა“ (ე. ნინ.). ანალოგიურ მაგალითებზე ვარჯიშობინ შედეგად მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გავხადოთ, რომ: 1. დანართთან გამოყენებული ანუ კავშირი შეიძლება შეეცვალოთ ესე იგი-თ; ან მაცალკეებელ კავშირთან კი ეს არ მოხერხდება; 2. ან სხვადასხვა მნიშვნელობის ერთგვარ წევრებს აკავშირებს, ხოლო ანუ ერთი და იმავე მნიშვნელობის, სინონიმურ სიტყვებს; 3. ან მაცალკეებელი კავშირი ერთ-ერთზე მიუთითებს, იგი აცალკეებს ერთგვარ წევრებს, ხოლო ანუ კავშირი“ წინათ გამოინათქვამს უფრო დეტალურად ხსნის<sup>2</sup>.

მოსწავლეთა ზებირსა და წერითს მეტყველებაში აღნიშნული კავშირების უმართებულოდ ხმარების აღმოსაფხვრელად საჭიროა სათანადოდ შერჩეულ ნიმუშებზე სისტემატური ვარჯიშობა.

ამის შემდეგ გადავდივართ საკავშირებელსიტყვიანი ნიმუშების გაცნობაზე.

საკავშირებლად გამოყენებულია სიტყვები: სახელად, გვარად, მოდემით, წარმოშობით, შთაშობავლობით, მაგალითად, ვთქვათ, სახელდობრ, განსაკუთრებით...

ამავე ფუნქციით ზოგჯერ გამოიყენება მიმართებითი ზნინხედა როგორც. სასურველია მოსწავლეთა დანიშნაოვრონ აღნიშნული სიტყვები. როგორც სასკოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს კარგ შედეგ

<sup>1</sup> М. С. Арофьев, Методика иностранных языков: Русск. язык в школе, 1940, № 4, стр. 73; ს. ბეგიაშვილი, სტილიტიკის სწავლებისათვის: მეოცდური წერილები, კრებული № 4. ბათუმი, 1941, გვ. 33.

<sup>2</sup> შ. თალაკვაძე, შერწყმული წინადადება: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული IX, თბილისი, 1956, გვ. 96.



გება იძლევა<sup>1</sup>. ამით მოსწავლეები ადვილად და შეუცდომლად ახერხებენ დანართიანი წინადადების ამოცნობას.

VII კლასის „მშობლიურ ლიტერატურაში“ საკავშირებელ სიტყვიანი დანართის მაგალითები იშვიათად გვხვდება, ამიტომ ისინი კლასკარეშე საკითხავი ლიტერატურიდან უნდა შეირჩეს.

საანალიზოდ იწერება წინადადებები:

„ქალბატონს ჰყავდა ერთი გოგო, სახელად ნატო“ (დ. კონქ.).

„იგი გლეხკაცის შვილია, გვარად მცირი შვილი“ (ე. ნინ.).

„ნიკო გახლდათ სოფლის მწერალი, შთამომავლობით მღვდლის შვილი“ (შ. არაგვ.).

„ოტია ქამუშაძე, წარმოშობით აზნაური. ნამდვილი გლეხი იყო“ (დ. კლდ.).

„წიწვიანი მცენარე, მაგალითად ნაძვი, ბევრია ბორჯომის ბეობაში.

„სარეველა ბალახები, ვთქვათ, ღვარძლი, ძალიან ვნებს ბუროს ნათესებს.

„სახლში ერთი ჩემი მეგობარი, სახელდობრ წიწლა. გამოყვა“ (ვაჟა).

„ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს“ (აკაკი).

„მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს (ი. ჰავცი.).

სინტაქსურად გაირჩევა ყველა წინადადება ცალ-ცალკე. ანალიზი შედეგად გაირკვევა, რომ:

1. დანართი და ასახსნელი სიტყვა ერთმანეთთან დაკავშირებულია საგანგებო სიტყვების (სახელად, გვარად, მოდგმით...) საშუალებით: საკავშირებელი სიტყვები თვითონ მიუთითებენ იმ შინაარსზე. რომელსაც დანართი გამოხატავს; სახელს (სახელად), გვარს (გვარად), სოციალურ წარმოშობას (წარმოშობით)... ამდენად დანართი ასახსნელი სიტყვის შემავსებელ ცნობებს შეიცავს, აზუსტებს, აკონკრეტებს მას, ამიტომაც დანართის შემცველ წინადადებაში საქმე გვაქვს დასაზუსტებელ და დამაზუსტებელ სიტყვებთან (ეს ტერმინები უნდა ავიწინოთ მოსწავლეებს); დასაზუსტებელია ასახსნელი სიტყვა, დამაზუსტებელი — დანართი.

2. დანართი შეიძლება იყოს გაუვრცობელიც (ერთსიტყვიანი) და

<sup>1</sup> ვანის რაიონის სოფელ სალხინოს შეიღწილიანი სკოლის მასწავლებელ ტ. სულაბერიძის გამოცდილება.

გავრცობილიც (ერთზე მეტი სიტყვისაგან შემდგარი). ორსავე შემთხვევაში სასვენი ნიშნებით გამოიყოფა ასახსნელო სიტყვისაგან.

3. დანართი ეთანხმება ასახსნელ სიტყვას ბრუნვაში.

4. ზოგჯერ დანართი ასახსნელ სიტყვას უშუალოდ არ მოსდევს და მათ შორის სხვა სიტყვებია ჩაშვული („ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს“).

სწავლების თვალსაზრისით ძნელია უკავშირო დანართი. აქ არა გვაქვს მისი ამოსაცნობი ნიშნები, (კავშირები), თანაც გამოყენებულია სხვადასხვა სახის სასვენი ნიშნები (მძიმე, ტირე, ფრჩხილები).

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი: ცნობილია, რომ დანართი: „მოსდევს ჩვეულებრივ სახელით გამოხატულ წევრს“<sup>1</sup>, დასაზუსტებელი სიტყვა შეიძლება იყოს არსებითი, რიცხვითი და ნაცვალსახელი. აქედან ყველაზე რთულია ისეთი შემთხვევების შეთვლება, როცა დანართი მოსდევს ნაცვალსახელებს, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევას, ადვილიდან ძნელზე გადასვლას დიდაქტიური წესის დაცვით, ბოლოს ვასწავლით.

საანალიზოთ იწერება შემდეგი წინადადებები:

„იმათ რიცხვში ერია დათიკოც, ტარიელის საუკეთესო მეგობარი“ (ე. ნინ.).

„ქაიხოსრო, თქვენი სამძახლო, თანახმაა მიიღოს ოცი თუმნის ვექსილი“ (დ. კლდ.).

ირვევია, რომ დანართი წინადადების იგივე წევრია, რაც ასახსნელი სიტყვა, ოღონდ გახეჩობებული. წარმოთქმისას ის პაუზით გამოიყოფა წინადადების წევრებისაგან, წერისას — სახვენი ნიშნებით: დანართიცაა და ასახსნელი სიტყვაც ერთსა და იმავე ბრუნვაშია. დანართსა და ასახსნელ სიტყვას შორის შეთანხმებაა ბრუნვაში. ზოგჯერ რიცხვშიც.

დანართს ახლავს ამხსნელი სიტყვები, იგი გავრცობილია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსწავლეებს ხშირად უჭირთ უკავშირო დანართის ამოცნობა, რის გამოც პუნქტუაციურ შეცდომებს უშვებენ. ამის მთავარი მიზეზი კავშირების უქონლობაა. ამ სიძნელის დასაძლევად მოვიშველიებთ სხვა ნიშნებს. დანართი ჩვეულებრივ არსებითი სახელით გამოიხატება (ზოგჯერ მეტყველების სხვა ნაწილითაც). ის წინადადების წევრს ხსნის სხვა სიტყვით, ზოგჯერ იმავე შინაარსის სიტყვით.

მოსწავლეებმა რომ უშეცდომოდ ამოიცნონ დანართი და წერისას დასვან შესატყვისი სასვენი ნიშნები, ამისათვის მთავარია:

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1957, გვ. 73.

ა) შინაარსზე დაკვირვება. თუ წინადადების წევრს მოსდევს ისეთი სიტყვა (ან სიტყვები), რომელიც მას აზუსტებს, აკონკრეტებს, აზუსტებს.. მაშინ საქმე გვაქვს დანართთან;

ბ) საკავშირებელი სიტყვის აღდგენა. თუ აზრის დაურღვევლად ასახსნელ სიტყვასა და დანართს შორის შეიძლება საკავშირებელი სიტყვის („სახელდობრ“) მოთავსება, ასეთ შემთხვევაში დამაზუსტებელი სიტყვა დანართია (მაგ.: „იმათ რიცხვში ერია უთიკოც, სახელდობრ) ტარიელის საუკეთესო მეგობარი“);

გ) სიტყვათა რიგის შეცვლა. დასაზუსტებელი და დამაზუსტებელი სიტყვების გადაადგილებით თუ დამაზუსტებელი სიტყვა წინადადების ჩვეულებრივი წევრი გახდა, ხოლო დასაზუსტებელი — განკერძოებული, იმის ნიშანია, რომ ეს უკანასკნელი დანართი ყოფილა (მაგ. „ქაიხოსრო, თქვენნი სამძახლო, თანახმაა მიიღოს ოცი თუმნის ვექსილი“: შდრ. „თქვენნი სამძახლო, ქაიხოსრო, თანახმაა მიიღოს ოცი თუმნის ვექსილი“).

ამის შემდეგ გადავდივართ ისეთი წინადადების გაცნობაზე, როცა ასახსნელი სიტყვა გამოხატულია ნაცვალსახელით და მას მოსდევს დანართი; საანალიზოდ ვიღებთ მაგალითებს:

„მე. გაბრიელს, კაცის კვლის ცოდვა უნდა დამღებოდა?!.. (ი. ჭავჭავ.).

„ჩვენ, კაცები, ხანდახან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ (ი. ჭავჭავ.).

„ამ ნახევარ დღეს ის, ოცდაათი წლის კაცი, სამოცი წლის მოხუცს დამსგავსებოდა“ (ნ. ლომ.).

„იგი, თერთმეტი წლის ყმაწვილი, თბილისს წაიყვანეს სასწავლებლად (ა. ყაზბ. ბიოგრ.).

აქ საჭიროა მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზი<sup>1</sup>.

გაირკვევა, რომ:

1. პირველ წინადადებაში ქვემდებარეა „ცოდვა“, შემასმენელი — „დამღებოდა“, „მე“ კი დამატებაა, რომელიც პირის ნაცვალსახელითაა გამოხატული, მას მოსდევს საკუთარი არსებითი სახელით გამოხატული დანართი („გაბრიელს“). დანართის საშუალებით ზუსტდება ნაცვალსახელის ზოგადი მნიშვნელობა (ასევე გაირჩევა დანარჩენი წინადადებები).

2. ნაცვალსახელთან დანართი შეიძლება გაუვრცობელიც იყოს (იხ. მაგალითები: 1, 2) და გავრცობილიც (იხ. მაგალითები: 3, 4).

<sup>1</sup> М. Самбикина, Теоретическое и практическое значение грамматики: Русский язык в школе, 1956, № 5, стр. 28.

3. დანართის ძირითად ფუნქციას შეადგენს ნაცვალსახელის ზოგადი შინაარსის გახსნა-დაკონკრეტება. ამასთან ერთად დანართი მიღვეთითებს იმ ბრუნვასა და რიცხვზე, რომელშიც ნაცვალსახელი ივარაუდება: „მე, გაბრიელა... (მიც. ბრუნვა); „ჩვენ, კაცები... (პრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა). ამგვარად, რადგან პირის ნაცვალსახელებს „მორფოლოგიური კატეგორია სახელისა (ბრუნვა და რიცხვი) არ გააჩნიათ“<sup>1</sup>, ამდენად დანართის საშუალებით ვგებულობთ ასახსნელი სიტყვის (პირის ნაცვალსახელის) ბრუნვასა და რიცხვს.

ნაცვალსახელს თუ საზოგადო, ან საკუთარი სახელი მოსდევს. რომელიც მის ზოგად შინაარსს აზუსტებს, იგი დანართია. ამ შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება ნაცვალსახელსა და დანართს შორის საკავშირებელი სიტყვის („სახელდობრ“) აღდგენა („მე, სახელდობრ გაბრიელა...“; „ჩვენ, სახელდობრ კაცები“<sup>2</sup>).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ნაცვალსახელს საზოგადო სახელი მოსდევს, რომელიც გარეგნულად დანართს ჰგავს, მაგრამ არაა დანართი. მაგალითები:

„ჩვენ, პიონერები, მუდამ მზად ვართ“.

„ჩვენ პიონერები ვართ“.

ანალოგიურ შემთხვევებში გალაშქრებელი მნიშვნელობა აქვს შინაარსზე დაკვირვებასა და ინტონაციას. დანართთან პაუზებია, იგი წინადადებისაგან მძიმეებით გამოიყოფა, ასახსნელ სიტყვასა და დანართს შორის შეიძლება საკავშირებელი სიტყვის აღდგენა („ჩვენ, სახელდობრ პიონერები, მუდამ მზად ვართ“).

მეორე მაგალითში „პიონერები“ წარმოთქმისას არ გამოიყოფა პაუზებით, რადგანაც იგი წინადადების ჩვეულებრივი წევრია, უფრო ზუსტად: შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილია.

აქ ერთ საკითხსაც უნდა მიექცეს ყურადღება: პირის ნაცვალსახელთან დანართიც გვხვდება და განკერძოებული განსაზღვრებაც. როგორ განვასხვავოთ ისინი? ამისათვის საჭიროა მათი შედარება-შეპირისპირება; მაგალითად:

„მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს (ი. ქვეც).“

„მე, ამიმედით წახალისებულს, ღრედადამ მეტი არა შეფიქრებოდა რა“ (აკავი).

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, გრამ. საფუძე, გვ. 98.

<sup>2</sup> ქუთაისის რკინიგზის 21-ე საშუალო სკოლის მასწავლებელ ე. კობალაძის გამოცდილება.

პირველ წინადადებაში დამაზუსტებელი სიტყვა არსებითი სახელითაა გამოხატული და ამიტომ იგი დანართია; მეორე შემთხვევაში კი მიმღობით, იგი განკერძოებული განსაზღვრებაა.

ზოგჯერ დანართი საგნის სახელწოდებას იძლევა, მაგრამ სხვაგვარს. მაგ.: „ვენატე ნინოშვილი (ე ვ ნ ა ტ ე თ ო მ ა ს - ძ ე ი ნ გ ო - რ ო ყ ვ ა) დაიბადა 1859 წლის 17 დეკემბერს“ (ე. ნინ., ბიოგრაფია).

„1915 წელს მაქსიმ გორკის ინიციატივით დაარსდა ქურნალი „ლექტობის“ („მ ა ტ ი ა ნ ე“) (მ. გორკი, ბიოგრაფია).

„მან წყლულიდან ისარი ამოაძრო, გაწმინდა სისხლიანი ზრო (ი ს ა რ ზ ე დ ა ს ა გ ე ბ ი წ ვ ე ტ ი ა ნ ი რ კ ი ნ ა), ჩააგო საისრეში და წავიდა“ (ვაჟა).

ანალოგიური მაგალითები მრავლად მოიპოვება „მშობლიური ლიტერატურას“ სახელმძღვანელოში და მათ შესწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ლიტერატურული კითხვის გაკვეთილებზე.

დაბოლოს, დანართთან გამოყენებულ კავშირებსა და საკავშირებელ სიტყვებს ვაჭგუფებთ მნიშვნელობის მიხედვით, ვადგენთ სქემას და მოსწავლეებს რვეულებში ვაწერინებთ.

I. ანუ \_\_\_\_\_ მაიგივებელი კავშირები (აერთებს ერთ-  
ესე იგო (ე. ი.) \_\_\_\_\_ ნაირი შინაარსის მქონე სიტყვებს).

II. სახელად  
გვარად  
წარმოშობით  
მოდგმით  
შთამომავლობით  
\_\_\_\_\_ აზუსტებს სახელწოდებას.

III. განსაკუთრებით  
სახელ ღობრ  
მაგალითად  
...ც კი  
\_\_\_\_\_ .საგანთა ჯგუფიდან გამოყოფს ერთს.

IV. როგორც \_\_\_\_\_ მიგვითითებს მიზეზზე<sup>1</sup>.

ამასთან ერთად დანართის სახეების დასამახსოვრებლად კარგია მიეცეთ ასეთი სქემა:



<sup>1</sup> საკუთარი და ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელ ბორის ზადორაძის გამოცდილება.

კეთდება დასკვნა დანართის რაობის შესახებ: დანართი ჰქვია განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც აზუსტებს წინადადების რომელიმე წევრს, დაკავშირებულია მასთან პაუზით ან კავშირით და შეთანხმებულია ბრუნვაში.

### სასვენი ნიშნების სწავლება დანართთან

სასვენი ნიშნების გაცნობა უნდა მოხდეს წინადადებაში დანართის აღგრილის მიხედვით. მათ ასეთი თანაჰიმდევრობით გავაცნობთ:

1. მძიმე, 2. ტირე, 3. ფრჩხილები დანართთან.

დანართთან სასვენი ნიშნების ხმარების წესების შეთვისებაში კარგ შედეგს იძლევა თვალსაჩინო სქემების გამოყენება.

დანართი ხშირად ვხვდება წინადადების შუაში, იშვიათად — ბოლოშიც. თავში მისი ხმარების შემთხვევები არ შეინიშნება. შუაში და ბოლოში მოთავსებული დანართი შეიძლება გამოიყოს მძიმეებით, ტირეებით ან ფრჩხილებით.

პირველად ვაცნობთ დანართთან მძიმის ხმარების წესს. ვწერთ წინადადებებს:

„შაბაში, ანუ მუშაობის შეწყვეტის დრო, უკვე მოტანებული იყო“ (ი. ვვლ.)

„მე, ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებთან ვწევარ“ (ი. აბაშ.).

„ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ (გ. ტაბ.).

„ლამას დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, სახელად დავითი“ (ი. გოგ.).

დაკვირვების შედეგად მოსწავლეებს ეძლევათ პირველი წესი:

დანართი თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმეებით გამოიყოფა. თუ იგი წინადადების შუაშია, ორივე მხრივ მძიმე უნდა; თუ ბოლოში — დანართის წინ მძიმე დაისმის, ბოლოს კი ის ნიშანი, რასაც წინადადების შინაარსი მოითხოვს<sup>1</sup>.

შეინიშნება, რომ მოსწავლეები შედარებით ადვილად ითვისებენ სასვენი ნიშნების ხმარების წესს უკავშირო დანართთან, ხოლო კავშირიან და საკავშირებელსიტყვიან დანართთან ხშირად შეცდომებს უშვებენ. ვხვდებით ასეთი სახის დარღვევებს: კავშირებსა და საკავშირებელ სიტყვებს მძიმით გამოყოფენ დანართისაგან:

<sup>1</sup> А. В. Затопилев, Методика изучения обособленных определений и приложений в неполной средней школе (სადისერტაციო შრომა), Москва, 1950, გვ. 305 (გამოუქვეყნებელი).

„ეგნატე ნინოშვილი, ან უ. ინგოროყვა, „პალიასტომის ტბის“ ავტორია“.

„აკაკის მასწავლებელი, სახელად ტროე. გულკეთილი იყო“. ვარჯიშობით შეცდომა უნდა აღმოვფხვრათ.

ამის შემდეგ ვასწავლით ტირეს ხმარების წესს დანართთან. უნდა აღინიშნოს, რომ ტირეს ხმარება დანართთან ერთ გარკვეულ წესს არ ექვემდებარება. ერთი და იგივე დანართი ხან მძიმეებითაა გამოყოფილი. ხან ტირეებით. ესეც უარყოფითად მოქმედებს საერთოდ დანართთან სასვენი ნიშნების ხმარების წესების შეთვისებაზე. ვაანალიზებთ წინადადებებს:

„ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს — ზედამხედველმა პირით დაკრა შუბლზე „ლინეიკა“ (აკაკი).“

„ვაქამ ცოლად შეირთო დიდებაშვილის ქალი — ნინო“ (ვაქა ბიოგრაფია).

ყურადღება მიექცევა დანართის ადგილს წინადადებაში და სასვენ ნიშნებს. წარმოებს ვარჯიშობა წინადადებათა სწორად წარმოთქმაზე. ბოლოს ეძლევათ დასკვნა:

დანართი წინადადებისაგან ტირეებით გამოიყოფა, თუ დანართი და საზღვრული წევრი თანატოლებია<sup>1</sup>.

თუ დანართი წინადადების შუაშია, იგი ორივე მხრიდან ტირეებით გამოიყოფა; თუ ბოლოშია — მის წინ იწერება ტირე.

ასეთივე თანამიმდევრობით გაეცნობათ ფრჩხილების ხმარების წესიც. საანალიზოდ ვიღებთ წინადადებებს:

„ცეცხლთან იღვა ტაგანი (პატარა კასრი)“ (ვაქა).

„ეგნატე ნინოშვილი (ეგნატე თომას ძე ინგოროყვა) დაიბადა 1859 წლის 17 დეკემბერს“ (ბიოგრაფ.).

გაიჩვენა ეს წინადადებები. უნდა ითქვას, რომ საერთოდ დანართთან ფრჩხილების ხმარების ერთი, საყოველთაოდ აღიარებული წესი არ არსებობს, მაგრამ მაინც შეინიშნება, რომ ფრჩხილებში უმეტესად ჩაისძის ისეთი დანართი, რომელიც უცხო სიტყვის, დიალექტური ლექსიკური ერთეულის ან რომელიმე სიტყვა-გამოთქმის, ახსნა-განმარტებას წარმოადგენს.

სავარჯიშო შეიძლება ასეთი სახისა იყოს:

1. შესწავლილი ტექსტიდან (პროზა, პოეზია) დანართების ამოწერა და დალაგება ქვემოთმოცემული სქემის მიხედვით:

აკავშირინი დანართი	საკავშირებელსიტყვიანი დანართი	შაკავშირო დანართი

<sup>1</sup> ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1956, გვ. 124.

2. ტექსტიდან დანართიანი წინადადების ამოწევა და გარკვევა: დანართი გვერცობილია თუ გაუვერცობელი, რით არის გამოხატული, რა ადგილი უქირავს და რომელი სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი.

3. წინადადებებს დაფიდან გადმოწერა: სიტყვათა რიგის შეცვლა ისე, რომ ასახსნელი სიტყვა დანართი გახდეს და პირიქით.

4. დანართიანი წინადადების დამოუკიდებლად მოფიქრება და შედგენა<sup>1</sup>.

5. გამოტოვებული დანართების ჩაწერა და სასვენი ნიშნების დასმა ასეთ წინადადებებში: 1. ჩვენ ვსწავლობთ გამოჩენილი ქართველი მწერლის .... ნაწარმოებებს; 2. მე მიყვარს ვაჟ-ფშაველას ლექსი....

3. მასწავლებელი მოგვიყვება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქალიშვილის..... გმირული ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს; 4. ჩვენ... ხვალ გამოვეშვებთ კედლის გახეთის მორიგ ნომერს.

დანართად გამოსაყენებელი სიტყვებია: 1. ილია ქავკავაძის; 2. სახელდობრ „არწივი“; 3. ზოია რუხაძის; 4. მუშვიდე კლასის მოსწავლეები.

6. გამოტოვებული სასვენი ნიშნების დასმა დანართიან წინადადებებში (ტექსტი ეძლევათ).

7. ორი მარტაეი წინადადებისაგან ერთი დანართიანი წინადადების შედგენა<sup>2</sup>; ნიმუში:

ორი მარტაეი წინადადება	დანართიანი წინადადება
1. სოლომანი მაქანკლობით ირჩენდა თავს.	სოლომანი, გადარიბებული აზნაური, მაქანკლობით ირჩენდა თავს.
2. სოლომონი გადარიბებული აზნაური იყო.	
1. ზვიადაური იყო ქისტების მოსიხსლე მტერი.	ზვიადაური, ქისტების მოსიხსლე მტერი, ჯოყოლამ სახლში მიიპატიჟა.
2. ზვიადაური ჯოყოლამ სახლში მიიპატიჟა.	
1. დესპინე იყო სპირიდონის მეუღლე.	დესპინე, სპირიდონის მეუღლე, მოეწონა ტარიელ მკლავაძეს.
2. დესპინე მოეწონა ტარიელ მკლავაძეს.	

<sup>1</sup> В. М. Борезни, Особенности приложения: Русский язык в школе, 1937, № 6, стр. 146.

<sup>2</sup> გვეგუკორის რაონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლის მასწავლებლების ი. ჭიქიას, ნ. ბახიასა და წულუკიძის I საშუალო სკოლის მასწავლებელ თ. სანოძის გამოცდილება.



ასეთი სახის სავარჯიშოების შესრულება დიდად უწყობს ხელს მოსწავლეთა მეტყველების სტილის დახვეწის საქმეს<sup>1</sup>.

## ჩ ა რ თ უ ლ ი

ჩართულ სიტყვათა და გამოთქმათა წარმოქმნისა და ჩამოყალიბების პროცესს შეიძლება თვალყური გავადევნოთ ძველი ქართულიდან<sup>2</sup>. ძველ ქართულში ჩართული სხვა განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებთან შედარებით ყველაზე იშვიათად გვხვდება.

ძველ ქართულში წარმოდგენილი ჩართულის მაგალითები შინა-არსობრივად უმთავრესად აღნიშნავს მოსაუბრის დარწმუნებას ან გამოთქმული აზრის წყაროს; მაგალითად: „**კ ე შ მ ა რ ი ტ ა დ**, კ ა ც ი ე ს ე ძ ლ მ რ თ ი ს ა ა ი ყ ო (მ რ კ . 15, 39). „**ხ ო ლ ო მ ე ა წ**, **ს ი ტ ყ ვ ს ა ე ბ რ შ ე ნ ი ს ა**, გ უ ა რ ა მ ვ ა რ ბ უ ნ ე ბ ა შ ე ც ვ ა ლ ე ბ უ ლ“ (ხ ა ნ ძ თ . , გ ვ . 93). „**ღ ა**, **ვ ი თ ა რ ც ა ვ ს თ ქ უ თ**, გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა ყ ო ვ ლ ა დ - კ უ რ თ ხ ე უ ლ ი ი გ ი გ ი ო რ გ ი“ (ბ ა ს . ზ ა რ ზ მ . , გ ვ . 173). „**მ ა შ ი ნ ლ მ რ თ ი თ — ქ მ ნ ლ ს ა მ ა ს ე კ ლ ე ს ი ა ს ა**, **რ ო მ ე ლ ი თ ქ მ უ ლ ა რ ს**, **ს ა კ უ რ თ ხ ე ე ე ლ ი ა რ ა ლ ა დ გ ა**“ (კ ი მ . , II, გ ვ . 152).

„**უ ჟ უ ე თ უ მ ა ნ**, **ვ ი თ ა რ ც თ ქ უ ე ნ ს თ ქ უ თ**, ა დ გ ი ლ ა მ ა ს შ ე კ რ ი ბ ნ ა და ა დ გ ი ლ ი ი გ ი უ ლ ა ბ ნ ო ა ქ ა ლ ა ქ ყ ო“ (ი ქ ე ე , გ ვ . 153).

ღროთა ვითარებაში თანდათან იზრდება ჩართულის შინაარსობრივი ჩგუფები და ამასთან ერთად ფართოვდება ამ კატეგორიის შემადგენლობაც. განსაკუთრებით ჩქარა მიმდინარეობს ეს პროცესი მე-18 საუკ. მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში.

## ჩ ა რ თ უ ლ ი ს გ რ ა მ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი დ ა ხ ა ნ ს ი ა თ ე ბ ა

### ჩ ა რ თ უ ლ ი ს რ ო მ ბ ა

ჩართული სიტყვები და გამოთქმები მათი თანამედროვე სახით წარმოადგენენ ქართული ენის გრამატიკული წყობის ცვლილება-განვითარების შედეგს. ისინი თავიანთი ლექსიკური შემადგენლობით, ეტიმოლოგიური ბუნებით, წინადადების წევრებთან დამოკიდებულებითა და წინადადებაში ადგილისა და ფუნქციის მიხედვით მეტად კრულ სურათს გვიჩვენებენ.

<sup>1</sup> А. А. Сумеркина, Об изучении темы: „Приложение“: Русский язык в школе, 1957 № 2, стр. 75.

<sup>2</sup> გრამატიკულ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი „ჩართული“ ჩართულის აღსანიშნავად (იხ. „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“, ქუთაისი, 1887, გვ. 20). ამის გვერდით უკანასკნელი პერიოდის სპეციალურ ლიტერატურაში გამოჩნდა სხვა ტერმინიც. ეს არის ჩანართი (იხ. ო. უ რ ი დ ი ა, გიორგი ერისთავის ენა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1954, გვ. 217).

ჩართულთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა კავშირი აქვს ჩართულს იმ წინადადებასთან, რომელშიც იგი შედის და რა ურთიერთობაშია წინადადებას წევრებთან. ამ საკითხზე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გაკვირვებით შენიშვნები მოგვეპოვება; ა. შანიძე წერს: „წინადადების წევრებს გარდა, შიშობება სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენენ და განეკრძოებული ადგილი უჭირავთ. ესენია: განეკრძოებული განსაზღვრება... ჩართული“<sup>1</sup>. ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ჩართული წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენს და ამდენად წევრი არ არის.

რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში ყველაზე მეტ დავას სწორედ ჩართულის გრამატიკული ბუნების საკითხი იწვევს. მრავალი ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული ამ საკითხზე.

მკვლევართა უმრავლესობა ჩართულს თვლის წინადადების გარეშე მდგომ სიტყვად იმ საბუთით, რომ იგი არ შედის გრამატიკულ კავშირში წინადადების დანარჩენ წევრებთან, მათ არც ეთანხმება, არც იმართვის და არც მიერთვის. ამის დასამტკიცებელ საბუთად მოჰყავთ ის, რომ ჩართული, როგორც წესი, არ მიუღებს ლოგიკურ კითხვას.

იმ შეხედულებებს, რომლებიც ჩართულის გრამატიკული ბუნების საკითხზე გამოითქვა, ჩვენ პირობითად სამ ჯგუფად ვყოფთ:

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩართული არაა დაკავშირებული წინადადების წევრებთან და ამის გამო არცაა წინადადების წევრი; მეორენი ფიქრობენ, რომ ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილებს შორის ადგილი აქვს თავისებურ კავშირს, რომელსაც უწოდებენ შეფარებას (соотношение). სხვების აზრით კი, ჩართული წინადადების წევრია.

— ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მკვლევართა პირველი შეხედულება „რუსული ენის გრამატიკაში“ (აკადემიის გამოცემა), სადაც ვკითხულობთ: „ჩართულად იწოდება წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები და შესიტყვებები, რომლებიც გამოხატავენ მოლაპარაკის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი, გადმოცემული აზრის შეფასებას, ან მიუთითებენ ამ აზრის წყაროზე, აღნიშნავენ კავშირს სხვა წინადადებასთან ან მეტყველების უფრო ვრცელ კონტექსტთან“<sup>2</sup>. „ჩართული სიტყვები წინადადების წევრებს

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, 1957, გვ. 71.

<sup>2</sup> Грамматика русского языка, т. II, синтаксис, часть II, АН СССР, Москва, 1954, стр. 142.

არ წარმოადგენენ<sup>1</sup>. ჩართული სინტაქსური დამოკიდებულების სახეებით არ უკავშირდება წინადადების წევრებს. იგი ეკუთვნის წინადადებას მთლიანად<sup>2</sup>.

მეორე შეხედულების თანახმად ჩართულ სიტყვებსა და წინადადების დანარჩენ ნაწილებს შორის ჩვენ გვაქვს სპეციფიკური ხასიათის დამოკიდებულება, რომელიც თავისებურად ასახავს წინადადების ელემენტებს შორის ურთიერთკავშირს. ამ კავშირს, — წერს ა. რუდნევი, — ჩვენ ვუწოდებთ „შეფარდებას“, „შეფარდებითს კავშირს“) („соотношение“ или „соотнесительная связь“). მაშასადამე, — ასკვნის ავტორი, — ტერმინის „შეფარდების“ („соотнесение“) ქვეშ ჩვენ გვესმის წინადადებაში გრამატიკული კავშირის განსაკუთრებული ტიპი<sup>3</sup>. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოსაზრება ჯერჯერობით არავის გაუზიარებია.

მესამე შეხედულებით ჩართული წევრია წინადადებისა: „ჩვენ გვგონია, რომ შოდალურ-ჩართული სიტყვებიც, რომლებიც თუმცა არ შედიან წინადადების ნაწილების იმ რიცხვში, რომლისგანაც შენდება მისი ძირითადი შემადგენლობა, ხვდებიან რა მასში, მაინც წარმოადგენენ წინადადების წევრებს“<sup>4</sup>.

ჩვენი აზრით, ჩართული სინტაქსურად არ უკავშირდება წინადადების დანარჩენ წევრებს; იგი მხოლოდ სემანტიკურად უკავშირდება წინადადებასა და მის წევრებს<sup>5</sup>. ამ მოსაზრებას თვალნათლივ აღასტურებს ქართული ენის მონაცემები; მაგალითად, წინადადებაში — ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა (მთხოვარას) გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რა საკვირველია — თავისებური პირპილიც მოაყარა ზედ“ (ი. ჯავჭ., II, გვ. 255) „რასაკვირველია“ ჩართულია. იგი წინადადების არც ერთ წევრს არ უკავშირდება სინტაქსური დამოკიდებულების არც ერთი სახით. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იგი არც ერთ წყვილში არ შედის. ავიღოთ მეორე წინადადება: „ს ა უ-

<sup>1</sup> С. Г. Бархударов и С. Е. Крючков, Учебник русского языка, ч. II, синтаксис, Учпедгиз, 1956, стр. 60.

<sup>2</sup> И. И. Мещанинов, Члены предложения и части речи, Москва, 1945, стр. 186-187.

<sup>3</sup> А. Г. Руднев, Вводный Член предложения и вводные предложения, их функции и грамматическое выражение в художественных произведениях А. С. Пушкина: Учёные записки Ленингр. гос. университета, т. 76, 1949, стр. 176.

<sup>4</sup> Е. В. Кротевич; Синтаксические отношения между словами и способы их выражения в русском и украинском языках, издание Львовского гос. университета, 1949, стр. 19.

<sup>5</sup> მართალია, ჩართული სინტაქსურად არ უკავშირდება წინადადების წევრებს, მაგრამ მაინც ახდენს მათზე გავლენას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ჩართუ-

ბედუროდ, ცოლის შერთვის შემდეგ ერთი ხარი მგელმა შეუქამა ჩერანს“ („პარტახი“, გვ. 39) — „საუბედუროდ“ ჩართულია. თუ პირველ წინადადებაში ჩართულის საშუალებით ავტორის დარწმუნებულობა, რწმენა გამოხატული; მეორეში გადმოცემულია ავტორის თანაგრძნობა, ფაქტის შეფასება. ჩართულის გარეშე ეს წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „ცოლის შერთვის შემდეგ ერთი ხარი მგელმა შეუქამა ჩერანს“. აქ უკვე მომხდარი ფაქტისადმი ავტორის პირადი დამოკიდებულება იგნორირებულია, არ ჩანს, და აზიტომ წინადადებად დაკარგა ის ემოციურობა, რომელიც მანამდე ახასიათებდა. ამდენად ჩართული წინადადების სტრუქტურაში მექანიკურად კი არაა ჩასმული, როგორც „ორგანიზმში მოხვედრილი ტყვია“<sup>1</sup>, არამედ მასთან დაკავშირებულია აზრობრივად, სემანტიკურად. განვავრძოთ დაკვირება. ავიღოთ მაგალითი:

„ანჩხლი და კაპასი იქ არ ყოფილხარ და, იმე დია, არც აქ იქნები“ (დ. კლდ., I, გვ. 242).

მოყვანილ მაგალითში ჩართული წინადადების შემადგენლობაში შედის და წარმოადგენს მის ერთ-ერთ კომპონენტს, რადგან ჩართული გამოყენებულია ამა თუ იმ აზრის უფრო სრულად გადმოსაცემად.

ჩართული სიტყვები ერთგვარად ამატებენ, აზუსტებენ წინადადების აზრს. ეს კი მიუთითებს ჩართულსა და წინადადების ნაწილებს შორის სემანტიკურ კავშირზე. ამიტომ თითქოს გაუშართლებელი ჩანს ზოგიერთი მკვლევარის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს ჩართულის ამოღებით წინადადების აზრი არ ირღვეოდეს<sup>2</sup>. სინამდვილეში კი ჩართულის გამოტოვებით წინადადების აღნაგობა უცვლელი

ლი სიტყვა-გამოთქმები, როგორცაა: შესაძლოა, ლამის არის, საფიქრებელია და მისთ. დაკვირება გვიჩვენებს, რომ ის წინადადება, რომელშიც აღნიშნული და მსგავსი ჩართული სიტყვა-გამოთქმებია წარმოდგენილი, დიდი თავისებურებებით ხასიათდება; მაგალითისათვის ავიღოთ წინადადებები: „შესაძლოა, ცდებოდე“: „ამ ბავშვის მოქმედებით, ლამის არის, გავგოდე“; „ასეთი ბეჭითი სწავლა, საფიქრებელია, კარგ შედეგს გამოიღებს“. ირკვევა, რომ მოყვანილ მაგალითებში ჩართულ სიტყვებზე არის დამოკიდებული ზმნის მწკრივი („ლამის არის, გავგოდე“. „შესაძლოა, ცდებოდე“... (ფრაზაში „ლამის არის, გავგოდე“, „შესაძლოა, ცდებოდე“, ხომ არ არის „რომ“ კავშირი ჩაგდებული? აქ რთულ წინადადებასთან ხომ არ გვაქვს საქმე? ამ შემთხვევაში ჩვენ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. საკითხი მოითხოვს შემდგომ შესწავლას. ამ საკითხის შესწავლასა და მართებულად გადაჭრას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩართულისა და წინადადების წევრების ურთიერთმიმართების გასარკვევად.

<sup>1</sup> А. М. Пешковская, Русский синтаксис в научном освещении, Москва, 1938, стр. 307.

<sup>2</sup> А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Москва, 1941, стр. 365.

რჩება, მაგრამ, სამაგიეროდ, ზიანდება სემანტიკური მხარე. სემანტიკის შეცვლა, კონსტრუქციის უცვლელიობა, — აი, რა ახასიათებს ჩართულგამოტოვებულ წინადადებას. ეს ფაქტი კი თავისთავად სემანტიკისა და გრამატიკის მჭიდრო კავშირზე მიგვი-თითებს.

მაშასადამე, ჩართული სინტაქსურად არ უკავშირდება წინადადე-ბის დანარჩენ წევრებს. მისი კავშირი წინადადებასთან სემანტიკურ ხასიათს ატარებს. მაგრამ შეიძლება თუ არა ჩართული წარმოადგენ-დეს წინადადების წევრს? ამ კითხვას, უეჭველად, უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს.

ავიღოთ ჩართულის შემცველი წინადადება: „გაბრიელი, მარ-თალია, ღარიბი ბიჭია, მაგრამ გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუ-ნება“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 98). ჩართულია აქ „მართალია“, რომელიც წინადადების წევრს არ წარმოადგენს, რადგანაც 1. კითხვა არ უდგება, 2. შინაარსეულად, ფუნქციით იგი სხვა ბუნებისაა, ვიდრე წინადადე-ბის, წევრი შეიძლება იყოს. იგი მთქმელის დამოკიდებულებას გვიჩ-ვენებს მთლიანად წინადადებით გადმოცემული აზრისადმი და 3. ჩართული სინტაქსური დამოკიდებულებების არც ერთი სახით არ უკავშირდება წინადადების წევრებს.

ერთი სიტყვით, თავისი ფუნქციით, გამოსახვის საშუალებითა და სხვა სიტყვებთან სინტაქსური კავშირის უქონლობით ჩართული სი-ტყვები და გამოთქმები არსებითად განსხვავდება წინადადების წევ-რებისაგან.

ჩართულის ყველა ამ თავისებურებამ თავისი ასახვა უნდა პოვოს მის რაობაში.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ჩართული განსაზღვრულია სემანტიკურად<sup>1</sup>. საჭიროა დაემატოს მისი გრამატიკული მხარეც. ამის მიხედვით ეგებ მისაღები იყოს ჩართულის ასეთი განსაზღვრა: ჩართული ჰქვია წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავში-რებელ სიტყვას ან გამოთქმას, რომელიც გვიჩვენებს მთქმელის და-მოკიდებულებას წინადადებაში გამოთქმულ აზრისადმი.

### ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა შინაარსობრივი ჯგუფები

ჩართულმა სიტყვებმა და გამოთქმებმა შინაარსის მიხედვით შეიძ-ლება გვიჩვენონ: 1. გადმოცემული ფაქტის უეჭველობა ან დაეჭვება; 2. ჩვეულებრიობა; 3. ემოციური შეფასება; 4. გადმოცემის წყარო;

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II. სინტაქსი, 1956, გვ. 70. შტრ. ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, 1956, გვ. 128.

5. დამოკიდებულება წინათ გამოთქმულ აზრთან; 6. აზრთა თანამიმდევრობა; 7. ფიცის, წყევლისა და ალერსის ფორმულები.

ჩართული სიტყვა-გამოთქმები სემანტიკურად მკვიდროდ უკავშირდებიან წინადადების შემადგენლობას მთლიანად ან მის რომელიმე წევრს.

განვიხილოთ ჩართულის შინაარსობრივი ჯგუფები ცალ-ცალკე:

1. ცნობის, გადმოცემული ფაქტის უეჭველობა. ამ ჯგუფის ჩართული სიტყვა-გამოთქმები მეტად მრავალფეროვანია. დავასახელებთ ზოგ მათგანს. ესენია: რა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, რასაკვირველია, ცხადია, ნათელია, უეჭველია, ეჭვი არ უნდა, კეშმარიტად, მართლაც, დარწმუნებული ვარ, იმედი მაქვს, სწორედ გითხრათ, სიმართლე გითხრათ, უნდა სწორე თქვას კაცმა, ვიცით (რა თქმა უნდა). მოგეხსენებათ და სხვ. მაგალითები:

„შენ თუ მოინდომე, ყველაფერი იქნება, რაღა თქმა უნდა“ (დ. კლდ., I, გვ. 69).

„ს ჩ ა ნ ს... იმ ღვდლისაგან კვლავაც ბევრი მაგისტანები ენახათ (ი. ჰაქვ., II, გვ. 69).

„თურმე ყოფილა ერთი ბატონი, რასაკვირველია, მოსამსახურეებიც კყოლია“ (იქვე, გვ. 64).

„ე ქ ე ვ ი ა რ უ ნ დ ა, თვალს მოჰკრამდა მთაში ჩამალულ სამ ახალგაზრდა გლეხსა“ (ნ. ლომ., გვ. 235 — 236).

„კ ე შ მ ა რ ი ტ ა დ, მაიკო (,) ასე გულცივად ჭერ განსჯა არა მქონია“ (ნ. ბარ., გვ. 84).

„ღედა შევარდენი, უ ე ქ ე ვ ე ლ ი ა, აფრინდა“ (ვაჟა, VI, გვ. 129).

„მ ე ს წ ო რ ე დ მ ო გ ა ხ ს ე ნ ო თ, ძალიან შევიჩვიე ჩვენი პატარა ბატონი“ (ი. ჰაქვ., II, გვ. 40).

„ღმერთს არ სწყინს სიმართლე. იგა, ვ ი ც ი თ, ჩვენი მომხრეა“ (ვაჟა, VI, გვ. 142)

მთქმელის მიერ ფაქტი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სრულ სარწმუნოდ ან საეგებიოდ, ან შესაძლებლად. პირველ შემთხვევაში იხმარება: მართლაც. რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია, უეჭველად და ა. შ., ხოლო მეორე შემთხვევაში — ალბათ, ვგონებ, შესაძლოა, ლამის არის და სხვ.:

„ფუული ვაჩუქე და როდი წაიღო! ა ლ ბ ა თ, ეშინდა, სახლში რომ შეუტყონ, სტემენ“ (ე. ნინ., გვ. 137).

„ვ გ ო ნ ე ბ, მეოთხე კვირის ერთ საღამოს ჩემ უმცროს ბიძას გააცვივა“ (ნ. ლომ., გვ. 11).

„მე ამ საკითხში; შე ს ა ძ ლ ო ა, ვცდებოდე“ (გაზ. „ახ. კომუნისტი“ 9. VII, 1947).

„სული ყელში მებჯინება და (,) ლამის არის, მოვკვდე“ (ვაჟა, VI, გვ. 139).

2. ჩართული გვიჩვენებს გადმოცემული ფაქტის ჩვეულებრიობას. აქვს კარგად გამოხატავს შემდეგი ჩართული სიტყვა-გამოთქმები: ხომ მოგეხსენებათ, საზოგადოდ, ჩვეულებრივად, ჩვეულებრივ, დაბირებისამებრ და სხვ. მაგალითები:

„მთაში, საზოგადოდ, იყო ჩვეულებად ტყვეების მოყვანა“ (ა. ყაზ., I, გვ. 9).

„მეორე ღამეს, ჩვეულები სამებრ, ავანთე ღამბა და დავიძინე“ (აკაკი, IV, გვ. 141).

„საჭირო იყო (პლატონს) პასუხი მიეცა ქვაშავიძისათვის, დაბირებისამებრ (დ. კლდ., I, გვ. 162).

3. წინადადებაში მოცემული აზრის ემოციური შეფასება. ამ ჯგუფის სიტყვები გამოხატავენ კმაყოფილებას, სიხარულს, წყენას, სინანულს, განცვიფრებას აღშფოთებას და სხვ. ასეთებია: სასიხარულოდ, საბედნიეროდ, ბედად, ჩემდა ბედად, საუბედუროდ, სამწუხაროდ, სამარცხვინოდ, სანუგეშოდ, გასაოცრად, სავაგლახოდ, რაღაც ეშმაკად და სხვ.

„ბედად, იქვე შეესწრნენ ხიდისთაველი გლეხები“ (ი. გოგ., გვ. 287).

„...დამშეულიც, ჩემდა ბედად, არაინ მყავდა“ (ვაჟა, VI, გვ. 128).

„მე ამ დროს ჩემმა თანამზავერებმა დამიძახეს და, ჩემდა სამწუხაროდ, ველარ ვნახე ამთი ჭვარისწერა“ (მ. ჯავახ., გვ. 40).

„შენ და ჩემდა სამარცხვინოდ, ვე გარემოება არ მალეულებს“ (ე. გაბ., გვ. 430).

„ჩვენ და სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ... თავი დიღხანს ვერ შეინახა (ი. ჰაქვ., III, გვ. 205).

„იმთვე დროს, მზადოს სასიხარულოდ, ელგუჯას კარგად მყოფობაზე ხმა მოდიოდა“ (ა. ყაზ., I, გვ. 89).

„ჩვენ და გასაოცრად, ის ადგილი ცარიელი დაგვიხედა“ (ი. გოგ., გვ. 114).

„სავაგლახოდ, (დიაშვებს გლახას ცოლი) საღდაც ვნახა და თვალში მოსვლოდა“ (ა. ყაზ., I, გვ. 167).

„ბოლოს, ფერისცვალების დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა“ (ი. ჰაქვ., II, გვ. 220).

4. გადმოცემის წყაროს მაჩვენებელი ჩართული სიტყვა-გამოთქმები.

ამ სახის ჩართულები უჩვენებს წყაროს, ვის მიერაც არის გამოთქმული ესა თუ ის აზრი, ვის ეკუთვნის ესა თუ ის გამოთქმა თუ მოსაზრება, „უფრო ფართოდ — როგორია ცნობის წყარო (თვით მთქმელის მოგონებათა შედეგს წარმოადგენს იგი თუ საზოგადო კვლევების, ანდა სხვისგან გაგონილს“) <sup>1</sup>. ასეთებია: ხალხის წარმოდგენით

<sup>1</sup> Грамматика русского языка, т. II, синтаксис, часть вторая, А. Н. СССР, Москва, 1954, стр. 156.

ჩემი აზრით, სიტყვით (მაგისი, ჩემი), რწმენით (ხალხის, მათი...), იმისი ფიქრით (ჩემი, მათი...), გადმოცემით, ზეპირგადმოცემით, წარმოდგენით (იმისი, მათი), იმისი ანგარიშით, ცნობით, რჩევით (მათი, იმისი...), ჩემი ჭკუით, გამიგონია, მომისმენია და სხვ.

„ხალხის გადმოცემით, მშვიდმა ნადირებმა პირი არ დააქარეს“ ... (მოლაღობის ლეშა) (ი. გოგ., გვ. 103).

„კოპალა, ფშაურის ზეპირგადმოცემით, ყოფილა იხიწარას (ადგილი) ბერად“ (ვაჟა, V, გვ. 72).

„მისი წარმოდგენით, ერთი დავიდარაბა უნდა ატეხილიყო... დედაბრებს შორის“ (დ. კლდ., I, გვ. 130).

„არსენა კი გულში იცინოდა და ხელებს იფშვნეტდა იმის გამო, რომ ეშმაკობით ორი მთავარი მტერი მოიშორა, რომელიც, მისი ანგარიშით, ათს დარჩენილსაც უღრიდა“ (მ. ჭავჭავაძე, გვ. 207).

„პრესის ცნობებით, ინგლისის 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი კვიპროსზე ეწევა კვიპროსის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრების ფართო ჩხრეკვას“ (გაზ. „სტალინელი“, 6. VIII. 1958).

„სხვა სტუმარი, ქართული ანდაზით, პირველ დღეს ოქროა“ (ი. გოგ., გვ. 117)

„ამ კაცთან ასე ვაგლახად ლაპარაკი საფრთხილო იყო, მისი აზრით“ (დ. კლდ., I, გვ. 126).

„ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, მაშინ მოხდა ყოვლად უცნაური ამბავი“ (ი. გოგ., გვ. 279).

„ესე. ჩემი ჭკუით, ამ ოჯახის შესაფერი კია — (ე. ნინ., გვ. 11).

„ქარისკაცების რჩევით, შეფემ გააძრახა ქაიხოსრო და სვიმონ წერეთლები, რომ ჩასულიყვნენ გორში“ (აკაკი, IV, გვ. 174).

(„სვიმონ ჩოფიკაშვილის სახელი), ხალხის რწმენით, ხელმწიფის კარზედ იყო დაწერილი“ (ა. ყაზბ., I, გვ. 56).

„მაგისი სიტყვით, მზის გულზე მოკრეფილი ბალახეულობა უფრო სუფთაა არის და უფრო მეტი წვენიც უღვია“ (ნ. ლომ., გვ. 317).

„სიტყვით, არ ვიცოდი სირაქების საიდუმლოება“ (ლ. არდ., გვ. 160).

„გამიგონია, სწავლა დიდი ღონეაო“ (ნ. ლომ., გვ. 160)

ნ. დამოკიდებულება წინათ გამოთქმულ აზრებთან; აზრთა თანამიმდევრობა. ამ ჭკუფში შედის ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორცაა: მაშ, მაშასადამე, ამგვარად, პირიქით, დაპასრულ, ერთი სიტყვით, სხვათა შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა ითქვას, კვებნით არ ვიტყვით, უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვებზედ, ჭერ ერთი, მეორეც, მეორედაც, პირველი, ნაწილობრივ, ბოლოს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ამნაირად...

„ეგ წაწმედილი, მაშ, ჩვენც მაგ პასუხით უნდა დავიხვდეს (ვაჟა, VI, გვ. 99).

(ეთერმა) თქვა „დავიღალე“ და, მაშასადამე, დასვენება უნდოდა“ (მ. არაგვი, II, გვ. 400).



შენიშვნა: „მაშ“ და „მამასადამე“ ზუსტად ერთი მნიშვნელობის სიტყვებია პირველი მეორეს შეკვეცილ ფორმას წარმოადგენს (იხ. გ. ახვლედიანი და ვ. თოფჩუჩია, რუსულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 200).

„დაიფიწა ვეფხვამ მონადირის სიკეთე?.. პირიქით“ (ვაჟა, VI, გვ. 134).

„მთხოვრების სახელით ერთხელ ფშავის ხევს ბოშები ესტუმრნენ. ისინი, სხვათა შორის, თამართანაც მივიდნენ“ (ვაჟა, V, გვ. 25).

„ერთის იტყუით, მხედარი და კაცატო დამეგობრდნენ“ (ე. გაბ., გვ. 131).

„ღიახ, სოფელი ის ორთაიანი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, იანუ-იანი ზღვია, მაგრამ განსხვავებული“ (ვაჟა, V, გვ. 222).

„უნდა ითქვას, დავითის ამ განზრახვამ შე საოცრად გაშაკვირვა“ („ლიტ. გაზეთი“, 4. V. 1956).

„მე თევზაობაში დავბერდი, ხოლიხის ხმარებაში, კეხნით არ ვიტყვი, ტოლი არა მყავს“ (ი. გოგ., გვ. 215).

„თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, -მრგვალი-უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი“ (ი. ჰავეკ., II, გვ. 128).

„პირველი, იმიტომ არ მოსწონს, რომ თერგ-დალეულები მართლაც თერგ-დალეულები არიან, მეორე იმიტომ, იმიტომ, რომ მეორედაც თერგ-დალეულები არიან, მესამე, იმიტომ... იმიტომ რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან“ (ი. ჰავეკ., II, გვ. 9).

„დასასრულ, მოსწავლეთა ძალებით შედგა კონცერტი“ (გაზ. „სტალინელი“, 9. VI. 1957).

6. სააღერსო ხიტყვა-გამოთქმები და ზოგიერთი ფიცილისა და წყევლის ფორმულები, რომლებიც გამოხატავენ მთქმელის დამოკიდებულებას გადმოსაცემი აზრისადმი. ესენია: გენაცვალე (გენაცვა), გეთაყვანე (გეთაყვა), შენი ჭირიძე, შენი კენესამე, თქვენმა მზემ, ძმობაჰ გეფიცები, ძმობამ, შევილოსა, მამამეილობამ, ღმერთმანი და ა. შ. „ჰო, შენი ჭირიძე, გაბრიელ! — მიბასუხა იმან, — ეგე, გეთაყვანე!“ (ი. ჰავეკ., II, გვ. 92).

„ნუ ნუ დალუბავ, შენი კენესამე“ (ი. ჰავეკ., I გვ. 171).

„ჩვენ, შეილოსა, ხელმწიფეს ვემსახურებით“ (რ. ერ., გვ. 142).

„მიკვირს, ღმერთმანი, ტყეში მებტი ჰკვა ყოფილა, ვიღრე სოფელში“ (ვაჟა, VI, გვ. 208).

წყევლა-დალოცვისა და ფიცილი-მისალმების ფორმულები შესაძლებელია გავრცობილი სახითაც იყოს წარმოდგენილი.

## ჩართული სიწყყავისა და გამოთქმების აღილი წინადადებაში

ჩართულის აღგილი წინადადებაში არაა მყარი, იგი შეიძლება თავ-შიც იყოს, შუაშიც და ბოლოშიც. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ეკუთვნის ჩართული — მთელ წინადადებას, თუ მის რომელიმე

წევრს. როგორც რუსულში, ისე ქართულშიც ამ მხრივ თითქმის ერთნაირი კანონზომიერება ვლინდება, სახელდობრ: თუ ჩართული სიტყვა ან გამოთქმა ეკუთვნის მთელ წინადადებას, მაშინ იგი ჩვეულებრივ დგას წინადადების თავში ან ბოლოში, ხოლო თუ ჩართული სიტყვა ან გამოთქმა ეკუთვნის მხოლოდ წინადადების ნაწილს ან მის რომელიმე წევრს, მაშინ იგი ჩვეულებრივ უშუალოდ იმ სიტყვასთან ან სიტყვათა ჯგუფთან დგას<sup>1</sup>.

ჩართული სიტყვები და გამოთქმები უმეტესად შუაში გვხვდება; იშვიათად თავში და კიდევ უფრო იშვიათად — ბოლოში.

1. ჩართული სიტყვა-გამოთქმები წინადადების შუაშია:

„ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გააწითლეს დედა“ (აკაკი, II, გვ. 137).

„შენ, როგორც გატყობ, ძალიან გებრალეხა შენი „აფხაზურა“ (იქვე, გვ. 93).

„აი, რეჟესმეტი წლის ქალი ხარ და ჯერ, მე მგონია, ათჯერ არ ჩამოსულხარ ამ ქოხიდან ქალაქში“ (ე. გაბ., გვ. 185).

„ლუკას სიკვდილმა, რა თქმა უნდა, მთელი ოჯახი მწარედ დააგლოვისა“ (ე. ნინ., გვ. 68).

როცა ჩართული წინადადების შუაშია, ჩვეულებრივ ერთი პაუზაა ჩართულის წინ ან მის შემდეგ. პაუზის ადგილი განისაზღვრება ჩართულის აზრობრივი კავშირით წინადადების ამა თუ იმ სიტყვასთან. ჩართულსა და იმ სიტყვას შორის, რომელთანაც იგი სემანტიკურად დაკავშირებულია, პაუზა ჩვეულებრივ არაა, მაგ., მე-4 წინადადებაში ჩართული „რა თქმა უნდა“ „სიკვდილთან“ სემანტიკურად არის დაკავშირებული, ამიტომ პაუზა მათ შორის არ არის<sup>2</sup>.

2. ჩართული სიტყვა-გამოთქმები წინადადების თავშია:

„შენ მამა მზე მან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე“ (ვ. ტყ., 269, 1296).

„ვექვე, ჩემი სისხლი არ შეპრჩეს, ძალი შემწევდეს ქადილსა“ (იქვე, 133, 608).

„მართლა, უნდობი ყოფილა ეს მთა! უცებ სკოდნია ჩამობნელება (ი. ქავჭ., I, გვ. 215).

<sup>1</sup> Грамматика русского языка, т. II, синтаксис, ч. II, АН СССР, Москва, 1954, стр. 145.

<sup>2</sup> А. И. Авкипя, Вводные слова и словосочетания в современном русском языке (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეზიუმე), Москва, 1953, стр. 15; მისივე: Основные грамматические и семантические свойства вводных слов в словосочетаниях: Русский язык в школе, № 4, 1956, стр. 22—23.

ასეთ შემთხვევებში ჩართული სიტყვა-გამოთქმები ინტონაციურად ყოველთვის როდი გამოყოფა. ისინი სემანტიკურად მთელ წინადადებას ეკუთვნიან, წარმოითქმებიან მთელ წინადადებასთან მთლიანობაში და ავით მის ორგანულ ნაწილად გამოდიან. არ შეიძლება მათი წარმოთქმა ძალიან ნელი ტემპით, მათი გამოყოფა დიდი პაუზებით ანდა ხმის ტონის მკვეთრი ცვალეზადობით და ა. შ.

3. ჩართული სიტყვა-გამოთქმები წინადადების ბოლოსაა:

„აქედან მოვშორდე, თორემ ერთ სირცხვილს მაჭმევენ ეგ კუდიანები, მე და ჩემმა დემერთმა“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 232).

„ჩვენს თემში ხომ ბალახს ძებნა არ უნდა, ლაშარის ჯვრის მაღალმა“ (ვაჟა, V, გვ. 27).

„ამ კაცთან ისე ვაგლახად ლაპარაკი საფრთხილო იყო, მისი აზრით“ (დ. კლდ., I, გვ. 126).

საერთოდ ქართულ სალიტერატურო ენაში ჩართული ხშირად პაუზებით არ გამოიყოფა, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა პაუზას ადგილი აქვს, ეს პაუზა ხანგრძლივობით არ აღემატება წინადადებათა შორის გამყოფ პაუზებს. წინააღმდეგ შემთხვევაში განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩართული წინადადების შუაშია და მას დიდი პაუზით გამოვყოფთ, წინადადება ორ ნაწილად იყოფა, რითაც აზრთა ბუნებრივი სვლა ირღვევა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ჩართულობის ხმარება დიალოგურ მეტყველებაში. იგი ასეთ შემთხვევაში ფუნქციით მიგებითს ნაწილაკებს ეტოლება და წინადადების ეკვივალენტად გამოდის. მართალია, ასეთი შემთხვევები არცთუ ხშირია, მაგრამ მაინც გვხვდება; მაგალითები:

— ეს ხომ სიზმარში იყო. აბა ცხადლივ ყოფილიყო, როგორ სეირს ვაჩვენებდი მე იმათ!...

— შენმა მზემ (შ. არაგვ., I, გვ. 160).

— მაშ ეხლა ჩემთან გადმოხვალ, პა?... — გადავეხეი და ვაკოცე.

— რასაკვირველია (იქვე, გვ. 141).

— მე ისეთი აზრი მაქვს, რომ ჩვენ ჩქარა ჯვარს დავიწერთ.

— რას ამბობ, ხუმრობ თუ?

— შენმა სიცოცხლემ (ლ. არდ., გვ. 102).

ეს მოვლენა უმეტესად ჩართულ გამოთქმებთან შეინიშნება.

## ჩართული წინადადება

როგორც ვნახეთ, ჩართული შეიძლება იყოს წინადადებაც.

ჩართულ სიტყვა-გამოთქმებსა და ჩართულ წინადადებას შორის ზღვარის დადება კირს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩართულ წინადადებას

სხვაგვარი ფუნქცია და დანიშნულება აქვს ენაში, ვინემ ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს.

ჩართული წინადადების დამახასიათებელი ფუნქცია ისაა, რომ იგი წარმოადგენს მეტყველებაში გზადაგზა შენიშვნას, დამატებას, ახსნა-განმარტებას.

ძირითად წინადადებასა და ჩართულ წინადადებას შორის აზრობრივი, სემანტიკური კავშირია; მიუხედავად ამისა, ჩართულ წინადადებას არ შეუძლია ძირითადი წინადადების გარეშე არსებობა; მაგ.: „ერთ დილას (და ა ს წ ყ ე ვ ლ ო ს უ ფ ა ლ მ ა ი ს დ ლ ე ც და მ ი ს ი ხ ს ე ნ ე ბ ა ც!) დავითი უძილო დაბრუნდა შინ“ (მ. ჭავჭავ., გვ. 399). ძირითადი წინადადების გარეშე, ამ მაგალითში, ჩართული წინადადება არასრულფასოვანია. მართალია, ძირითად წინადადებას შეუძლია ჩართული წინადადების გარეშე არსებობა, მაგრამ იჩქმალება ავტორის დამოკიდებულება აზრისადმი. ამიტომაც შეიძლება ითქვას: რომ ძირითადი წინადადებაც არასრულფასოვანია ჩართული წინადადების გარეშე. სწორედ ამამია მათ შორის აზრობრივი კავშირი.

ჩართულ წინადადებასა და ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს შორის არის საერთოც და განსხვავებული ნიშნებიც. მათ შორის საერთო ისაა, რომ ორივეში მოცემულია მთქმელის, ავტორის, სუბიექტის დამოკიდებულება წინადადებაში გადმოცემულ აზრთან. მოვლენისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამოსახატავად ავტორი ზოგჯერ სიტყვა-გამოთქმებს იყენებს, ზოგჯერ — მთელ წინადადებას. განსხვავება კი მათ შორის შემდეგშია:

1. ჩართული სიტყვა-გამოთქმები ხასიათდება თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობის საგრძნობი შესუსტებით. ჩართული წინადადება კი მთლიანად ინარჩუნებს თავის ლექსიკურ მნიშვნელობას; მაგ.: „ძლივს არ გავისტუმრე ურემი (ტ ყ უ ი ლ ი ც უ ყ ვ ა რ დ ა ლ უ ა რ ს ა ბ ს ა), ძლივ!“ (ი. ჭავჭავ., 11, გვ. 139). აქ ჩართული წინადადების ყველა კომპონენტს შენარჩუნებული აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა.

ჩართული სიტყვა-გამოთქმისაგან განსხვავებით, ჩართულ წინადადებას ზოგჯერ გრამატიკულად უკავშირდება ძირითადი წინადადება. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის არ შეინიშნება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ჩართული წინადადება ძირითად წინადადებასთან სპეციფიკური კავშირით არის შეერთებული. ამ შემთხვევაში კი ჩართული წინადადების განკერძოებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგ.:

„როგორც ჩემს წინა შრომებში მოგახსენებდით. მშობლების როლი ბავშვების აღზრდის საქმეში განუზომელია“ („ნიანგი“, 1956, № 6, გვ. 6);

„იგი (მუცელა) მამაპაეულს დარბაზში იწვა ტახტზე ავადმყოფი,

„უღმებრძოლი, როგორც იტყვიან ხოლმე მამაკვდავ-  
ხე“ (ვაჟა, V, გვ. 340—341).

„კაცები კი, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ადამი, გუფად შეგროვდნენ საყდრის დერეფნის წინ და დაიწყეს თავისუფ-  
ლად ყაყანი“ (ი. ჭავჭავაძე, II, გვ. 48).

მოყვანილ და ანალოგიურ მაგალითებში ჩართული წინადადება  
იქცევა საშუალებით უერთდება ძირითად წინადადებას. ეს გრამა-  
ტიკული დაკავშირების უტყუარი ნიშანია. ამიტომ სავსებით ვეთანხ-  
მები ა. ხატიანს იმაში, რომ „Plus союзы—категория граммати-  
ческая, то там, где они являются средством связи, связь эта  
носит грамматический характер“<sup>1</sup>.

შესაძლებელია, ჩართულ წინადადებაში თვით იყოს წარმოდგენი-  
ლი ჩართული სიტყვა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ჩართული სიტყ-  
ვა და ჩართული წინადადება სხვადასხვა ენობრივი მოვლენაა:

„უცებ სარკმელთან დარეკავს ზარი,  
(ალბათ, მარხილი მიარხვეს მგზავრებს),

მეფის მკმუნვარე ფიქრი და თვალი  
მძიმედ გაპყვება სევდიან ზარებს“

(ი. ნონ., გვ. 208).

„ერთადერთ ვიწრო, ოღრო-ჩოღრო ქუჩაში, რომლის გარშემო  
მემომწკრივებულია ოცდაათამდე დუქანი (ამათში მომეტებუ-  
ლი ნაწილი, რასაკვირველია, სამიკიტნოა), წლითი-  
წლამდე გროვდება ყოველგვარი უწმინდურობა“ (ე. გაბ., გვ. 313).

აგებულების მიხედვით ჩართული წინადადება შეიძლება იყოს  
პარტივი, შერწყმული და რთული. აქედან უმეტესად მარტივი გავრ-  
კობილი წინადადება გვხვდება.

1. ჩართული წინადადება მარტივია:

„ცაპეტ ენკენისთვის (დათუნამ ეს დღე ძალიან კარგად  
დაიხსომა) პასკევიჩი და აბას-მირზა ერთმანეთს განჯაში დაეტაკ-  
ნენ“ (მ. ჯავახ., გვ. 64).

„ელენე დარჩა ქვრივი, მდიდარი, მშვენიერი და თითქმის ბელნიე-  
რიც (ქმრის სიკვდილის მიზეზი დღესაც არ შეუტყ-  
ვიამას)“ (ე. გაბ., გვ. 127).

<sup>1</sup> А. Г. Хатнашвили, Вводные предложения в современном русском литературном языке (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილ.: ს., 1953, გვ. 13.

„შემდეგ ჯერანმა მიჰყო ხელი მელანიას (ამის შემდეგ ჩვენც მელანია ვუწოდოთ ჯერანის მეუღლეს) ზნეჩვეულებს გარდაქმნას“ (ე. ნინ., გვ. 32).

2. ჩართული წინადადება შერწყმულია:

„მოია პოჩტენიაო! ჯიბეში ზომ არ ჩაგიტენიაო?! (იმ სულგანათლებულს ლექსებით ლაპარაკი უყვარდა, რუსთველის სულ ზეპირად იცოდა)“ (აკაკი, IV, გვ. 187).

„ქერივი (წამოხტება და კარებიდგან მისძახის) შენიცი, მე ვიცი ყურებზედ ხახვს დამაჭრი“ (ი. ჭავჭავ., II, გვ. 349).

3. ჩართული წინადადება რთულია:

„ოლოლები ადგნენ თუ არა, დანახეს ხბო (მართლაც, ფათას ნატვრა აუსრულდა: დეკნიკომ ხბოსწორედ მაშინ ნოიგო, როდესაც თითონ სული განუტევა), მაშინვე იმას მივარდნენ და დედის გარემოება აღარ მოგონებიათ“ (შ. არაგვ., II, გვ. 226—227).

„(ცხოველებმა) მოაგროვეს ირმები, შვლები, არჩეები, ჯიბეები, კურდღლები, ნეზვი ღორები და სხვა (ტახები არ ერივნენ, ისინი ხარობეში ჩაეყარათ)“ (ეჟეა, VI, გვ. 260).

„მიწაც საკმაოდ გაქვთ, თუ სხვაზე მეტი არა, წყალიც, სახლიც, კარიც ... ტყეც და ველიც (ეს კი მეტი წამოსცდა ბეკინას— ტყე სრულიად არ ჰქონებია)“ (დ. კლდ., I, გვ. 117).

„რას ჩაფიქრებულხართ, ჩემო ბატონო თევდორე! (სახელს თევდორეს იუღია ყოველთვის ისე გამოსთქვამდა, თითქოს ეს სახელი შეადგენდა რაღაც გამოთქმულ სასაცილო და საოხუნჯო საგანს)“ (ე. გაბ., გვ. 149).

წინადადების საერთო სტრუქტურაში ჩართული წინადადების ადგილი განსაზღვრულია. იგი უმეტესად გვხვდება შუაში და ბოლოში. მისი გადაადგილება აზრის დაურღვევლად არ ხერხდება.

## ჩართული სწავლება

### ჩართულის რაობის სწავლება

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებიდან სწავლების თვალსაზრისით ჩართული ყველაზე ძნელად ასათვისებელი თემაა. ამ სიძნელეს ქჷნის ის, რომ:

1. ჩართულია არა მარტო ცალკეული სიტყვა, სიტყვები და გამოთქმები, არამედ ზოგჯერ მთელი წინადადებაც კი; თანაც მას პირველად VII კლასში ეცნობიან.

2. ჩართული შინაარსობრივად მრავალფეროვანია.

3. ჩართულს წინადადებაში ერთი განსაზღვრული ადგილი არ უქირავს, რაც ართულებს მასთან სასვენი ნიშნების ხმარების შესწავლას.

4. იხმარება სხვადასხვა სასვენი ნიშანი: მძიმე, ტირე და ფრჩხილები.

5. ყველაზე მეტ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ ერთი და იგივე სიტყვა ხან ჩართულის ფუნქციით გამოდის, ხან წინადადების წევრად გვევლინება (მღრ. „ამგვარად იტრიალა მან რვა დღეა ჯა ერთხელაც არ გაუწყვეტია ძაფი“ (ი. გოგ.); „ამ გ ვ ა რ ა დ, ჩვენმა კლასმა წარმატებით დაამთავრა სასწავლო წელი“).

6. მოსწავლეებს ხშირად ერთმანეთში ერევათ ჩართული და ვ. წ. დამხმარე სიტყვები, როგორცაა: აი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ, თითქმის, ჰაინც და სხვ. ამ სიტყვების ჩართულთან აღრევას აქვს საფუძველი, რამდენადაც არც მათ შეუძლიათ წინადადების წევრობა (კითხვა არ დაესმით), მაგრამ წინადადებაში ნიუანსი შეაქვთ. ამ სიტყვებიანი წინადადების ჩართულიან წინადადებასთან შედარებითი ანალიზი გასაგებს გახდის მათ შორის სხვაობას.

7. მრავალფეროვანია ჩართულის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებანი; იგი შეიძლება გადმოიცეს მოქმედებით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით (ღვითთ, სიტყვით...), ზმნით (ჩანა, ეფიქრობ...), შედგენილი შემასმენლით (რასაკვირველია, მართალია...), ზმნიზედით (აწნაირად, ამგვარად...) ნაწილაკით (ეგების, თურმე...). შორისდებულთ (ღმერთმანი, შენი ჭირიმე...). ზოგი ჩართული სიტყვა სინტაქსურად დაუნაწევრებელ ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს (თავისთავად ცხადია, რა თქმა უნდა...), ან კიდევ იდიომური ელფერი გადაკერავს (შენ დაგენაცვლე, შენ შემოგეველე, გენაცვალე...).

8. კიდევ უფრო მეტ სირთულეს შეიცავს ჩართული წინადადების შეაწავლა, რადგან მის შემადგენლობაში ჩვეულებრივ წინადადების წევრები შედიან (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება) და ზოგჯერ ჩართული სიტყვაც კი.

9. ჩართულის სწავლებასთან დაკავშირებულია არა ერთი სტილისტიკურ-ორთოგრაფიული ხასიათის საკითხი: ჩართულის შეცვლა მასთან სემანტიკურად ახლო მდგომი ჩართულით, ზოგი მათგანის (ალბათ, ამგვარად, ერთი მხრივ და ა. შ.) მართლწერა და სხვ.

გაუმართლებელია ისეთი პრაქტიკა, როცა მოსწავლეებს ასეთ სი-

ტყვებს აზვირებინებენ. დაზვიარება მიუღებელია შემდეგი მოსაზრების გამო:

ა) ჩართული სიტყვა. სიტყვები და გამოთქმები ჩაოდნობით იმდენად ბევრია, რომ მათი დამახსოვრება-დაზვიარება აღმატება VII კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობას;

ბ) დაზვიარებას ერთი უკიდურესობიდან მეორემდე მიყვება: როცა ჩართული სიტყვა წინადადებაში წვერად გამოდის, მოსწავლე მას მაინც ჩართულად თელის და ამის მიხედვით სვამს სასვენ ნიშნებს;

გ) დაზვიარების გამო ხშირად მოსწავლისათვის უცნობი რჩება ჩართულის გრამატიკული ფუნქცია. მისი მნიშვნელობა; ამ პირობებში ყურადღების ცენტრი წინადადების გრამატიკულ ანალიზზე უნდა გადავიტანოთ. წინადადების აზრობრივი და გრამატიკული ანალიზი. სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის დადგენა, ჩართულის მნიშვნელობის გარკვევა — აი, გზა ამ სინტაქსური კატეგორიის შეგნებულად შეთვისებისათვის.

სასკოლო პრაქტიკაში მიმართავენ ასეთ ხერხებსაც: ჩართულ სიტყვასა თუ გამოთქმას მექანიკურად „ამოაგდებენ“ წინადადებიდან და ეუბნებიან მოსწავლეებს: „ამ სიტყვის თუ გამოთქმის“ გამოტოვებით „წინადადების აზრი არ ირღვევა. მაშასადამე, იგი ჩართულია“<sup>1</sup>. სწავლების ეს ხერხი მეთოდოლოგიურად გაუპართლებელია. რადგანაც:

ა) ჩართულის ამოღებით ირღვევა წინადადებას აზრი, ყოველ შემთხვევაში იმას არ გადმოგცემს. რასაც მანამდე, ჩართულის ამოღებამდე, გადმოგცემდა (შდრ. „მაშვლობა მაქვს გამოწყობილი და ი ცოცხლე. კაი ასალებიც მქონდეს“; „მაშვლობა მაქვს გამოწყობილი და კაი ასალებიც მქონდეს“ (?). აქ, ჯერ ერთი, წინადადება სტილიზტიკურად გაუპართავი დარჩა და, მეორეც, დაიკარგა ის ემოციურობა, დარწმუნებულობა, რომელსაც „იცოცხლე“ ანიჭებდა.

ბ) ამოღების გამო უცნობი რჩება ჩართულის ნამდვილი ბუნება. ფუნქცია და მნიშვნელობა.

გ) ამოღების წესს ავრცელებენ ისეთ სიტყვებზედაც, რომლებაც

<sup>1</sup> სწავლებაში ჩართულის „ამოღება“ შემჩნეულია რუსეთის სკოლებშიც. ამის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ადრე ხმა აიმაღლა მეთოდისტმა ვ. ი. ხარციევმა:

„Почему-то очень распространена в школьной среде мысль, будто-бы vhodné предложения и слова можно вырвать без помешения смысла“; см. В. И. Харциев, Заметки по обучению родному языку—система знаков препинания: Труды педагогического отдела Харьковского историко-филологического общества, вып. 7, 1902, стр. 178.



ჩართულის როლში არ გამოდიან, და ამის მიხედვით სასვენ ნიშნებსაც უადგილოდ სვამენ.

უთუოდ ამის გამოა, რომ მოსწავლეთა ნაწერებში ხშირად მძიმე-ებით გამოყოფილია სიტყვები: უკანასკნელ შემთხვევაში, მოულოდ-ნელად. უეცრად, შემთხვევით, ძირითადად, პირველი შეხედვით, პირ-ველ რიგში, უკიდურეს შემთხვევაში და სხვ.

სახელმძღვანელოში ჩართულის შინაარსობრივი ჯგუფები საკმაოდ სრულადაა წარმოდგენილი ასეთი თანამიმდევრობით: ჩართული სიტყ-ვა, სიტყვები და გამოთქმები (იმის აღნიშვნის გარეშე, თუ შინაარ-სობრივად რას გამოხატავენ ისინი), წინათ გამოთქმულ აზრთან დამო-კიდებულების გამოხატველი ჩართული სიტყვები, აზრთა თანამიმდე-რობის გამოხატველი სიტყვები, ფიცილის ფორმულები და ჩართული წინადადება. ამ თანამიმდევრობაში საჭიროა ერთგვარი კორექტივის შეტანა; სახელდობრ: ჯერ უნდა გავაცნოთ ჩართული სიტყვა, შემდეგ სიტყვები და ბოლოს გამოთქმები. სწორედ ამათზე დაყრდნობით გაერკ-ვევიან მოსწავლეები ჩართულის რაობაში. ამის შემდეგ ეცნობიან შინა-არსობრივ ჯგუფებს ასეთი თანამიმდევრობით: 1. სუბიექტის დამოკიდე-ბულება გადმოცემული ფაქტისადმი (სწყინს მას, ახარებს, საეჭვოდ თუ საეგებიოდ მიაჩნია); 2. აზრთა თანამიმდევრობის გამოხატველი სიტყვები; 3. ფიცილის ფორმულები; 4. საალერსო სიტყვები; 5. და-მოკიდებულება წინათ გამოთქმულ აზრებთან, დასასრულ, ჩართული წინადადება.

რაობის გასაცნობად სრულიად საკმარისია მოსწავლეებს საერთო წარმოდგენა მიეცეთ ისეთ ჩართულ სიტყვებზე, რომელთა საშუალე-ბითაც მოუბარი გვაგებინებს, თუ როგორ უცქერის ის წინადადებაში გამოთქმულ აზრს. ამასთანავე უნდა გავარკვიოთ სინტაქსური ურთი-ერთობის საკითხი ჩართულსა და წინადადების წევრებს შორის. მოს-წავლემ თავიდანვე უნდა გაიგოს, თუ რა ფუნქციას ასრულებს ჩარ-თული. ამისათვის ჯერ გაირჩევა ისეთი წინადადება, რომელშიც ჩარ-თული არაა, შემდეგ მასში შეგვაქვს ჩართული. ვწერთ წინადადებას: „სოლომანმა მევალე ტბილი სიტყვებით გაისტუმრა“.

აღინიშნება, რომ ეს წინადადება თხრობითია, მით მხოლოდ ფაქ-ტია გადმოცემული. შემდეგ იმავე წინადადებაში ვურთავთ ჩართულ სიტყვას: „სოლომანმა, საბედნიეროდ, მევალე ტბილი სიტყ-ვებით გაისტუმრა“. ჩართულ სიტყვას ხაზი გაესმის, წაიკითხება წინა-დადება გამომეტყველებით (ჩართულთან, ჩვეულებრივ, პაუზა იქ-ნება) და ხდება დაკვირვება ჩართულზე, თუ რა ცვლილება შეიტანა მან წინადადების შინაარსში. შედარება-შეპირისპირებით გაირკვევა, რომ მეორე წინადადებაში, პირველისაგან განსხვავებით, არა მარტო

აღნიშნულია ფაქტი, არამედ მოცემულია მისი შეფასებაც. სახელდობრ: მოუბარმა გაგვაგებინა თავისი დამოკიდებულება წინადადებით გამოხატული აზრისადმი, რომ სოლოჰანის მიერ მევალის თავიდან მოცილება სასიხარულოა, ბედნიერებაა<sup>1</sup>.

ამ ეტაპზე მთავარია მოსწავლემ გაიგოს ჩართულის აზრობრივი როლი. ეს კი დიდად შეუწყობს ხელს მისი გრამატიკული თავისებურების გავოლენას. ზეპირი ვარჯიშობისათვის შესაძლებელია ასეთი ტაბულის გამოყენებაც:

წინადადება ჩართულის გარეშე	წინადადება ჩართული სიტყვით	რას აღნიშნავს ჩართული
არსენამ გაქცევა ვერ მოახერხა	არსენამ. სამწუხაროდ, გაქცევა ვერ მოახერხა	წყენა
პირველმა გამოცდამ კარგად ჩაიარა	პირველმა გამოცდამ, საბედნიეროდ, კარგად ჩაიარა.	სიხარული
ხალხთან სიახლოვემ ღრმა ზეგაღვინა მოახდინა დ. კლდიაშვილზე	ხალხთან სიახლოვემ, უეჭველია, ღრმა ზეგაღვინა მოახდინა დ. კლდიაშვილზე	დარწმუნებულება
ვერ იხერხა შენმა ხერხმა.	ვერ იხერხა. მგონია, შენმა ხერხმა (გ. ნინ.)	ეჭვი

მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს წინადადებებს, ხაზგასმით გამოყოფს ჩართულ სიტყვებს, უურადლებას ამახვილებს სასვენ ნიშნებზე და აწარმოებს დაკვირვებას ჩართულის მიერ გამოხატულ შინაარსზე.

აღინიშნება, რომ:

1. აქ მთქმელის, მოუბრის დამოკიდებულება ნათელია: პირველ წინადადებაში წყენაა 'გამოთქმული, მეორეში — სიხარული, მესამეში — დარწმუნებულობა, მეოთხეში — ეჭვი. ამის გადმოცემა შესაძლებელი გახდა ჩართულის („სამწუხაროდ“, „საბედნიეროდ“, „უეჭველია“, „მგონია“) ჩამატებით.

2. ჩართული წარმოთქმაში პაუზებით გამოიყოფა, წერაში — სასვენი ნიშნებით.

3. ჩართული აზრობრივად უკავშირდება წინადადებას.

წარმოებს ვარჯიშობა ანალოგიურ მაგალითებზე. როცა მოსწავლეები გაერკვევიან ჩართულის მნიშვნელობაში, გადავდივართ წინადადების წევრებთან დამოკიდებულების გარკვევაზე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქუთაისის მე-19 და 23-ე საშუალო სკოლების მასწავლებელთა ივ. ვარლამიშვილისა და ელ. აბულაძის გამოცდილება.

<sup>2</sup> М. Л. В а п с л о в а, Вводные слова и предложения: Методические разработки по грамматике, сборник статей, Москва, 1949, стр. 274.

საანალიზოდ ვიღებთ შემდეგ მაგალითს:

„მ არ თ ლ ა ც, აზნაურ მკლავაძეების გვარში ხშირად გამოერეოდა არაჩვეულებრივი ხელლონიერი ჭაბუკები“ (ე. ნინ.).

ანალიზის შედეგად აღმოჩნდება, რომ ჩართული სიტყვა („მართლაც“) არც ერთ წევრს არ უკავშირდება არც შეთანხმებით, არც მართვით. არც მირთვით. იგი განკერძოებული სიტყვაა. წინადადებისაგან პაუზითაა (წერაში მძიმით) გამოყოფილი. მას არც კითხვა დაესმის<sup>1</sup>, მაშასადამე, წინადადების წევრს არ წარმოადგენს.

ასეთივე თანამიმდევრობით გაეცნობიან ჩართულ სიტყვებს და გამოთქმებს. აქაც ყურადღება ექცევა წარმოთქმას, სასვენ ნიშნებს, აზრობრივ მხარესა და სინტაქსურ დამოკიდებულებას.

იწერება საანალიზო წინადადებები:

„რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ მასხარად აიგდო“ (ა. ყაზბ.).

„რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ვ ი ც ი, ქართველ საზოგადოებას მოსწონს ეს ჩემი ნაწერები“ (ვაჟა).

„მონდომებით ყველაფერს გააკეთებ, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა (დ. კლდ.).

გაირკვევა, რომ: პირველსა და მესამე წინადადებაში ჩართულის საშუალებით მთქმელის დარწმუნებულობაა გამოხატული („რასაკვირველია“, „რა თქმა უნდა“), მეორეში კი ასეთ კატეგორიულობას არა აქვს ადგილი, გადმოცემულ ფაქტს დარწმუნების ძალა აკლია.

ჩართული შეიძლება გადმოიცეს ერთი სიტყვით („საბედნიეროდ“), სიტყვებით („როგორც ვიცით“)<sup>2</sup> და გამოთქმებითაც („რა თქმა უნდა“).

გასარკვევია ერთი საკითხიც, სახელდობრ: ერთი და იგივე სიტყვა ზოგჯერ ჩართულია და ზოგჯერ წინადადების წევრი.

<sup>1</sup> გრამატიკის სწავლებაში კითხვების ხერხის შესახებ იხ. ვ. თოფურია, „კითხვების“ მეთოდით გრამატიკის სწავლებისათვის: ეურნ. „ახალ სკოლისაკენ“, 1928, № 1—2.

<sup>2</sup> უნდა შეენიშნოთ შემდეგი: „როგორც“ საკავშირებელი სიტყვა ხშირად გვხვდება ჩართულთან, დანართთან და ვითარების გარემოებით დამოკიდებულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც. ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად რთული წინადადების სწავლებისას ამ საკითხზეც უნდა შეეჩერდეთ. აქ სამი წინადადება უნდა შეუპირისპირდეს ერთმანეთს: 1. „სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია.“ (ი. ჰავცი). 2. „მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს“ (ი. ჰავცი). 3. „როგორც ძუნწი ოქროთი ვერ გაძლება, ისე სწავლის მწყურეალი-სწავლითაო“ (ანდ.).

პირველ წინადადებაში „როგორც ვთქვით“ ჩართულია; მეორე წინადადებაში „როგორც ქვეყნის შვილს“ დანართია; მესამეში კი — „როგორც ძუნწი ოქროთი ვერ გაძლება“ ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა.

„რასაკვირველია, ჩემი პირველი ნაბიჯი ყველამ მასხრად აიგდო“ (ა. ვაზბ.)

„თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი, შენი რასაკვირველია!“ (ი. ჰავცი.)

პირველ წინადადებაში „რასაკვირველია ჩართულია, ხოლო მეორეში იმავე სიტყვას კითხვა ეწყობა (როგორია?). იგი შედგენილი შემასმენელია და იშლება ასე: რა საკვირველი არის.

განსხვავებაა წარმოთქმაშიც. პირველი წარმოთქმის პაუზით, მეორე — არა. პირველთან მძიმეა, რადგან იგი განკერძოებული სიტყვაა და წინადადების წევრებს სინტაქსურად არ უკავშირდება, მეორესთან კი სასვენი ნიშანი არაა გამოყენებული, რადგან იგი წინადადების წევრია: რა საკვირველი არის.

ამგვარად, ჩართულის რაობა ასე განისაზღვრება: ჩართული ჰქვია წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვას ან გამოთქმას, რომელიც გვიჩვენებს მთქმელის დამოკიდებულებას გამოთქმულ აზრისადმი<sup>1</sup>.

### ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების შინაარსობრივი ჯგუფების სწავლება

ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების შინაარსობრივი ჯგუფების შესწავლა-რაობის გაცნობის შემდეგ თითქმის არავითარ სიძნელეს არ აწყდება.

პირველად მიეცემათ აზრთა თანამიმდევრობის გამომხატველი ჩართული სიტყვები. ეილებთ წინადადებას:

„აქედან სიონამდე წასვლით, ჯერ ერთი, რამდენ დროს დაკარ-

<sup>1</sup> საკითხზე მუშაობისას ჩართულს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით, რადგან იგი თავისთავად რთულია.

კვლევის შედეგად მიღებული შედეგები შევამოწმეთ პრაქტიკაშიც. 1958 წლის 19 თებერვალს ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლაში მასწავლებელ ტატიანა გურგენიძეს ჩაუბატარებინეთ საქალაქო ღია გაკვეთილი თემაზე „ჩართულის რაობა“. მასწავლებელი ჩემი მითითების მიხედვით გაეცა ზუსტად იმ გზას, რომელიც აქა წარმოადგენილი. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა — მოსწავლეებმა შესანიშნავად გაიგეს მასალა, რაც ნათლად გამოვლანდა კატეხიზაციის პროცესში.

დამსწრე მასწავლებელთა მიერ ერთხმად აღინიშნა: მიუხედავად იმისა, რომ კლასი არც ისე ძლიერი იყო, მოსწავლეებმა მასალა კარგად გაიგეს და გაიაზრეს.

გაკვეთილმა მძალი შეფასება დაიმსახურა. ამის შესახებ სათანადო მასალები გამოქვეყნდა გაზეთებში „სტალინელი“ და „სახალხო განათლება“ (იხ. რ. აფხაძე-შამელაშვილი), მოზადებული შეხედვით საქალაქო ღია გაკვეთილს: „სტალინელი“, 18 თებერვალი, 1958 წ., რ. შამელაშვილი, საქალაქო ღია გაკვეთილზე: „სახალხო განათლება“, 5 მარტი, 1958 წ.).

გავ. მეორე, ქალამანი გაგიცვლება, მესამე, ვარიები შიმშილისა-  
გან უფრო შემსუბუქდებიან“ (ლ. არდ.).

აქ არ არის საჭირო წინადადების მორფოლოგიურ-სინტაქსური  
ანალიზი, რადგან იგი დიდ დროს წაგვართმევს და მთავარი საკითხი  
იჩრდილება. აღინიშნება, რომ ამ წინადადებაში ჩართული სიტყვე-  
ბია: ჯერ ერთი. მეორე, მესამე (ამ სიტყვებს ქვეშ ხაზი გაესმის). ისინი  
წინადადების წევრები არ არიან და გამოიყოფიან მძიმეებით. შინა-  
არსობრივად კი აზრთა თანამიმდევრობას გადმოგვცემენ.

აზრთა თანამიმდევრობის გამომხატველი ჩართული სიტყვები არაა  
მრავალრიცხოვანი. ზემოთაღნიშნულს გარდა შეიძლება შეგვხვდეს:  
მერვე, მერვე კიდევ, ან ერთი მხრივ, მეორე მხრივ, მესამე მხრივ და ა. შ.  
ჩართულად გამოყენებული ფიცილის ფორმულებისა და საალერ-  
სო სიტყვების გაცნობა ერთდროულად ხდება. ვიღებთ მაგალითებს:  
დიდად დაშვებარა, ჩემამაშემ, შენგან მოცემული წიგნი.  
ღმერთმანი, ერთობ მოგილხენდი, იმისთანა გუნებაზე ვარ  
(დ. კლდ.).

ცივი წყალი დამალევინე. დედაშვილობას! (ს. მაგალ.).  
ეგ შენი შიში, მამაშვილობამ, სრულიად უსაფუძვლოა  
(დ. კლდ.).

√ მიყვარს, ძმობამა, ხვალდახვალ  
შენი მტრისაკენ გაწევა (ვაჟა).

სად შემიძლია, გეთაყვანეთ, თქვენთან სიარული.

ბატონო, ნუ გაბრძანდებით! თქვენი ჰირიმე, ტარიელი ძღ-  
ურ გაჯავრებული ყოფილა თქვენზე (ე. ნინ.).

ერთი წინადადება გაანალიზდება და სხვები ისე გაირჩევა. ბოლოს  
აღინიშნება, რომ:

1. ჩართული სიტყვებია: ჩემმა მზემ, ღმერთმანი, დედაშვილობამ,  
ძმობამ, გეთაყვანე, თქვენი ჰირიმე. ზოგი ფიცისთვის გამოიყენება  
(ჩემმა მზემ, ღმერთმანი, დედაშვილობამ, ძმობამ...), ზოგი კიდევ  
საალერსოდ იხმარება (გეთაყვანეთ, თქვენი ჰირიმე).

2. ზოგი საალერსო სიტყვა შეკვეცილად გვხვდება: გენაცვა, გე-  
თაყვა, მიღებულა გენაცვალე, გეთაყვანესაგან.

3. წარმოშობით გენაცვა//გენაცვალე; გეთაყვა//გეთაყვანე „ენაც-  
ვალემა“, „ეთაყვანება“ ზმნების II ობიექტური პირის ფორმებია<sup>1</sup>.  
მაგრამ ჩართულად გამოყენებისას მათ ზმნური ნიშნები დაეკარგათ.  
და შორისდებულთა რიგებში ჩადგნენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბილისი, 1951, გვ. 1421—1424.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი, 1955,  
გვ. 311.

მრავალრიცხოვანია ისეთი ჩართული სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრებთან, მათს დასკვნას, შეჯამებას წარმოადგენენ.

მიეცემათ წინადადებები ჩართული სიტყვებით:

მაშ, გავაწიოთ სკოლისავენ და კარგი სწავლით სამშობლო ეახა-ხელოთ!

ძიძია იყო თექვსმეტი წლისა, მაშასადამე, ასაკში მოსული ქალი (ა. ყაზბ.).

ამ გვარად, სანდრომ ვერ შეძლო გინაზიის დამთავრება.

ამნაირად, ერთსა და იმავე დროს ორი უცხო შვილი დატრიალდა ჩვენს ოჯახში (ნ. ლომ.).

ერთი სიტყვი თუ შენს ყურმოჭრილ ყმად გამხდის! (დ. კლდ.).

ბოლოს. მოხვევე გონს მოვიდა (ა. ყაზბ.).

გარკვევა, რომ:

1. ჩართული სიტყვებია: მაშ. ნაშასადამე, ამგვარად, ამნაირად, ბოლოს, ერთი სიტყვით. შინაარსობრივად ისინი გამოხატავენ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრებთან.

2. მაშ, მაშასადამე — გამოხატავენ დასკვნას წინ გამოთქმული აზრებისას. ასევე ამგვარად და ამნაირად: ბოლოს, დაბოლოს, უკანასკნელ. დასასრულ... მაშ და ნაშასადამე შინაარსობრივად ერთნაირი სიტყვებია<sup>1</sup>.

ჩართული	იგივე სიტყვა წინადადების წიგრად	რა წერია
ელგუჯამ, მართალია, ქალი გაიტაცა (ა. ყაზბ.).	ეს სიტყვები მართალია (აკაკი)	შედეგ. შემასმენელი
ჯერ ერთი, (რეკლე ძლიერი იყო, მეორეც, იგი ხალხს უყვარდა (ი. გოგ.).	ჯერ ერთი რამ საამე გვაქვს (დ. კლდ.)	ჯერ-გარემოება. ერთი-განსახლვრება
ამგვარად. ყაზანში გატარებულმა წლებმა დიდი გავლენა იქონია მ. გორაკზე.	მეორეც იწყებს ლაპარაკს (ა. ყაზბ.)	კვებმდებარე
ბოლოს. მოხუცმა ხელი გადაისვა შეკმუხნილ შებლზე (ა. ყაზბ.).	ამგვარად მიდიოდნენ გაჩუმებული მაცრები (ა. ყაზბ.).	ვით. გარემოება
ერთი სიტყვით, მოხუცებულ კაცს შეტისმე უად მოსწონდა თავისი შვილი (დ. კლდ.).	კარგა ხანს იყო ხვარამზე ამ ყოფაში და ბოლოს ეშველა-მოკვდა. <sup>2</sup>	დრ. გარემოება
დიდად მესიამონენა, ძმობამ, შენი წარმატება.	ერთი სიტყვით ხანდახან მოგლი წინადადების ახრი გადმოიციება.	ერთი-განსახლვრა. სიტყვით-უბრ. დამატ.
	მათმა ძმობამ ყველა მოხიბლა.	კვებმდებარე.

<sup>1</sup> „მაშ“ „მაშასადამეს“ შეკვეცილი სახე ჩანს.

<sup>2</sup> როცა „ბოლოს“ წინადადების წერია; იგი შეიძლება შეიცვალოს გამოთქმით: „ბოლოს და ბოლოს“, ან შეიძლება მას ბოლოში. მიემატოს „ლა“ ნაწილაკი („ბოლოსლა“). ჩართულთან ეს არ ხერხდება.

3. ეს ჩართული სიტყვები სასვენი ნიშნებით გამოიყოფა.

4. ზოგი მათგანი ერთი სიტყვისაგან შედგება (მაშასადამე, ამგვარად) და ზოგი — სიტყვათა ჯგუფისაგანაც (ერთი სიტყვით) <sup>1</sup>.

მოსწავლეები რომ უკეთ გაეარკვიოთ ჩართულსა და წინადადების წევრს შორის მსგავსება-განსხვავებაში, აუცილებელია მივაწოდოთ რამეტი წინადადებები, რომლებშიც ერთი და იგივე სიტყვა ხან ჩართულია, ხან წინადადების წევრი.

ცალკე გაიჩვენა ჯერ ერთი წინადადება, შემდეგ სხვებზე ჩატარდება ზეპირი ვარჯიშობა.

დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეები ადვილად ხვდებიან, თუ რა შემთხვევაშია ერთი და იგივე სიტყვა ჩართული და წინადადების წევრი.

სწავლების ამ ეტაპზე შეიძლება ვარჯიშობა ერთი ჩართულის სხვა მასთან სემანტიკურად ახლო მდგომი ჩართულით შეცვლაზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მეტყველების მრავალფეროვნებისათვის. ასეთი ვარჯიშობით მოსწავლე ეჩვევა სიტყვების მართებულ შერჩევასა და სწორად გამოყენებას; მაგ., „რა თქმა უნდა, ჯარი მოდის“ (ა. ყაზ.), აქ ჩართული „რა თქმა უნდა“ ადვილად შეიცვლება სხვა სიტყვით: „რასაკვირველია, ჯარი მოდის“.

დასასრულ, ეძლევათ სქემა, სადაც გათვალისწინებულია ჩართულის თითოეული შინაარსობრივი ჯგუფი (იხ. გვ. 169).

### მატილიანისათვის


ჩართულის სწავლებასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გამახვილდეს მართლწერის საკითხზედაც. ზოგ ჩართულ სიტყვასა და გამოთქმას მოსწავლეები არასწორად წერენ. ესენია:

1. „რასაკვირველია“, როცა ეს სიტყვა ჩართულია, ერთად იწერება.
2. „ალბათ“ შემოკლებული სახეჯ არაბული სიტყვისა „ალბათათუნ“ (ნიშნავს „რასაკვირველია“, „უსათუოდ“), რომელშიც დონი არ არის. მაშასადამე, ამ სიტყვის ბოლოს თანი უნდა დაიწეროს <sup>2</sup>.
3. „დასასრულ“ ჩართულია და მნიშვნელობით უდრის „ბოლოს“, „დაბოლოს“, „უკანასკნელ“; მას ბოლოში სანი არ უნდა („დასასრულ“), მაგრამ როცა წინადადების წევრია — სანით იხმარება.
4. ამგვარად იწერება ერთად და ბოლოში დონით: ამგვარად.

<sup>1</sup> ჩართული „სხვაგვარად რომ ვთქვათ“, „სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ“ მიგვითხებს მეტყველების გადაყვანაზე თბრობის ერთი სტილიდან მეორეზე.

<sup>2</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950, გვ. 270: შდრ. გ. შალაშვილი, მართლწერის ზოგიერთი საკითხი საშუალო სკოლის ქართულა ენის ეტრში: ეტრნ. „კომ. აღზრდისათვის“, 1954 № 11, გვ. 46.

**ჩართულის შინაარსობრივი ჯგუფები<sup>1</sup>**



<sup>1</sup> საქუთარი და ქუთაისის მე-15 და მე-16 საშუალო სკოლების მასწავლებლების ცაყა შალამბერიძის და მიხეილ სოფროშაძის გამოცედილება.



5. ჩართულად გამოყენებული გამოთქმები: „ერთას მხრით//ერთის მხრივ“, „მეორეს მხრით//მეორეს მხრივ“, „ჩემის აზრით“ უნდა ვთქვათ და ვწეროთ: „ერთი მხრით“, „მეორე მხრით“ ან „ერთი მხრივ“, „მეორე მხრივ“, „ჩემი აზრით“<sup>1</sup>.

### ჩართული წინადადების სწავლება

ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების გაცნობის შემდეგ ჩართულ წინადადებას ვასწავლით.

ჩართული წინადადება შეიძლება იყოს მარტივიც, შერწყმულიც და რთულიც; უფრო მეტიც: ასეთ წინადადებას თავის მხრივ შეიძლება ახლდეს ჩართული სიტყვები და გამოთქმები. მაგრამ ამ საკითხის ასე დიფერენცირებულად სწავლება VII კლასში მეთოდოლოგურად არაა გამართლებული. აქ მთავარია მოსწავლეს გავაგებინოთ ის, რომ ჩართულია ზოგჯერ მთელი წინადადებაც.

„ავადმყოფს, უ ე ქ ე ე ლ ი ა, რაღაც აწუხებდა“ (ა. ყაზბ.).

„ჩვენი ჭარი, რ ა თ ქ მ ა უ ე დ ა, ძლიერია“ (ი. გოგ.).

ანალიზი გასაგებს გახდის, რომ ჩართული წინადადება ფუნქციის, ადგილისა და წარმოთქმის მხრივ არ განსხვავდება ჩართული სიტყვისა თუ სიტყვებისაგან.

### საუკვნი ნიშნების სწავლება ჩართულთან

წინადადებაში ჩართულს ერთი გახსაზღვრული ადგილი არ უჭირავს. იგი შეიძლება თავშიც იყოს, ბოლოშიც და შუაშიც. ეს გარემოება გავლენას ახდენს სასვენ ნიშნებზე: პუნქტუაციურად კი ჩართული მეტად ჭრელ-სურათს იძლევა: აქ გვხვდება მძიმეები, ტირეები და ფრჩხილები.

ჯერ მძიმეების ხმარებას ვაცნობთ, შემდეგ ფრჩხილებისას და ბოლოს ტირეს. ჩართულთან მძიმეების ხმარების სწავლებისას არ არის საჭირო სამი სხვადასხვა წესის ჩამოყალიბება და მიწოდება. არამედ გაანალიზდება სამი ისეთი წინადადება, სადაც ჩართული თავშიც არის, ბოლოშიც და შუაშიც, წესი კი ერთად მიეცემათ. ეს უფრო იოლი გზაა.

„მ ა რ თ ლ ა ც, ღ ი ა კ ი შ კ ა რ შ ი შ ე მ ო ი ჯ ი რ ი თ ა მ ო ჩ ა ქ ჩ ა ქ ე ჯ ო რ ი თ ს ო ლ ო მ ა ნ მ ა“ (დ. კლდ.).

„ლ ე ქ ს ო უ კ ვ ე ქ ა თ მ ე ბ ის ქ ე რ ა ს შ ე უ ღ დ ა, ჩ ე მ მ ა მ ზ ე მ“ (ვაყა).

„ე ს, მ თ ი ე ლ თ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ი თ, ს ი რ ც ხ ე ლ ი ი ყ ო“ (ა. გაზბ.).

<sup>1</sup> გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, მართლწერის ზოგიერთი საკითხი საშუალო სკოლის ქართული ენის კურსში... გვ. 42-43.

მოცემულ წინადადებებში ჩართულ სიტყვა-გამოთქმებს ქვეშ ხაზი გაესმის, აღინიშნება მათი ადგილი და რა სასვენი ნიშნებითაა გამოყოფილი. როცა თავშია, მის შემდეგ უნდა მძიმე; როცა ბოლოშია — წინ; როცა შუაშია, ორივე მხრიდან მძიმით გამოყოფა.

ჩამოყალიბდება წესი: ჩართული სიტყვა, გამოთქმა და წინადადება მძიმით გამოიყოფა. დამახსოვრების გასაადვილებლად სასვენი ნიშნები ჩართულთან შეიძლება ასეთი სახის სქემითაც წარმოვადგინოთ \_\_\_\_\_ ჩართული; \_\_\_\_\_ წინადადების დანაჩენი ნაწილი).

ჩართული თავშია: \_\_\_\_\_,

ბოლოშია: \_\_\_\_\_

შუაშია \_\_\_\_\_

აქვს შემდეგ ვაცნობთ ფრჩხილებისა და ტირეების ხმარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ წად ინშარება ეს ნიშნები, ამის გამოკვეთილი წესი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში მაგალითების გაცნობა მაინც საჭიროა:

„ჯორ-ნაქარა (ასე ეძახდნენ ზაქარა ჯილაურს სოფელში) მართალი, პირდაპირი და ამასთანავე ერთობ ჭიუტი იყო“ (ს. მგალობ.).

„ორასი წლის წინათ — ასე ანგარიშობს ჩვენი მღვდელი — აგერ იმ მინდორზე ჩვენი ბედი გადაწყდა“ (მ. ჯავახ.).

აღინიშნება, რომ ორივე შემთხვევაში ჩართულ წინადადებასთან გვაქვს საქმე. შედგენილობით ეს წინადადებები ვრცელია. ე. ი. მრავალსიტყვიანია, და ამიტომ ჩაისპის ფრჩხილებში, ანდა ტირეებში.

ემღვევით დასკვნა: თუ ჩართული წინადადება ვრცელია, ის გამოიყოფა ფრჩხილებით ან ტირეთი.

ჩართულის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელია ხშირი ვარჯიშობის ჩატარება, როგორცაა: 1. ნასწავლი ტექსტიდან ჩართულიანი წინადადებების ამოწერა: ჩართულ სიტყვას, გამოთქმას და წინადადებას ხაზი გაესვას; 2. სამცოთხი ჩართულიანი წინადადების დამოუკიდებლად შედგენა; 3. მოფიქრება ისეთი წინადადებებისა, სადაც ერთი და იგივე სიტყვა ხან ჩართულია, ხან წინადადების წევრი:

ჩართული წინადადება	იგივე სიტყვა წინადადების წევრად
--------------------	---------------------------------

4. წინადადებათა გადაწერა და მათში სხვადასხვა შინაარსის ჩართულის ჩამატება; 5. მოცემულ წინადადებებში მრავალწერტილის ნაცვლად შესატყვისი ჩართული სიტყვა-გამოთქმების ჩაწერა (1... ძნელა არის უშეგობროდ ცხოვრება; 2. კრილობა... სასიკვდილო არ აღმოჩნდა; 3... დათიკოს საქციელმა აღაშფოთა გაბრო; 4... ეს საქმე გამიკეთე! 5... მან ამის შესახებ არაფერი იცის; 6... მე მაგისი არაფერი გამეგება. 7... ჭერ კარგად ვერ მისწავლია ეს; 8... თქვენ აქაური არ ბრძანდებით და ა. შ. ჩასაწერად მიეცემათ სიტყვები: 1. მართლაც. 2. საბედნიეროდ, 3. რა თქმა უნდა, 4. თუ ძმა ხარ, 5. ღმერთმა-ნი, 6. სამწუხაროდ, 7. ჩანს, 8. მგონი... ამ სიტყვებს ნომრების გარეშე მივაწოდებთ).

5. ჩართულიანი ტექსტის დაფიდან გადმოწერა და შესაფერისი სასვენი ნიშნების დასმა; 6. მოცემული ჩართული სიტყვების გამოყენებით. (სამწუხაროდ, საუბედუროდ, საბედნიეროდ, სასიხარულოდ) წინადადების შედგენა.

## სხვადასხვა სახის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები წინადადებაში და მათი სწავლება

მხატვრულ პროზას თუ პოეზიაში, პუბლიცისტურსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ისეთი წინადადებები, რომლებშიც ერთდროულად წარმოდგენილია არა მარტო ერთი რომელიმე სახის განკერძოებული სიტყვა ან გამოთქმა (დაწარითი, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკი...), არამედ რამდენიმე. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვადასხვა სახის განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებთან წინადადებაში; მაგალითად: „რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ე ლ ე ნ ე, ნ ი ნ ო ს დ ე დ ა, ვ ა ს შ ა მ ს ა დ რ ე მ ი ი რ თ მ ე ვ ე დ ა და მ ი ო ს ე ნ ე ნ ბ დ ა ხ ო ლ - მ ე“ (რ. ერ.); „ო ხ, ღ მ ე რ თ ო ჩ ე მ ო, ს უ ლ ძ ი ლ ი, ძ ი ლ ი!... რ ო ს ლ ა გ ვ ე ლ ი რ ს ო ს ჩ ე ვ ე ნ ვ ა ლ ე ი ძ ე ბ ა?“ (ი. ჭავჭ.); „პ ო რ თ ი რ ი ბ ი ა შ ე ი ლ ი ს ო ფ - ლ ი დ ა ნ ი ყ ო გ ა მ ო ქ ე ე ლ ი. მ ა მ ა მ ი ს ი, მ ა ქ ს ი მ ე ბ ი ა შ ე ი ლ ი, ს ო ფ ე ლ ვ ა შ ლ ი ა ნ შ ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ ი, ღ ა რ ი ბ ი ა ზ ნ ა უ რ ი ი ყ ო“ (დ. კლ.); „ი მ ა ს ე რ თ ი ღ ი ს წ უ ლ ი ჰ ყ ა ვ დ ა, ლ ე ჩ ხ უ მ ე ლ ი ა ს ა თ ი - ა ნ ო, შ ვ ი ლ ი ვ ი თ გ ა მ ო ზ რ დ ი ლ ი და ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი“ (აკაკი).

სხვადასხვა სახის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები წინადადებაში უნდა ვასწავლოთ მის შემდეგ, როცა დავამთავრებთ განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ყველა-სახის შესწავლას ცალ-ცალკე.

თემის „სხვადასხვა სახის განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები წინადადებაში“ ცოდნა ხელს შეუწყობს პუნქტუაციურ ჩვევათა დაწერას, ამაღლებს მოსწავლეთა წიგნიერების დონეს, განამტკიცებს უკვე შეძენილ ცოდნას.

მოსწავლეებს ჯერ უნდა გავაცნოთ ისეთი მაგალითები, როცა წინადადებაში წარმოდგენილია ორი სახის განკერძოებული სიტყვა (ვთქვათ, ერთი მიმართვა, მეორე დანართი); მაგ. „ძმებო, ჩვენ, გლახებს, აქამდე ერთი დიდებული კაციცა არ გვყოლია, ახლა კი ბელმა გავგიღიმა და გვარგუნა“ (მ. ჯავახ.).

აქ ორი სახის განკერძოებული სიტყვაა: მიმართვა და დანართი. მასწავლებელმა მოსწავლეთ უნდა მოაგონოს განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების თითოეულ სახესთან გამოყენებული სასვენი ნიშნების ხმარების წესები და მიუთითოს მათ თავის ადგილას გამოყენებაზე.

შემდეგ კლასს გაეცნობა ისეთი მაგალითები, როცა მიმართვას მოსდევს ჩართული ან პირიქით; მაგალითები: „მასწავლე, დედოღო, შენი პირიქით, როგორ უნდა მოვბარო ღალა გუგულს“ (ვაჟა); „როგორც გეტყობა, ძალიან შეგძულებია, ჩემო მამიდა, ეგ ქველიძე“ (დ. კლდ.).

აქაც ანალოგიური მუშაობა ჩატარდება.

გვხვდება ისეთი მაგალითებიც, როცა წინადადებაში სამი სხვადასხვა სახის განკერძოებული სიტყვაა: მიმართვა, შორისდებული, ჩართული. მაგალითად: „ბიჭო, გამახარე, არიქა, მამაშვილობას, ცეცხლი მომიტანე!“ (ვაჟა). წინადადების გარჩევისას აღინიშნება, რომ მიმართვებს („ბიჭო“, „გამახარე“) მოსდევს შორისდებული („არიქა“)! ამ უკანასკნელს კი ჩართული („მამაშვილობას“). აქ ყურადღება მიექცევა იმას. თუ რატომ არის სააწალიზო წინადადებაში ყოველი სიტყვის შემდეგ სასვენი ნიშნად მძიმე გამოყენებული.

დაფაზე ვწერთ წინადადებას: „ეი. ძმებო, წამოყვანეთ თქვენთან, თუ გწამთ ღმერთი, ან აქ, ჩემთან. წამოღით“ (ვაჟა). მოცემული წინადადების ანალიზით თვით მოსწავლეებს (მასწავლებლის ხელმძღვანელობით) ადვილად შეუძლიათ დასკვნების გამოტანა. სახელდობრ: ამ წინადადებაში შორისდებულისა („ეი“) და მიმართვის („ძმებო“) გარდა, წარმოდგენილია აგრეთვე ჩართული („თუ გწამს ღმერთი“) და განკერძოებული ადგილის გარემოება („ჩემთან“). მაშასადამე, მოცემულ წინადადებაში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ოთხი სხვადასხვა სახეა წარმოდგენილი ასეთი რიგით: შორისდებული, მიმართვა, ჩართული, განკერძოებული ადგილის გარემოება.

1 „არიქა“ შორისდებულია. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950. გვ. 566.

განკერძობულ განსაზღვრებას ზოგჯერ დანართი მოსდევს, ანდა პირიქით — დანართს განკერძობული განსაზღვრება; მაგალითები: „ამ დროსვე გამოჩნდა ერთი ახირებული კაცი, ქილობში და ძონძ-კონკებში გახვეული, სახელად პართენი“ (ვაჟა); „ლამას დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, სახელად დავითი, ნაშობი ხსენებული ქალისაგან“ (ი. გოგ.).

გაიჩვენება, რომ პირველ წინადადებაში განკერძობულ განსაზღვრებას („ქილობში და ძონძ-კონკებში გახვეული“) მოსდევს უკავშირო დანართი („სახელად პართენი“); მეორე წინადადებაში კი პირიქით — დანართს („სახელად დავითი“) განკერძობული განსაზღვრება („ნაშობი ხსენებული ქალისაგან“). სწავლების ამ ეტაპზე შეიძლება ისეთი მაგალითებიც შეგვხვდეს (ტექსტის გრამატიკული გარჩევისას), სადაც განკერძობულ განსაზღვრებასთან ერთად ჩართულიც იქნება წარმოდგენილი, ანდა პირიქით — ჯერ ჩართულია და შემდეგ — განკერძობული განსაზღვრება; მაგალითად: „გაბოროტებულს, იქნება, ფრთა კიდეც გადამეგდო, ღამეს რომ არ მოესწრო“ (ვაჟა). აქ განკერძობულ განსაზღვრებას („გაბოროტებულს“), რომელიც ნაცვალსახელის გარეშე, განმარტობითაა წარმოდგენილი („მე, გაბოროტებულს, იქნება ფრთა კიდეც გადამეგდო...“) უშუალოდ მოჰყვება ჩართული სიტყვა („იქნება“).

ზოგჯერ ჩართულის შემდეგ განკერძობული განსაზღვრება მოდის; მაგალითად: „თქვენ, იქნება, არ გაგეგონოთ და არც გენახოთ მარგილზე ჩამოგებული არწივი, მსხვერპლისთვის დატევებული, მაგრამ მოტყუებული“ (ვაჟა). გაიჩვენება ეს წინადადება, ჩართული სიტყვა („იქნება“) შეიცვლება სემანტიკურად მასთან ახლო მდგომი სიტყვით („შესაძლებელია“), აღინიშნება, რომ ამ წინადადებაში განკერძობული განსაზღვრება („მსხვერპლისთვის დატევებული, მაგრამ მოტყუებული“) ორი ნაწილისაგან შედგება: 1. „მსხვერპლისთვის დატევებული“, და 2. „მაგრამ მოტყუებული“, რომლებიც ერთურთთან „მაგრამ“ კავშირით არიან დაკავშირებული. ყურადღება მახვილდება სასვენი ნიშნებზე.

შესაძლებელია, განკერძობულ ადგილის გარემოებას მოსდევდეს როგორც განკერძობული განსაზღვრება, ისე დანართი, ხოლო განკერძობულ დროის გარემოებას — ჩართული; მაგალითები: „ჩვენები მტრებმა წაასხეს სამხრეთით, სამხეთში, სადაც ბინა ჰქონდა მონგოლთა მბრძანებელს, „ანუ ნოინსა“ (ი. გოგ.); „ძველად, ძველი-ძველად, როგორც ყველამ ვიცით, კაცობრიობა განადირებული ცხოვრობდა“ (ვაჟა).

პირველ წინადადებაში განკერძოებული ადგილის გარემოების შემდეგ დანართია, ხოლო მეორეში განკერძოებული დროის გარემოებას უშუალოდ ჩართული მოსდევს. არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა დანართს მიჰყვება განკერძოებული განსაზღვრება და ამ უკანასკნელს კიდევ განკერძოებული განსაზღვრებები, რის გამოც კიდევ უფრო რთულდება წინადადების სინტაქსური სახე; მაგალითად:

„უფროსი ხაბაზი კარპიჩა — კოკლი ნასალდათარი რუსი, ხეიბრობის გამო განთავისუფლებული, სამი წლის წინათ ზაალთან შემოხიზნული — მუდამ დამკლავებულია, უქულო და ფეხშიშველი“ (მ. ჯავახ.). ამ წინადადების გაანალიზებით ნათელი გახდება, რომ ქვემდებარეს („კარპიჩა“) უშუალოდ მოსდევს გავრცობილი დანართი („კოკლი ნასალდათარი რუსი“), ხოლო ამას მოჰყვება პირველი განკერძოებული განსაზღვრება („ხეიბრობის გამო განთავისუფლებული“), რომელსაც მოსდევს მეორე განკერძოებული განსაზღვრება თავისი მომყოლი სიტყვებითურთ („სამი წლის წინათ ზაალთან შემოხიზნული“). აქვე ყურადღება მახვილდება სასვენ ნიშნებზე. მთლიანად როგორც დანართი, ისე განკერძოებული განსაზღვრებები წინადადების წევრთაგან ტირეებითაა გამოყოფილი.

შეიძლება შეგვხვდეს ამ ტიპის წინადადებათა უფრო რთული სახეც; მაგალითად: „მართლაც, თინამ, როცა შინ შევიდენ, გულიდან ამოიღო შავი ნაბღის ქუდი, გუმბათის გარეთპირზე ჯვარედინად სირმამოკერებული, და თავისი ხელით დაახურა თავზე“ (ვეჟა). ამ შემთხვევაში გაირკვევა, და კავშირის წინ იმიტომ არის მძიმე, რომ მის წინ მოხვდა განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადებიდან ყოველთვის მძიმით გამოიყოფა.


პუნქტუაციურად კიდევ უფრო საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როცა ჩართულთან ერთად კავშირიანი დანართიცაა წარმოდგენილი; მაგალითად: „საგანი ჩემი. მოგზაურობისა კახეთში იყო დროებითი ადგილობრივი სირაჯობა, ანუ, მარტივად, ადგილობრივი სყიდვა-გასყიდვა დვინიისა“ (ლ. არდ.);

„აი, აბრეშუმის პეპელამ დაყარა თესლი, ანუ, უფრო სწორად ვსთქვათ, პაწია კვერცხები“ (ი. გოგ.).

პირველ წინადადებაში წარმოდგენილია კავშირიანი დანართი, რომელიც გათიშულია ჩართულით („მარტივად“) და ამან გამოიწვია „ანუ“ კავშირის ორივე მხრიდან მძიმეებით გამოყოფა.

მეორე წინადადებაც პირველის ანალოგიურია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დანართში მოქცეულია ჩართული წინადადება („თეს-







სწორედ ამის გამოა. რომ ზოგიერთი მასწავლებელი გვერდს უვლის ამ სახის სამუშაოს და ისე გადადის მომდევნო თემაზე. ამიტომაც, რომ მოსწავლეები განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს ზეპირსა და წერითს მეტყველებაში ნაკლებად იყენებენ და, თუ იყენებენ, მასში სხვადასხვა სახის შეცდომებს უშვებენ.

ზოგ სკოლაში მასწავლებლები თვითონ ადგენენ ტექსტებს, სადაც შეაქვთ განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების ცალკეული სახე და აწერიან კარნახით. მოსწავლეებს ვეალებათ დაუსვან სასვენი ნიშნები. აქ სანიშნოდ მოგვყავს ქ. თბილისის V საშუალო სკოლის VI კლასში ჩატარებული წერითი სამუშაო თემაზე: „სასუენი ნიშნები განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან“.

„ბავშვები, დალლილი. სასწავლო წლის განმავლობაში, დაისვენებენ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში. მინდვრები, მონატრული ფერადი ყვავილებით, გაიწევენ მათ სათამაშოდ, სამხიარულოდ.

ყოველ დღით, გაიჩრახე. აფრთხილდებიან ჩიტები, რომლებიც კიკიკით დატკობენ პატარათა სმენას.

ახალი თაობა, ჩვენი სამშობლოს ბედნიერი მომავალი, გაჯანსაღდება სუფთა ჰაერზე. გიორგი, გვარად რაზმაძე. ყოველდღე ჩაუტარებს პატარებს შინაარსიან საუბრებს.

ერთი სიტყვით, ყველა იზრუნებს. რომ ნორჩმა ყვავილებმა კარგად დაისვენონ არდადეგების დღეებში.

პირველ სექტემბერს, დილის ცხრა საათზე, მათი საამო კიკიკი კვლავ გამოაცოცხლებს სკოლის მიყრუებულ კუთხეებს.

პიონერებელმძღვანელი მათ მოუწოდებს: „ბავშვებო! კარგი სწავლით ასახელეთ საყვარელი სამშობლო!“

ჩვენ, მოსწავლეები, ვისწავლით კარგად და ვასახელებთ დიად სამშობლოს!“ — იქნება პასუხი.

მოყვანილ ტექსტში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ოითქმის ყველა სახეა მოცემული. იგი კარგადაა შედგენილი მასწავლებელ ან. ბურკულაძის მიერ. მაგრამ ყველა მასწავლებელი როდი ეუშაობს ასე. ამიტომ საკვიროდ მიგვაჩნია ამ საკითხზე დაწერილებით შევიჩრდეთ.

„მეთოდურ მითითებებში“ VII კლასისათვის გათვალისწინებულია გრამატიკული ხასიათის სავარჯიშოებიც, მაგრამ არ არის კონკრეტულად აღნიშნული, თუ წერითი მუშაობის რა სახეები უნდა ჩატარდეს ქართულ ენაში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის რანდენობის, სახეებისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თბილისი, 1956, გვ. 4.

განკერძობებული სიტყვა-გამოთქმების სწავლებასთან დაკავშირებით წერიტი ჰუშობა (საკლასო, საშინაო, საკონტროლო) ტარდება თუმის სწავლებს პროცესშიც და მის შემდეგაც. ეს სამუშაო შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს:

1. ტექსტის გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) გარჩევა. ამას მნიშვნელობა აქვს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისათვის. იგი უვითარებს მოსწავლეებს ყურადღებას, მეხსიერებას, განუმტკიცებს მიღებულ ცოდნას; მასწავლებელს საშუალებას მისცემს გაამეორებინოს შესწავლილი მასალა.<sup>1</sup> გრამატიკული გარჩევა რომ ურთფეროვანი, მოსაწყენი არ იქნეს. იგი ხშირად უნდა იცვლებოდეს როგორც დარგების ფორმის (ფონეტიკური, მორფოლოგიური; სინტაქსური ან ურთიერთთან დაკავშირებით: მორფოლოგიურ-სინტაქსური, სინტაქსურ-სტილისტიკური, მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსურ-პუნქტუაციური და ა. შ.), ისე ჩატარების ხერხების მიხედვით (ქვეშ ხაზგასმა, ზემოდან წარწერა, გამოწერა, ტაბულით ან სქემა ტაბულით წარმოდგენა და ა. შ.).<sup>2</sup> გრამატიკული გარჩევა წერილობითაც ტარდება და ზეპირადაც.

განკერძობებული სიტყვა-გამოთქმების სწავლებასთან დაკავშირებით დასაწერ ტექსტს ადგენს მასწავლებელი, მას დათვაზე წერს. მოსწავლეებს ვეალებათ: გადაწერონ ტექსტი და გაარჩიონ იგი სინტაქსურადაც და მორფოლოგიურადაც.

ვთქვათ, მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ მიმართვა. მასწავლებელი ადგენს მიმართვიან წინადადებებს. მოსწავლეები მათ ასეთი თანამიმდევრობით არჩევენ (გაიჩევა მხოლოდ მიმართვები):

- ა) მეტყველების რომელი ნაწილითაა გამოხატული მიმართვა;
- ბ) რომელ ბრუნვაშია და რა ნიშნითაა წარმოდგენილი;
- გ) გაუვრცობელია თუ გავრცობილი;
- დ) რა ადგილი უჭირავს წინადადებაში (თავშია, ბოლოში თუ შუაში);

ე) რა სასვენი ნიშნითაა გამოყოფილი;  
(ნიმუში: „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი?“ — ამ წინადადებაში მიმართვის ფორმაა „ბიჭო“. იგი გამოხატულია საზოგადო არსებითი სახელით. დგას წოდებითს ბრუნვაში; ნიშანი ო; „ბიჭო“ გაუვრცობელი მიმართვაა (არ ახლავს ამხსნელი სიტყვები); იგი მოთავსებულია წინადადების თავში და გამოყოფილია მისგან მძიმით).

<sup>1</sup> А. В. Токучев, Методика грамматического разбора, Москва, 1952, стр. 13, 14, 15, 16, 17.

<sup>2</sup> საშუალო სკოლის პროგრამები, ქართული ენა და ლიტერატურული კითხვა (V-VII კლასები), 1957, გვ. 10.

ასევე გაირჩევა განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სხვა სახეებიც.

2. პუნქტუაციური გარჩევა. ამ გარჩევის დროს მთავარი ყურადღება სასვენ ნიშნებს ექცევა.

მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე წინადადებას, სადაც მოცემულია განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების სხვადასხვა სახე სასვენი ნიშნების გაჩეშე. მოსწავლეებს ვეალებათ: გადაიწერონ წინადადებები, დაუსვან სასვენი ნიშნები და აღნიშნონ, თუ რატომ ხმარობენ ამა თუ იმ სასვენ ნიშანს.<sup>1</sup>

3. კარნახი. წერიტი მუშაობის ამ სახეს უმთავრესად დაწყებით კლასებში მიმართავენ, მაგრამ შეიძლება იგი VII კლასშიც გამოვიყენოთ.

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმებისთვის შესაძლებელია კარნახის ყველა სახე იქნეს გამოყენებული: სმენითი, მხედველობითი, თავისუფალი, შემოქმედებითი, გამოკრებითი, გამაფრთხილებელი, ჰაკონტროლო.<sup>2</sup> მაგრამ ყველაზე კარგ შედეგებს იძლევა თავისუფალი კარნახი, რომელიც შემდეგნაირად ტარდება: მასწავლებელი კითხულობს ტექსტს, რომელშიც ორთოგრაფიაა. მოსწავლეები წერენ წინადადების შინაარსს თავისუფლად<sup>3</sup>, განკერძოებული სიტყვა-გამოთქმების იმ სახეთა გამოყენებით, რომლებიც ტექსტში იყო.<sup>4</sup>

4. გადაწერა. გადაწერას უმთავრესად დაწყებით კლასებში მიმართავენ, მაგრამ იგი შეიძლება VII კლასშიც გამოვიყენოთ. აქ შეიძლება მივმართოთ შემოქმედებითს გადაწერას. წერიტი მუშაობის ეს სახე შემდეგნაირად ჩატარდება: ტექსტი ან რამდენიმე წინადადება დაფაზე იწერება. მასში განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ცალკეული სახე გამოტოვებულია და მის ნაცვლად მრავალწერტილია დასმული. მოსწავლეს ვეალება, გადაიწეროს წინადადებები და მრავალწერტილის ნაცვლად შესაფერისი განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ჩასვას (ნიმუში: „გუშინ რას აკეთებდი...? — კინოში ვიყავი. — კინოში? — ...რომ იცოდე, რა კარგი სუ-

<sup>1</sup> Л. В. Хлюшкова, Некоторые вопросы преподавания русского языка в школе, Москва, 1953, стр. 57.

<sup>2</sup> ვ. რ ა მ ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის სწავლების მეთოდთა, თბილისი, 1955, გვ. 367.

<sup>3</sup> ი ქ ე ე, გვ. 368.

<sup>4</sup> ი ლ ი ა ს ი ხ ა რ ე ლ ი ძ ე, წერიტი მეტყველების დეფექტები და მათი გამოსწორების საშუალებანი, თბილისი, 1938, გვ. 120; ქ. გ ა გ უ ა, მხატვრული ლიტერ. სწავლების მეთოდთა საშუალო სკოლაში, თბილისი, 1940, გვ. 67; ქ. ლ ო ნ ა ძ ე, წერიტი მეტყველების სახეები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თბილისი, 1939, გვ. 13.

რათი ვნახე... დღეს... შენთან გამოვიარე, მაგრამ შინ არ იყავი. შემდეგ ქალაქში წავედი. თეატრის მარჯვნივ... გიციდიდი. დარბაზი... ყურადღებით უყურებდა კინოსურათს. მე... ძალიან მომეწონა პატარა კაცოს როლის შემსრულებელი. ეს მშვენიერი სურათი... ხვალ არ იქნება ჩვენს ეკრანებზე. დღეს... სასკოლო კედლის გაზეთისათვის ჩემს შთაბეჭდილებას დაეწერ ამ სურათის პიხედვით).

შესრულდება ასე:

— გუშინ რას აკეთებდი, ვანო?

— კინოში ვიყავი.

— კინოში?

— დიახ. ოხ, რა კარგი სურათი ვნახე! დღეს, საღამოს 8 საათზე, შენთან გამოვიარე, მაგრამ შინ არ იყავი. შემდეგ ქალაქში წავედი. თეატრის მარჯვნივ, წყლის კიოსკთან, გიციდიდი.

დარბაზი, ხალხით გაქედნილი, ყურადღებით უყურებდა კინოსურათს. მე, როგორც მოსწავლეს, ძალიან მომეწონა პატარა კაცოს როლის შემსრულებელი. ეს მშვენიერი სურათი, სამწუხაროდ, ზეალიდან არ იქნება ჩვენს ეკრანზე. დღეს, გაკვეთილების შემდეგ, კედლის გაზეთისათვის ჩემს შთაბეჭდილებებს დაეწერ ამ სურათის მიხედვით“<sup>1</sup>.

მასწავლებელი გულდასმით ასწორებს მოსწავლეთა ნაწერებს, იწერს ტიპობრივ შეცდომებს და მომდევნო გაკვეთილზე აანალიზებს მათ.

უნდა მივალწიოთ იმას, რომ მოსწავლეები კარგად გაერკვნენ თავიანთი შეცდომების არსში. მოსწავლეთა მიერ თავიანთი შეცდომების მექანიკურად, შეუგნებლად გასწორება, თითქმის გაუსწორებლობის ფარდია.<sup>2</sup>

დადასტურებულია, რომ ყველაზე მეტი შეცდომა ჩვენს მოსწავლეებს სასვენი ნიშნების დასაში მოსდით. სასვენი ნიშანი ზოგ შემთხვევაში მეტყველების ინტონაციას ემთხვევა. რიგი სასვენი ნიშნებისა ინტონაციით არ გამოიცილობა და წინადადების აღნაგობასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე პუნქტუაციური

<sup>1</sup> ტექსტი მოგვყავს ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის VII კლასელთა საკონტროლო ნაწერებიდან (მასწავლებელი ტ. გურგენიძე).

<sup>2</sup> გ. რ. ვაბედაევა, ორთოგრაფიული ხასიათის წერითი ნამუშევრების გასწორებისა და შეფასებისათვის V—VI კლასებში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული VIII, თბილისი, 1955, გვ. 33;

Н. П. Проспирякова, Система письменных работ при изучении темы „Обособленные второстепенные члены предложения“, Новгород, 1953, стр. 13; К. В. Мальцева, Письменные работы на русском языке в национальной школе, Москва, 1957, стр. 210.

შეცდომების აღმოსაფხვრელად მთავარია წინადადების აღნაგობის შეგნებულ. მტკიცე ცოდნის დანერგვა მოსწავლეთა შორის, აგრეთვე სწორი. გამომეტყველებითი კითხვისა და თხრობის ჩვევათა გამომუშავება<sup>1</sup>.

დასასრულ. გვსურს აღვნიშნოთ, რომ განკერძოებული სიტყვა-განოთქმების სწავლების პროცესში ჩვენ ვვარაუდობთ ორ საკლასოსა და ერთ საკონტროლო წერიითი სამუშაოს ჩატარებას. პირველი საკლასო წერა ჩატარდება განკერძოებული განსაზღვრების შესწავლის შემდეგ. მეორე — ჩართულის გაცნობის წინ.

თემის მთლიანად დამუშავების შემდეგ უნდა ჩატარდეს საკონტროლო წერა, რომელშიც უნდა გამოვლინდეს მოსწავლეთა მიერ განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ათვისების ხარისხი და ის ცოდნა-ჩვევები, რომლებიც შეითვისეს მათ ამ თემის სწავლებასთან დაკავშირებით.

---

1. თუ შ ა ნ ი ა, მართლწერის ჩვევათა გამომუშავების ზოგიერთი საკითხი რეაწლიან სკოლაში: მასწავლებელთა გამოცდილებიდან, ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1954, გვ. 59.

## შემოკლებანი

- ი. აბაშ. — ი. აბაშიძე, ლექსები, 1956.
- იპო — წამებად წმიდისა და მოწამისა კაბოჯისი. 1935.
- ანდ. — ანდაზა. ქართული ანდაზები, შედგენილი თ. სენერაძის მიერ, 1955.
- შ. არაგვ. — არაგვისპირელი, სრული კრებული, ტ. I — II, თბილისი, 1947.
- ლ. არდ. — არდაზიანი, მოთხრობები, თბილისი, 1936.
- აკაკი — წერეთელი, ტ. I, II, III; ტ. IV, 1948.
- ნ. ბარ. — ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1939.
- ე. გაბ. — გაბაშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. I, 1953; თხზულებანი, 1910.
- ი. გოგ. — გოგებაშვილი, მოთხრობები, თბილისის, 1940.
- ი. გრიშ. — გრიშაშვილი. ერთტომეული, 1956.
- დ. გურ. — გურამიშვილი, დავითიანი, 1954.
- ი. დავით. — დავითაშვილი, სრული კრებული, თბილისი, 1951.
- ი. ევდ. — ევდოშვილი, ტ. I, თბილისი, 1937.
- რ. ერ. — ერისთავი, ტ. III, თბილისი, 1937.
- ევაჟ — ფშაველა, ტ. III, 1930; ტ. IV, 1930; ტ. V, 1936.
- ისტ. ქრესტ. — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1953.
- კიმ. — კიმენი, ტომი II, 1946.
- დ. კლდ. — კლდიაშვილი, თხზულებანი, ტ. I. 1952, მოთხრობები და პიესები, 1947.
- ნ. ლომ. — ლომოური, მოთხრობები, 1952.
- კ. ლორთქ. — ლორთქიფანიძე, უკვდავება. 1955.
- მამ. სწაუ. — მამათა სწაულანი, X და XI საუკუნეთა ხელნაწერებს მიხედვით. თბილისი, 1955.
- ს. მგალობ. — მგალობლიშვილი, რჩეული მოთხრობები, თბილისი, 1954.
- შ. მღვ. — შიო მღვიმელი, ლექსები, თბილისი, 1955.
- ე. ნინ. — ნინოშვილი, სრული თხზულება. 1904. „პარტახი“. 1935.
- ე. ნონ. — ნონეშვილი, ერთტომეული, 1956.
- გ. ტაბ. — ტაბიძე, რჩეული, 1954.
- ა. ფურც. — ფურცელაძე, რჩეული ნაწერები, 1951.
- ა. ყაზბ. — ყაზბეგი, ტ. I, II, 1948
- შუშ. — ი. ტურტაველი, მარტვილობად შეშანიქისი, 1938.
- ა. ცაგ. — ცაგარელი, პიესები, 1933.
- ი. ქაეკ. — ქაეკავაძე, რჩ. ნაწერები, I — II, 1948; ტ. I. 1951; ტ. II: 1950; III — 1953, IV. 1955, V, 1955.
- დ. ქონქ. — ქონქაძე, სურამის ციხე, 1932.
- ხალხ. — ხალხური (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, წიგნი I, 1937).
- ხანძთ. — გიორგი შერაშული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949.
- შ. ჯავახ. — ჯავახიშვილი, არსენა მარაბდელი, 1955.

## ზინაარსი

შესავალი	3
თავი I	
განკერძობული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლების ისტორიისათვის ქართულ ენაში	7
განკერძობული სიტყვები და გამოთქმები ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში	10
თავი II	
განკერძობული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლების მნიშვნელობა საილუსტრაციო-სავარჯიშო მასალა განკერძობული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლებისას	22
როდის და რა თანამიმდევრობით უნდა ვაწვავლოთ განკერძობული სიტყვა-გამოთქმები	23
თავი III	
განკერძობული სიტყვა-გამოთქმების რაობის სწავლება	30
მიმართვა მიმართვის რაობა	36
წოდებითი ფორმა, მისი ფუნქცია და ადგილი წინადადებაში	37
მიმართვის ინტონაციურ-სტილისტიკური თავისებურებანი	41
მიმართვის სწავლება	44
წოდებითი ფორმის, მისი ფუნქციისა და ადგილის სწავლება	47
ჯაუერცობელი და გავრცობილი მიმართვის სწავლება	48
სასვენი ნიშნების სწავლება მიმართვასთან	50
მიგებითი ნაწილაკები	54
მიგებითი ნაწილაკი წინადადებას წვერად და წინადადება ეკვივალენტად	56
მიგებითი ნაწილაკები (პო, არა, ვერა) — სახელი	63
სასვენი ნიშნები მიგებითს ნაწილაკებთან	64
მიგებითი ნაწილაკების რაობის სწავლება	65
სასვენი ნიშნების სწავლება მიგებითს ნაწილაკებთან	70
შორისდებული წინადადებაში	72
შორისდებული ზოგი სინტაქსური თავისებურება	73
შორისდებული 'ადგილი და ფუნქცია წინადადებაში	74
შორისდებული — სახელი	81
შორისდებულის რაობის სწავლება	82
განკერძობული განსაზღვრება	90
განკერძობვისათვის ხელშემწყობი პირობები	91

განსაზღვრების განკერძოების ძირითადი შემთხვევები	95
განკერძოებული განსაზღვრების სწავლება	100
განკერძოებული გარემოება	111
განკერძოებული გარემოების შინაარსობრივი და გრამატიკული დახასიათება	112
განკერძოებული გარემოების ადგილი წინადადებაში	113
სასვენი ნიშნები განკერძოებულ გარემოებასთან	114
განკერძოებულ გარემოების სწავლება	115
სასვენი ნიშნების სწავლება განკერძოებულ გარემოებასთან დახარბი	120
დახარბის შინაარსობრივი და გრამატიკული დახასიათება	122
დახარბისა და ასახსნელი სიტყვის კავშირის საშუალებანი	124
დახარბის ადგილი წინადადებაში	129
სასვენი ნიშნები დახარბთან	132
დახარბის სწავლება	133
სასვენი ნიშნების სწავლება დახარბთან	135
ჩართული	143
ჩართული გრამატიკული დახასიათება	146
ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა შინაარსობრივი ჯგუფები	146
ჩართულ სიტყვებისა და გამოთქმების ადგილი წინადადებაში	150
ჩართულ წინადადება	154
ჩართულის სწავლება	156
ჩართულ სიტყვებისა და გამოთქმების შინაარსობრივი ჯგუფების სწავლება	159
ჩართული წინადადების სწავლება	165
ჩართული წინადადების სწავლება	168
სასვენი ნიშნების სწავლება ჩართულთან	170
სხვადასხვა სხვა განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები წინადადებაში და მათი სწავლება	170
წერითი მუშაობის სახეები განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლებაში და დაკავშირებით	172
შემოკლებანი	176
	183